

თელი დუნა



ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია
და დასავლეთი
სუმიზმატიკური მასალების მიხედვით

თელი ღუნღუა

**ქართული
ეთნოკულტურული
ეპოლუცია და
დასავლეთი
ნუმიზმატიკური
მასალების მიხედვით**

ნ.ნ.ს.!

ქაჯუღე

ნ.ნ.

ს.ნ.ნ.

ს.ნ.ნ.

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, 1997

1.10.97

63.2 (2Γ)

737.947.922

თ 677

ნაშრომში განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციისა და მსოფლიო განვითარების უზოგადესი საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნუმიზმატიკურ მასალას, როგორც სანდო წყაროს ეკონომიკური ცხოვრების რეკონსტრუქციისათვის.

განკუთვნილია სპეციალისტებისა და ფართო მკითხველისათვის,

რედაქტორი

აკად. გ. მელიქიშვილი

რეცენზენტები:

ისტ.მეცნ.დოქტ. გ. ლორთქიფანიძე

ისტ.მეცნ.დოქტ. რ. რამიშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 1997

© თ. ღუნდუა, 1997

შესავალი

ნებისმიერი ეთნოკულტურული ევოლუცია სემანტიკური განვითარებაა, სხვა სიტყვებით, შემეცნებითი წინსვლაა. კონკრეტული ტექნიკური იდეა უდრის გარკვეულ მატერიალურ ტიპს. ეკონომიკურ-გეოგრაფიული შემოსაზღვრულობის ეფექტი კი ერთი სემანტიკის ფარგლებში იდეური დიფერენციაციის ასპექტით ნულია. მაშინ ეთნოკულტურა ქიშკრია. ესეც აბსურდია, ვინაიდან არსებობს ტიპოლოგიურად განსხვავებული ენები, რაც ნიშნავს გნოსეოლოგიური ევოლუციის განსხვავებული საფუძვლების, ანუ ეკონომიკურ-გეოგრაფიული კატეგორიის რეალობას. კონკრეტული სემანტიკის ფარგლებში არსებული მეორეხარისხოვანი ეკონომიკური დატვირთვის მქონე სემანტიკური სტრუქტურული ერთეული ეთნოტიპის დიფერენციაა. ეთნოკულტურული ევოლუცია უდრის სემანტიკურ და სუბსემანტიკურ ევოლუციას კონკრეტული შეფარდებითად უცვლელი ფიზიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატის მასშტაბით. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონული პრინციპით დიფერენცირებული ნებისმიერი სემანტიკა კონკრეტულ სუბსემანტიკასთან კომპლექსში შეესაბამება ტიპოლოგიურ ერთეულს - ფონეტიკურ-სტრუქტურულ სისტემას. ჩვენი მიზანი სწორედ ქართველური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის უზოგადესი საკითხების შესწავლაა; დედუქციური წყაროთმცოდნეობითი ბაზისი ნუმინმატიკური მასალაა. სოციალურ-ეკონომიკური კონკრეტული ევოლუცია ფიზიკურ-გეოგრაფიული კონკრეტული ბაზისის სუბიექტია. კონკრეტულ შემთხვევაში მატერიალური ბაზისი დუალისტურია, ქართული ეთნოკულტურული დიფუზიის დასავლური სექტორი სარწყავ ფუნდამენტურ მიწათმოქმედებას არ საჭიროებს. საქართველო, როგორც ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი, სარწყავი მემარცვლელობის ქართლის ბაზისს ემყარება. რატომ?! განა ურწყავი დასავლეთი უფრო რენტაბელური მეტროპოლისი არ უნდა ყოფილიყო?

დასავლეთი და აღმოსავლეთი, ევროპა და აზია, ურწყავი და სარწყავი მუერნობები - ყოველივე დიალექტიკური მიმართებაა. ეკონომიკური პრიმატის ზონალური მონაცვლეობის ზუსტი სქემის დადგენას კი მოჰყვა გარკვეულწილად ციკლური განვითარების თეორიის რეანიმაცია და ახალი მეთოდის - ციკლური დიალექტიკის პრეზენტაცია. კოლხეთი და იბერია, ლაზიკა და ქართლი, დაბოლოს, საქართველო პერმანენტულ კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება, უკვე a priori ასეთი სივრცობრივი პოზიცია სემანტიკური მზა მოდელების ინტენსიური სესხების ფაქტს გვაპარაუდებინებს. კონკრეტული მიმართებანი საოცრად რენტაბელურია. მაგრამ რატომ არ მოხერხდა კოლხეთის აბსორბცია ბალკანურ-მცირეაზიულ რომეულ კაპიტალისტურ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ კომპლექსში?!

ნებისმიერი სემანტიკური რეცეპცია სუბსემანტიკური ტიპოლოგიური ადაპტაციაა. პროცესის ნუმინმატიკური კონკრეტული გამოვლინებანი სპეციალური კვლევის საგანია.

წარმოდგენილია ქართული ნუმინმატიკური მასალის თავისებური სამეცნიერო კომენტარი ყველა არსებული ჯგუფის მასშტაბით. აბსტრაქცირება, დედუქცია და 50-წლიანი შეფარდებითი ციკლებით მანიპულაცია კონკრეტული მეთოდოლოგიური ბაზისია.

რიგი დებულებები კაპიტალიზმის II ციკლთან დამოკიდებულების კარდინალური პრინციპების ატრიბუციის საკითხს უკავშირდება.

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა. მიმართებათა კლასიფიკაცია და, საერთოდ, ნაშრომის სტრუქტურა ასეთია: შესავალი. ნაწილი I. დასავლეთის ცნების დეფინიცია. ციკლური დიალექტიკა. ნაწილი II. სუბტროპიკული (სამხრეთული) კაპიტალიზმი (კაპიტალიზმის I ციკლი) და ქართული ეთნოკულტურა. თავი I. ანტიკა. § 1. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია დასავლეთის მიერ და რეალიზაციის წმინდა ეკონომიკური მეთოდების ექსპლოატაცია (ძვ.წ. VI-I სს.). § 2. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია დასავლეთის მიერ და რეალიზაციის სინთეზური ეკონომიკურ-პოლიტიკური გზები (ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს.). § 3. ტრანსკავკასიური ტრანზიტის პერსპექტივები და ქართლი (ძვ.წ. III - ახ.წ. III სს.). თავი II. პოსტანტიკა (IV-VI სს.). § 1. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია და იმპერიალიზმის ბიზანტიური ინერციული ეგზისტენცია (IV-VI სს.). § 2. ქართლი. ეკონომიკური ფუნქციური კატეგორიის პიატუსი (IV-VI სს.). თავი III. პერმანენტული დევენერაცია (VII-XI სს.). § 1. ლაზიკა. სუბტროპიკული კაპიტალიზმის და სუბტროპიკული ფე-

ოდალიზმის ორმხრივი კრიზისული აპლიკაცია (VII-X სს.). §2. სუბტროპიკული გლობალური სტაგნაცია და სარწყავი ზონის უკიდურესი ნორდიკული ნაწილის პერსპექტივების ზრდის პერცეფცია. იმპერიული დუალიზმის გენეზისი. ქართლი - აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეკონომიკური კურატორი და კონვერსიული პროცესების მეტროპოლისური ბაზისი, ბიზანტიური ჩრდილოური კონტროლის ფორმალური რეალიზატორი (VII-X სს.). თავი IV. სახელმწიფო სოციალიზმი (XI-XII სს.). §1. სახელმწიფო სოციალიზმი - ავტოპროტექტორატი; იმპერიალიზმის ზომიერ სარტყელზე კონცენტრაცია - იტალიის საკატეპანო, ბულგარული *tabula rasa*. კოლხური პრიმატის პრევენცია, საქართველო - ეკონომიკური სუბლემენტი, სამონეტო ექსპანსიის ობიექტი. ტენდენცია *de jure* იმპერიის *de jure* უნივერსალიზაციისაკენ - გიორგი II კესაროსი (XI ს.). §2. დუალისტური იმპერიის გენეზისი *de jure* - დიარხია *de jure* (დავით IV). იმპერიული ჰერალდიკის იბერული ტრანსპლანტაცია. დემეტრე I პორფიროსტროტოსი (XII ს.). ნაწილი III. ზომიერი კაპიტალისტური რევოლუცია და მისი სემანტიკა - ქართული პერსპექტივები. ჰერალდიკური სტრუქტურალიზმი - საქართველო და ტრაპიზონი. ჯვაროსნები და საქართველო; მილიტარისტული აღიანსი *de facto*, ანტირომეული კოორდინაცია. ქართული ეთნოკულტურის ადეკვატური სუბტროპიკული ზოლის პრიმატის ტენდენციები - ქართული ავტოპროტექტორატი (XIII ს.). ნაწილი IV. მონღოლები ირანში - სარწყავი მეურნეობის ზოლის ნორდიკული ნაწილის სტაგნაცია. არიული და თურანული რეაქცია - კოლექტიური სოციალურ-ეკონომიკური კონტროლი. თავი I. ქართული ეკონომიკური რეკონვერსია. ტრაპიზონი. „ბერძენთა მეფობა“ - ქართული რეცეპცია. იმპერიის მეტროპოლისის ნორდიკული ტრანსფორმაციის წარუმატებელი ცდა. თურანული რეაქცია - კაპიტალიზმის I ციკლთან ურთიერთობის ეპილოგი (XIII-XV სს.). თავი II. ქართული იმპერიული ამბიციების მესხური რემინისცენცია. კლარჯეთი, ურწყავი პროვინცია - დეკლარაციის შესაძლებელი ეკონომიკური საფუძველი. დასკვნა. ნორდიკული პერმანენტული რევოლუცია. ჩრდილოეთი და სამხრეთი - პერსპექტიული დიალექტიკური ანტაგონისტური კონიუნქტურა. სააქციონერო საზოგადოება - მარკის თვისებრივი ციკლური რენიშაცია.

ნაშრომი ისტორიული პროცესის ახლებურად გააზრების ცდაა, მჭიდროდ დაკავშირებული თანამედროვეობასთან. აქედან გამომდინარეობს მისი

ა ქ ტ უ ა ლ ბ ა ც.

ნაწილი I

დასავლეთის ცნების დეფინიცია


ციკლური დიალექტიკა

მზანი კაპიტალიზმის ავტონომური ევოლუციის პერსპექტივების და ტიპის პერცეფციაა, რისთვისაც აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის უნივერსალური წესის დაფიქსირება. წარმოდგენილი თემა ერთი საფეხურია. დასავლეთი - მოდერნისტული ან გვიანდელი ნომინალური პერცეფციაა ტიპური სამრეწველო მეტროპოლისის, კატეგორიული დიფერენციაციაა შეფარდებითად ჩამორჩენილი ტიპური ან, საერთოდ, აგრარული ატრიბუტის მქონე კატეგორიის ასპექტით. დასავლეთი - სამრეწველო კაპიტალიზმია სპეციფიური გეოგრაფიული კონიუნქტურის გათვალისწინებით. ტერმინის რეტროსპექტული ექსპლოატაცია რაციონალურია. პრობლემის დაკონკრეტება ასეთია - 1. ესწავლობთ კაპიტალიზმის ისტორიას. პერსპექტივებით პერმანენტულ მოძრაობაში; 2. ცალკე ქართული ეთნოკულტურის ისტორიას; 3. სურვილი ქართული ეთნოკულტურის კაპიტალისტური პერსპექტივების მოხაზვაა; 4. ეს კი მოძრაობაში განხილვის გარეშე შეუძლებელია. ე.ი. კაპიტალიზმი, საერთოდ, და ქართული სამყარო - აპლიკაცია, აპრობაცია და ექსპლოატაცია - ყოველივე საოცრად აქტუალურია; 5. ქრონოლოგიური შემოსაზღვრულობა აკონკრეტებს წარმოდგენილ კვლევას. და კიდევ ერთი ამასთან დაკავშირებით - ტრადიციული დაპირისპირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შეიძლება შეიცვალოს ახალი კატეგორიის კონფონტაციით - ჩრდილოეთის და სამხრეთის ანტაგონისტური დიალექტიკური ეგზისტენციით. სად უნდა იყოს ქვეყანა, როგორი უნდა იყოს ქვეყანა, როგორი უნდა იყოს მისი ეკონომიკის ინტერერული სტრუქტურა?! დაპირისპირება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის

შემეცნებით-ეკონომიკური ტიპის წინააღმდეგობათა კომპლექსიდან აბსტრაქტირებული ერთი მომენტია: ეკვატორს ქვემოთ ეკონომიკური იმპულსების პრიმატი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ტრანსფორმირდება. ე.ი. საერთო პერსპექტიული სურათი ასეთია - ეკვატორს ზემოთ, სამრეწველო ჩრდილოეთი - აგრარული სამხრეთი; ეკვატორს ქვემოთ, პერსპექტივაში სამრეწველო სამხრეთი - აგრარული ჩრდილოეთი. საკითხის სტრუქტურა შემდეგია: I. დასავლეთის ცნების დეფინიცია. ციკლური დიალექტიკა. II. სუბტროპიკული (სამხრეთული) კაპიტალიზმი (კაპიტალიზმის I ციკლი) და ქართული ეთნოკულტურა. 1. ანტიკა. 2. პოსტანტიკა. 3. პერმანენტული დეგენერაცია. 4. სახელმწიფო სოციალიზმი. III. ზომიერი კაპიტალისტური რევოლუცია და მისი სემანტიკა - ქართული პერსპექტივები. პერალდიკური სტრუქტურალიზმი - საქართველო და ტრაპიზონი. IV. მონღოლები ირანში - სარწყავი მეურნეობის ზოლის ნორდიკული ნაწილის სტაგნაცია. არიული და თურანული რეაქცია - კოლექტიური სოციალურ-ეკონომიკური კონტროლი. V. ნორდიკული პერმანენტული რევოლუცია. ჩრდილოეთი და სამხრეთი - პერსპექტიული დიალექტიკური ანტაგონისტური კონიუნქტურა. სააქციონერო საზოგადოება - მარკის თეისებრივი ციკლური რეანიმაცია. წარმოდგენილი დებულებები ან აქვე განიმარტება, ან კი - შემდგომ.

რა არის რეალურად ელინიზმი, სად შეიძლება ეს ტერმინი რომ ვიხმართ? უპირველეს ყოვლისა, ელინიზმი არის კონკრეტული ნიშნით მიმდინარე კულტურული და არა ცივილიზაციური ტიპის პროცესი. ელინიზმი უდრის კაპიტალიზაციას, რაც ელინური მასის განსახლების შედეგად გარკვეულწილად კატალიზატორის ქვეშ ექცევა. მცირე აზიის ელინიზაცია მიმდინარეობს მას შემდგომ, რაც ელინური შემეცნებითი კომპლექსი პროტოკაპიტალისტურია და ის ვრცელდება სხვაგან \approx ძვ.წ. VIII - ახ. IV სს. IV ს. დამთავრდა კაპიტალიზაცია. მაგრამ აქაც ანალიზია საჭირო ცალკეული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით. მაგალითად, პონტოს ელინიზაცია მიმდინარეობს ძვ.წ. VIII - ახ.წ. IV სს., მაგრამ ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე კაპიტალიზმი ადრე იმარჯვებს. ამავე ასპექტით არის პროტოკაპიტალისტური მერყეობაც და ეტაპობრივი დეგრადაცია ფეოდალიზმისკენ - სირია და ეგვიპტე ამისი მაგალითებია. ელინიზმი და რომანიზმი სოციალურ-ეკონომიკური კუთხით სინონიმური სემანტიკებია. გალიის და ესპანეთის რომანიზაცია ანალოგიური მომენტია. პირველ მათ-

განთან მიმართებაში პროცესი სრულდება, ალბათ, კლავდიუსის დროს, როცა კონკრეტული პროვინციის ავტონომიური სოციალური ელემენტი სენატში გასვლის უფლებას იღებს. ეს არის კაპიტალიზაციის დასასრული. ე.ი. ელინიზმი, რომანიზმი, კაპიტალიზაცია, პროტოკაპიტალიზმი სემანტიკური პარალელებია. ანტიკურობა არის კაპიტალიზმის I ციკლის აღმავალი ცნობიერება, მისი დროითი ატრიბუტები - მაგალითად, საბერძნეთისთვის, ძვ.წ. VI ს. - ახ.წ. IV ს., იტალია, ძვ.წ. V ს. - ახ.წ. IV ს. შემდეგი სქემის პრეზენტაციაა შესაძლებელი:



შემდეგი საფეხურია პროტოკაპიტალიზმი - ტენდენცია მაქსიმალური აგრარიაციისკენ და ფრონდის (ზილოტები) განადგურება.

შემეცნებითი ევოლუციის ზოგადი სტრუქტურა კი ასეთია:

1. პრიმიტიული კომუნალიზმი
2. I გარდამავალი საფეხური (პროტოფეოდალიზმი, პროტოკაპიტალიზმი)
3. ანთროპოკაპიტალიზმი
4. II გარდამავალი საფეხური (ფეოდალიზმი, პროტოკაპიტალიზმი)
5. „ენერგეტიკული“ კაპიტალიზმი
6. სამრეწველო კომუნალიზმი

შუა საუკუნეები უდრის II გარდამავალ საფეხურს, პერიოდს კაპიტალიზმის ორ ციკლს შორის. მისი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია იტალიის და ბიზანტიის სტაგნაციის დასაწყისი, თუმცა კაპიტალიზმის სარტყლის სოციალურ-ეკონომიკური მოშლის ხარისხი და მასშტაბი VII ს. უფრო ნიშანდობლივია. სწორედ ამიტომ აღნიშნული ქრონოლოგიური შტრიხის ათვლის წერტილად პერცეფცია მიზანშეწონილია. ინგლისში სამოქალაქო

თანასწორობის რეალიზაცია კონკრეტული ასპექტით კვლავინდებურად საინტერესოა.

კაპიტალიზმის მე-2 ციკლის დანაწევრება შესაძლებელია:

- ანთროპოკაპიტალიზმის დიალექტიკური რესტავრაცია (ახალი ისტორია)

- ინდუსტრიული სტადია (უახლესი ისტორია)

დაწერილებითი განმარტებების წარმოდგენამდე საჭიროა ზოგიერთი ფილოსოფიური ტიპის სექმატური კომენტარიც. დიალექტიკა სემანტიკაა, რომელიც არ არსებობს იდეის გარეშე. სოციალური ფუნქციები შემეცნებითი ორგანიზაციული სემანტიკებია. იდეის, მატერიის და დროის თანაარსებობა არ არის კანონი, ეს ობიექტური რეალობაა. კანონი არის ის, რის ზემოთაც შეიძლება დადგომა. შესაბამისად, ბუნების ნებისმიერი კანონი არ არის კანონი, კანონზომიერებაა. კანონი სოციალური ფენომენია. კანონი შემეცნებითი კომპლექსის ნაწილია. კანონი უფრო ადრეულია, ვიდრე ეკონომიკური აქტიური ემპირიული ტიპის შემეცნება. ხორბლის ზრდის რეგულირება არის ცოდნა მატერიის მოძრაობაზე და მეტი არაფერი. სამრეწველო აზროვნებისგან ის განსხვავდება. ამიტომაც უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანია. მატერიის მოძრაობა ციკლურია, თუკი დროს პირობითად დავყოფთ. მატერიის მოძრაობის დაფიქსირება არის რელიგიის საფუძველი, ამიტომაც ის თავდაპირველად მატერიალისტურ-პროვიდენციულია. დიალექტიკა სემანტიკაა და აგრეთვე თავისებური პერცეფციის პირობებში, დელუქციური მეთოდიც; ამ კუთხით მანიპულაციას აადვილებს ობიექტის მიმართ სტრუქტურალიზმის პრინციპის გამოყენება. სტრუქტურალიზმი არის სიმბოლოებში კვლევა - განა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სტაციონარული ეგზისტენციის პერცეფცია არ არის შეფარდებითი ასახვა ობიექტური რეალების და აქ მანიპულაცია?! განა ეკონომიკური წლის შერჩევა და მისი აღქმა რაღაც უფრო მცირე მონაკვეთად, ისტორიის წარმოსახვა თაობების მუდმივ ცვალებადობად და არა თანაარსებობად, 50-წლიანი შეფარდებითი ციკლის აპრობაცია არ არის სტრუქტურალიზმი?! სტრუქტურალიზმი დიალექტიკის ფარგლებში არსებული მეთოდია და უდრის ობიექტური რეალების და მათი ფორმალური პერცეფციის დიალექტიკურ აპლიკაციას. თუნდაც მონეტების რაოდენობრივი აკუმულაციის გააზრება და სუმირებული კატეგორიით ქმედება განა ეს არ არის სიმბოლოთი შემოსაზღვრულობა?! ნუმისმატიკური მასალის აბსტრაქტიზებული მიმო-

ხილვაც სტრუქტურალნიზმია; ნებისმიერი აბსტრაქცირება უდრის სტრუქტურალნიზმის აღიარებას. მაგრამ სოციალური ეგზისტენციის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების დიალექტიკის გაცნობიერებაც უკვე სტრუქტურალნიზმია. ის, რასაც სტრუქტურალნიზმს უწოდებენ, რეალურად არის ობიექტური პერიპეტეიების ადეკვატური გამარტივებული სქემით მანიპულაცია. სტრუქტურალნიზმი იგივე დიალექტიკაა; ობიექტური რეალობის სქემატიზაცია. ამ ასპექტით ჰიპოთეტური (ან კატეგორიული!) ნომინალური ვარიანტებია - სქემატიზმი, სიმბოლიზაცია.

დაეუბრუნდეთ ძირითად საკითხს. კაპიტალიზმის I ციკლის ფუნქციონირების რეალობა დასაბუთებას მოითხოვს. ეკონომიკის წმინდა კაპიტალისტური ჰაბიტუსი ქვემოთ იქნება ილუსტრირებული ეტაპობრივად. აქ კი სადისკუსიოდ წარმოვადგენთ შემდეგ თემას - სოციალური კონტრაქტის ატრიბუტიკა - სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის დიფერენტი. სახელმწიფო უდრის ერთ სოციალურ კონტრაქტს ერთი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით (ნორმალური კონდიცია). ინდივიდთა ადრეული აღიარება მიმართულია იქითკენ, რომ დაიცვას საკუთარი საარსებო არე, მაგალითად, ტყე მეზოლითში. ეს არ არის სოციალური კონტრაქტი. ნეოლით-ენეოლითის ხანის თემებს აქვს წმინდა ეკონომიკური ფუნქცია, არც ეს არის სოციალური კონტრაქტი. განსახილველი ეთნოკულტურის ჩარჩოებში სოციალური კონტრაქტი იქმნება ადრეული ბრინჯაოს ხანის მიწურულს, როდესაც კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი განიშლვალება საკუთარ ფარგლებში სხვისი პოლიტიკური რეგალიის და ეკონომიკის ორგანიზაციის ინიციატივის მითვისების ობიექტური აუცილებლობის შეგნებით. რეგიონალური სოციალური კონტრაქტი განხორციელდა თავისუფალი თემების პოლიტიკური რეგალიის ექსპროპრიაციის მიზნით. რატომ არ ხდება ამ სოციალური კატეგორიის რევოლუციური განადგურება საწარმოო საშუალებასთან მიმართების ასპექტით?! იმიტომ, რომ ქვეცნობიერად დამკვიდრებულია ის მომენტი, რომ სწორედ საკუთრების ნიშნით უნდა მოხდეს უფალთა სოციალური კატეგორიის გაფართოება და ამის ერთადერთი ბაზისი არის სწორედ თემი (საძმო). ახლა ტექნიკური რეალიზაციის მომენტებსაც შევხვით. ვის ირგვლივ ხორციელდება პოლიტიკური ინტეგრაცია? ვისაც ყველაზე დიდი დომენი აქვს. ვის აქვს ყველაზე დიდი დომენი? მას, ვინც ომის ფაქტორის პერმანენტული ქმედების პროცესში მეტი შეიძინა. ვინ შეიძინა მეტი? ყველაზე მრავალრიცხოვანმა?! არა.


საძმოს სულაღობა სტანდარტია. ეკონომიკური პრიმატი?! არა. საქმე ეხება ერთ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს. რეგიონალური მეტროპოლისის გენეზისისთვის აუცილებელი ეკონომიკური და სოციალური ატრიბუტიკის დაკომპლექტება შემდეგნაირად ხდება - პური და რკინა პრიმატის გარანტიაა. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ბელლის ცენტრალური პოზიცია ქვეცნობიერი ეკონომიკური პერსპექტიული აზროვნების რეალიზაციაა, ხოლო რკინის მადნის სიახლოვის ბუნებრივი უპირატესობა საძმოს ხელოვნური ზრდის საფუძველია. ე.ი. გაერთიანება ხდება ტერიტორიულად ყველაზე დიდი სოციალური მეტროპოლისური კონტრაქტის გარშემო. ამავდროს სხვა დამთხვევაც არის აუცილებელი. ეს უნდა იყოს ეკონომიკური რეგიონალური მეტროპოლისიც - რკინა და ხორბალი ამ ასპექტით აუცილებელი ატრიბუტებია. არსებობს რეგიონალური სოციალური კონტრაქტის გენეზისის შემდეგი საფეხურები: 1. უკიდურესი პოლიცენტრიზმი. 2. „პროვინციული“ ინტეგრაცია (თემის პოლიტიკური რეგალიის ეგზისტენციის I კონტრარგუმენტი). 3. რეგიონალური ინტეგრაცია (თემის პოლიტიკური რეგალიის ეგზისტენციის II კონტრარგუმენტი). სოციალური კონტრაქტი უდრის ორგანიზაციას. სოციალური ექსპანსიის პირველი ბიძგის წმინდა ტექნიკური საფუძველია მეტალის სპეციალური აკუმულაცია მილიტარისტული სახმარი ღირებულებების აკუმულაციის მიზნით ამ კატეგორიის რესურსთან სპეციფიური მიმართების შედეგად. ყოველივე პერსპექტივაში სენიორული სტრატეგიკაციის საშუალო კატეგორიის გენეზისის ბაზისია. პროვინციული აუცილებელი დომენის გენეზისის ასპექტით ქვეცნობიერი აქტია ვეტო საძმოთა სოციალური კონტრაქტის დუალიზაციის მაქსიმალიზაციაზე. ცენტრის საფუძველი კი არის სამი სახლის უნიკალური სინთეზი ერთ საძმოდ. სოციალური სტრატეგიკაციის პროცესში წარმოების საშუალებებთან დამოკიდებულებაში მოპოვებული პრიმატი უფაღთა კატეგორიის სოციალური დიფუზიის ფაქტორთაგანია. ორგანიზაციული ფუნქციების მაქსიმალური ვიწრო პროფესიონალიზაცია სოციალური რეგალიის მაქსიმალური შეზღუდვის საფუძველია. შემეცნებითი ევოლუციის კვალდაკვალ, უნივერსალი ადამიანის ცნობიერების ფუნქციური სტრუქტურის რომელიღაც ნაწილის პრიმატის ძირითადად შენარჩუნების პირობებში, ორგანიზაციული ფუნქციების მატარებელთა რაოდენობის აბსოლუტიზაცია სოციალური რეგალიის ადეკვატურ დიფუზიას შეესაბამება. თეზაორი ან სამი სოციალური კონტრაქტის სუბიკიზმის შესახებ სეფეწულთა

კორპორაციის რეგიონალური მეტროპოლისური მამულის და საერისთავო მეორეხარისხოვანი სოციალური ბაზისის სხვა ტიპის უფალთა შეფარდებითად შემოსაზღვრულ სოციალურ არესთან მიმართებაში უპირატესობის ფაქტის ლოგიკური ახსნაა, ერთი მხრივ. ამასთან, პირდაპირი ემპირიული მასალაც მოგვეპოვება. ჰეროდოტე ნ მიდიურ ტომს ჩამოთვლის, ორს მეტად ნიშანდობლივი ნომინალით - ბუდიები და მაგები (Herod., I, 101). პირველი მათგანის არიული ეტიმოლოგია, ზოლო მეორის ადეკვატური სოციალური ელემენტის რელიგიური ფუნქციები მიდიურ სისტემაში მათ განსაკუთრებულ როლზე მეტყველებს. ცენტრის თეოფორეტული კონდიცია 4 პერიფერიული კორპორაციის მარკგრაფის ფუნქციებს უნდა ეხამებოდეს (შეად. სომხური ვარიანტი. Plut. Lucull., 21). მიდია კი ირანული ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის მხარეთაგანია.


მამასადამე, ჩვენთვის საინტერესო რიცხვითი სემანტიკური ატრიბუტები: 1. სიმრავლის საფუძველი, 2. პროვინციული უფლის მსაზღვრელი, 3. მეტროპოლისური სოციალური კონტრაქტი სოციალური არსი, 6. პროვინციული სოციალური კონტრაქტის ადეკვატური, 7. ცენტრალური სოციალური კონტრაქტის დანაწევრება. გაუცნობიერებელი რელიგიური რემინისცენციური ვარიანტებისა და პირდაპირი ფაქტობრივი მონაცემების ნუსხა კი ასეთია: I. I-ის ფილოსოფიურ კატეგორიად და სუბსტანციად პერცეფცია პითაგორეზმია. II. 2-ის ქვეცნობიერი საკრალური სტატუსის ასახვაა, მაგალითად, დიოსკურების ეგზისტენციის ცნობიერი ქიმერა; აზოს ორი კერპის პოლიტიკური ტრანსფორმაცია; მონეტის Av. და Rv. - იურიდიული ტიპოლოგიური ვარიანტის და $\pi\alpha\rho\rho\sigma\tau\eta\mu\sigma\nu$ -ის დიალექტიკური აპლიკაცია - ათენა /ბუ - ატრიბუტის სტატუსით, ზევსი/ არწივი - ატრიბუტის სტატუსით, არესი /მახვილი - ანალოგიური მიმართებით, იმპერატორი/ მითრა - თეისტური დუალისტური კავშირი; იანუსი; კოლხური ვერცხლის ფულის მსხვილი ნომინალის Rv. ტიპოლოგია - პროვიდენციული ერთეულის გაორება, და სხვ. III. ფაბიუს მაქსიმეს სამობით პრინციპზე დამყარებული დედიკაცია და პლუტარქეს კომენტარი მასთან დაკავშირებით (Plut., Fab., IV); სურიონის წარწერის ტრიადა, ვანი-მეტროპოლისი (?!); ბაგინეთზე აღმართული სამი კერპი; ათენას ფუნქციური აბსტრაქტიზების სპეციფიური გადაწვევტა - პართენოსი, პრომახოსი, ნიკა; ტრაპეზუნტული მითრა - ასტრალური დიფუზიის ნიმუში: მზე, მთვარე, ვარსკვლავი; არიული ტრიადა - აპურამაზდა, ანაპიტი და მითრა; ქრისტიანული სამება; და სხვ. IV. 6-ზე აგებული კომბინაცია სოციალური საფრთხის ატრიბუტია (გამოცხ. 13. 18). ყოველივე გაუცნობიერებელი რემინისცენცია პოლიტიკური ინტეგ-

რაციის პროცესის ცენტრიდანული პროვინციული შეფერხების აუცილებელი ფაქტისა. V. 7-ს მკაფიოდ გამოკვეთილი საკრალური დატვირთვა აქვს: სურიონის შეიღსაფეხურიანი საკურთხეველი; შვიდი ჩაკრა; მითრასტული ინიციაციის შვიდი საფეხური; მზე, მთვარე და ხუთი ვარსკვლავი / $\overline{\text{მ}}$ /: შვიდი ეკლესია აზიამი, შვიდი ოქროს ლამპარი, შვიდი ვარსკვლავი, შვიდი ბეჭედი, შვიდი ანგელოზი (გამოცხ). აქვეა მოსატანი ფაქტებიც - შვიდი სპარსული ტომის ეგზისტენცია (Herod. I, 125), რაც ჩვენი ვარაუდის დადასტურებაა; შვიდი სპარსელი მამასახლისი (Herod. III, 70) და სხვ.


სოციალური კონსტრუქტის გენეზისი



III ՅՆԵՆՈՒՆԵՐԻՆՅՈՒՆ



IV აონოვანბროზი



წარმოდგენილი სქემის ისტორიული რეალიზაციის აბსოლუტიზაცია გამორიცხულია ემპირიული მასალით, ის ლოკალიზდება ისევე და ისევე ზომიერი სარტყლით - ევროპით. რატომ? იმიტომ, რომ ლოკალური სახელმწიფოებრივი გენეზისი მოდის ზუსტად იმ დროზე, როცა აღნიშნული კლიმატურ-გეოგრაფიული შტრიხის პერსპექტიული აბსოლუტური პრიმატის ქვეცნობიერი პერცეფცია უკვე ფაქტია, ისევე როგორც გამორიცხულია უფრო ჩრდილოური ტრანსფორმაციის შესაძლებლობა. სამხრეთული გენეზისები კი ევოლუციის ტემპების უპირატესობის მუდმივი მოძრაობის გამო პერმანენტული ბრძოლაა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის: ეგვიპტის ორი სამეფო, პოლიტიკური ცენტრის სტატუსის ანაბაზისი მესოპოტამიაში, მიდიის და ფარსის მეტროპოლისური კონფრონტაცია ან ქართული ეთნოკულტურული წრიდან მომდინარე ფაქტი, ბრძოლა არიან - ქართლს და მცხეთის ტახტს შორის, დიაოხის მეტროპოლისური პრიმატი და მისი ეტაპობრივი დეკალვაცია - კონკრეტული შტრიხები აღნიშნული ასპექტით გასათვალისწინებელია. აქ მეტროპოლისური პოლარიზაცია პოლიტიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი ატრიბუტია. ფარნავაზის ხანის საკუთრივ ქართლის 7 საერისთავოც (ლოგიკით უნდა იყოს ხუთი) იმპულსური ტრანსფორმაციის პირდაპირი რეზულტატია. პირველი დამატება სამხრეთ-დასავლეთის „ტრიუმფირატის“ დუალიზაციის შედეგია. კორპორაციიდან აბსტრაქტირებული უფალი სოციალური კონტრაქტისგან ცალკე მამულს იღებს. ასე ზომ არ გაჩნდნენ ომრეში ბივირტიანები (იხ. **ჟ**, I, გვ. 185)? II დამატება კი მთის ჩრდილოური სამარკო ზოლის მეტად ფართო ხასიათის გამო განხორციელებული სოციალური ღონისძიების რეზულტატია - ეს კახეთის საერისთავოა?!

აქვე კიდევ ერთი საკითხი უნდა მიმოვიხილოთ, კერძოდ, ურბანისტული ორგანიზმის გენეზისის წმინდა იურიდიული და ტექნიკური მექანიზმი. რკინა ურბანისტული პოლიცენტრიზმის საფუძველია. ურბანისტული სოციალური კომპლექსის ფიზიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატი უფლის კატეგორიაში აყვანილი სამოს ქვეყანაა, რომელიც გარკვეული მომენტიდან კარგავს აგრარული ტიპის შემეცნებითი ბაზისის ფუნქციას ადეკვატური სოციალური უჯრედის მილიტარიზაციასა და ორგანიზაციულ ქმედებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მეტალურგიული დარგის სტაგნაცია დაზღვეულია სუბორდინირებული ქვეყნის ფარგლებიდან შესაბამისი პროფესიონალური კა-

ტეგორიის ნედლეულის წყაროს კენ მიგრაციის ორგანიზებით - ის იღვენება პროტოსახელმწიფოებრივი კატეგორიის დეკრეტით მისგან უკვე სოციალურად გაუცხოებული წარმოების საშუალების - მიწის - ფარგლებიდან, და ამავე დროს სტიმული ეძლევა დასახლებას უფლის გორის ქვემოთ მდებარე ტერიტორიაზე. ე.ი. თუკი მოყვანილი ლოგიკური მსჯელობა სწორია, მაშინ პირველი მეტალურგიული დაბები, პროტოურბანისტული ეკონომიკური უჯრედები, ჩვენთან უნდა გამოჩენილიყო სადღაც ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე. ვთვლით, რომ წარმოდგენილი დედუქციური ფრაზით შესაძლოა განიმსჭვალოს არქეოლოგიური მასალის კომპლექსური ატრიბუციის ცნობიერი პროცესი. მაგრამ მეტალურგიული აქტის აუცილებელი სამრეწველო დანამატია მეთუნეობაც. კონკრეტული ფუნქციების სახელეულზე ტრანსფორმაციის აბსოლუტიზაცია ლოგიკური დამკვბაა. ძალიან ვიწრო სპეციალიზაცია კერამიკის წარმოებაში კი ამ ეტაპზე, ალბათ, გამორიცხულია. ე.ი. გამოდის, რომ ურბანისტული აფეთქების ლოგიკური თარიღი სწორედ ძვ.წ. III ათასწლ. მიწურულია. ეს სამუშაო ჰიპოთეზაა, რაც ემპირიზმს საჭიროებს. განსახილველი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის პოლიტიკური ინტეგრაციის განხორციელების დრომდე ქართლში უნდა ფუნქციონირებდეს 25 საუფლო სახლი და ამდენივე ციხე-ქალაქი. ემპირიული მასალა ავლენს ორ ათეულზე მეტ ურბანისტურ ცენტრს. მათი არათანაბარი პროვინციული დისტრიბუცია თეორიული მოდელის პერმანენტული ლოკალური დარღვევის კატეგორიისა - ბოლო მომენტში ხდება რიცხვის ზრდა ოძრ წის და კახეთის სპეციფიური ადმინისტრაციული სტატუსის ჩამოყალიბების გამო და, აგრეთვე, მტკვრის სისტემის ქალაქების საოცარი სიხშირე უნდა მიგვანიშნებდეს ჩრდილოეთის სასახლვო ზოლის მორჩილებაში მოყვანის მიზნით ცენტრალური უფლის ინიციატივით ზოგიერთ მიმდებარე საძმოსთან სოციალური კონტრაქტის განხორციელებაზე; კონსტიტუციურად არაფერი ირღვევა - საძმო მესაკუთრეა. ურბანისტული ჰაბიტუსის ფორმირებაში მთავარ როლს ასრულებს მცხეთიდან წამოსული მოსახლეობა; აქ აზოს სოციალური პოლიტიკის შედეგად მართლაც ჭარბი სოციალური ელემენტია. ქართლის ქვეყანას მცხეთა სწორედ ამ დროს უნდა წოდებოდა; ადრეული მესხური მიგრაციის ნომინალური ასახვა საკუთრივ აკროპოლისის სახელი, რაც დიფუზიას განიცდის ქვეყნის, და შემდგომ, ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიმართ. ეკონომიკური ერთეულის განსხვავებული ნომინალის გენეზისის აუცილებლობა დღის წესრიგშია, და

აზოს მესხური ნაკადიც ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. დაბოლოს, მთავარ საკითხთან დაკავშირებით, პოლიტიკური ტიპის ისტორიულ-გეოგრაფიული კრებითი ნომინალები - სპერი, ტაო, კოლა და სხვ. - უდრის ძირითადად ერთი უფლის ქვეყანას. 25-ის შევსება ამ ასპექტით გაძნელდება. თუმცა ბევრი მათგანი ამკარად დაკარგულია, მაგალითად, შიდა ქართლის კომპლექსიდან.


შემდგომ იწყება სხვა პროცესი - ფეოდალიზაცია აუცილებელია. რეგიონალურ მეტროპოლისში მიმდინარეობს აზნაურთა აბსტრაქირება-გენეზისი და თემების სოციალური არეს სრული ინდივიდუალური ექსპროპრიაცია. რატომ პერიფერიებზე არა?! არახელსაყრელია, თემების რიცხვი ანგარიშგასაწევია. სწორედ ამიტომ პერიფერია ამ მხრივ არ აქტიურობს. მაგრამ როგორ გაიაზრება თვით პერიფერია, სოციალური კონტრაქტი ხომ ერთია?! რეგიონალური მასშტაბით კრებითი ნომინალური სისტემისა და ადეკვატური საზღვრების მიხედვით. ეს არის თავდაპირველი სოციალური კონტრაქტები. აზნაურთა სოციალური კატეგორიის აკუმულაციამ შესაძლებელი გახადა ცენტრის (!) ფეოდალიზაცია. ე.ი. თეზა ამ ეტაპზე ფეოდალური რევილუციის შესახებ აბსურდია, ისევე როგორც საერთოდ ტერმინი ადრეფეოდალიზმი. მეტროპოლისური ფეოდალიზმი ცნობიერი კონდიციის ზუსტი ნომინალური შესატყვისია. თემების რიცხვი შემცირდა. ე.ი. რეგიონალური სოციალური კონტრაქტი თანდათან კარგავს თავდაპირველ ფუნქციას - თემების წინააღმდეგ მიმართულს. ქრისტიანობამ ზემოდან კი მოსპო სოციალისტური სტრუქტურის გენეზისის საფუძვლები. გაერთიანებული პერიფერია უტევს ცენტრს. მისი მოშლა ჯერ არ შეიძლება, რეგიონალური სოციალური კონტრაქტი მაინც აუცილებელია. იქმნება ოლიგარქია. შემდეგი საფეხურებია - პერიფერიული სოციალური რეორგანიზაცია-აბსტრაქირება; პოლიტიკური დეცენტრალიზაცია; სოციალურ კონტრაქტებს შორის მდებარე თავისუფალი ზოლის დისტრიბუცია და დამლა. რეინტეგრაცია წოდებრივია, ის პერსპექტიული ფრონდის წინააღმდეგ არის მიმართული. კაპიტალისტური რეგიონალური სოციალური კონტრაქტის ცნობიერი ბაზისია ბაზრის პერმანენტული პრეზერვაციის აუცილებლობის გაცნობიერების საფუძველზე აღმოცენებული ექსპანსიონისტური და იმპერიალისტური ფსიქოლოგია. აგროსამრეწველო კომპლექსის კაპიტალისტური რეგიონალური ინტეგრაციული ეგზისტენცია თავდაცვითია. ჩრდილოური ალიანსის რეალიზაციის პერსპექტიული ფორმაა გლო-

ბალური ტიპის კონფედერაცია ლოკალური სოციალური კონტრაქტების და ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ქსელის შენარჩუნების პირობებში. შვავსი კაპიტალისტური ინტერრეგიონალური კონფედერაცია უპრეცედენტოა. რეგიონალური პოლიტიკური პროტოტიპი კი ალექსანდრეს დროის არაპერმანენტული ბალკანურ-მცირეზიური ელენური ინტეგრაციაა. ვვატორს ქვემოთ სამხრეთული პერსპექტიული სამრეწველო კონფედერაცია პერსპექტივაში სინქრონული ანალოგიაა. სამრეწველო მეტროპოლისის სტატუსის პოლარიზაცია აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური კონუნქტურაა. გეოგრაფიული ფაქტორი ხელს უშლის აღნიშნული იდენტური პოლიტიკური სივრცეების მეტ-ნაკლებ სერიოზულ პოლიტიკურ კოორდინაციას; შესაძლებელია მხოლოდ სამხედრო პაქტის ვარიანტი, მაშინ როცა სარწყავი ზოლის (კონკრეტულ საკითხზე დეტალურად იხ. ქვემოთ) ორივე პირობითი განფენილობის მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა პერსპექტიული ობიექტური რეალობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსკრიპტუმის ფიქსაციაა საჭირო - ქალაქის გენეზისი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენია. ბურგი (ციხე) პრეუნიფიკაციის ეპოქის ურბანისტული ეპიცენტრია. პოსტუნიფიკაცია გამორიცხავს ერთი ეკონომიკური ერთეულის სოციალური ელემენტის უეცარ ფუნქციურ ტრანსფორმაციას დეუნივერსალიზაციის ასპექტით, ამიტომ ხდება ძველი ურბანისტული გენეზისის მექანიზმის დენონსაცია. სამრეწველო ნედლეული ურბანისტული პერსპექტივის ერთადერთი ლოგიკური ატრიბუტია. და კიდევ ერთი - რატომ არ ხდება სასაზღვრო თემების სოციალური ბაზის ოკუპაციის საფუძველზე ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების პოლიტიკური კონსოლიდაცია?! იმიტომ, რომ ამას მოჰყვება არა ინტერმეტროპოლისის, არამედ პეგემონი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის გენეზისი. სამარკო ზოლი ინარჩუნებს თავისუფლებას, ე.ი. სტრატეგიული იმპულსები ყველგანაა. ე.ი. ბატონყმური რიგის აგრარული აბსოლუტიზაცია განუხორციელებელია.

ჩვენ მიმოვიხილეთ სოციალური კონტრაქტის ევოლუციის ძირითადი შტრიხები. ზოგი მომენტის დაზუსტებაც არ იქნებოდა ურიგო, კერძოდ, სოციალური კონტრაქტის სტრუქტურის ილუსტრაცია, სოციალური კონტრაქტის რაოდენობრივი ატრიბუტიკის გაცნობიერება. საფრანგეთში ზუსტად რევოლუციის წინ 24 000 000 მეტი მოსახლე ცხოვრობდა. რამდენიმე ასეული ათასი ქმნიდა de facto ოლიგარქიას და ადმინისტრაციული

პრიმატის რეგალიის სოციალურ ბაზისს. სწორედ ეს არის ფეოდალური ტიპის უფალი, ხოლო მისი პროცენტული დიფერენცია $\approx 2\%$. ფერმერთა სოციალური კატეგორიის გაქრობა კაპიტალისტური დიქტატურის განეხისის საფუძველია. თანამედროვე სამრეწველო მეტროპოლისების სოციალურ სტრუქტურაში მისი ხვედრითი წილია $\approx 4\%$ - სწორედ ეს არის დემოკრატიის ბერკეტი. მსხვილი და საშუალო კაპიტალის რიცხვით მაჩვენებლად 47-49% პერცენტუა ლოგიკური დაშვებაა. ე.ი. ბურჟუაზიული რევოლუცია უდრის სოციალური პრიმატის ფუნქციური სპეციფიკის ადეკვატური სოციალური ელემენტის რიცხობრივი ატრიბუტის $\approx 2\%$ 47-49% გაზრდას. წარმოების სფეროში სოციალური თავისუფლების ნორმის ექსპლოატაციის აბსოლუტობაც კონკრეტული დეფინიციის კუთხით აუცილებელი ატრიბუტია. ე.ი. ჯერ ბურჟუაზიული სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია ხორციელდება, შემდგომ კი წოდებრივი აბოლიციონიზმის ტრიუმფი. $\approx 2\%$ უდრის უსწრაფეს საკანონმდებლო პროცედურას კანონს ზემოთ დადგომის აუცილებელი რეგალიით, ე.ი. პრიმიტიულ აბსოლუტობას, რევიონალური (განვითარებული) ფეოდალიზმის პოლიცენტრულ თავისუფალ რეგალიას, ანტიბიურგერულ აბსოლუტობას - საკანონმდებლო რეგალიის წოდებრივ რეალიზაციას. უფრო ზუსტი სოციალურ-ეკონომიკური დეფინიციით, $\approx 2\%$ შეესაბამება პროტოფეოდალიზმს, ფეოდალიზმს, პროტოკაპიტალიზმს. გამონაკლისია, ვთქვათ, რუსეთის და გერმანიის კაპიტალისტური წოდებრივი ნომინალური იმპერიები, ფაქტობრივად კი რევიონალური ასპექტით მონარქიები, მაგრამ ამ პოლიტიკური პარადოქსის ახსნა შესაძლებელია პროლეტარიატის განსაკუთრებულად სახიფათო კონცენტრაციის გამო ჩამოყალიბებული იუნკრულ-ბიურგერული ალიანსით. ესეც მალე იცვლება ნაციონალ-სოციალისტური და სახელმწიფო სოციალისტური კაპიტალისტური მეთოდით. 47-49% უდრის არაწოდებრივ (ან კი ამ ასპექტით საკმაოდ პირობით) იმპერიას საკანონმდებლო ინიციატივის რეგალიის არაგენეტური ტრანსფორმაციით. პლუს $\approx 4\%$ უდრის დემოკრატიას და სოციალური კონტრაქტის აბსოლუტობას. ცნობიერი კონდიციის ადეკვატური სოციალური დისტრიბუციის ორგანიზაცია, ანუ სოციალურ-ეკონომიკური კონდიცია საკანონმდებლო ფუნქციონირების სპეციფიურ რიგს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელს ზუსტი ინდიკატორის სტატუსი აქვს. პალეოლოგიური გენოკრატია ბალკანურ-მცირეაზიური კაპიტალიზმის I ციკლის დასასრულია. მატერიალური სამყაროს სემანტიკური დიფერენციაცია რეალურია იმ-

დენად, რამდენადაც რეალურია ამა თუ იმ ეტაპის ადეკვატური ცნობიერების ეგზისტენცია: სემანტიკური სტრუქტურალიზმი მატერიით მანიპულაციის მეთოდი. საკუთრივ ცნობიერების თვითსტრუქტურალიზმიც ასევე პირობაა. რეალური სემანტიკები მხოლოდ სუბსტანციებია. შესაძლებელია ცნობიერების პირობითი სტრუქტურული დიფერენციაციის შემდეგი სქემის წარმოდგენა:



არითმეტიკული პროგრესიის სიმბოლური ეგზისტენციის მატერიალური სუბსტრატია თანაბრადანქარებული სხეულის მოძრაობა და ამ კუთხით დაფარული მანძილი. თავისუფლად ვარდნილი სხეულის ფიზიკური პერიოდიები და გეომეტრიული პროგრესია ასევე დიალექტიკური აპლიკაციაა. მანძილი სივრცეა, სივრცე კი იგივე მატერიაა. სხეული პირობითი სემანტიკაა. ე.ი. ნებისმიერი ფორმულა მატერიის ადეკვატურია. ეს არის გარკვეული ცოდნა მატერიაზე, ანთროპოლოგოსი ან ანთროპოლოგოსის პირობითი სტრუქტურული ნაწილი. ფორმულა ცნობიერების ევოლუციაა. სტიმული შემეცნების ფსიქოლოგიური პირობაა, თვით ის წმინდა გნოსეოლოგიური მომენტებით არის განპირობებული. ეკონომიკური შემეცნება, სოციალური კონტრაქტი და სტიმულის კატეგორია სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის ძირითადი შტრიხებია. სტიმულის გნოსეოლოგიური დიფერენცირებული ბაზისი კი ასეთია:

- ა. კ ო მ უ ნ ა ლ უ რ ი ს ტ ი მ უ ლ ი:
1. საერთო შემეცნებითი ტენდენცია
 2. საკუთრებითი აპლიკაცია.

ბ. ფეოდალური (გარდამავალი) სტიმული:


1. საერთო შემეცნებითი ტენდენცია
2. სოციალური კონტრაქტის სიმყარე
3. გარეეკონომიკური იძულება
4. კონკრეტული წილი.
5. შექმნილი შემეცნებითი კონდიციის გაცნობიერება.

გ. კაპიტალისტური სტიმული:

1. საერთო შემეცნებითი ტენდენცია
2. სოციალური კონტრაქტის სიმყარე
3. კონკრეტული წილი
4. ეკონომიკური იძულება.

ციკლური დიალექტიკა სტიმულის მოძრაობის წრფივ მეტაფიზიკას გვთავაზობს რიცხობრივი ატრიბუტების - 2 და 4 ფარგლებში, შემდგომ კი - მოძრაობის სრულ ლიკვიდაციას.

სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის გრაფიკს აქვს შემდეგი სახე:



განმარტებები და კომენტარები:

1. გნოსეოლოგიური მანიპულაცია ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ეგზისტენციის პირობებში მიმდინარეობს.

2. ეკონომიკური ევოლუციის რიცხვითი მაჩვენებლები უდრის, ვთქვათ, ისეთი კატეგორიის დიფერენტს, როგორც არის ეროვნული შემოსავალი.

3. ბრინჯაოს ხანაზე ეკონომიკური ცნობიერება გარკვეულ გზას უკვე გადის.

4. აგებული გრაფიკი პირობითი და ზოგადია.

5. 100% სოციალურ კონტრაქტს ძირითადად კომუნალური სტიმული შეესაბამება. ე.ი. აქ ხდება წრფის მრუდედ ქცევა.

6. სახელმწიფო წყვეტს არსებობას, ვინაიდან სოციალური ევოლუცია და სტიმულის კატეგორია იყინება.

7. ანთროპოლოგოსი ემპირიული აპარატით ზემოქმედებს დედამიწის სიბრტყეზე, სიბრტყის ქვემოთ და ზემოთ არსებულ მატერიალურ სტრუქტურებზე. ე.ი. შემეცნებითი პროცესი ამავე დროს წრფეა. წარმოდგენილი მრუდის ზედა ნაწილის ვერტიკალური პერცეფცია აუცილებელი მომენტია.

8. ეკონომიკური წლის ობიექტური ფენომენი ღერძებზე ივარაუდება.

9. სახელმწიფოს გაქრობა სოციალური კონტრაქტის ანულირებაა. ეკონომიკური კონტრაქტი სოციალური აპლიკაციის უნიკალური პერსპექტიული რეალიზაციაა. ფულადი ემისიის უმნიშვნელოვანესი პროფესიული ინიციატივაც საქონელგაცვლის უნაღდო ანგარიშის რეალიზაციით უნდა შეიცვალოს. გარკვეულ ეტაპზე სოციალური კონტრაქტის დიფერენტი კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას; სინქრონული პერსპექტიული გრაფიკული სიმბოლო უწყვეტი წრფეა.

ევოლუციის ციკლური პროცესის ლოგიკური მიზეზი შემდეგია - ისტორია „ენერჯის“ თვალსაზრისით, რაც წმინდა წყლის მატერიაა, იყოფა ორ ეტაპად: I. სუბსტანციური ასპექტით დუალისტური პირობითი შემეცნებითი სემანტიკის მატერიალური საწყისის მოძრაობის ნიუანსების პრიმატი, ანუ ვულგარულად, ადამიანის კუნთების ძალის სპეციფიური როლი. II. წმინდა მატერიალური კატეგორიების მოძრაობის კონკრეტული ასპექტით განმაპირობებელი ფუნქციის ეგზისტენცია. შესაბამისად, კაპიტალიზმიც და კომუნისმიც წარმოდგენილ „ენერგეტიკულ“ დიფერენციაციას ექვემდებარება. პირველი ციკლის კაპიტალიზმის დანიხვის მიზეზები კი ასეთია: I. საერთო-ეკონომიკური პერსპექტივა, რაც სუბტროპიკული სარტყ-

ლის სასარგებლოდ არ უნდა წარმართულიყო. 2. „ენერგეტიკული“ ინტერიერული დაჩიხვა, რაც უდრის დისონანსს აგრარული ტიპის ცნობიერების სოციალური სუბსტრატის შეფარდებითად მცირე კაპიტალისტურ მოცულობას, კაპიტალისტურ საერთო-დემოგრაფიულ სიტუაციას და ნელ ტექნიკურ პროგრესს შორის. 3. „ენერგეტიკული“ ექსტერიერული დაჩიხვა - ჩრდილოური განედების პროგრესის შეჩერების გარეეკონომიკური საშუალებების არარსებობა. სტაგნაცია ჯერ იტალიას, შემდგომ ბალკანეთს და მცირე აზიას შეეხო. რატომ?! მცირეაზიურმა სიღრმისეული განვითარების რესურსებმა იხსნა ელინური კაპიტალიზმი. მიზეზი არის ცნობიერების პირობითი ეკონომიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური წლების მიხედვით რეტროსპექტული და პერსპექტიული დროითი, ტიპოლოგიური სემანტიკების საფუძველზე შიდა სტრუქტურული და კიდევ უფრო ვიწრო ინტერიერული დიფერენციაციის შედეგად მიღებული პირობითი სემანტიკური კატეგორიების პირობითი დიალექტიკური აპლიკაცია, და ასეთივე პირობითი ცნობიერი დიფერენციაციის გნოსეოლოგიური მოდელისადმი დაქვემდებარებული მატერიის პერმანენტული მოძრაობის სტრუქტურული ურთიერთგანპირობებულობა.

ამ პირველი ციკლის არსებობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის დიფერენტებია - ეკონომიკური: 1. ქალაქების და ინდუსტრიის ამკარა ეკონომიკური პრიმატი მეურნეობის აგრარულ სექტორთან შედარებით - პოლისის განსაკუთრებული როლი. 2. ინდუსტრიული ნაწარმის უფართოესი ექსპორტი. 3. პურის აუცილებელი იმპორტი. 4. სოფლის მეურნეობის სპეციფიური დამხრობა - ღვინო, ზეთისხილი. 5. კომერციული მიმართებების განსაკუთრებული დიფუზია. 6. სავალუტო ექსპანსია. 7. ინდური ვაჭრობის პასიური ბალანსი. ფუფუნების საგნების სპეციფიური სახმარი ღირებულების პერცეფციის გენეზისი. 8. საბანკო საქმის განვითარება. 9. ძლიერი სავაზო კაპიტალი. 10. ფულადი მეურნეობის ჰაბიტუსი - ფრაქციული სისტემის ექსპლოატაცია. 11. ინფლაციების წმინდა კაპიტალისტური ტიპი - ფულის გაფუჭება არაძვირფასი მეტალის ლიგატურის საშუალებით. 12. ტრანსპორტის და კომუნიკაციების პრობლემის პერმანენტული ეგზისტენცია. 13. ზღვის განსაკუთრებული ეკონომიკური დატვირთვა. თალასოკრატიები. 14. საბაზრო შიმშილი. 15. მანუფაქტურები.

სოციალური: 1. მონების დამხმარე არაკვალიფიციური კონტინგენტის ეგზისტენცია. 2. უმუშევართა ბირჟა - კაპიტალისტური ტიპის სოციალური

პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. 3. დოტაციების სისტემა. 4. სამოქალაქო თანასწორობა ან კიდევ დეველვირებული წოდებრიობა. 5. კოლონიზაცია - ჭარბი მოსახლეობისგან ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის განტვირთვა. 6. დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ფაქტები. 7. გლეხური ინდივიდუალური მეურნეობების პერიოდული ფუნქციონირება. და ზოგადად, ეპოქის ექსპრესიული კონცეფცია ნატურალიზმია, რომელსაც ბიზანტიური სუბსტანციური ექსპრესიონიზმი ცვლის.

ანთროპოლოგოსის და ფსიქოლოგიის მოძრაობა ევოლუციაა. ევოლუცია შემეცნებაა, შემეცნების ობიექტი საკუთრივ ცნობიერება, დრო და მატერიაა. იდეა და დრო მატერიის გარეშე ინერტული სუბსტანციებია. კომპლექსში პირველი მათგანი აქტიურია ინერტული და მექანიკური მატერიის მიმართ. ე.ი. ევოლუციის მატერიალური სუბსტრატის ეგზისტენცია კონკრეტული პროცესის კატეგორიული პირობაა. მატერია გეოგრაფიული გარემოა. ცნობიერების პირობითი დიფერენციაცია ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით აღნიშნული ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობის ილუზიასაც კი ქმნის. ევოლუციის ტემპების პრიმატის ტრანსფორმაციის ფაქტი ჩრდილოეთისკენ შემდეგ ლოგიკას ექვემდებარება - მიწის ზედაპირიდან თანაბარ პრიმიტიულ სიღრმეზე სავეგეტაციო სეზონის დასაწყისისთვის მოთავსებული ხორბლის მარცვალი სამხრეთში ზედმეტი სითბოს არარენტაბელური მოქმედების ქვეშ ექცევა, მაგრამ კიდევ უფრო წამებებიანია ჩრდილოეთის მიმართულებით შეფარდებითად ზრდადი წვიმის, ქარის და მოყინვის ზეგავლენა. შესაბამისად, ეს პირველი ეტაპი სამხრეთის ამკარა პრიმატით აღინიშნება. თესლის მოძრაობაც აქ ხელსაყრელი სიღრმისკენ, ე.ი. შედარებით გრილი პირობებისკენ, უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ჩრდილოეთ განედებში სიღრმისეული სითბოსკენ. მაგრამ მზის მცხუნვარების სიღრმისეული შეღწევის დონე უფრო მაღალია, ვიდრე მოყინვის სიღრმისეული ქმედება. ე.ი. ჩრდილოეთს სრულებითაც არ სჭირდება გაუსწროს მიწის ზედაპირიდან მარცვლის მოთავსების სიღრმისეული შესაძლებლობის ასპექტით სამხრეთს, რომ აქაური მოსავალი უკეთესი გახდეს. საირიგაციო სისტემის ხარჯები სამხრეთული ეკონომიკის კიდევ ერთი მინუსია.

კონკრეტული ასპექტით შეფარდებითი ზონალური დიფერენციაცია და ეკონომიკური პრიმატის პრეზერვაციის ჰიპოთეტური ხანგრძლივობა შემდეგნაირად წარმოგვიდგენია -

ძირითადი ინდუქციური შტრიხები:

სარწყავი ზონა

სამხრეთი სექტორი

ა) ეგვიპტის პოლიტიკური უნიფიკაცია (ძვ. წ. III ათასწ. დასაწყისი). პროტოფეოდალიზმის გენეზისი. ურბანისტული აფეთქება მესოპოტამიასა და ინდის ხეობაში. მესოპოტამიის პოლიტიკური უნიფიკაცია. პროტოფეოდალიზმის გენეზისი (ძვ. წ. III ათასწლ. შუა ხანები).

ჩრდილოეთი სექტორი

ბ) ძვ.წ. VII-VI სს. - არიული ანშლუსი. პროტოფეოდალიზმი. არშაკიდული „ელინიზმი“ (ეგვიპტური პროტოკაპიტალიზმი ინტელექტის არაეფექტური ტრანსპლანტაცია).

ურწყავი ზონა

სუბტროპიკები

ა) ბალკანეთი. ვიწრო სოციალური კონტრაქტების გენეზისი. ძვ.წ. II-I ათასწლ. მიჯნა.

აქ ურწყავი ზონის

პრიმატი უკვე

შკარაა.

ძვ.წ. IX-VIII სს. - პროტოკაპიტალიზმის terminus post quem.

ძვ.წ. IX-I სს. - სუბტროპიკული კაპიტალიზმის ევოლუცია.

I-X სს. - ექსტენსიური დაჩიხვა.

ზომიერი სარტყელი.

ბ) X-XI სს. - ზომიერი პროტოკაპიტალიზმის დასაწყისი - გენუა, ვენეცია.

ე.ი. ურწყავი ზონის პრიმატი შკარაა რეალური სოციალური ევოლუციის დასაწყისიდან სადაღც = 2000 წლის შემდგომ. საკუთრივ სარწყავი ზონის არიული სექტორის უპირატესობის რეალიზაციასაც დაახლოებით ამდენივე დრო სჭირდება. 2000 წელი ამორებს ერთმანეთს ელინურ და ზომიერ პროტოკაპიტალიზმს. 10 საუკუნე კაპიტალიზმის I ციკლის ევოლუციის ადეკვატური დროა, იგივე ხანგრძლივობა შეესაბამება ექსტენსიურ დაჩიხვას.

რა არის მიზეზი სუბტროპიკული კაპიტალიზმის რეალიზაციისა, რატომ არ განხორციელდა I ნორდიკული ციკლი, რაც ციკლურობას საერთოდ მოხსნიდა დღის წესრიგიდან და მოხდებოდა ეტაპობრივი ტრანსფორმაცია უფრო მაღალი სტადიის ბაზისზე ენერჯის ასპექტით?! შეკითხვა თითქოს უპასუხა. ევოლუცია ევოლუციაა. ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ სუბსტანციური კატეგორიები, დაკუმვათ სუბსტანციური პერმანენტული გნოსიფილია, გავაანალიზოთ სოციალური ევოლუციის ფაქტორები, გნოსეოლოგიური პროცესების მიმართულება, ტემპების ტრანსფორმაციის საკითხი, მაგრამ მოცემული შეკითხვა თითქოს კომენტარს არ საჭიროებს, თითქოს მხოლოდ უნდა მოხდეს ფაქტის კონსტატაცია; მაგრამ არა. ნებისმიერი დაჩიხვა ან ტემპის თვალსაზრისით პრიმატის დაკარგვა, გარდა სუბსტანციური აპლიკაციისა, დაკავშირებულია ქვეცნობიერ კოლექტიურ ქმედებასთან ან (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ) გარეეკონომიკური ბერკეტების ქვეცნობიერ ამოქრავებასთან, მსოფლიო ევოლუციის ადეკვატურ პერსპექტიულ ცოდნასთან, დეტალურ კოორდინაციასთან. უფრო ზუსტად, არიული ტემპების პრიმატის გენეზისი და სინქრონული პოლიტიკური კონტროლი სამხრეთზე; სუბტროპიკული კაპიტალიზმი და გერმანული ექსპანსია, ჰუნთა დამხმარე კონტინგენტის რეცეპცია; ბალკანურ-მცირეაზიური კაპიტალიზმი და თურქები - დიალექტიკური შტრიხებია. ე.ი. არსებობს ინტერრეგიონალური ევოლუციის ასპექტით საკანონმდებლო ქვეცნობიერი ინიციატივები და კაპიტალიზატორული დანიშნულების სიმმახია. პასუხი ასეთია - სამხრეთი ხელს უწყობდა ჩრდილოეთის განვითარებას; როდესაც ხელის შემლა დაიწყო, მიიღო მძლავრი ნორდიკული დარტყმა. რეალური ფილოსოფიური ქვეცნობიერება ბევრად უსწრებს წინ გაცნობიერების სტადიას. ქრისტეს მორწმუნეთა ათსაუკუნოვანი ზეობა (ი. გამოცხ. 29,4) ზუსტად უდრის ათსაუკუნოვან კაპიტალისტურ დაჩიხვას, თუ ქრისტიანობა და სოციალისტური იდეა გარკვეულ კავშირშია ერთმანეთთან, სოციალიზმი კაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის ატრიბუტია და, ე.ი. კაპიტალიზმის დროითი დიფუზია უდრის სოციალიზმის ადეკვატურ პრეზერვაციას. ბოლოს გამარჯვება ივარაუდება - ქვეცნობიერი კომუნიზმი?! ქრისტიანული კონფესიის პურიტანული ვარიანტი პროვიდენციულ-ევოლუციურია.

კოლექტიური ზონალური რეაქცია და მისი რენტაბელური ეფექტი თითქოს საგარეო-პოლიტიკური კომპოზიტის შტრიხთაგანია. ჩვენ განგებ არ ვიხმარეთ ტერმინი - ფაქტორი, რაც საოცრად სუბსტანციური და არ-

სებიითა: კონკრეტული კონიუნქტურა ზოგადეკონომიკური ორგანიზაციული შემეცნების ტიპს განეკუთვნება და ანთროპოლოგოსის პირობითი სტრუქტურული ნაწილია. რა არის ეკონომიკურ-გეოგრაფიული სუბიექტურ-დიალექტიკური დუეტის საგარეო-პოლიტიკური კარდინალური აპლიკაცია - მისი მიზანი, რენტაბელობის ასპექტი? ანუ ესია კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ადეკვატური სოციალური კონტრაქტის მიერ სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის შესაბამისი სოციალური კონტრაქტის რეგალიური პაკეტის თითქმის სრული მითვისებაა, დუალისტური სოციალური კონტრაქტი სუბორდინირებული კონტრაქტის ინტერესების პრიმატით და ჰეგემონი სოციალური კონტრაქტის საკანონმდებლო ინიციატივით მხოლოდ სოციალური პოლიტიკის სფეროშია. სოციალური კონტრაქტების უნიფიკაცია უნიკალურ კატეგორიაში პირობითი დებულებაა. რეალურად კი აქ საქმე გვაქვს იძულებით სოციალურ კონტრაქტთან, რაც სოციალური კონტრაქტი არ არის. ფეოდალური აპლიკაცია უდრის აქტიურ (ადმინისტრაციულ) იძულებით სოციალურ კონტრაქტს, ე.ი. ეკონომიკურად რენტაბელური სოციალურ-ეკონომიკური რიგის პრეზერვაციისათვის ლოკალური სოციალური კომპლექსის ორგანიზაციული ფუნქციების მატარებელი სოციალური კატეგორიაც საკმარისია, ხოლო სრული ადმინისტრაციული საკადრო პრეროგატივის რეალიზაცია მეტროპოლისს არ შეუძლია სოციალური ტრანსპლანტაციის სუსტი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციის გამო. კაპიტალიზმი უდრის ნებაყოფლობით აქტიურ ან პასიურ სოციალურ კონტრაქტს, ეს ერთი სოციალური კონტრაქტია მეტროპოლისის სოციალურ სტრუქტურასთან. ძვ.წ. II-I სს. მცირე აზია და ბალკანეთი სოციალისტური გადატრიალების საფრთხის წინაშეა. ეს იმიტომ, რომ უფლის კატეგორია ძალიან დიდ ეკონომიკურ და სოციალურ დატვირთვას განიცდის, კონვერსიის ხანაა, საჭიროა რეგიონების დაკავშირება ერთმანეთთან, სპეციალიზაციების მისადაგება, რაც საკმაოდ რთული პრობლემაა. შესაბამისად, საპოლიციო-სადამსჯელო ფუნქციების რაციონალური რეალიზაცია მოითხოვს სხვა დამატებით სოციალურ კონტინგენტს, ყველაფერს ჭირდება აგრეთვე ერთიანი სოციალური კონტრაქტი, რაც გააადვილებს კონვერსიული გეგმების განხორციელებას. გამოსავალია იტალიკურ-ელინური სოციალური კონტრაქტის გენეზისი. იტალია ელინური კაპიტალიზმის ხსნაა სოციალისტური ქაოსიდან. კაპიტალიზმისა და ფეოდალიზმის რეგალიური კონფრონტაცია უდრის პასიურ

ძულებით სოციალურ აპლიკაციას. განვიხილოთ სხვა მაგალითი. ვთქვათ, **გაზღვრილი ქვეყანა** (ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი), იძულებითი **სოციალური კონტრაქტი**, ლოკალური ფრაქციული სტრუქტურა, უფრო ფართო ქვეცნობიერი სოციალური მისწრაფება, განმსჭვალვის არე არ შეე-**საბამება** კონკრეტული სტრუქტურის რეალური ქმედების არეალს; სტრუქტურული ასპექტით განუხორციელებელი სოციალური კონტრაქტი არ არის სოციალური კონტრაქტი - ე.ი. გუგარქის საპიტიანზო ცალკე სოციალური კონტრაქტია. Pax Romana ბალკანეთ-მცირე აზიის მიმართ არ არის ანექსია, უფრო რაციონალური ექსპერიმენტი და კოლპერაცია: მისი პირდაპირი რეზულტატია ბინანტიური მეტროპოლისური სტატუსის მქონე ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფორმირება. **სამაგიეროდ**, კაპიტალიზმის და ფეოდალიზმის პოლიტიკური აპლიკაცია უკვე ტიპური დაპყრობაა, მზანი ლოკალური სამრეწველო წარმოების ზრევა და სრული ეკონომიკური ასიმილაციაა, რაც ვერ რეალიზდება ზონალური განსხვავების გამო, **სამაგიეროდ**, ხორციელდება აუცილებელი მინიმუმი - ადგილობრივი აგრარული ტიპის კაპიტალისტური რევილუცია. ამგვარად, საგარეო-პოლიტიკური მომენტი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო და აგრარული კატეგორიების დიალექტიკური ანტაგონისტური ეგზისტენციის საფუძველია. ფეოდალური ექსპანსია კარდინალურად განსვავდება კაპიტალისტურისაგან, ის განსაკუთრებით იძულებითია, რადგან ვიწრო სოციალური კონტრაქტის პირობებში სოციალური კონტრაქტის ნაწილის პერმანენტული გატყორცნა სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში არ არის მაინცდამაინც სასურველი არც ერთი ასპექტით. კაპიტალისტური ექსპანსია ძირითადად ინტერზონალურია, ფეოდალური - მხოლოდ და მხოლოდ ვერტიკალური დამხრობით; კაპიტალისტური ექსპანსია შემოქმედებითია - ის გავლენას ახდენს ობიექტის სამეურნეო ტიპზე, ფეოდალური კი პარაზიტული - ის აფერხებს ჩრდილოეთის ეკონომიკურ პრიმატს, ჰულაგუიანთა და სეფიანთა ჩრდილოური აგრესია ამ მხრივ მეტად სიმპტომატურია, ნომადური კატეგორიების არიული რეცეპციაც (მონღოლები, თურქმანები) კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის საგარეო-პოლიტიკური გააქტიურების აუცილებლობით იყო განპირობებული. ჩრდილოური კოლექტიური ზემოქმედება სამხრეთზე უკვე სხვა ტიპის ქმედებაა; საქმე ისაა, რომ აქ გადაძწვეტი მნიშვნელობა აქვს არა ლოკალური სოციალური კონტრაქტის რეგალიურ გაუცხოებას, არამედ კოორდინაციით საერთო

ეკონომიკური-გეოგრაფიული რეგიონის დემოგრაფიული აფეთქების ორგანიზაციას, რაც კრიზისის გამძაფრებას იწვევს; მაგალითად, გერმანელები იტალიაში, თურქები მცირე აზიაში. ეს საგარეო-პოლიტიკური მომენტი უკვე აღარ არის. აქვე დავამატებთ, რომ ჯვაროსნული ლაშქრობებიც, საერთო ჯამში, გამიზნული იყო არა თურქების წინააღმდეგ, არამედ სწორედ ბალკანურ-მცირეაზიური სტაგნაციისათვის. რაც შეეხება აქემენიანთა ხანის არიული რეგალიის უფართოეს დიფუზიას, აქაც ექსპერიმენტი და არა ოკუპაცია; უფრო ადრე არსებული ლიდიური პრიმატიც უნიფიკაციის ასპექტით უნდა იქნას განხილული. მცირე აზია სოციალური დანამატის პერმანენტული რეცეპტორია - ბერძნული, არიული, კვლავ ბერძნული, გალატური, ლათინური, უფრო ადრე, ფრიგიული. კაპიტალისტური რაციონალური ტემპების პრეზერვაცია აქ მოითხოვს კონკრეტულ სოციალურ პოლიტიკას. არიული გასაკუთრებული სუბსტრატები მცირე აზიაში ავტონომიური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის აუცილებელი განტვირთვის ინდიკატორია, რაც არ არის ტიპური პროტოფეოდალიზმისათვის. განტვირთვაში იგულისხმება უფლის ჭარბი კატეგორიის თავიდან მოცილება, ხოლო ასეთი სიტუაციის გენეზისის სუბსტრატი ცალკე მსჯელობის საგანია. აქვე აღსანიშნავია, რომ არიული სამხრეთული ექსპანსია პირველი ცდაა სირია-ეგვიპტის დაკავშირებისა ბალკანურ-მცირეაზიურ მეტროპოლისთან.

საგარეო-პოლიტიკური კონიუნქტურის ს. ციალურ-ეკონომიკური ეფექტის ანალიზი შემდეგ კომენტარს საჭიროებს. თეორიული კრიზისის საფუძველია ის მომენტი, რომ როცა აკუმულირებული მარცვლეულის გარკვეული რაოდენობა მიაქვს სხვას, მისი სოციალურად ადეკვატური გარკვეული ხელოსნური ფრაქცია წყდება საქმეს; ე.ი. თუკი ხელოსნობა წარმოადგენს რაღაც სამრეწველო ცოდნის გადანაწილებას, ერთი რომელიმე დარგის მოშლა უდრის აქ პროფესიონალიზებული ცოდნის სინთეზს სხვა კატეგორიასთან, რაც მიზეზია სამრეწველო ცოდნის დეგრადაციისა და, თავის მხრივ, შემდგომი დაცემის ბაზისია. ყველაფერ ამას თან სდევს მოსახლეობის რიცხვის თანდათანობითი დარარენტაბელური მატება. მაგრამ ნებისმიერი განვითარებული ფორმაციული ეგზისტენციის პირობებში ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონიდან გასული ხორბალი ივსება საამორტიზაციო ნაწილიდან, სამრეწველო სტრუქტურის პრეზერვაცია თვისებრივი ეკონომიკის საფუძველია, კვლავ წარმოებისათვის განკუთვნილი სახს-

რების სიმცირე კი, უბრალოდ, ანელეებს ეკონომიკური პროგრესის ბუნებრივ ნორმალურ ტემპებს. პროტოფეოდალიზმი თავისი სუსტი ეკონომიკური მექანიზმით აღნიშნულ პრობლემას რაციონალურად ვერ წყვეტს. საქართველოს სტაგნაცია XIII ს. მოკიდებული უდრის არა საგარეო შტრიხების ქმედებას, არამედ სამხრეთული, არიულ-თურანული ალიანსის აქტიურ ანტიგონისტურ ეგზისტენციას, და განსახილველი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შუაში გახლევას, რასაც მოჰყვა ურთულესი რეკონვერსიული პროცესები. ყოველივე კოლექტიური ქმედების მეტად საინტერესო სამხრეთული ვარიანტია (თანაც ინტერნონალური) რეალიზაციის სპეციფიური სტილით - არა დემოგრაფიული აფეთქება, არამედ ეკონომიკურ-დესტრუქციული ქმედება.

ქართული ეთნოკულტურული ევოლუციისათვის ფიზიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატის ასპექტით დამახასიათებელია პერმანენტული დუალიზმი და პერმანენტული კაპიტალისტური (ან პროტოკაპიტალისტური) სიახლოვე, რაც უკვე a priori უდრის დიალექტიკურ აპლიკაციას. კოლხური I ციკლის სამრეწველო სუბტროპიკული კაპიტალიზმის გენეზისი კი არ შედგა რეგიონის სინოტივის ხარისხის სპეციფიურობის გამო.

ქართული ეთნოკულტურის ევოლუციის პროცესში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის როლი სპეციფიურია - განპირობებული კონკრეტული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ნაწილობრივ დიალექტიკური ეკონომიკური სპეციალიზაციით და საქონელბრუნვის სისწრაფისათვის აუცილებელი გეოგრაფიული ატრიბუტიკის სისრულით. და, რაც მთავარია, უკანასკნელად აღნიშნული მატერიალური სუბსტრატის სოციალურ-ეკონომიკური იმპულსები ხშირად ბევრად უფრო ძლიერი იყო. ყოველივე საფუძველს ქმნიდა შესაბამისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურის - თავდაპირველად ეს პონტოა, შემდგომ კი „კოლხური“ ექსპორტის ჩამოყალიბებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონი ბიზანტიური მეტროპოლისის ბაზისის ნაწილია; აქ განხორციელდა ტრაპიზონის სამეფოდ წოდებული ლოკალური სოციალური კონტრაქტი, ხოლო ლოკალური ეკონომიკური კომპლექსის გენეზისი არარენტაბელური აღმოჩნდა; სწორედ ამიტომ ზღვისპირა ზოლი კვლავ და კვლავ ეთნოკულტურული ასპექტით სახეცვლილი იმპერიის მეტროპოლისის ნაწილია - წმინდა ეკონომიკური პრიმატის არსებობისა: პონტოს აგრარულ-სამრეწველო პროტოკაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, რომეების სამეფოს ბალკანურ-

მცირეაზიური კაპიტალისტური მეტროპოლისის სხვადასხვა შემეცნებითი კატეგორიის განსხვავებულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებში შეღწევის ბაზისად იქცა. გარკვეული უპირატესობა ვერც იმპერიის სტაგნაციამ ვერ მოსპო. ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მიმართებიანი კოლხეთთან და იბერიასთან, შემდგომ საქართველოსთან, დროით ასპექტში ხანგრძლივი, ხოლო თვისებრივად კი გარკვეული სემანტიკური თუ ტიპოლოგიურ-სტილისტური სიახლეების მომტანი იყო ავტოხტონური კულტურული კომპლექსისათვის. ემპირიული მასალის სრული გათვალისწინების საფუძველზე კონკრეტული აქტიური კაპიტალისტური და პასიური ფეოდალური სუბიექტების დიალექტიკური დროითი ეგზისტენცია შემდეგ ვიწრო კლასიფიკაციას ექვემდებარება - 1. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია დასავლეთის მიერ და რეალიზაციის წმინდა ეკონომიკური მეთოდების ექსპლოატაცია (ძვ.წ. VII - ძვ.წ. I ს.). 2. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია დასავლეთის მიერ და რეალიზაციის სინთეზური ეკონომიკურ-პოლიტიკური გზები (ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს.). 3. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია და იმპერიალიზმის ბიზანტიური ინერციული ეგზისტენცია (IV-VI სს.). 4. სუბტროპიკული კაპიტალიზმის და სუბტროპიკული ფეოდალიზმის ორმხრივი კრინისული აპლიკაცია (VII-X სს.); იბერიის მიმართ - 1. ტრანსკავკასიური ტრანზიტის პერსპექტივები და ქართლი (ძვ.წ. III-ახ.წ. III სს.). 2. ეკონომიკური ფუნქციური კატეგორიის ჰიატუსი (IV-VI სს.). 3. სუბტროპიკული გლობალური სტაგნაცია და სარწყავი ზონის უკიდურესი ნორდიკული ნაწილის პერსპექტივების ზრდის პერცეფცია. იმპერიული დუალიზმის გენეზისი. ქართლი - აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეკონომიკური კურატორი და კონვერსიული პროცესების მეტროპოლისური ბაზისი, ბიზანტიური ჩრდილოური კონტროლის ფორმალური რეალიზატორი (VII-X სს.); საქართველოს მიმართ - 1. სახელმწიფო სოციალიზმი - ავტოპროტექტორატი; იმპერიალიზმის ზომიერ სარტყელზე კონცენტრაცია - იტალიის საკატეპანო; ბულგარული *tabula rasa*; კოლხური პრიმატის პრევენცია, საქართველო - ეკონომიკური სუპლემენტი, სამონეტო ექსპანსიის ობიექტი. ტენდენცია *de jure* იმპერიის *de jure* უნივერსალიზაციისკენ - გიორგი II კესაროსი (XI ს.). 2. დუალისტური იმპერიის გენეზისი *de jure* - დიარხია *de jure* (დავით IV). იმპერიული ჰერალდიკის იბერული ტრანსპლანტაცია. დემეტრე I პორფიროსტროტოსი (ჟ, I, გვ.363) (XII

ს. 3. ჯვაროსნები და საქართველო; მილიტარისტული ალიანსი de facto, ანტირომეული კოორდინაცია. ქართული ეთნოკულტურის ადეკვატური სუბტროპიკული ზოლის პრიმატის ტენდენციები - ქართული ავტოპროტექტორატი (XIII ს.). 4. ქართული ეკონომიკური რეკონვერსია. ტრაპიზონი. „პერძენთა მეფობა“ - ქართული რეცეპცია. იმპერიის მეტროპოლისის ნორდული ტრანსფორმაციის წარუმატებელი ცდა. თურანული რეაქცია - კაპიტალიზმის I ციკლთან ურთიერთობის ეპილოგი (XIII-XV სს.). 5. ქართული იმპერიული ამბიციების მესხური რემინისცენცია. კლარჯეთი, ურწყავი პროვინცია - დეკლარაციის შესაძლებელი ეკონომიკური საფუძველი.

XI ს. იმპერიული დუალიზმის რეალიზაციის ხანაა. ლოკალური სოციალური კონტრაქტის საკანონმდებლო ინიციატივის იმპერიული ატრიბუტიკა სწორედ ამ დროს იღებს სრულყოფილ სახეს. განსახილველი პერიოდის იმპერიული ანექსია და ინტერვენცია სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო სოციალიზმის რენტაბელური ექსპლოატაციისათვის განკუთვნილი დოტაციური სისტემის ნაწილი. ხოლო საიმპერიო ტიტულატურის რეცეპცია არა საგარეო-პოლიტიკური რეგალიის დათმობის ინდიკატორია ლოკალური სოციალური კონტრაქტის მხრიდან, არამედ სრული თანხმობა იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლურ დიფუზიანზე de jure და დუალიზაციაზე ასევე de jure. ქვეცნობიერი მიზანი საკუთარი სუბტროპიკული ზოლის საიმპერიო მეტროპოლისური სტატუსის პერსპექტიული ისტებლმმენტია. რა საჭიროა პერმანენტული და პერსპექტიული იმპერიული რეგალიის ფორმალური ფლობის სუბიექტური თუ ობიექტური ტიპის პერცეფცია, რა პერსპექტიული იურიდიული ქვეცნობიერი სახმარი ღირებულება უნდა ჰქონოდა მას?! XI ს. ზომიერი სარტყლის ანტისუბტროპიკული რეაქციის გენეზისის ხანაა. თურქთა გამოჩენა აღმოსავლეთიდან, ხოლო ჯვაროსანთა - დასავლეთიდან, ერთ თარგზეა აწყობილი. ეს ის ქვეცნობიერი სიმმახიაა, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. უნივერსალიზაციის აბსოლუტიზაციისკენ სწრაფვა აგრეთვე ქართული მხარის ანტიბიზანტიურ პერსპექტიულ ტენდენციებზე მეტყველებს, რაც საერთოდ უნდა დასრულებულიყო და ასეც მოხდა კიდევ გარკვეულწილად რომეების მეტროპოლისზე კოლექტიური კონტროლის დაწესებით, საოკუპაციო ზონების გენეზისით. კაპიტალისტური იმპერიის ფეოდალური დენონსაცია პურიტანული სახით აღებული, რა თქმა უნდა, აბსურდია. კოლექტიური კოორდინაცია კი ქვეცნობიერი კონიუნქტურაა. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმის საგარეო-პოლი-

ტიკური კონკრეტული დეკლარაცია de facto დაფარულია იმპერიული ნომინალური სისტემით, და ყველაფერი წესრიგშია - მართლაც, ჯვაროსნები საკუთრივ კონსტანტინოპოლში მაგრდებიან, და არავითარ ცალკე მეტროპოლისს არ ქმნიან, თურქები ანატოლიას იკავებენ და მეტროპოლისური სოციალური კონტრაქტის სტატუსს იღებენ, ხოლო ქართული ცენზურა იმპერიული დუალიზმით მიიჩქმალა. რომეების მხრიდან კი დუალიზაციის პროგრესის რეალიზაცია დაწყებული საქმის ჩვეულებრივი დასრულებაა და სხვა არაფერი.

ნ ა წ ი ლ ი II

სუბტროპიკული (სამხრეთული)

კავიტალიზმი (კავიტალიზმის I ციკლი) და

ქართული ეთნოკულტურა

თ ა ვ ი I

ანტიკა

§ 1. კოლხეთის სუალეპენტური პერტეფცია ღასავლეთის მიერ და რეალიზაციის წმინდა ეკონომიკური მეთოდების ექსპლოატაცია (გვ.წ. VI-I სს.).

ქართული ნუმინმატიკური ძეგლები (და არა საქართველოს ნუმინმატიკური ძეგლები, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება სპეციალურად ლიტერატურაში და, პრინციპში, სწორია, მაგრამ ფული წმინდა ეკონომიკური ფენომენია, ამიტომ გლობალურ ისტორიულ პერსპექტივაში მისი კუთვნილების აღმნიშვნელი ზუსტი დიფერენტის განსაზღვრა ასევე წმინდა ეკონომიკური ასპექტით მეტ სიზუსტეს და სიმკაცრეს მოითხოვს; საქართველო, კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული კატეგორია, ორი სხვა ანალოგიური ფენომენის - კოლხეთ-ლაზიკის და ქართლის - კონვერსიული პროცესების შედეგია, სადაც პრიმატი ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა. შესაბამისად, აღნიშნული სამი განსხვავებული საწარმოო სტრუქტურის ადეკვატური სოციალური კონტრაქტების ზოგადეკონომიკური ორგანიზების ევოლუციური ინიციატივა ერთ-ერთი მათგანის ნომინალს ვერ მიიღებს განმსაზღვრელ

შტრიხად. ამის საპირისპიროდ, „ქართული“ ზოგადი, ეთნოკულტურული ცნებაა. ტერმინის დიფუზია თვისებრივად ახალი ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურის გენეზისის პარალელურად მიმდინარეობდა და მან რეტროსპექტულად გადაფარა, გაითავისა დიალექტიკური, მაგრამ ტიპოლოგიურად განსხვავებული დასავლური ეთნოკულტურა. მისი ხმარება უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება) ამ კატეგორიის წყაროთმცოდნეობითი სუბსტრატისათვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იძლევა ქვეყნის (როგორც ეკონომიკურ-გეოგრაფიული ერთეულის) პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის (თუმცა მატერიალური კულტურის მთელი მოცულობის დამკვიდრებული გაიგივება ეკონომიკური ტიპის პროდუქციასთან, ხოლო ნებისმიერი სოციალური წარმოების კაჭირი კვლავწარმოებასთან, ბზართან, და იდეის გამოხატვის მატერიალური ჰაბიტუსი შესაძლოა გვაძლევდეს უფლებას ტერმინების - ეკონომიკის და კულტურის - სინონიმებად ხმარებისა) ისტორიის კარდინალური საკითხების გასაშუქებლად. წინამდებარე მიმოხილვაში მოცემულია მოკლე ცნობები ეთნოკულტურული თვალსაზრისით განსაზღვრული სამყაროს სახელმწიფოებრივი აზროვნებისა ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში.

აკადემიურია კატალოგი ემისიების მიხედვით, ყოველივე ილუსტრაციაა ეკონომიკური წლის პერცეფციისა ევოლუციური პროცესების ძირითად ციკლად. მაგრამ ემისიების დიფერენციაცია და მათი დროითი ატრიბუცია ხშირ შემთხვევაში შეფარდებითია ან შეუძლებელი. კონკრეტული პრობლემა ქართული ნუმისმატიკისთვის აქტუალურია. სამონეტო კლასიფიკაცია შემდეგი იდეური მომენტების გათვალისწინების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს: 1. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი; 2. სოციალური კონტრაქტის ტიპი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის პოლიტიკური დეცენტრალიზაციის შემთხვევაში); 3. კონკრეტული იურიდიული სუბიექტი; 4. ემისიის წელი (დროის ფილოსოფიური კატეგორიის (ან სუბსტანციის) სპეციფიურობის გამო აქ იდეურ მხარეზე საუბარი პირობითია); 5. წმინდა ეკონომიკური იდეები - სამონეტო სისტემა და სხვ.; 6. ტიპოლოგია; 7. სტილი; 8. ლეგენდათა სისტემა. ემისიას აყალიბებს პირველი ოთხი აღნიშნული პუნქტის ფარგლებში იდენტური შტრიხების შემცველი ნუმისმატიკური ძეგლები. ანალოგიური ვითარება I, II, VI და VII პუნქტებთან დაკავშირებით უკვე სერიაა, მხოლოდ I და II-სთან - ჯგუფი. ცალკე-

ული ეგზემპლარის მიერ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ნიშნის (5) წმინდა ეკონომიკური მომენტი) საკმაოდ შეფარული ტარების გამო მას ამ ასპექტით წყაროდ მხოლოდ ემისიის რაოდენობრივი მონაცემების გათვალისწინება და რთული კომპლექსური კვლევა აქცევს. ამიტომ კონკრეტული ევოლუციური სქემის დედუქციური გათვალისწინება მართებულად მიგვაჩნია.

პროტოფეოდალიზმი

დასავლეთ საქართველოს სპეციფიურმა სივრცობრივმა და სიღრმისეულმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა თვისებებმა განაპირობა აქ პროტოფეოდალურ ეტაპზე რამდენიმე სოციალური კონტრაქტის არსებობა, ცენტრისკენული პროცესების სისუსტე და არაავტოხტონური ეთნოკულტურული საჯარო ხელისუფლების აღმოცენება. ძვ.წ. VI-IV სს. კოლხთა პრიმატის ნიშნით მიმდინარე პოლიტიკური ტიპის ინტეგრაცია საბოლოოდ სრულ ფიასკოს განიცდის. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის საერთო-ეკონომიკური აღმავლობა კი ბერძნული ჰეგემონიის აგრარულ-სავაჭრო ბაზისს პინტერლანდს უქვემდებარებს. კოლხეთის ტერიტორიაზე განხორციელებული პოლისური ან მონარქიული ტიპის საკანონმდებლო ხელისუფლების სამონეტო რეგალიის რეალიზაციას წარმოადგენს ნომინალურ-ტიპოლოგიური კომპლექსი, ტიპური სამონეტო ჯგუფი, კოლხური თეთრი - მისი ავტოხტონობა აღმოჩენათა ტოპოგრაფიის მეთოდის და თემატურ-ტიპოლოგიური პარალელების დაძებნის საფუძველზე დგინდება. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ სტილისტური და ნაწილობრივ ტიპოლოგიური მონაცემები რეგალიის კუთხით უფრო ზღვისპირა ცენტრებზე მიგვაჩვენებს. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია კიდევ სხვა არგუმენტების მოშველიებაც, რასაც ამჯერად შეგნებულად გვერდს ვუვლით. და თუკი ეს ასეა, მაშინ კონკრეტულ ნუმისმატიკური ძეგლების ქართულად ატრიაბუცია განპირობებული უნდა იყოს შესაბამისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის უპირატესი კულტურული ტიპით სოციალური მატარებლის რაოდენობისა და მის მიერ მწარმოებლური ფუნქციების განხორციელების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, თვით ბერძნული კომერციული

ელემენტის ეკონომიკური ბილინგვიზაციით.

კონკრეტული ჯგუფის დანაწევრებული ილუსტრაცია მიზანშეწონილია ცალკეული ტიპების მიხედვით (აქაც და სხვაგანაც ფაქტობრივი მონაცემებისათვის იხ. 117, შესაბამისი ნაწილები), რაც შეესაბამება ან ზუსტად განუსაზღვრელ ემისიას, ან კი - სერიას.

1. სტატერი (ეგინური და სპარსული სამონეტო სისტემები),
Ar.d = 22 მმ., რემედიუმი: 10,4-13 გრ. (ტაბ. I, N 1).

შუბლი: დიდი ხელოვნებით შესრულებული დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ.

ზურგი: quadratum incusum ფროსიანი რაშის პროტომით მარჯვნივ.

ცალი წონით 10,4 გრ. უკვე სპარსული სიკლია. წარმოდგენილ ტიპოლოგიას დაქვემდებარებული ვგზემპლარების სიმცირე, აგრეთვე უკანასკნელად აღნიშნული წონითი დივერგენცია სულ კონკრეტულ ფარგლებში ამ ეტაპზე მაინც ორ ან ცოტა უფრო მეტ ემისიას გვაკარაულებინებს. მათი შეფარდებითი ქრონოლოგია რიგი მონაცემების კომპლექსური გათვალისწინების საფუძველზე ძვ.წ. VI ს. II ნახევარს შეესაბამება.

2. სიკლი (სპარსული სისტემით; წ. - 10 გრ; 10,1 გრ; 11,3 გრ; 11,4 გრ.); დიდრაქმა (ატიკური სისტემით; წ. - 7,9 გრ; 8,1 გრ; 8,6 გრ; 8,6 გრ; 9,4 გრ). Ar. (ტაბ. I, N 2).

შუბლი: მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის (ხვადის ფაფარით და ძუძუებით) გამოსახულება მარჯვნივ. თავი მარცხნივ აქვს მობრუნებული.

ზურგი: მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა მარჯვნივ quadratum incusum-ში. მარჯვენა ხელი დაშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ. ყელთან შეიმჩნევა ნაოჭები (ყელსაბამი თუ ნიდაბი?).

კონკრეტულ ტიპოლოგიურ ფარგლებში მკაფიო ტენდენცია ნომინალური გაწვრილებისკენ სერიული კატეგორიის არსებობის მამტკიცებელია. ხოლო ბოლო ეტაპის ატიკური სტანდარტი, რომლის მიმართაც აქტიური უნდა იყოს ჰემიდრაქმების არაარქაისტული ნაწილი (II ტიპი, quadratum incusum-ის გარეშე), განსახილველ ემისიებს ზოგადად ძვ.წ. VI ს. II ნახ. - V ს. ათარიღებს.

3. სიკლი (მაგ. 9,6 გრ; 9,9 გრ; 10,4 გრ); დიდრაქმა (ატიკური სისტემით - მაგ. 8,7 გრ; 9,2 გრ). Ar.d = 18/20-21/23 მმ. (ტაბ. I, N 3).

შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ.

ზურგი: quadratum incusum-ში ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორც მონეტის შუბლზეა გამოსახული.

წველივე ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია რამდენიმე დებულების ჩამოყალიბება: I- (2) და (3) ტიპები მონაცვლეობით იჭრებოდა; II - ეს უკანასკნელიც სერიას შეესაბამება. განსახილველი ტიპის მონეტებს ძვ.წ. V ს. ათარიღებენ.

4. შუბლი: ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ.

ზურგი: quadratum incusum-ში ერთმანეთის საპირისპიროდ ხარის თავები.

ტიპის ტრადიციული დაკავშირება დიდრაქმასთან ლოგიკურია შეიცვალოს (3) ანალოგიური ნომინალური ევოლუციის სქემით ან უფრო კი, თითქმის სრული ტიპოლოგიური შესაბამისობა ჰემიდრაქმების II ტიპთან (ქვემოთ გვექნება საუბარი მათ ატიკურ სტანდარტზე) სწორედ ატიკური დიდრაქმის ვარიანტს ხდის ჩვენთვის საინტერესოს კონკრეტული ასპექტით. ტიპის მატარებლის უნიკალურობა და ასევე აშკარა ტიპოლოგიური კავშირი ჰემიდრაქმებთან კონკრეტული ემისიის ეკონომიკურ წელს აძლევს სპეციფიურ სტატუსს - ეს არის terminus post quem ჰემიდრაქმების II ტიპის სერიისა, რაც, ალბათ, შემდგომ წელსვე მსხვილი ნომინალის დამატების გარეშე ხორციელდებოდა.

აღნიშნული ეგზემპლარი ძვ.წ. V ს. თარიღდება.

ქუთაისის მუზეუმის უნიკალური ცალის დრაქმად ატრიბუცია აშკარად მოძველებულია, სინამდვილეში აქ საქმე უნდა გვექონდეს ნახევარსტატერთან, ასევე სიკლთან (სპარსული სისტემით).

5. სიკლი, Ar.d = 17/19 მმ., წ. - 5,5 გრ (ტაბ. II, N 4).

შუბლი: ლომის თავი პირდაპირ.

ზურგი: quadratum incusum-ში - ხარის თავის გამოსახულება მარჯვნივ.

ტიპის თემატური კავშირი (2)-სთან სიმპტომატურია სპარსული სისტემის ჩარჩოვში მათი ერთ ემისიად პრეზუმფციისათვის.

6. ატიკური სისტემის ჰემიდრაქმა (?), Ar.d = 11/12-12/13 მმ.

რემელიუმი: 1,7-2,6 გრ. (ტაბ. II, N 5).

შუბლი: დაღრენილი ლომის თავის მარჯვენა პროფილი.

ზურგი: quadratum incusum-ში - მარჯვნივ მიმართული ძე ლომის პროტომა.

ტიპის თემატური კავშირი (2)-თან ნიშანდობლივია ატიკური სისტემის ფარგლებში მათი წინას ანალოგიური მიმართების მტკიცებისათვის. ამჯერადაც ძვ.წ. V ს. ჩვენთვის საინტერესო თარიღია.

7. II ტიპის ტრიობოლი (ატიკური ჰემიდრაქმა დეგრადაციისკენ ტენდენციით), Ar.d = 12 მმ., რემელიუმი: 1,2-2,6 გრ. (ტაბ. II, N 6).

შუბლი: ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება.

ზურგი: ხარის თავის გამოსახულება მარჯვნივ ასევე ხაზოვან რკალში.

II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების უმნიშვნელო პროცენტზე ბერძნული ასოებია - MO/ΣO, O, A, Φ, Π, E, Δ. მათი სემანტიკის გახსნის აუცილებლობა რიგი ჰიპოთეზის კონსტრუქციის მიხედვით გახდა. ამ ასპექტით უპირატესობა, ალბათ, უნდა მიენიჭოს დებულებას განსახილველი ნიშნების კავშირის შესახებ პოლისის მაგისტრატურის კონკრეტული კუთხით პასუხისმგებელი პირის საკუთარ სახელთან. თუმცა საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ორიოდე სიტყვით ქრონოლოგიასთან დაკავშირებით - I. quadratum incusum-ის გაქრობა; II - კონტაქტი ძვ.წ. V-III სს. სხვადასხვა კატეგორიის ინვენტართან; III - ამ ტიპის ნუმისმატიკური ძეგლების განსაკუთრებული სიმრავლე; IV - სინჯის და წონის ეტაპობრივი შემცირება - ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს ჰემიდრაქმების II ტიპის ემისიების ძვ.წ. V-III სს. ჩარჩოში მოქცევისა.

8. იჭრებოდა უკნინესი ნომინალიც - ჰემიტეტარტემორიონი (?) (ტაბ. III, N 7).

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება.

ზურგი: რომელიდაც ფრინველი მარჯვნივ, მაღალი ფეხების
გამო ის შესაძლოა წეროთა ოჯახს მიეკუთვნოს.

კონკრეტული წონითი კატეგორია სიმპტომატურია, მიუხედავად ამ
თვალსაზრისით საინტერესო ეგზემპლარების სიმცირისა (სულ 3 ც.).
თარიღება სამარხეული კომპლექსის მიხედვით - ძვ.წ. V ს. II ნახ.

პროტიფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსისთვის ძირი-
თადი ნომინალის არსებობის ასეთი უჩვეულო ფორმა (ტრიობოლი) ერთად-
ერთ ლოგიკურ ახსნას ექვემდებარება - კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგ-
რაფიული რეგიონის ვერცხლის სასაქონლო მარაგის მოცულობა არსებული
სოციალური სტრუქტურის ეკონომიკური აზროვნების კონკრეტული სტა-
დიის შესაბამის უკიდურეს მინიმუმს შეადგენდა. ყოველივე ამის ბაზისზე
აღმოცენებული ვერცხლის შეფარდებითად მაღალი კურსი გახდებოდა მი-
ზეზი რიგი დისონანსისა სოციალური დისტრიბუციის სფეროში - ნომინა-
ლური დაწვრილება აუცილებელი მომენტი იყო. ჰიპოთეზა, რა თქმა უნდა,
შემდგომ დამუშავებას მოითხოვს.

კაპიტალისტური საწარმოო კომპლექსების ეტაპობრივი ტრანსფორ-
მაცია ბიმეტალიზზე, ევოლუციური პროცესის ციკლური ხასიათი საერთო
დიალექტიკური შინაარსის ფონზე, დასავლური სამყაროს სამრეწველო
სტაგნაციის ელინისტური გადაწყვეტა, ჩვენთვის საინტერესო ეკონომი-
კურ-გეოგრაფიული რეგიონის მომპოვებლური სპეციალიზაციის გაზრდი-
ლი კავშირი ექსტერიერულ სამრეწველო პოტენციალთან და აქედან მოყო-
ლებული სამონეტო აკუმულაციური ფენომენის ამკარა პრიმატი კოლხურ
სამონეტო ბაზარზე - ყოველივე ზემოაღნიშნული დროით ასპექტში წყვე-
ტილი ბიმეტალიზმის საფუძველი გახდა დასავლურქართულ ეკონომიკურ-
გეოგრაფიულ რეგიონში; მისი შინაარსი ძვ.წ. III ს. ძირითადად ლიმიტირე-
ბულია ალექსანდრეს და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერებით და
კოლხური ჰემიდრაქმებით. ამასთანავე, ტენდენცია ავტოხტონური ემისი-
ების შეწყვეტისკენ სწორედ მზარდი აკუმულაციური პროცესების შედე-
გია, თუმცა აქვე ფიგურირებს პოლიტიკური ტიპის მიზეზებიც.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის
ობიექტი ძვ.წ. VI-III სს. გახდა. პირველ ეტაპზე ამ მიმართებაში აქტიურ
როლს მიღეტი, შემდგომ კი ათენი ასრულებდა; სხვა რომელიმე მეტრო-
პოლისის დადგენა მეტად ძნელია, თუმცა ის, როგორც ობიექტური რეა-

ლობა, ალბათ, არსებობდა. ამავე დროს, ცნობები 1. ფაზისის ოიკისტის თემატიკორას, რომელიც a priori კოლონისტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაკადის მეთაურად უნდა იქნას ჩათვლილი, 2. ფაზისის და გიენოსის ელინურობის, 3. ფაზისელთა პოლიტიის - სახელმწიფო წყობილების შესახებ; ფაზისში აპოლონ-ჰეგემონის კულტის არსებობის ფაქტი; ძვ.წ. V-IV სს. უცხოური ნუმისმატიკური ძეგლების კონცენტრაცია ზღვისპირა ზოლში, რაც თითქოს აქაური ქალაქების მიერ მთელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზებაზე უნდა მიუთითებდეს; აგრეთვე სხვა ნაკლებად კატეგორიული არგუმენტი, კერძოდ, კოლხეთში ძვ.წ. VI-III სს. განხორციელებული სამონეტო სერიის - სპეციალურ ლიტერატურაში კოლხურ თეთრად წოდებულის - ბერძნული სტილისტიკა და ნაწილობრივ ტიპოლოგია, ყველაფერი ეს ახალშენთაგან უდიდესის მაინც. ფაზისის, პოლისურ ტიპზე უნდა მიუთითებდეს. საკითხის ასე დაყენების წინააღმდეგ არსებული კონტრარგუმენტების - 1. ფაზისის კოლხთა სავაჭრო ადგილად მოხსენიება ძვ.წ. II ს. პირველი ნახევრისათვის (დიოსკურიაც იმავე კუთხით არის განხილული). 2. თვით ქალაქების ეთნიკური თვალსაზრისით შერეული ტიპი, რაც კარგად იკითხება არქეოლოგიური მასალის მიხედვით. 3. მათი არაბერძნული „ქვეყანა“ (Χώρα). 4. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოჭრილი ნუმისმატიკური ძეგლების ტიპოლოგიის წმინდა კოლხურად ინტერპრეტაცია. 5. ფაზისის და სხვა ჩვენთვის საინტერესო ქალაქთა სამრეწველო პოტენციალის შესახებ ინფორმაციის ფაქტობრივად არარსებობა - სხვა ამ პრობლემასთან დაკავშირებულ მასალასთან - ამასთან, პირველი რიგის არგუმენტაცია უნდა შეივსოს სხვა საინტერესო მონაცემებით: **ქ** საუბარია ზღვისპირა ეგრისის განსაკუთრებულ პოლიტიკურ კავშირებზე ბერძნულ სამყაროსთან, ამავე კატეგორიის ინფორმაციას შეიცავს ეშერაში ნაპოვნი ძვ.წ. III ს. დათარიღებული ეპიგრაფიკული ძეგლიც; ძვ.წ. 105-90 წწ. დიოსკურია სპილენძის საქალაქო მონეტებს ჭრის; არისტარქე კოლხის დრაქიმებზე თიხეს - პოლისური ღვთაების - ტიპოლოგიის მოთავსებაც მეტად სიმპტომატურია - შეჯერების საფუძველზე კოლხეთის სანაპირო ზოლის ბერძნული ახალშენების ისტორია შესაძლოა ასეთი სახით იქნას წარმოდგენილი: სამოსახლოთაგან უმნიშვნელოვანესნი მაინც პოლისური ტიპის ორგანიზმებს წარმოადგენდა თვითმმართველობით, მეტროპოლისიდან გადმოტანილი კულტით და საკუთარი ეკონომიკური ბაზით.

ამ უკანასკნელში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობა ჰინტერ-
ლანდთან, ქალაქების ეკონომიკის საფუძველი. აღმოსავლეთ შავინდვის-
პირეთის ახალშენებმა ხელთ იგდეს კოლხეთის საგარეო ვაჭრობის მონო-
პოლია; ფაზისელთა კომერციის წინვლაში უდიდეს როლს ვერცხლის სა-
ბადო ასრულებდა, რომელსაც ქალაქი ფლობდა და, რომელიც იქცა ბაზად
ვერცხლის ფართო მასშტაბის სამონეტო ემისიებისათვის - სწორედ ამ ფუ-
ლის საშუალებით ხდებოდა კოლხური ნედლეულის და სხვა საქონლის ამო-
ქაჩვა და გატანა დასავლეთის ბაზარზე. ქალაქები აკონტროლებდნენ მცირე
მოცულობის სასოფლო-სამეურნეო დანამატს - „ქვეყანას“ (Χώρα), სადაც,
სხვათა შორის, ბერძნული კულტურული რადიაცია თითქმის არ შეიმჩნევა.
ყოველივე ამის ერთ-ერთი მიზეზია ფაზისის წმინდა სავაჭრო, და არა სამ-
რეწველო ხასიათი; იგივე მიზეზი განაპირობებდა კოლხეთის სანაპიროზე
არსებული ბერძნული ქალაქების სხვა რეგიონის პოლისებთან შედარებით
სუსტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოტენციალს.

ეთნიკური თვალსაზრისით ქალაქები შერეული ტიპის იყო. თუ რა უფ-
ლებებით სარგებლობდა აქაური კოლხური მოსახლეობა, ძნელი სათქმე-
ლია. სამეურნეო ცხოვრებაში ის მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული ბერძ-
ნულ ნაწილთან.

ძვ.წ. IV-III სს. კოლხეთში საერთო-ეკონომიკური აღმავლობით აღინიშ-
ნა. ქვეყნის საწარმოო ევოლუციის ტემპები შიდა რაიონებში უფრო რენ-
ტაბელური იყო, ვიდრე ზღვისპირა ქალაქებში, ამ უკანასკნელთა ს. გეო-
ფიკური სამეურნეო პროფილის და შეზღუდული სოციალური სივრცის გა-
მო. ძვ.წ. IV ს. მთელი დასავლეთ საქართველო კოლხთა ეგიდის ქვეშ გაერ-
თიანდა. მართალია, ის მალე დაიშალა ცალკეულ „სამთავროებად“, მაგრამ
ყოველივე ამას ძალთა ახლად წარმოქმნილი თანაფარდობა არ შეუცვლია.
ბერძნულ პოლისებს ამკარა საფრთხე ემუქრებოდა სეკატუხიების მხრიდან
და ისინიც „ელინისტური“ ხანის დასაწყისიდან აქტიურად ებიებდნენ მო-
კავშირებს კოლხთა წინააღმდეგ. ძვ.წ. III-II სს. ახალშენები ადვილობ-
რივმა ხელისუფლებმა დაიქვემდებარეს. ამ მხრივ მეტად სიმპტომატურია
ძვ.წ. III ს. კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტის ფაქტი - ფაზისი (?) სამო-
ნეტო რეგალიას კარგავს. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც ამ მო-
ნეტის (?) მნიშვნელობა კნინდება მას შემდგომ, რაც კოლხეთში იწყება ინ-
ტენსიური შემოტანა ალექსანდრესა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი თუ

ტიპის სტატერების, რომელთა ფართო მიმოქცევა ქვეყნის შიდა რაიონებში ქალაქთა საგარეო-სავაჭრო მონოპოლიის მოსპობის მაჩვენებელია. ბერძნული მოსახლეობა თავდაპირველად, ალბათ, აქტიურად უჭერდა მხარს მითრიდატე ევპატორის პოლიტიკას დასავლეთ საქართველოში, მეფის ხელისუფლების საყრდენი სოციალური ფენის ფუნქციას ასრულებდა. სწორედ კოლხეთის ისტორიის „მითრიდატულ“ ხანაში იღებს დიოსკურია ფორმალურ ავტონომიას და სპილენძის საქალაქო მონეტების ემისიის რეგალიას, თუმცა ზღვისპირა ცენტრებმა ძველი სავაჭრო პრივილეგიები ვერ აღიდგინა. გარკვეული ფავორით სარგებლობდნენ ისინი არისტარქეს მმართველობის (ძვ.წ. 63-49(?)) ხანაშიც. მეტად საინტერესოა ამ მხრივ მისი, ალბათ, ფაზისში მოჭრილი მონეტა, რომლის ზურგზეც წმინდა ბერძნული, ქალაქების მფარველი დეოთების - თიხეს გამოსახულებაა მოთავსებული.

ეკონომიკური კრიზისის, რაც კოლხეთში ძვ.წ. II ს. იწყება, და მძაფრი ზოლიტიკური კატაკლიზმების გამო, წელთაღრიცხვების მიჯნაზე მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით საქალაქო ცხოვრება უკიდურესად კნინდება. ზღვისპირა ზოლში მისი აღორძინება I-II სს. -დან, ერთი მხრივ, განპირობებულია საერთო-სოციალური სტაბილიზაციით, მეორე მხრივ, აქ რომაული გარნიზონების გაჩენის ფაქტით, რომელთა მომსახურების აუცილებლობა ქმნიდა ცალკე სტიმულს საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის. ამ ეტაპზე პოლისური ორგანიზაციის არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ფაქტობრივი მასალა ძალზედ მცირე ხნით მაინც კოლხური სამონეტო ბაზრის მონომეტალიზაციას გვაპარაულებინებს. ჰიპოთეზა ე.წ. აკის სტატერის ლოკალური ავტონომიური სოციალური კონტრაქტის პროდუქტად მიჩნევის შესახებ (ამასთან დაკავშირებით იხ. 52, 38-40) კარგად მიესადაგება კონკრეტულ დებულებას.

9. სტატერი (ატიკური სისტემით), Av.d = 17/18. მმ., წონა - 8,5 გრ. (საქ.სახ.მუზეუმის ცალი) (ტაბ. III, N 8).

შუბლი: ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება ამონის რქით მარჯვნივ.

ზურგი: მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომარე ათენა პალადა. მარცხენა ხელით იგი ტახტის სახელურს ეყრდნობა, რომლის უკან ფარია მოთავსებული. მის გაწვდილ მარჯვენა

ხელზე დგას ქალღმერთი ნიკე დაფნის გვირგვინით ხელში. ათენას უკან ლეგენდაა - ΒΑΣΙΛΕΩΣ წინ - ΑΚΟΥ, გამო-სახულების ქვემოთ - სამითთა, რომლის ტარი ორი დელ-ფინით არის შემკობილი.

ბიზანტიური პარალელის* საფუძველზე კონკრეტული ემისია ძვ.წ. II ს. 90-80-იანი წლებით თარიღდება.

შემდგომი პერიოდის როგორც ბიშეპალიზმი, ასევე ავტოხტონური ემი-სიების მიერ აკუმულაციის ეტაპობრივი გამოდევნა სრულებითაც არ იყო განპირობებული ადეკვატური ეკონომიკური პროცესებით. პირიქით, საქმე გვაქვს კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ დაჩიხვასთან, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მომენტები კარ-გავს რეალურ სემანტიკას. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ კრიზისის პიპოთე-ტური მიზეზთაგანია ფეოდალიზაციისათვის აუცილებელი სოციალური კო-ნიუნქტურის არარსებობა; სხვა ამ კატეგორიის საფუძველია საგარეო-პო-ლიტიკური „ფაქტორი“. სტატერის იდეა, დასახული საუკუნის დასაწყისში, თანდათან ინფლაციურ დეგრადაციას განიცდის, მაშინ როცა ნატურალის-ტური კონცეფციების და რეგალიური მომენტების გაქრობა, ე.ი. მინაბაძად ტრანსფორმაცია, წმინდა პოლიტიკური მომენტებით უნდა აიხსნას.

მითრიდატული ხანის კოლხეთის სამონეტო ბაზრის დანაწევრება შე-მაღვენელ კომპონენტებად ზოგი კატეგორიის კვლევის ობიექტთა წრიდან გამორიცხვით უნდა დაიწყოს. ქვემოთ აღნიშნება ის ობსტრუქციული კო-ნიუნქტურა. რაც ხელს უშლის სპილენძის ნუმიზმატიკური ძეგლების პერ-ცეფციას დასავლეთ საქართველოში სახმარ ღირებულებად.

რაც შეეხება ეკონომიკის ევოლუციის ზოგადი სქემის მოხაზვის სა-კითხს. ერთი კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიერ სხვა ტიპოლოგიურად იდენტური სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის ექსპლოატაციის შედეგს a priori უპირისპირდება შემდეგი თანაფარდობა - ვერცხლის ტრიალის ორჯერ თუ სამჯერ ინტენსიფიკაცია ძვ.წ. I ს. I ნახ. - ეს, ერთი შეხედვით, საპირისპირო ინდიკატორია, მაგრამ რიგ სპეციფიურ მომენტთან აღნიშნული მონაცემების კოორდინაცია სულ სხვა დასკვნის გა-კეთების საფუძველს გვაძლევს - დაბალი სინჯის და წონის ლისიმაქეს ტიპის სტატერების ემისიის გააქტიურების ეკონომიკური არსი პონტოური ვერცხ-

* ბიზანტიონში მოჭრილი ფულის.

ლის ექსპანსიის შედეგად საქონელბრუნვის მოცულობის შემცირების ბაზაზე აღმოცენებული ამკარა ინფლაციური პროცესების სოციალური ეფექტის დაძლევაში მდგომარეობს. პირიქით, თუ დაუშვებთ ეკონომიკის აღმავალ ხაზს, იმიტაციების ფაქტურა დიდ დისონანსს შეიტანს საერთო სურათში. ე.ი. ყოველ შემთხვევაში, ნუმიზმატიკური მასალის ლოგიკური გააზრება საინტერესო პერიოდის კოლხეთის ეკონომიკის არასახარბიელო კონდიციაზე მიუთითებს. აღნიშნულ სუბსტრატზე აღმოცენდება სხვა შეფასებებიც.

ძვ.წ. I ს. II ნახ. სამონეტო მიმოქცევასთან დაკავშირებით შესაძლებელია შემდეგი დებულების კონსტრუქცია: რიგი მეთოდური მომენტის გათვალისწინების საფუძველზე მიღებული რეზულტატი ევპატორის ხანასთან მიმართებაში დაახლოებით 1/3-ით შემცირებულ ვერცხლის მიმოქცევას და იმიტაციების (ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების მინაბადები) ემისიის მკვეთრად შეკვეცილ მოცულობას შეესაბამება უკანასკნელი რაოდენობრივი ემპირიზმი თითქოსდა სიმპტომატური უნდა ყოფილიყო, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი - იმიტაციური სტატერის წონის ეტაპობრივი დეგრადაცია, რაც განსაკუთრებით სწრაფ პროცესად სწორედ განსახილველ პერიოდში იქცა. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ აღნიშნული იმიტაციების ეკონომიკური ფუნქცია. მისი რაციონალური ტიპი ამკარად სახელმწიფოებრივ ემისიაზე მიუთითებს, ხოლო იურიდიული რეგალიის დაუფიქსირებლობა - სამეფო ხელისუფლების, მას მიერ მთელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით, თავისი რეალური სემანტიკის დაკარგვის მიჯნაზე ყოფნას. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო პროდუქცია სხვადასხვა სოციალური კონტრაქტის საერთო-ეკონომიკური ორგანიზების რეგალიის მატერიალიზაციაა. არავითარ შემთხვევაში მსგავსი პოლიტიკური კონიუნქტურის ვერსია არ უნდა გავრცელდეს ა) ლოტოსისგამოსახულებიანი მონეტების (დაწვრ. იხ. ქვემოთ) ზოგიერთი საინტერესო ასპექტის ატრიბუციაზე. მითრიდატე უმცროსის მმართველობა სამეფო ავტორიტეტის ინტერიერული რეანიმაციაა, განპირობებული, ერთი მხრივ, სამხედრო ტიპის დიქტატორული მმართველობის აუცილებლობით, ხოლო მეორე, თვით ევპატორის მხრიდან, რომლის სასარგებლოდაც კოლხეთის მეფის ზოგიერთი რეგალია იზღუდება. ლოკალური ზარაფხანების ხაზგასმული აქტიურობა ევპატორის ხანაში შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული: 1. ეს იყო გარკვეული პოლიტიკური დემარში სკეპტუხთა

მხრიდან. 2. ევპატორის ლოიალურობა განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, მისი უდიდესი სოციალური აუცილებლობის და რენტაბელურობის გამო. ბ) არისტარქეს დეკლარაციის ტიპი ფორმალურად მაინც რომაული საკანონმდებლო ხელისუფლების უზენაესობის აღიარებაზე მეტყველებს (იხ. ქვემოთ) და, აგრეთვე, ეს საუკეთესო გამოსავალი იყო კონსეთის ტერიტორიაზე უმაღლესი ავტორიტეტის ხელისუფლების დეტერმინიზმისთვის. ამ კატეგორიის იმიტაციების ემისიისთვის რაიმე ობიექტური მიზეზის არარსებობა ნორმალური ევოლუციის პროცესს დაქვემდებარებულ ქართლის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში, სწორედ აქ გვაგვარაულებინებს მცირე მასშტაბის არაოფიციალური ზარაფხახების არსებობას. ეკონომიკური კრიზისის და ინფლაციური მომენტების შემდგომი გაღრმავება ამკარად სახეზეა.

ახ.წ. I ს. I ნახ. საგარეო ვაჭრობის თითქმის სრული მოშლის პირობებში, და ასეთი დასკვნის გაკეთებას კონკრეტულ ეტაპზე ხელს ვერ შეუშლის პერიოდის არქეოლოგიური შესწავლის დაბალი ხარისხი, გარკვეულწილად თვისებრივი ინდიკატორებით დაძლეული, ადგილობრივი სოციალური კონტრაქტების ზოგადეკონომიკური პოლიტიკის მიზანი კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფულადი მიმოქცევის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების პერმანენტული გადაწყვეტა იყო. ამით აიხსნება ავტოხტონური ემისიების საოცარი აქტიურობა, სინჯადობის და წონის თვალსაზრისით რაიმე რადიკალური ცვლილებების გარეშე. აქვე დავძენთ, რომ პროტოფეოდალური ტიპის ინფლაცია მისი კაპიტალისტური ანალოგიისაგან განსხვავდება ბრუნვაში არსებული მეტალის საერთო წონის თანდათანობითი შემცირებით. ამ მოვლენის მიზეზი გასაგებია, და ფულის საქონელთან ქმედების სხვადასხვა მასშტაბთან არის დაკავშირებული. მაღალი ხარისხის ოქროს სამონეტო აკუმულაციების აბსორბციას ავტოხტონურ ემისიებსა და სახელმწიფოს მიერ წარმართულ საგარეო-ეკონომიკურ აქციებში კრიზისის დასაწყისშივე ექნებოდა ადგილი.

ლოკალური ინფლაციური ემისიების შეწყვეტის და უცხოური ვალუტის მეტად თუ ნაკლებად ნორმალური დენის ფაქტი ეკონომიკის აღმავალ ხაზზე ტრანსფორმაციის ნათელი ილუსტრაციაა. ყოველივე ეს კი ამკარაა 50-იან წლებში.

10. ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბადი, Av.

რემედიუმი: 1,1-7,9 გრ. (ტაბ. III, N 9).

შუბლი: ალექსანდრე მაკედონელის თავის სქემატური გამოსახულება ამონის რქით მარჯვნივ.

ზურგი: ტახტზე მჯდომარე ათენა პალადას სქემატური გამოსახულება ნიკეთი. ქვემოთ სამითაა. ზოგიერთ ცალზე დამახინჯებული ბერძნული წარწერაა, რომელიც შტრიხებში გადადის (ყოველივეს საფუძველია ლეგენდა - ΒΑΣΙΛΕΩΣ ΛΙΣΙΜΑΧΟΥ).

კონკრეტული სერიის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია ძვ.წ. I ს: უკანასკნელი მეოთხედი.

II. ალექსანდრეს ტიზის სტატუერების ქართული მინაბაძი, Av. რემედიუმი: 1,6-3,7 გრ. (განსახილველი სერიების ემისია, ალბათ, სინქრონულად ზორციელდებოდა. ამ უკანასკნელის ადრეული ეტაპი კი არ არის ჩვენამდე მოღწეული) (ტაბ. IV, N10).

შუბლი: მარჯვნივ მიმართული ქალღმერთ ათენას სქემატური პროფილი.

ზურგი: ფრთოსანი ნიკეს სქემატური გამოსახულება პირდაპირ. ფრთები ფართოდ გაშლილ-ჩამოყრილი აქვს. ღვთაების თავი ხარის თავს წააგავს, ქვემოთ დაშვებული და მოხრილი რქებით. ზედწერილის ნაცვლად მსხვილი წერტილებია.

რეალურად არსებული მასალის ქრონოლოგიური ჩარჩოებია - ძვ.წ. I ს. II ნახ. - ახ.წ. I ს. I ნახ.

ზემოთ მოხაზული იქნა ძვ.წ. II-I სს. კოლხეთის სამონეტო ბაზრის ევოლუციის მხოლოდ ზოგადი სქემა; აღინიშნა ფულადი მიმოქცევის სინთეზური ხასიათი - აკუმულაციური სუბსტრატის კორექტირება ინფლაციური ნუმისმატიკური კატეგორიით. ლოკალური ემისიები ბევრად უფრო მრავალფეროვანი იყო, მაგრამ არაარსებითი სპეციფიური ფულადი სისტემის გამო (იგულისხმება Ar. და Ae.).

არისტარქეს ვერცხლი ეპიზოდური ეკონომიკური სტაბილიზაციის რეგულირებისათვის საჭირო მონახაზი იყო შემდეგი ძირითადი ატრიბუტიკით: მონომეტალნიზმი (Ar.) და მაღალი სინჯადობა. ობიექტური მიზეზების გამო მან რეფორმაციული სტატუსი ვერ შეიძინა. იგივე შეიძლება ითქვას მითრიდატე უმცროსის (?) ვერცხლზე (?). რაც შეეხება სპილენძს, პროტოფე-

ოდალიზმისათვის დამახასიათებელი დამხმარე სოციალურ ქმედებათა გარკვეული კონცენტრაცია ძირითად სოციალურ სუბიექტში ხელს უშლიდა აღნიშნული მეტალის ფრაქციულ სახმარ ღირებულებად პერცეფციას. სპილენძის მინიმალური დალექილი რაოდენობა ძირითადად ზღვისპირეთში კოლხეთისთვის მის არაკონვერტირებულ სტატუსზე მიუთითებს, ხოლო ფართო მიმოქცევა მითრიდატულ ხანაში წმინდა პოლიტიკური ფენომენია.

სპეციალისტების დაკვირვებით, კოლხეთის სამონეტო ბაზრისათვის მთელი თავისი ისტორიის მანძილზე სპილენძის მონეტების ცირკულაცია დამახასიათებელი არ არის. საკმარისია აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (სანაპირო ზოლის გამოკლებით) ჯერჯერობით არ აღმოჩენილა ძვ.წ. VI - ახ.წ. IV სს. სპილენძის მონეტების არც ერთი განძი. მეტიც, აქ საერთოდ არ აღმოჩენილა სპილენძის არც ერთი მონეტა, დათარიღებული მითრიდატე VI ევპატორის მეფობის წინაურ ხანებით. და აი, ასეთ ვითარებაში კოლხეთის ერთ-ერთი კონკრეტული პუნქტი, კერძოდ, ვანი, გვაძლევს კონკრეტული ისტორიული ეპოქის (მითრიდატე VI ევპატორის მეფობის სინქრონულ) ორასამდე სპილენძის მონეტას (პონტოს ქალაქების და ვანში (?) მოჭრილი). თუ არა მითრიდატეს მეციხოვნეთა დგომით, ამ ფაქტს, გ.დუნდუას განცხადებით, სხვაანირად ვერ ავხსნით (116,28). ამავე ჭრილში უნდა განიხილებოდეს ანალოგიური მოვლენა რომაულ ხანაში¹.

12. დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები (ძვ.წ. 105-90 წწ.). ხალკი (?) (მაგალითად, რემედიუმი: 1,3-3,1 გრ.), დიხალკი (?) (მაგალითად, რემედიუმი: 3,7-5 გრ.), ტეტრახალკი (?) (მაგ. წ. 6,1 გრ. ეგზემპლარი, ალბათ, ცუდად არის შემონახული) (ტაბ. IV, N 11).

შუბლი: ტყუპი ძმების დიოსკურების ქუდები ვარსკვლავებით თითოეულს ზემოთ, ძირითადად ექვსი, იშვიათად რვაქიმიანი.

ზურგი: კვერთხი. მის ორივე მხარეს სამ სტრიქონად მოთავსებულია ბერძნული ლეგენდა - ΔΙΟΣ/ΚΟΥΡΙΑ/ΔΟΣ. ე.ი. დიოსკურიის (ამასთან დაკავშირებით იხ. 50, 66-75. დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფიის ნუსხა იხ. 52, 75).

რატომ მაინცდამაინც დიოსკურიში ხორციელდება საქალაქო სპილენძის ემისია; რა შეიძლება ითქვას ამ ასპექტით ფაზისთან დაკავშირებით?! მონეტის ემისიის კვაზი-რეგალია მუნიციპალური რეგალიის ერთი კატეგორიაა, ქალაქი მას იღებს გარკვეული სოციალური პრივილეგიისათვის და იმ არახელსაყრელი ვითარების მცირე მასშტაბით მაინც ლიკვიდაციისთვის, რაც გამოიწვია პონტოურმა სავალუტო ექსპანსიამ. ამავე დროს, კოლხეთის შიდა ბაზარს ეს მეტალი არ სჭირდება. ამიტომ, ალბათ, ყველა ზღვისპარა ქალაქი იღებს ფორმალურ ავტონომიას, მონეტას კი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ჭრის. მეტროპოლისი დაახლოებით ასეთივე „უფლებას“ ანიჭებს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებს. შეიძლება გამოითქვას ფრთხილი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ საქმე გვაქვს ბოსფორის სპილენძით მომარაგების საქმეში ხელოვნურად შექმნილ გართულებასთან, გარკვეულ დეცენტრალიზაციასთან და რეგიონული დამოკიდებულების სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან. ამას პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. ემისიის ცენტრად დიოსკურიის შერჩევა განპირობებული იყო ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯების შეფარდებითი ხელსაყრელობით.

13. ვანში (?) მოჭრილი ანონიმური ემისია (მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფოსი (?) - ძვ.წ. 84/83 წწ. (?)). Ae. ხალკი-რემედიუმი 1,2-2,1 გრ. ჰემიხალკი - რემედიუმი 0,8-1,1 (?). Ar. (?) (ტაბ. V, N 12).

შუბლი: სტილიზებული ლოტოსის გამოსახულება.

ზურგი: რვაქიმიანი ვარსკვლავი.

კოლხეთში მითრიდატე უმცროსის გამეფებასთან და შემდეგში მისი სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული გ.დუნდუასა და გ.ლორთქიფანიძეს. მათი თვალსაზრისით: 1. კოლხეთში მითრიდატე-უმცროსის რეზიდენცია იყო ვანი; 2. აქ მან განახორციელა სპილენძის ანონიმური მონეტების უკნიესი ნომინალის ემისია და 3. ხანძრის კვალი, რომელიც ასე გამოკვეთილად დადასტურებული ვანში ძვ.წ. I ს. დასაწყისის ფენაში, შედეგია მამა-შვილის კოლიზიებისა, მათ შორის უშუალო სამხედრო შეტაკებისა (43; 48; 52, 50-68).

ძვ.წ. 63 წ. პომპეუსმა კოლხეთში წინ წამოწია ვინმე არისტარქეს ავტორიტეტი. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი მისი მცირე მოცულობის ემისიის ეკონომიკურ სემანტიკაზე.

14. დრაქმა (შემსუბუქებული ვარიანტი: რემედიუმი- 3;2-3,7 გრ.).

$d = 17/18-21/22$ მმ. (ტაბ. V, N 13).

შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის თავის გამოსახულება სხივებიან გვირგვინში (ჰელიოსი ჰომპეუსის სახის ნაკეთებით (?)).

ზურგი: სავარძელში მჯდომი ქალღმერთის (ტიხე) დრაპირებული ფიგურა თავზე კოშკისებური გვირგვინით. მარცხენა ხელში სფეროსებრი საგანი უჭირავს, მარჯვენაში კი - საჭე. გამოსახულების წინ ზედწერილია - ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ, უკან - ΤΟΥΕΠΙ, ქვემოთ - ΚΟΛΧΙΔΟΣ/ΒΙ. ფუნქციის - Ὁ ἐπί τῆς βᾶσιλείας (მასზე იხ. 99, 342) - ლიმიტირება საკანონმდებლო ინიციატივის რეგალიით, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, აქ რომაელთა ჰეგემონიის ზედაპირული ხასიათი აღნიშნულ ინსტიტუტს პურიტანულ სემანტიკას უკარგავს, რაც, საერთო ჯამში, ართულებს კონკრეტული ლეგენდის თარგმნას (სიმპტომატურია მონაცვლეობა - არა βᾶσιλείας, არამედ Κολχίς); ΒΙ = პოლიტიკური ქმედების XII წ. - ძვ.წ. 52/51 წწ.

დასავლეთ საქართველო, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი, წყვეტს საკუთარ ნუმისმატიკურ აქტიურობას I ს. შუა ხანებისათვის. ამის შემდგომ, ის აბსოლუტურად პასიურია აკუმულაციის მიმართ და აკომპლექტებს თავის სამონეტო ბაზარს უცხოური ვალუტით; ამ პროცესის მახასიათებელია საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გამოკვეთილად დასავლური დამხრობა.

აღმოსავლეთქართული ასევე აკუმულაციური სამონეტო ბაზარი სირიასომხეთ-პართიის ფულადი მიმოქცევის სუბსტრატზეა აღმოცენებული; ამ უკანასკნელთაგან ნაწილი არაავტონომიური მონეტით იყო დაკომპლექტებული დროის ნებისმიერ მონაკვეთში ან გარკვეულ ეტაპზე. საოცრად მცირე მოცულობის ძვ.წ. IV-III სს., ის ძვ.წ. II ს. უკვე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფენომენია. ძვ.წ. I ს. მეტად სიმპტომატურია ლოკალური ემისიების თვალსაზრისით - იატაკქვეშა ზარაფხანები (მაგალითად, ალაიანის) კოლხეთიდან შემოსული ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების

იმიტაციებს ბაძავს. I-III სს. იბერიის ნუმისმატიკის აუცილებელი ატრიბუტებია - ავგუსტეს დენარები, რომაული აურეუსები და ე.წ. გოტარზეს დრაქმები. ქართიზაციის ნიშნით მიმდინარე კონვერსიული პროცესების ნუმისმატიკური გამოხატულებაა აღნიშნული ხანის არგვეთის შერეული სამონეტო ბაზარი. „ბრძოლა“ დასავლეთქართული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის უნივერსალური სპეციალიზაციის დაკონკრეტებისათვის სუბიექტური თვალსაზრისით რენტაბელური კონვერსიის გზით მცირეაზიურ კაპიტალისტურ მეტროპოლისს და ქართლის სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენს შორის ხანგრძლივი გამოდგა. ამ უკანასკნელის საბოლოო გამარჯვება განაპირობა ციკლური ევოლუციის I ეტაპის კაპიტალიზმის შედარებით ნაკლებმა პოტენციალმა. განხორციელებული ეკონომიკური ინტეგრაცია ფეოდალური, სასოფლო-სამეურნეო ტიპის იყო.

წარმოდგენილი პარაგრაფი არ იქნებოდა სრული რამდენიმე საინტერესო ფაქტობრივი თუ თეორიული შტრიხის გარეშე.

კოლხეთის ეკონომიკური მიმართულებანი ალექსანდრეძე ნუმისმატიკური მასალების მიხედვით

კონკრეტული კუთხით განსახილველი ნუმისმატიკური ძეგლების სია შემდეგია:

ათენური ტეტრადრაქმა

1. გასული საუკუნის მიწურულს მწვანე კონცხის მიდამოებში ნაპოვნია ძვ.წ. V-IV სს. დათარიღებული ათენური ტეტრადრაქმა (147,37, N 12; 120, 60, N 52).

მაკედონური ემისიები

2. 1969 წელს ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩნდა ფილიპე II სტატერი (53, 203).

მცირე აზია

ა) კიზიკის ემისიები

3. 1952 წ. ფიჭვნარში შემთხვევით წააწყდნენ კოლხური ფულის განძს. კომპლექსში შედიოდა კიზიკი ძვ.წ. 500-460 წწ. მოჭრილი სტატერი (ტიპი:

ნიკე) (106, 34-35, სურ. 3; 117, 33-34, N 1).

4. 1968 წელს ფიჭვნარში არქეოლოგიური გათხრების დროს ბერძნული ნეკროპოლის N 15 სამარხში დაფიქსირდა ძვ.წ. V ს. I ნახ. მიწურულით დათარიღებული კიზიკური მონეტა (ტიპი: ტრიტონი) (132, 88-89, ტაბ. I, N 1; 117, 34, N 2).

5. 1967 წელს ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის მე-6 სამარხმა მოგვცა კიზიკური ფული, მოჭრილი ძვ.წ. 460-440/30 წწ. (ტიპი: ნიფთა კლიტე) (132, 89, ტაბ. I, N 2; 117, 34, N 3).

6. ამ კატეგორიის ძეგლი, შესაძლოა, ვანშიც იყოს მიკვლეული (ამასთან დაკავშირებით იხ. 117, 34).

ბ) ლიდია

7. 1990 წელს სულორში აღმოჩნდა კოლხური თეთრის განძი. მის შემადგენლობაში შედიოდა ორი ლიდური ვერცხლის მონეტა. ერთ-ერთი მათგანი მოჭრილია კრეზის დროს, ძვ.წ. 561-546 წწ. (Av. ლომის და ხარის თავები ერთმანეთის პირისპირ; Rv. ორი quadratum incusum) (მონეტის ტიპი იხ. 178, 116, ტაბ. 60, 1061). მეორეც სადღაც ძვ.წ. VI ს. I ნახ. უნდა დათარიღდეს (Av. ლომის თავი; Rv. ვარსკვლავის გამარტივებული გამოსახულება) (178, ტაბ. 60, N 1058, 166. ანალოგიურ ნუმიზმატიკურ კატეგორიას აქ თარიღად ძვ.წ. 610-561 წწ. უხის).

გ) სინოპური დრაქმები

8. 1967 წ. ფიჭვნარის კოლხურ ნეკროპოლზე ნაპოვნია ძვ.წ. VI-V სს. სინოპური დრაქმა (ტიპი: დელფინი. Rv. quadratum incusum) (132, 90, ტაბ. I, N 3; 117, 34, N 4).

9. 1965 წ. ურეკში წააწყდნენ ძვ.წ. IV ს. სინოპურ დრაქმას. ემისიის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია ძვ.წ. 370 წ. (117, 34, N 5).

10. იქვე კიდევ ერთი იმავე დროის დრაქმის აღმოჩენის ფაქტია დადასტურებული (117, 34, N 6).

11. ძვ.წ. IV ს. I ნახ. 4 სინოპური დრაქმა ბათუმის მიდამოებიდან (117, 34, NN 7-10).

12. 1948 წ. ფიჭვნარში შემთხვევით იქნა ნაპოვნი სამონეტო განძი. ნაწილი აქედან სამუხეუმო ფონდებში შევიდა. კომპლექსი სინოპური დრაქმებისა და კოლხური ჰემიდრაქმებისაგან შედგებოდა (117, 35, NN 11-13).

13. ძვ.წ. IV ს. სინოპური დრაქმა დაფიქსირებულია სოხუმშიც (117, 35, N 14).

დ) ამისო

14. 1966 წ. ქობულეთი. შემთხვევითი მონაპოვარი. ამისო. Ar. ძვ.წ. IV ს. (ალექსანდრემდე) (ტიპი: ქალის თავის გამოსახულება. Rv. ბუ. ΠΕΙΡΑ) (117,35, N 15).

15. იდენტური სიკლი სოხუმის ციხის ტერიტორიაზე არის მოძიებული (117,35, N 16).

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი

ა) პანტიკაპეონი

16. 1967 წ. ფიჭვნარი. ბერძნული ნეკროპოლის N 5 სამარხი. პანტიკაპეონი. Ar. ძვ.წ. 475-450 წწ. (ტიპი: დელფინის თავის გამოსახულება. Rv. quadratum incusum) (117,35-36, N 17).

17. 1926 წ. ციხისძირი. პანტიკაპეური Ae. ძვ. წ. 370-340 წწ. (117,36, N.18).

ბ) ნიმფეიონი

18. 1968 წ. ფიჭვნარი. ბერძნული ნეკროპოლი. სამარხი N 8. დიობოლი. ძვ.წ. V ს. უკანასკნელი მეოთხედი (ტიპი: ნიმფის თავის გამოსახულება. Rv. quadratum incusum ვაზითურთ) (117,36, N 19).

გ) ქერსონესი

19. 1959 წ. სოხუმის ციხის ტერიტორია. ქერსონესული დიხალკი. ძვ.წ. 364-350 წწ. (117,36, N 21).

აქემენური სიკლი

20. 1990 წ. სულორი. კოლხურ ჰემიდრაქმებთან ერთად (იხ. N 7). ნაპოვნია ძვ.წ. VI-V სს. დათარიღებული აქემენური სიკლი (178, ტაბ. 95, N 1899).

კომენტარები:

1. უცხოური ვალუტა აკუმულირდება ზღვისპირეთში; მისი პინტერლანდში შეღწევის ხარისხი ძალზე დაბალია.

2. საოცრად აქტიურია სინოპე.

3. ათენური თალასოკრატიის სუპლემენტი პონტოს აუზში სინოპეა.

4. მალე კოლხური ექსპორტი მთლიანად ამ უკანასკნელის ხელში გადადის.

5. კოლხეთი პონტოური ეკონომიკური სისტემის კომპონენტია.

ზემოაღნიშნულთან მიმართებაში ევოლუციური თქაა შემდეგი - კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო (52).

§2. პოლემიკის სუბლემენტური აპრეციაცია დასავლეთის მიერ და რეალიზაციის სინთეზური აპრომიკურ-პოლიტიკური გზები (ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს.).

1. ჩვენ მიერ განხილულია ფს. მოსვეს ხორენაცთან პრეზენტირებული მეტად საინტერესო ცნობათა კომპლექსი, გარკვეული თვალსაზრისით კომპოზიციური მონოლითი, რომლის terminus post quem ფიგურალური ინტერპრეტაციით, ალექსანდრეს მიერ ქართლის გამგებლად დარეჰის ნახარარ მიჰრდატის განწესების შესახებ ინფორმაციაა, და მის ბაზაზე სპეციალურ ლიტერატურაში კონსტრუირებული ჰიპოთეზების ლოგიკურ-ინდუქციური ფონი. სუბიექტური შემეცნებითი დამზრობის ობიექტთა ლიმიტირებული წრის ეგზისტენციის პირობებში პონტოური ჰიპოთეტური ვარიანტი - მითრიდატე I პოლიტიკური ინტერესების და ქმედების შესახებ ამიერკავკასიაში - განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ეს უკანასკნელი და სხვა ამავე კატეგორიის დებულებები საერთო არასწორი მეთოდური მიდგომის პროდუქტია, რომლის საფუძველიც არის კონკრეტული წყაროთმცოდნეობითი ნიუანსის გაუთვალისწინებლობა. აღნიშნული ავტორის თხზულების მიმართ, მისი სპეციფიური ხასიათის გამო, წყაროთა ურთიერთშეჯერების კლასიკური მეთოდის გამოყენება არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. სხვა სიტყვებით, მტკიცება იმისა, რომ ხორენაციისეული დარეჰის სატრაპი მიჰრდატი მართლაც ზეპირგადაცემებიდან იღებს სათავეს, ძნელია. ვერც პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინება გვაძლევს რეალური სუბსტრატის ოდნავ ილუზიასაც კი მსგავსი ტიპის დეკლარაციის გაკეთებისთვის.

ჰიპოთეზურ-არგუმენტაციული ვარიანტების სრული შეფასება ილუსტრირებულია თვით მონოგრაფიაში, ამ ეტაპზე კი სუბიექტური დედუქციის ძირითადი შტრიხები იქნება წარმოდგენილი: ა) ერთი მხრივ, რეალურად არსებული კონსტრუქციების ლოგიკური უარყოფა, ხოლო მეორე მხრივ, გუგარქელი პიტიახშების გენეტიური ტიპის სტატუსის ბაზაზე პონტოს ისტორიის ინდივიდუალურ-ისტორიული ელემენტების წაკითხვის იოლი შესაძლებლობა, გვაძლევს ისტორიის ფალსიფიკაციის პრეზუმფციის შესაძლებლობას კონკრეტულ შემთხვევაში. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ხორენაცს ხელთ ჰქონდა მითრიდატული ომების ისტორია (ის რომ ავტორი კარგად არის ინფორმირებული პონტოს სამეფოს ისტორიის შესახებ, ამ-

კარაა, თუმცა ამ ასპექტით კონკრეტული წერილობითი წყაროს დადგენა რთულია), რომლის ცნობებსაც ის ამახინჯებს თავისი კარდინალური მიზნის საფუძველზე - განადიდოს საკუთარი ეთნოკულტურული წარსული. მაგრამ, როგორც შენიშნულია, ფს.მოვსეს ხორენაცი ყოველთვის ეძებს საფუძველებს ფალსიფიკაციის სფეროს ლოკალიზაციის, ამ შემთხვევაში პონტოს ისტორიის, და თვით კონკრეტული ფაქტობრივი მასალის დამახინჯებისთვის, თუმცა ამ მომენტებს ხაზს არ უსვამს.

ბ) ჯერ კიდევ პროფ. აღონცმა გაამახვილა ყურადღება იუსტინიანეს ხანის სომხურ-პონტოურ-კაპადოკიური სინთეზის საფუძველზე გარკვეული მცდარი ისტორიული ტენდენციების წარმოშობის შესაძლებლობაზე, მიიჩნია რა ასეთად ხორენაცთან დაკავშირებული გადაცემა (1,14) პონტო-კაპადოკიის უძველესი დროიდან სომხურ სამფლობელოებად არსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში დამახინჯებანი უფრო სუბიექტურია, შესაძლოა განმეორებადიც და არა მარტო ეთნიკური, ჯგუფის შემოქმედების ნაყოფი. იუსტინიანეს ნომინალურ-ადმინისტრაციული სისტემა სწორედ ფს.მოვსეს უქმნიდა ცდუნებას ისტორიული პონტო და კაპადოკია არმენიისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიებად წარმოესახა. საკუთრივ მცირე არმენიის ობიექტური ფენომენი ამ ადგილას მიჩქმალულია (შეად. 1,29). I, II, III არმენიები კი აღმოსავლეთიდან წარმართული ექსპანსია-მიგრაციის და თანდათანობითი არმენიზაციის შედეგად არის მიჩნეული (1,14). მაგრამ პონტოს სამეფო საკმაოდ აქტიური იყო იმისათვის, რომ ასახულიყო კლასიკურ მწერლობაში. საჭირო იყო ამ კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის „გაუცხოება“ საკუთარი საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან - ყოველივე ამის დასაბუთება სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით. შედეგი ხორენაცის ფალსიფიკაციისა ასეთია: დარიოსის სატრაპ მითრიდატესგან მომდინარე დინასტია გუგარქში არის გადაყვანილი; მითრიდატე, არტაშესის და ტიგრანეს თანამედროვე, იბრძვის კაპადოკიასა და პონტოში ტიგრანეს უმაღლეს ხელისუფლებას დაქვემდებარებული, ვინაიდან ეს მხარეები სწორედ სომხეთის მეფეებისაგან აქვს სამმართველოდ მიღებული; ევპატორის საქმეები კი არტაშესს მიეწერება. ვთვლით, რომ ზემოთ განხილული ერთი კონკრეტული ასპექტი, მისი შემდგომი დაზუსტება, დამატებით ლოგიკურ არგუმენტს იძლევა აღნიშნული თხზულების დათარიღებისათვის. ისტორიული პონტო, უპირველეს ყოვლისა, სინოპე-ამისო-ამასიის სამკუთხედაა, რომლის

მიმართ ტერმინ „არმენიის“ დიფუზიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ხორენაცისეული ექსპერიმენტი. ამგვარად, „სომხეთის ისტორია“ იწერებოდა თემა არმენიაკონის არსებობის სინქრონულად, ისიც მის დანაწევრებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვთქვათ, მაჟაქზე ხორენაცის პრეტენზია უსაფუძვლო იქნებოდა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ავტორი მანიპულირებს არმენიებით და არა არმენიაკონით, რაც უნდა მიუთითებდეს თხზულების „პუბლიკაციაზე“ გატარებული რეფორმაციიდან არცთუ ისე დიდი ხნის დაცილებით. აღნიშნული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის გენეზისთან დაკავშირებული ინფორმაცია გაიაზრება როგორც შესაბამისი ობიექტური რეალობისა, აქ მისტიფიკაცია შეუძლებელია, ე.ი. არმენიაკონის არსებობის ფაქტი აუცილებელია, მასზე ფორმალური დაყრდნობა - შეუძლებელი. სიზუსტისათვის მოვიშველიოთ გეოგრაფიის მონაცემები.

ხორენაცის „პონტოური“ ქიშერის კატეგორიისაა აქ დაცული ერთი მეტად საინტერესო ადგილი არტაშესის მიერ ეგეიდის კუნძულების დაკავების, ამ მხარეში „სახელგანთქმული ციხე-დარბაზის“ გარემოცვის შესახებ. ხალატიანცი არტაშესის შესახებ ფს. მოვსეს ხორენაცის თხრობის ერთ-ერთ წყაროდ და საფუძვლად სომხურ გეოგრაფიას მიიჩნევს. მაგრამ შეუძლებელია ერთი და იმავე კატეგორიის ცდომილების ნიმუშთაგან აშკარად რაღაც თეორიული დასაბუთების შესატყვისი მშრალი თეზისის (ამ შემთხვევაში გეოგრაფიის შესატყვისი ნაწილი) მოწყვეტა სუბსტრატისაგან ე.ი. მივიჩნევთ, რომ გეოგრაფია და ისტორია ერთ ავტორს განეკუთვნება. ამასთან, ვითვალისწინებთ რა პირველი მათგანის უცილობელ დათარიღებას VI ს. II ნახ. - VII ს. I ნახ., ვთვლით, რომ სწორედ ეს მომენტი უნდა იქცეს ამოსავალ დებულებად ფს. მოვსეს ხორენაცის თხზულების ქრონოლოგიისათვის - 1. აქ ჰერაკლეს რეორგანიზაცია არ არის გათვალისწინებული (ნაშრომი იწერება ათიან წლებში, თემების ფორმირების პერიოდში). 2. ისიც ნათელია, რომ ხორენაცის მიერ ჯერ ისტორია შეითხზა. ამრიგად, გვეჩვენება, რომ „სომხეთის ისტორია“ გასრულდა VII ს. ათიან წლებში; ათიანი წლებივე მოხმარდა გეოგრაფიის შექმნას.

ხორენაცის კონკრეტული მისტიფიკაციის სხვა საფუძველია ევპატორს და ტიგრანეს შორის რეალური წერილობითი წყაროებით დადასტურებული პოლიტიკური ალიანსი, სადაც ერთ-ერთ მათგანს ავტორი საკანონმდებლო რეგალიას ართმევს.

კიდევ ერთი მომენტი. ხორენაცის ყველაზე საინტერესო კონცეფცია-თაგანია, უფრო სწორედ, ეს იდეა მასთან სრული სახით არის ჩამოყალიბებული, თეზა არმენია-ირანის პოლიტიკური „უნის“, „ორი ტახტის“ შესახებ ირანული პრიმატის პირობებში. აღნიშნული პოლიტიკური კონიუნქტურა დროის ხანგრძლივ პერიოდს შეესაბამება. თეორიის საფუძვლები ასეთი სახით გვესახება: 1. არშაკიდები სომხეთშიც და ირანშიც. 2. დროის გარკვეულ ეტაპებზე პართიის პოლიტიკური გავლენა არმენიაზე. 3. I-II სს. სომხეთის ტრადიციული პროპართული სიმპათიები და ორიენტაცია. 4. ზეპირგადაცემში დაშვებული ანაქრონიზმები - არმენიის ტერიტორიაზე არშაკიდთა ზეობის დაძველების ტენდენციები. იდეის თავდაპირველი ფორმა ანონიმთან არის დაცული. ხორენაცი უფრო შორს მიდის. არშაკიდული დინასტიის შედარებით მოკრძალებული მისწრაფებანი აქემენიანთა საგარეო-პოლიტიკური ტენდენციებით შეცვალა, განიხილა რა ეს ორი თვისებრივად განსხვავებული საფეხური ირანის პოლიტიკური ევოლუციისა ტიპოლოგიურად იდენტურად. და ეს არის მთავარი. მასზე დაყრდნობით აქემენიანთა დასავლურ ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა რეალიზაცია სომხების კომპეტენციად არის გამოცხადებული. მაგალითად, არტაშესის სახის გენეზისში ნაწილობრივ ხორენატთან მონაწილეობას იღებს სამი პოლიტიკური მოღვაწე - კიროსი, ქსერქსე და აქევა ევპატორიც, რომლის კარდინალური საგარეო-პოლიტიკური კურსიც ასევე დასავლეთისკენ არის მიმართული.

აღნიშნულმა სამმა საფუძველმა მოხაზა ხორენაცის ფალსიფიკაციის სფერო და ძირითადი მიმართულება, ხოლო მისი რეალიზაციისათვის საჭირო კონკრეტული არგუმენტაცია მან ფს. კალისტენეს ალექსანდრეს რომანის სომხურ ვერსიასა (24,91, თ. 168) და იოსებ ფლავიუსთან (Flav. Ios., Ant. Jud. XIII, 421) დაძებნა.

ზემოთ ყურადღება გამახვილდა ხორენაცის ერთი კონკრეტული ფალსიფიკაციის მხოლოდ ძირითად ასპექტებზე.

ვთვლით, რომ ინფორმაცია ალექსანდრეს მიერ ივერიელთა გამგებლად დარეპის ნახარარ მიპრდატის დანიშვნის შესახებ თვით ფს. მოვსეს ხორენაცის მიერ არის შეთხზული გარკვეული მოსაზრებების გამო და არ მომდინარეობს ზეპირგადაცემებიდან. პონტოს სამეფოს აქტიურობა ამიერკავკასიაში ასე ადრეული პერიოდისთვის ლოგიკურად გამორიცხულია და არც რაიმე კონკრეტული არგუმენტი არ არსებობს ამასთან დაკავშირებით. მამ,

რა უნდა ვიგულისხმოთ „საბერძნეთის“ ქვეშ, რომელიც ასურასტანს უპირისპირდებოდა ქართლის საკითხში; რომელი სამეფო გზავნის თავის სამხედრო ძალებს ემერას დასახმარებლად?! ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი მოსაზრების გამოთქმა.

2. აზო-ფარნავაზის კონფრონტაციის მიახლოებითი თარიღი ალექსანდრეს ზეობასთან მისი ქრონოლოგიური სიახლოვით, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, „ასურასტანის მეფე ანტიოქოსის“ „საბერძნეთთან“ სინქრონული კონფლიქტის ფაქტით დგინდება. აღნიშნული მონაცემები ამკარად დიაღოხების ხანაზე მიუთითებს. ხოლო თვით „ანტიოქოსის“ დაკავშირება ასურასტანთან და მისდამი მორჩილი სომეხი ერისთავების არსებობა იფსოსთან ბრძოლის შემდგომი პერიოდით აკონკრეტებს ჩვენთვის საინტერესო საკითხს. გამომდინარე საერთო პოლიტიკური კონიუნქტურიდან, ერთადერთი, ვისაც ამ დროისათვის შესაძლებელია ჰქონოდა პრეტენზია ჰეგემონიაზე მთელი შავიზღვისპირეთის მასშტაბით, თრაკიის მეფე ლისიმაქე იყო და იგი აღნიშნული იდეის მატარებელი პირველი მონარქია (მის პოლიტიკურ შემკვიდრებად ამ ასპექტში ფარნაკე I და მითრიდატე VI წარმოგვიდგებიან). გამოვდივართ იქიდან, რომ აუცილებლად ერთი და იგივე ძალა ერევა კოლხეთის და იბერიის საქმეებში.

3. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პოლისური სისტემის კრიზისი კულმინაციას აღწევს ძვ.წ. IV-III სს. და ბერძნული ქალაქებიც საგარეო დახმარების წყალობით ცდილობს საკუთარი კვაზი-ავტონომიის შენარჩუნებას. ძვ.წ. 301 წ. ლისიმაქეს ინტენსიური ინტერვენციის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია. სელევკის აქტიური დაინტერესება ქართლის საქმეებით კი 80-იანი წლების მიწურულით უნდა დათარიღდეს, როდესაც მოხდა განხეთქილება ორ მეფეს შორის. ვთვლით, რომ ერთ-ერთი მიზეზი ამიერკავკასიის საკითხი იყო.

4. ალექსანდრეს ლაშქრობამ ინდოეთთან მეტად ხელსაყრელი ვაჭრობის პერსპექტივები მოხაზა. ტრანსკავკასიური მაგისტრალი ლისიმაქესთვის ერთადერთი საშუალება იყო პირდაპირი კავშირი დაემყარებინა იმ ქვეყანასთან და მიეღო ის დამატებითი შემოსავალი, რაც ასე აუცილებელი იყო მისი პერმანენტულად მერყევი პოზიციების პირობებში; იყენებს რა პერაკელეას (პონტოელი მეფეები შემდგომ სინოპეს და ამისოს ეყრდნობიან) ეკონომიკურ მიმართებებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან, რომ-

ლესაც სკეპტუხები ავიწროვებენ, თავისი პოლიტიკის არეალში მოაქცევს მათ - თრაკიის მეფე მხარს უჭერს პოლისების ბრძოლას კოლხების წინააღმდეგ და ამით ხელთ იგდებს გზის საწყის მონაკვეთს. სურს რა ჰეგემონიის განვრცობა უფრო ღრმად ამიერკავკასიის ჰინტერლანდში, თავის კლიენტად არიან - ქართლის გამგებელს აზოს შეარჩევს და მას შიდა ქართლის უფლად განდის (თავდაპირველად სწორედ „საბერძნეთი“ - ბალკანეთის და მცირე აზიის მომცველი პოლიტიკური ერთეული აქტიურობს აღნიშნულ რეგიონში. **ქს**, I, გვ, 20). ქართლის სამეფოს თანადროული დიფუზია ჰერეთის და ეგრისის მიმართულებით სწორედ ლისიმაქეს მიერ იყო ინსპირირებული; ამასთან დაკავშირებით მეტად სიმპტომატურია ფარნავაზის ალიანსი კოლხეთის პოლიტიკურ ძალებთან. შემდგომი წიშლვა უკვე დიპლომატიური ხერხებით უნდა განხორციელებულიყო.

ტრანსკავკასიური გზის ექსპლოატაციის რეგალია რიგი შავიზღვისპირა მონარქიების (მათ შორის პონტოს) საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხად იქცა; საჭიროდ მივიჩნით დეტალურად შევხებოდით აღნიშნული მაგისტრალის ეკონომიკური არსის პრობლემას (იხ. ქვემოთ).

ზემოთ მოტანილი მოსაზრებისათვის დამატებით არგუმენტად ნუმიზმატიკური მასალის, კერძოდ, ლისიმაქეს სტატერები შესაბამისი პასპორტით, სირიული ემისიები - მექანიკური მისადაგების შესაძლებლობა ჩვენ გამოვრიცხეთ. მისი რაციონალური კომენტარი კი ასე გამოიყურება: 1. დასავლეთ საქართველოში მიკვლეული ლისიმაქეს ფული (ბიზანტიონის ცალების გარდა) მხოლოდ ტიპოლოგიურად განსხვავებული წყაროების მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე შესაძლოა იქცეს ლოგიკური ტიპის დამატებით არგუმენტად ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. ქართლში ნუმიზმატიკური „საფუძვლების“ არარსებობა არც არაფერზე მეტყველებს. ქვეყანა განვითარებული ფულადი მეურნეობის საფეხურზე ჯერ არ ასულა და არც რომელიმე უცხო კონტინგენტის ხანგრძლივი დგომა არის აქ სავარაუდო. 2. უშუალო ეკონომიკური ინტერესები, გარდა სატრანზიტო პერსპექტივებისა, ლისიმაქეს კოლხეთში არ ჰქონია. 3. პერაკლეას კომერციული მიმართებანი სხვადასხვა ვალუტით, მათ შორის, ალექსანდრეს სახელით მოჭრილი სტატერებით ხორციელდებოდა და საერთო ჯამში არც იყო მაინცდამაინც დიდი მოცულობის. 4. მონეტათა შემოსვლა მნიშვნელოვანწილად პოლიტიკური არხებით ხორციელდებოდა.

5. პოლიბიოსთან (Polib. XXV. 12-13) დაცული კონკრეტული პოლიტიკურ-გეოგრაფიული კონიუნქტურა, ფარნაკე I საგარეო პოლიტიკური კურსის აბსოლუტურ-რეგიონალური ტიპის ლოგიკური დაშვება, აკის სტატერის ავტონომიური გენეზისის ტოპოგრაფიული ჰიპოთეზის მოხმარება, აკის და აკუსილოხის ნომინალურ-აბრევიატურული მიმართების ზედაპირული ვარაუდის შესაძლებლობის სუსტრატზე წყაროთმცოდნეობითი და წმინდა ნუმისმატიკური აქსიომური სინთეზი შემდეგი დებულების საფუძველია - პონტოს ინტერესების რეგიონალურ-დიფუზიური ევოლუციის ობიექტად კოლხეთის ეგზისტენცია შესაბამისი დროისთვის რეალობაა; წარმოდგენილი ქრონოლოგიური მომენტი, კერძოდ, ძვ.წ. II ს. 80-იანი წლები, პონტო-კოლხეთის პოლიტიკური აპლიკაციის terminus post quem სტატუსს იძენს.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით წმინდა ნუმისმატიკური თვალსაზრისით? საქმე ისაა, რომ „ელინისტურ“ ხანაში მონეტებზე მეფის სახელი მხოლოდ იმ შემთხვევაში თავსდებოდა ფრაგმენტულად, როდესაც ამას მოითხოვდა მონეტის არის სიმცირე, მისი მხატვრულ-ტექნიკური მხარე. ე.წ. აკის სტატერზე კი მეფის სახელის შემოკლება არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა, სტატერის არეზე სავსებით თავისუფლად მოთავსდებოდა აკუსილოხის სრული სახელი. ამრიგად, აკუსილოხის და ე.წ. აკის უყოყმანო იდენტიფიკაცია, ჩვენი აზრით, ჯერჯერობით მყარად დასაბუთებული არ არის.

ფარნაკე I დროს პონტოს სამეფო მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად იქცა. იყენებდა რა სინოპელთა და ამისოელთა ტრადიციულ სავაჭრო კონტაქტებს კოლხეთთან, ფარნაკე, ალბათ, ცდილობდა ქვეყნის საკუთარი პოლიტიკის ორბიტაში ჩართვას. სწორედ მის დროს შემუშავდა პონტოს საგარეო პოლიტიკის ის კარდინალური ხაზი, რომლის აქტიური გამტარებელიც მითრიდატე VI ევპატორი იყო - შავიზღვისპირეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა, ხოლო მისი განხორციელების ერთ-ერთ საფეხურს კოლხეთის ანექსია წარმოადგენდა. სხვა საკითხია აკუსილოხის, ამ ჰიპოთეტური კოლხი ბასილევსის, პოლიტიკური სიმპათიების გარკვევა. წყაროთმცოდნეობითი ბაზის არსებული დონე გამორიცხავს ამ ასპექტით მეტად თუ ნაკლებად რეალური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

6. დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების გადათარიღების და

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პონტოს ქალაქების სინქრონული ნუმისმატიკური ძეგლების მრავალრიცხოვანი აღმოჩენების ბაზაზე ჩამოყალიბდა მოსაზრება კოლხეთის ერთდროული ანექსიის შესახებ ძვ.წ. 105-90 წწ. ყოველივე ეს აქ გაზიარებულია.

7. მითრიდატეს გარნიზონები დისლოცირებული უნდა ყოფილიყო, ნაწილობრივ, დიოსკურიადში, ემერასა და ვანში. ამაზე მიუთითებს ნუმისმატიკური მასალა, კერძოდ, პონტოური სპილენძი.

8. არქეოლოგიური სუბსტრატი ვანსა და ემერაში სინქრონული ხანძრის ფაქტის კონსტატაციას ახდენს. სპეციალურ ლიტერატურაში მათი ერთმანეთთან დაკავშირება ჯერ არავის უცდია. ავტორის ჰიპოთეზით, ორივე ნგრევა ევპატორსა და მითრიდატე უმცროსს შორის წარმოებული კოლიზიების რეზულტატია.

განხილულია კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, აპიანეს მიხედვით, მითრიდატე VI „პონტოში რომ დაბრუნდა, გამდგარ კოლხებსა და ბოსფორელებს გაუმართა ომი. ამათგან კოლხები მას შვილს სთხოვდნენ, მითრიდატეს, რათა მიეცა მათთვის მეფედ და (როგორც კი) მიიღეს, მაშინვე დამორჩილდნენ. მაგრამ მეფემ იეჭვა, რომ ეს ყველაფერი მოაწყო მისმა შვილმა, რომელსაც მეფობა სურდა, მოაყვანინა იგი, დაადო ოქროს ბორკილები და შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ მოჰკლა (კიდევაც)“ - რამდენად რეალურია მითრიდატე უმცროსის ალიანსი აჯანყებულებთან, არის კი რაიმე მასალა მისი არსებობის სამტკიცებლად, რის საფუძველზე უნდა შეეტანა ეჭვი ევპატორს შვილის ერთგულებაში. აპიანეს მოყვანილი ციტატის ანალიზი, ყველაფერი ამის შეჯერება პლუტარქეს ცნობასთან პირველი მითრიდატული ომის მსვლელობისას ევპატორის ერთერთი შვილის „სინოპეს სამეფოში“ (საკუთრივ პონტო, ბოსფორი და კოლხეთი) რეგენტად ყოფნის შესახებ, კვლავ აპიანეს ზოგი სხვა მონაცემის გათვალისწინებას საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: მამის არყოფნის დროს პონტოს სამეფოს სწორედ მითრიდატე უმცროსი განაგებს. შესაძლოა მას თავისი ეს მდგომარეობა გამოეყენებინა საკუთარი მიზნებისათვის - ევპატორის წარუმატებლობის უამს დაკავშირებოდა კოლხებს და წაექეზებინა ისინი აჯანყებისათვის, რასაც, საბოლოო ჯამში, მისთვის მეფის გვირგვინი უნდა მოეტანა, თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ კოლხეთის განდგომა ინსპირირებული იყო უფრო ღრმა მიზეზებით და მას არავითარი წაქეზება

არ სჭირდებოდა. მითრიდატე უმცროსი მხოლოდ შემდგომ ეტაპზე ჩნდება - არწმუნებს აჯანყებულებს, თუ რამდენად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ომიდან საკმაოდ იოლად გამოსული მითრიდატესათვის მხოლოდ მისი თავი ეთხოვათ მეფედ და უკიდურესობამდე არ დაეძაბათ სიტუაცია. შესაძლოა კი ინსურგენტებთან კავშირის საერთოდ არც კი ჰქონოდა ადგილი. მეფის მოთხოვნის ინიციატივა კოლხებიდან მომდინარეობდა, მითრიდატე უმცროსი კი მათთვის „ნაცნობ“ პიროვნებას წარმოადგენდა. მაგრამ პონტოს სამეფოს დროებითი გამგებლის „თანამდებობა“ თავის თავში გულისხმობდა კოლხებთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას. ამას კი აუცილებლად გაითვალისწინებდა ევპატორი სხვა უფრო აშკარა მოქმედებებთან ერთად. მითრიდატე VI დაეჭვდება შვილის კავშირზე აჯანყებულებთან, ალბათ, მისი რაიმე სეპარატისტული აქციის საფუძველზე. რა იყო ეს, ჩვენ არ ვიცით, ისტორიას მსგავსი მომენტები არ შემოუნახავს. თვით ეს ფაქტი და კიდევ სხვა ნიუანსიც - მითრიდატე უმცროსის მოქმედებამ ევპატორს მხოლოდ და მხოლოდ ეჭვები აღუძრა, მისი ღალატი „აშკარა“ არ ყოფილა - მიუთითებს ამ ტენდენციების გაუბედავ ხასიათზე. მაინც რაში უნდა გამოვლენილიყო მითრიდატე უმცროსის სეპარატიზმი? საკითხს ღიად ვტოვებთ. მართებულად არ მიგვაჩნია ასეთ მომენტად მის მიერ ლოტოსისგამოსახულებიანი ვერცხლის და სპილენძის მონეტების (აღმოჩენათა ტოპოგრაფია: ვანი, ეშერა, წებელდა (?)) მოჭრის ფაქტის მიჩნევა. მითრიდატე უმცროსი, თუნდაც მხოლოდ ფორმალურად, მაგრამ მაინც სრულუფლებიანი ბასილევსია და, შესაბამისად, სამონეტო რეგალიაც, სამეფო ხელისუფლების ეს განუყრელი ატრიბუტი, მის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს. ლოტოსისგამოსახულებიან მონეტებში საკმაოდ კარგად იკითხება ფილოპატორის რეალური სტატუსი; იგი მხოლოდ და მხოლოდ მითრიდატე VI ნაცვალთა კოლხეთში. ხსენებულ ნუმისმატიკურ ძეგლებზე არ თავსდება მეფის სახელი, სამონეტო ტიპის სქემა კი ნასესხებია ევპატორის წინარე ხანის პონტოელ „სატრაპთა“ ნუმისმატიკიდან. სკეპტიციზმი მითრიდატე უმცროსის ხელისუფლების ხასიათის მიმართ, მოსაზრება ამ პიროვნების ჩვეულებრივ „სატრაპად“ ყოფნის შესახებ ემყარება ნუმისმატიკური მასალის არასწორ გააზრებას, მითრიდატე VI და კოლხეთის ურთიერთობის პერიპეტეების მცდარ ინტერპრეტაციას.

9. მემნონის ცნობის თანახმად, მითრიდატემ რომთან პირველი ომის

წინ, სხვებთან ერთად მოკავშირედ გაიხადა იბერიის მეფეც. ამ ცნობაზე დაყრდნობით თ. რეინაკი თვლიდა, რომ პონტოს მეფემ იმთავითვე დაამყარა იბერიასთან მეგობრული და საეკონომიკური კავშირი. მემონის ამ ცნობას დღეისათვის გააჩნია ნუმისმატიკური საფუძველი. იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ. წ. II ს. დასასრულის და I ს. დასაწყისის სპილენძის რვა მონეტა, მოჭრილი სინოპს, ამისოსა და ამასტრეაში. ეს მონეტები იბერიაში უნდა მოხვედრილიყო დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, ვანის მიდამოებიდან, სადაც, როგორც ვარაუდობენ, მითრიდატეს მხედრონი უნდა მდგარიყო. ჩანს, იბერიის მეფის ნებართვით პონტოს კოლხური კონტინგენტის რაღაც გარკვეულმა ნაწილმა გაიარა აღმოსავლეთ საქართველოზე. სხვა არხებით ამ მონეტების მოხვედრა მცხეთა-თბილისის მიდამოებში ძნელი ასახსნელია.

10. პლუტარქეს მოწმობის, ტიგრანეს და მითრიდატეს მხარეზე რომაელების წინააღმდეგ სომხეთის ტერიტორიაზე იბრძოდნენ იბერი მოლაშქრეები. ეს ცნობა დასტურდება ნუმისმატიკური ფაქტებით. აღაიანში აღმოჩენილია ძვ. წ. 72/71 წწ. დათარიღებული მითრიდატე VI ევპატორის ტეტრადრაქმა. იქვეა ნაპოვნი აგრეთვე ძვ. წ. 83-69 წწ. ორონტის ანტიოქიაში მოჭრილი ტიგრანე II სამი ტეტრადრაქმაც.

1975-1979 წწ. მცხეთის რაიონის ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღაიანის სამაროვანზე ანტიკური ხანის 103 მონეტა აღმოაჩინა; აქ უფრო ადრეც ჰქონია ადგილი ნუმისმატიკურ აღმოჩენებს.

წარმოდგენილი მეტად ჭრელი სამონეტო ბაზარი არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად ამ ადგილებში ძვ. წ. I საუკუნიდან ინტენსიური საქალაქო ცხოვრების არსებობის შესახებ აქსიომური დებულების საფუძველია.

შეუდარეთ რა აღაიანში აღმოჩენილი ნუმისმატიკური კომპლექსი მეზობელი სახელმწიფოების, კერძოდ, კოლხეთის, ალბანეთის და სომხეთის ტერიტორიაზე მიკვლეულ სინქრონულ მონეტებს, მივედით იმ დასკვნამდე, რომ მეტ სიახლოვეს იგი სომხეთში ნაპოვნ მასალასთან ამჟღავნებს. ჩვენი აზრით, აღაიანში აღმოჩენილი მასალის ნაწილი იმ გზითაა ქართლის ფარგლებში მოხვედრილი, რომელიც რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის რუკის თანახმად იწყებოდა ქალაქ არტამატთან და გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: დილიქანი-აღსტაფა-ყაზახი-რუსთავი-თბილისი-მცხეთა.

11. V ჯგ. - ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული

მინაბაძები (1 + 5; ძვ.წ. I ს. II ნახ. - I ს. დასაწყისი) - მეტად საინტერესო მონეტები მცხეთიდან მომდინარე ანალოგიურ მასალასთან ერთად „ელინისტური“ ხანის მიწურულისთვის იბერიაში სამონეტო ემისიის ტრადიციის ჩასახვის მაჩვენებელია.

სხვადასხვა პერიოდის და კატეგორიის იმიტაციების კონცენტრაცია ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ ალაიანის ფარგლებში მცირე მასშტაბის ზარაფხანის არსებობა ვივარაუდოთ.

12. ძვ.წ. 40 წ. რომაელებმა პონტოს სამეფო აღადგინეს და მის ტახტზე ფარნაკე II ძე - დარიოსი დასვეს. იგი მალე შეცვალა კილიკიის მმართველმა პოლემონმა ქ.ლაოდიკეიდან, რომელიც ძვ.წ. 8 წ. ილუპება ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ერთ-ერთ სარმატულ ტომთან ბრძოლაში. ქვეყანას ამიერიდან მისი მეუღლე - პითოდორისი მართავს. იგი ცოცხალია 19/20 წწ., როცა სტრაბონმა თავისი თხზულება „გამოაქვეყნა“. ამის შემდგომ წერილობით წყაროებში არავითარი ცნობა არ არის პონტოს სამეფოს შესახებ, ვიდრე 38 წ., როცა კალიგულამ ქვეყანა უბოძა პოლემონ II.

წერილობითი წყაროების მონაცემებში არსებული ხარვეზის შევსებას ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში შეეცადა თ.რეინაკი. მან ყურადღება გაამახვილა პითოდორისის ქალიშვილის - ანტონია ტრიფანას სახელით მოჭრილ მონეტებზე, რომლებიც ატარებდა მეფობის წლებს $IZ = 17$ და $IH = 18$, გაითვალისწინა ზოგიერთი ცნობაც და მათ საფუძველზე ივარაუდა 22/23 წწ. (?) პითოდორისის გარდაცვალება, რომაელთა მიერ ქვეყნის სამეურვეო ტერიტორიად ქცევა.

თ.რეინაკის დასკვნები არსებითად სწორია, მისი მსჯელობა კი რადიკალურ ცვლილებას მოითხოვდა - რეინაკი მკვეთრად უპირისპირდებოდა ფაქტობრივ მასალას.

პონტოს სამეფოს ნუმისმატიკური ძეგლების ანალიზი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, წერილობითი წყაროების მონაცემების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: პითოდორისი გარდაიცვალა პონტოურ წელიწადს 22 წ. ოქტომბერი - 23 წ. ოქტომბერი. ეს მისი სიკვდილის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია; ზედას დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია. ამავე დროიდან აითვლება ფორმალურად ანტონია ტრიფანას ზეობაც, რომელიც რეალურად ქვეყანას სათავეში მხოლოდ 38 წ. ჩაუდგება. 22/23 წწ. (?) - 38 წ. პონტო სრულწლოვანი მამაკაცი მემკვიდრეების არარ-

სებობის გამო რომაელთა მეურვეობის ქვეშ არის მოქცეული. შესაძლოა, მზადდებოდა ნიადაგი ქვეყნის ანექსიისათვისაც.

კოლხეთი პოლემონური პონტოს სამეფოს „სატრაპიაა“, მისი განუყოფელი ნაწილი. ალბათ, პონტოსთან ერთად ისიც სამეურვეო ტერიტორიად იქნა გამოცხადებული. ჩვენი აზრით, საჭიროა გადაისინჯოს ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრება კოლხეთზე რომაელთა უშუალო პროტექტორატის მხოლოდ და მხოლოდ ნერონის დროს დამყარების შესახებ; დასაშვებად მიგვაჩნია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში რომაული გარნიზონების გაჩენა (მხოლოდ დროებით) ჯერ კიდევ ტიბერიუსის პრინციპატის დროს.

პონტოს ეკონომიკური სისტემის დიალექტიკური შტრიხია შავი ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებს შორის არსებული მიმართება. ნუმისმატიკური ტიპის ემპირიული მასალა ასეთი სახით წარმოდგება:

1. 1967 წ., ფიჭვნარი. ბერძნული ნეკროპოლის N 5 სამარხი. აქ აღმოჩნდა ძვ.წ. 475-450 წწ. დათარიღებული პანტიკაპეური მონეტა /Ar./ /132, 90, N 4).

2. 1926 წ., ციხისძირი, ძვ.წ. 370-340 წწ. პანტიკაპეური სპილენძი (130, 143, N 4).

3. 1968 წ., ფიჭვნარი. ბერძნული ნეკროპოლის N 8 სამარხი. ძვ.წ. V ს. უკანასკნელი მეოთხედის ნიმფეიონის დიობოლი (132, 91, N 5).

4. საუკუნის დასაწყისში სვანეთში აღმოჩნდა პანტიკაპეური სტატერების განძი (≈30 ც.). ძვ.წ. IV ს. ბოლო მეოთხედი (119, NN 8-9; 149, N 700).

5. მულახში (სვანეთი) მიაკვლიეს პანტიკაპეურ სტატერს, მოჭრილს ძვ.წ. 315-300 წწ. (80, 28, ტაბ. XIV, N 1).

6. გასული საუკუნის მიწურულს სადღაც სამეგრელოში დაფიქსირდა ძვ.წ. III ს. უკანასკნელი მეოთხედის პანტიკაპეური სტატერი (97, 761).

7. 1938 წ., სოხუმის ციხის ტერიტორია. პანტიკაპეონი (Ae. ძვ.წ. 325-300 წწ. (161, 21, N 23).

8. 1938 წ., სოხუმის ციხის ტერიტორია. პანტიკაპეონი (Ae). ძვ.წ. II ს. უკანასკნელი მეოთხედი (161, 21, N 24).

9. კვლავ სოხუმის ციხის ტერიტორია. ქერსონესის დიხალკი. ძვ.წ. 364-350 წწ. ემისია (161, 20, N 20).

10. ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია ძვ.წ. II ს. ქერ-

სონესის სპილენძის მონეტას (44, 281).

ეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი არ არის. Pax Romana და მისი პონტოური რეალიზაცია ინარჩუნებს კონტაქტებს. ამ დროს ბოსფორული მონეტა იბერიასაც კი აღწევს. თუმცა თეზის საილუსტრაციოდ მოტანილი მასალაც საკმარისია.

ასევე, დასავლურქართული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფარგლებში მოჭრილი ფული ვრცელდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში:

1. 1960 წ., ჰერმონასა. კოლხური თეთრი. (3) ტიპი (98, 73).

2. 1939 წ., ნიმფეიონში დემეტრას ტაძარში აღმოჩნდა ორი კოლხური ჰემიდრაქმა. აქვე მიაკვლიეს კოლხურ პითოსებსაც (154, 238-242).

3. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია რეგიონში დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების აკუმულაცია (ამასთან დაკავშირებით იხ. 52, 75).

ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიალექტიკური ეკონომიკური და, ზოგჯერ, პოლიტიკური აპლიკაცია ამკარაა. მაგრამ მაშინ რით აიხსნება საქართველოში ოლბიური ნუმისმატიკური ძეგლების მცირე რაოდენობა?!

1. 1956 წ., ნიჩბისში (მცხეთის რაიონი) ძველი აბანოს ნანგრევებში ნაპოვნია ოლბიური სპილენძის მონეტა (გ.ფ. N 9562 წ. 8,8; d - 11/12. Av. აპოლონის ბიუსტი მარჯვნივ. მის უკან დელფინია. Rv. ფრინველი დელფინზე. ლეგენდა - $\text{H OABIO}_{\text{იხ. 130,143, N 6. აქ ემისიის დროა ძვ.წ. IV BSE}}$
ს. ამჯერად ნუმისმატიკური ძეგლი გადათარიღებულია უფრო მოგვიანო ხანით).

2. სოხუმის ციხის ტერიტორია. ჰემიდრაქმა /Ae./ ძვ.წ. III ს. II მესამედი (161, 20, N 22) (აფხაზეთის მუზეუმი, N 326/ 16 წ. - 8,64. d - 21/25. Av. მდინარის ღმერთის ბორისთენეს თავის გამოსახულება. Rv. მშვილდი და სეკირა. მარჯვნივ ნახევრად წამლილი წარწერაა - OABI, მარცხნივ - ΠΟ).

3. 1902 წ., ბორი (ხარაგაულის რაიონი). ძვ.წ. II ს. ოლბიური დრაქმა (120, 60, N 61).

4. 1902 წ., ბორი. ოლბიური დრაქმა. ძვ.წ. I ს. (148, N 311) (ე.პახომოვი მას ასე აღწერს: Av. აპოლონის თავის გამოსახულება დაფნის გვირგვინით მარჯვნივ. Rv. ლირა. OABIO /Y/Γ/A/Θ/. წ. 3,56).

5. 1909 წ., ბორი. დრაქმა. ძვ.წ. I ს. (149, N 773).

დასმულ შეკითხვას შეიძლება გაეცეს საკმაოდ ზედაპირული პასუხი - კოლხეთის მიმართება ოლბიასთან გაშუალებულია სხვა ჩრდილო შავი-ზღვისპირელი პარტნიორის მიერ (ბოსფორი, ქერსონესი). მაგრამ გასარკვევია აღნიშნული ფიზიკურ-გეოგრაფიული სივრცის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მოწყობა. ის ერთიანია ამ თვალსაზრისით, თუ შეიძლება უფრო ვიწრო სისტემების გამოყოფა. ყოველივე კი ჩვენი კვლევის ჩარჩოებს სცილდება.

კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი მომენტი ზუსტ ფიქსაციას მოითხოვს. ის მეტად მნიშვნელოვანია.

ძვ.წ. 42 წელს ტრიუმფირებმა გადამწყვეტი გამარჯვებები მოიპოვეს რესპუბლიკელებზე. შემდგომ მათ გაინაწილეს რომის პროვინციები. აღმოსავლეთი წილად ხვდა ანტონიუსს. მანაც ხელი მიჰყო ხსენებული რეგიონის პოლიტიკურ რეორგანიზაციას - აღადგინა ან ხელახლა შექმნა რიგი რომზე დამოკიდებული სამეფოებისა მისთვის სასურველი დინასტიებით სათავეში. აღორძინებულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის იყო პონტოს სამეფოც. ძვ.წ. 40 წელს აქ რომაელთა სანქციით ფარნაკე II შეიღი დარიოსია. ეს უკანასკნელი მალე შეცვალა კილიკიის მმართველმა პოლემონმა ქ.ლაოდიკეიდან (App., Bell. civ, V, 75; 13,313; Strabo, XII, 8,16; 19,541; 171,34,69-70; 185, ტ.I, 434, ტ.II, 1282, შენ. 16 - დარიოსთან დაკავშირებით, ტ.I, 434-435, ტ.II, 1284. შენ. 23 - პოლემონთან დაკავშირებით; 137, 125; 139, 304).

პოლემონური პონტოს სამეფო მოიცავდა ამისოს აღმოსავლეთით მდებარე ოლქებს (139, 308-300. სქ. 4). სწორედ ამ პოლიტიკურ ერთეულში შედიოდა კოლხეთიც. სტრაბონის მიხედვით, „უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა, მისი მეუღლე პითოლორისი ფლობდა, მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე...“ (Strabo, XI, 2,18; 10,125). პოლემონი ძვ.წ. 8 წელს იღუპება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ერთ-ერთ სარმატულ ტომთან ბრძოლაში (99, 315-316; 142, 333; 137; 143-144; შეად. 185, ტ.II, 1341, შენ. 32). პითოლორისის მისი მცირეაზიური სამფლობელოები ერგო წილად (იხ. მაგალითად, 99, 316). იგი ცოცხალია იმ დროისათვის, როცა სტრაბონმა თავისი „Geographica“ გაასრულა, ე.ი. 18/19 (10,4) ან 19/20 წწ. (187,146). სტრაბონი მასზე აწმყოში ლაპარაკობს (იხ. რიგი ადგილებისა

Strabo, XII). შემდგომ ამისა წერილობით წყაროებში არავითარი ცნობა არ არის პონტოს სამეფოს შესახებ ვიდრე 38 წ, როცა კალიგულამ ქვეყანა უბოძა (ἔχραρισατο) პოლემონ II, თრაკიის მეფის ძეს, პოლემონ I და პითოდორისის შვილიშვილს დედის ხაზით (Dio, LIX, 12,2; 21,295-296. დიონი შეცდომით მიიჩნევს მას პოლემონ I ძედ; ამასთან დაკავშირებით იხ. 185, ტ. II, 1369, შენ. 53; 171, 751; 16, 503, შენ.7. ამ მეფესთან დაკავშირებით იხ. 99, 325-326; 142, 363). 64 წელს ნერონმა პოლემონური პონტოს სამეფო გააუქმა, ის გალატიის პროვინციაში იქნა შეყვანილი (185, ტ. I, 561-562, ტ. II, 1417-1418, შენ. 62; 171, 774). თვლიან, რომ იგივე ბედი ეწია კოლხეთს, როგორც პოლემონური პონტოს შემადგენელ ნაწილს (იხ. 142, 364; 137, 209).

ასეთია ზოგად შტრიხებში პონტოს სამეფოს ისტორია, აღდგენილი ძირითადად წერილობითი წყაროების მონაცემებით. დასავლეთის ისტორიოგრაფიაში საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული იყო ცდა მისი შევსებისა, საყრდენ მასალად კი პონტოური ნუმისმატიკური ძეგლებია გამოყენებული. ყოველივე ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ 1902 წელს ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა, პონტოსა და მცირე აზიის სპეციალისტმა თ.რეინაკმა ყურადღება გაამახვილა პითოდორისის ქალიშვილის - ანტონია ტრიფანას სახელით მოჭრილ მონეტებზე, რომლებიც ატარებდა მეფობის წლებს - $IZ = 17$ და $IH = 18$ და მათ საფუძველზე ივარაუდა 22/23 წწ. პითოდორისის გარდაცვალება, რომაელთა მიერ ქვეყნის „სეკვესტრად“ ქცევა (qui paraît avoir été mis sous séquestre - ავტორი, ალბათ, გულისხმობს პონტოს სამეფოს რომაელთა მეურვეობის ქვეშ მოქცევას) (187, 145-147). იგივე აზრია გატარებული მცირე აზიის სამონეტო საქმის ფუნდამენტურ გამოკვლევაშიც - Recueil Général des Monnaies Grecques d'Asie Mineure. ეს ჰიპოთეზა გაზიარებული იქნა The Cambridge Ancient History-ის ავტორთა მიერ. მათი აზრით, 23-38 წწ. პოლემონური პონტოს სამეფო ან უშუალოდ ანექსირებულია, ან კი რომაელთა მეურვეობის ქვეშ არის მოქცეული (171, 751). პითოდორისის გარდაცვალების სულ სხვა თარიღი შემოგვთავაზა დ.მაჯიმ. პონტოს კომანას ერა (თავსდება ამ ქალაქის ნუმისმატიკურ ძეგლებზეც), გამოყენებული კალიგულას დროიდან, აითვლებოდა 33/34 ან 34/35 წწ. ეს არის თარიღი ქალაქის ინკორპორაციისა რომაელთა მიერ. დ.მაჯის აზრით,

ეს უნდა იყოს აგრეთვე თარიღი პითოდორისის გარდაცვალებისა. ტიბერიუსმა ისარგებლა დედოფლის სიკვდილით და კომანას ანექსიით შეამცირა პონტოს ტერიტორია. ხსენებული მკვლევარი არსად არ აღნიშნავს, რომ პითოდორისის სიკვდილს ქვეყნის ანექსია ან სამეურვეო ტერიტორიად გამოცხადება უნდა მოჰყოლოდა; ხაზს უსვამს მხოლოდ იმ მომენტს, რომ პოლემონური სამფლობელოები მმართველის გარეშე უნდა დარჩენილიყო (185, ტ. I, 513, ტ. II, 1368, შენ. 50, 1368. შენ. 52).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლხეთი პოლემონური პონტოს „სატრაპიაა“. მას ჯერ ფლობს პოლემონ I, შემდეგ - პითოდორისი. ასეთი ვითარებაა სტრაბონის თხზულების „პუბლიკაციის“ დროისათვის, ე.ი. 18/19 ან 19/20 წწ. 38 წ. კალიგულამ სამეფო პოლემონ II უბოძა. მართალია, წყაროებში არავითარი პირდაპირი მითითება არ არსებობს, მაგრამ ყველა სპეციალისტი ერთსულოვნად მიიჩნევს კოლხეთს კვლავაც პოლემონური პონტოს შემადგენელ ნაწილად, და ეს სწორია. ამრიგად. ძვ.წ. 37-19/20 და 38-64 წწ. პონტო და კოლხეთი ერთი პოლიტიკური ერთეულია. გვაქვს საფუძველი 19/20-38 წწ. რაიმე კონიუნქტურული ცვლილებანი ვივარაუდოთ?! არავითარი. ე.ი. თუკი ტიბერიუსმა მართლაც გააუქმა პონტოს სამეფო, იგი სამეურვეო თუ პროვინციულ ტერიტორიად აქცია, იგივე ბედს განიზარებდა კოლხეთიც, მისი განუყოფელი ნაწილი. ეს არის ჩვენი მსჯელობის ამოსავალი წერტილი.

სპეციალისტები, პონტოს ისტორიის ამ რთულ პერიპეტიებს რომ იკვლევდნენ, ლაპარაკობდნენ ზოგადად პონტოს სამეფოზე, კოლხეთის საკითხს, რა თქმა უნდა, კონკრეტული ყურადღება არ ეთმობოდა. თ.რენაკის, დ.მაჯის და სხვათა მოსაზრებანი მეტად სუსტად არის კომენტირებული საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. მ.მაქსიმოვა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე იზიარებს მოსაზრებას ტიბერიუსის დროს პოლემონური პონტოს სამეფოს ანექსიის შესახებ (139, 308. შენ. 4). ამ მკვლევარზე მიუთითებს გ.მელიქიშვილი, მცირე აზიის ზოგი ოლქის რომთან მიერთებაზე რომ წერს (142, 363). პონტოს სამეფოს ისტორიაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებთან დაკავშირებით კოლხეთის პოლიტიკური სტატუსის თუ ტერიტორიული კუთვნილების საკითხი აქაც ფაქტობრივად მოხსნილია. მხოლოდ ერთი ფრაზა გ.მელიქიშვილის მონოგრაფიიდან - „В 38 г. н. э. Рим передал Понтийское царство (следовательно и Колхиду) (ხაზი ჩვენია - თ.დ.) внуку

Полемона I и Пифодориды - Полемену II" (142, 363) - გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული მკვლევარი კოლხეთს პოლემონური პონტოს მუდმივ თანამგზავრად მიიჩნევს. რადიკალურად განსხვავებულია ა. შმაღკოს თვალსაზრისი. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვქონია საშუალება თვალი მიგვედევნებინა ამ სპეციალისტის კომენტარებისათვის, ვსარგებლობდით მხოლოდ და მხოლოდ მისი საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატით, სადაც წერს: „Установившееся в литературе мнение об аннексии Понта в конце правления Тиберия не подтверждается имеющими источниками" (164").

დავაკონკრეტოთ ჩვენი კვლევის მიზანი: 1. პითოდორისის გარდაცვალებასა და პონტოს სამეფოს დროებით პროვინციულ თუ სამეურვეო ტერიტორიად გადაქცევასთან დაკავშირებით არსებული მოსაზრებების განხილვა-დაზუსტება; 2. მიღებული დებულებების გავრცელება კოლხეთის პოლიტიკურ ისტორიაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პითოდორისის გარდაცვალების ერთ-ერთი თარიღი შემოთავაზებულია თ. რეინაკის მიერ. ამ მოსაზრების საფუძველი კი პონტოს დედოფლის ანტონია ტრიფაინას სახელით მოჭრილი ნუმისმატიკური ძეგლები იყო.

სტრაბონის მიხედვით (XII, 3,29), პითოდორისს სამი შვილი ჰყავდა პოლემონისაგან. უფროსი დედას სახელმწიფოს მართვაში ეხმარებოდა, მეორე ვაჟი - ზენონი 18 წ. დიდი არმენიის მეფე ხდება, ქალიშვილი ანტონია ტრიფაინა კი, თრაკიის ოდრისთა სამეფოს მმართველის კოტისის მეუღლე, დაახლოებით 19 წ. დაქვრივდა. ანტონიამ სენატის წინაშე ბრალი დასდო მეუღლის მკვლელებს, შემდგომ კი ქ. კიზიკში დაეფუძნა, სადაც ლივიას ქურუმი გახდა. მისი შვილები - რომეტალკი, პოლემონი, კოტისი რომში აღიზარდნენ. მემკვიდრეთა მცირეწლოვანების გამო ოდრისთა სამეფო რომაელთა სამეურვეო ტერიტორიად გამოცხადდა. 38 წელს კალიგულამ ძმათაგან უფროსს - რომეტალკს თრაკიელთა მეფობა უბოძა (185, ტ. I, 513-514, ტ. II, 1368, შენ. 51; 171, 645).

ამავე წელს შუათანა შვილმა - პოლემონმა პონტოს სამეფო მიიღო სამართველოდ. როგორც ნუმისმატიკური ძეგლებიდან ჩანს, დედამისი სახელმწიფოს გამგებლობაში დიდ როლს ასრულებდა.

პოლემონ II დროს მოჭრილი მონეტები შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად (WBR-ის შემაჯამებელი ნუსხა):

I. ტრიფაინას სახელით და პორტრეტით, პოლემონის მხოლოდ პორტრეტით. მეფობის წლები.

Av. ტრიფაინას პორტრეტი და სახელი - ΤΡΥΦΑΙΝΗC ΒΑΣΙΛΙCCHC წრიულად. დედოფლის დიადემით შემკული თავის გამოსახულება მარჯვნივ.

Rv. ახალგაზრდა პოლემონის დიადემიანი თავის გამოსახულება მარჯვნივ. სახელი თან არ ახლავს. მეფობის წლები - ΕΤΟΥC ΙΖ (17) ან ΙΗ /18/ /187,146; 191/ ტექსტში ყველგან WBR/, 22-23, NN 22, 22a, 23,23b/.

II. პოლემონის და ტრიფაინას სახელით მოჭრილი მონეტები. ყოველთვის ეხვდებათ მეფის პორტრეტს, ხანდახან - დედოფლისას. თარიღი არ ახლავს (187, 146).

Av. ΒΑΣΙΛΕΥC ΠΟΛΕΜΩΝ. ახალგაზრდა პოლემონის დიადემიანი თავის გამოსახულება მარჯვნივ.

Rv. ΒΑΣΙΛΙCΣΗC ΤΡΥΦΑΙΝΗC. ტრიფაინას ბიუსტი მარჯვნივ (191, 23, NN 24, 27, 28).

სხვა ტიპი:

Av. ისეთივე, როგორც წინა.

Rv. დედოფლის სახელის მაუწყებელი ლეგენდა ჩაწერილია სამი ან ოთხი ხაზისაგან შედგენილ დიადემაში (191, 23, NN 25, 26).

III. Av. მონეტები მეფის პორტრეტით ან მის გარეშე (დიადემის გამოსახულება მასში ჩაწერილი ლეგენდით). წარწერა - ΒΑΣΙΛΕΩC ΠΟΛΕΜΩΝΟC

Rv. იმპერატორის, მისი ოჯახის წევრების, ტრიფაინას გამოსახულება. პოლემონ II მეფობის წლები - IB /12=49/50 წწ./ - KE /25=62/63 წწ./ /187,145; 191,24-27, NN 29-37/.

მესამე ჯგუფის რევერსის ტიპები: ა) კლავდიუსის დაფნისგვირგვინიანი თავის გამოსახულება მარჯვნივ. თარიღი - IB /12=49/50 წწ./, ΙΓ /13=50/51 წწ./, ΙΕ /15=52/53 წწ./, Ιδ /16=53/54 წწ./, ΙΖ ან ΖΙ /17=54/55 წწ./ /194, 24-25, NN 29,30). ბ) კლავდიუსი და ნერონი. თარიღი - ΙΓ /13=50/51 წწ./ /191,25, NN 31,32). გ) ΕΤΟΥC ... /თარიღი სხვადასხვაა/. ქალის ბიუსტი დიადემაში მარჯვნივ. მონეტაზე გამოსახული პიროვნების იდენტიფიკაციის საკითხში სპეციალისტთა მოსაზრებანი ერთმანეთს არ ემთხვეოდა (187, 146). საბოლოოდ WBR-ში ეს ტიპი განხილულია, როგორც ანტონია

ტრიფანას გამოსახულებიანი ნუმიზმატიკური ძეგლები. აქვე აღნიშნულია, რომ ამ კატეგორიის ზოგ მონეტაზე მოთავსებული ქალის გამოსახულება ჰგავს აგრიპინას. ალბათ, იგი უნდა იყოს ცალეზზე თარიღით BI /12=49/50 წწ./ და IF /13=50/51 წწ. დიდრაქმა/. რადგან ზაზგასმით არის გამოყოფილი მონეტები აგრიპინას გამოსახულებით, უნდა ჩავთვალოთ, რომ ავტორთა ღრმა რწმენით, დანარჩენ ვარიანტებზე ტრიფანას ბიუსტია (მათი თარიღებია - IB /12=49/50 წწ./, IF /13=50/51 წწ./, IA ან ΔI /14=51/52 წწ./, IE ან IЄ /15=52/ 53 წწ./ /191, 25-26, NN 33-34, შენ.2/. დ) ნერონი. თარიღი - IZ ან IΣ /17=54/55 წწ./, IH ან HI /18=55/56 წწ./, IΘ ან ΘI /19=56/57 წწ./, K /20=57/58 წწ./, KA /21=58/59 წწ./, KΓ /23=60/61 წწ./, KΔ /24=61/62 წწ./, KE /25=62/63 წწ./ /191, 26-27, N 35/. ე) ბრიტანიკის დრაპირებული ბიუსტი გვირგვინით მარჯვნივ. თარიღი - IH /18=55/56 წწ./, IΘ /19=56/57 წწ./ /191, 26, N 36). ვ) გაურკვეველი იმპერატორი, უფრო ნერონი (191, N 37, შენ. 1; 187, 145-146, სქ.2). შესაძლებელია ეს ცალი მინაბაძს წარმოადგენდეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზენონიდების დინასტიის (პოლემონ I, პითოდორისი, ანტონია ტრიფანა, პოლემონ II) მონეტები თითქმის მთლიანად წარმოდგენილია მსუბუქი წონის დრაქმებით ($\approx 3,5$ გრ), მხოლოდ პოლემონ II განახორციელა რამდენიმე ტიპის დიდრაქმის ემისია (191, 9).

თვალი მივადევნოთ თ.რეინაკის მსჯელობას (ჩამოყალიბებულია 1902 წ., გადმოცემულია საკმაოდ მშრალი ფორმით, თან ვურთავთ საკუთარ კომენტარებს): მისი ყურადღების ცენტრშია I ჯგუფის ნუმიზმატიკური ძეგლები თარიღით IZ და IH /17 და 18 შესაბამისად). როდის მოიჭრა ეს მონეტები?! თუკი IZ და IH პოლემონის მეფობის წლებია, მაშინ ნერონის პრინციპსობის დასაწყისში (გარკვეულია, რომ პოლემონ II ტახტი 38 წლის მიწურულისათვის უნდა დაეკავებია. მისი მეფობის პირველი წელი მოდის პონტოურ წელიწადზე - 38 წლის ოქტომბერი - 39 წლის ოქტომბერი (191; 187, 147)), 54/55 წწ. და 55/56 წწ. ასეთ დაშვებას რეინაკი ალოგიკურად მიიჩნევს შემდეგი მიზეზების გამო:

1. ჯერ ერთი, წარმოუდგენელია, რომ პოლემონს მოეთავსებინა საკუთარი მეფობის წლები მონეტებზე, რომლებიც არ ატარებს მის სახელს (ამ მონეტებზე, მართლაც, ანტონია ტრიფანა „დომინირებს“ - თ.დ.).

2. და მეორეც, ნაკლებად დასაჯერებელია დაეწყოთ მონეტების მოჭრა

იმპერატორის გამოსახულებით (49/50 წწ. მოყოლებული) და შემდგომ შე-
 ეწყვიტათ და თანაც მაინცდამაინც ნერონის, ამ ეჭვიანი პრინციპის დროს²
 (ე.ი. რეინაკის აზრით, წლები IZ და IH არათუ პოლემონ II არ ეკუთვნის,
 არამედ მათი ათვლა 38 წლის ოქტომბრიდან გაუმართლებელია - თ.დ.).
 სამეფო თარიღი, მოთავსებული ამ ჯგუფის მონეტებზე (რომლებიც მხო-
 ლოდ ასეთი მსჯელობის შემდგომ იქნა მიჩნეული ქრონოლოგიურად ყვე-
 ლაზე ადრეულებად) ტრიფაინას ეკუთვნის და, ვიმეორებთ, არ არის ათვ-
 ლილი 38 წ. ოქტომბრიდან (მამასადამე, ტრიფაინა თავს დედოფლად მიჩ-
 ნევს უფრო ადრეული დროიდან, ვიდრე რეალურად დაეუფლა ხელისუფ-
 ლებას). თუ დავუშვებთ, რომ ნუმისმატიკური ძეგლები თარიღით IZ და IH
 მოჭრილია პირველ წლებში დედის და შვილის თანამმართველობისა (ეს
 ფაქტი დგინდება ნუმისმატიკური მასალების მიხედვით. ასევე ცხადია, თუ
 რა დიდ როლს ასრულებდა ტრიფაინა ქვეყანაში გარკვეულ ეტაპზე - I ჯგუ-
 ფის მონეტებზე ხომ საერთოდ არ იხსენიება პოლემონის სახელი - თ.დ.),
 მაგალითად, 38/39 წწ. (ე.ი. ეს უდრის ანტონია ტრიფაინას ზეობის
 მჩვრდამეტე წელს), მაშინ გამოდის, რომ მისი დედოფლობის პირველი წელი
 ემთხვევა პონტოურ წელიწადს X. 22 წ. - X. 23 წ., და რომ ზუსტად ამ
 დროისათვის გარდაიცვალა პითოდორისი, თვლის თ.რეინაკი. პონტოს ის-
 ტორია 19/20 - 38/39 წწ. მას შემდგენიარად ესახება: პითოდორისს 3 შვილი
 ჰყავდა პოლემონ I-საგან. უფროსს მამის სახელი ერქვა (ძნელი სათქმელია,
 თუ რას ეყრდნობა მკვლევარი ასეთი განცხადებისას), დედას ეხმარებოდა
 სახელმწიფოს მართვაში, მაგრამ სამეფო ტიტული არ მიუღია. იგი გარ-
 დაცვლილია იმ დროისათვის, როცა სტრაბონმა თავისი თხზულება „გამო-
 აქვეყნა“, ე.ი. 19/20 წწ. სტრაბონი მასზე წარსულში ლაპარაკობს: *συστήσαται*
 (და არა *συστήσασθαι*) *τῆς μητρὸς τῆς ἀρχῆς* /Strabo, XII, 3, 29). მეორე ვაჟი,
 ზენონი, 18 წლიდან დიდი არმენიის ბასილევსია. პონტოში რჩება მხოლოდ
 და მხოლოდ ანტონია ტრიფაინა, კოტის თრაკიელის ქვრივი (რომელიც
 თავის დედოფლობას, შესაძლოა, 22/23 წწ. აითვლის). პითოდორისის
 სიკვდილის შემდგომ, რასაც ტიბერიუსის პრინციპატის დროს ჰქონდა
 ადგილი, ტრიფაინა ფორმალურად ეუფლება მის ტიტულს, მხოლოდ
 ფორმალურად, რადგან იმპერატორმა ნება არ დართო პონტოში დარჩე-
 ნის, ქვეყანა „სეკვესტრად“ აქცია, ტრიფაინა კი კიზიკში დაეფუძნა. ერთ-
 ერთ კოლექციაში ინახება ანტონია ტრიფაინას სახელიანი მეტად საინტე-

რესო ტყვიის მედალიონი: Av. ANTΩNIAS TPYΦAINHΣ. კვერთხი. Rv.A - ჩაღრმავებულ წრეში. თ.რეინაკი ამ მედალიონს ტრიფაინას პირველი წარუმატებელი მმართველობის საბუთად მიიჩნევს; A/1/ ზეობის პირველი წლის აღმნიშვნელია (187, 146-147).

ამრიგად, 1. იმიტომ, რომ მონეტები თარიღით IZ და IH არ შეიძლება დათარიღდეს ნერონის პრინციპსობის ხანით, ეს წლები ტრიფაინას მმართველობის წლებია და აითვლება არა 38/39 წწ., არამედ უფრო ადრეული დროიდან. ე.ი. ტრიფაინა დედოფალია არა 38/39 წწ., როცა სინამდვილეში მოექცა ხელისუფლების სათავეში შვილთან ერთად. 2. 19/20 წწ. ქვეყანას პითოლორისი განაგებს, მისი უფროსი ძე გარდაცვლილია, უმცროსი - 18-34 წწ. დიდი არმენიის ბასილევსია; სხვა მემკვიდრე პონტოს ტახტს არ ჰყავს. გარდა ტრიფაინასი და მისი მცირეწლოვანი შვილებისა. 3. ტრიფაინა 38/39 წლებამდე კიზიკშია - თვლიან, რომ პითოლორისის სიკვდილის შემდგომ, რასაც ტიბერიუსის დროს უნდა ჰქონოდა ადგილი, ანტონია ტრიფაინა ფორმალურად იღებს პონტოს „დედოფლის“ ტიტულს, გადადის კიზიკში, ქვეყანა კი „სეკვესტრად“ (სამეურვეო ტერიტორიად) იქცა. თუკი ჩავთვლით, რომ IZ თარიღიანი მონეტა ანტონიამ მაინცდამაინც 38/39 წწ. მოჭრა, მაშინ ამ მოვლენებს ადგილი ექნებოდა 22/23 წწ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, სხვათა შორის, სრული გაუგებრობაა რეინაკის კონცეფციის დ. მაჯი-სეული პერეფრაზი (185, ტ. II, 1368, შენ, 50).

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით:

მოსაზრების ქვაკუთხედეა ავტორის მტკიცება, რომ მონეტები თარიღით IZ და IH არ შეიძლება ყოფილიყო მოჭრილი შესაბამისად 54/55 და 55/56 წწ. ეს, მისი აზრით, ეწინააღმდეგება 49/50 წლებიდან დამკვიდრებულ ტრადიციას - ზურგის მხარეზე უნდა მოთავსდეს იმპერატორის ან მისი ოჯახის წევრის გამოსახულება. ამავე მიზეზით მან 1902 წელს გამორიცხა შესაძლებლობა მონეტებზე (ტიპი: პოლემონი და მისი სახელის მაუწყებელი ლეგენდა / ქალის ბიუსტი, პოლემონის მეფობის წლები) თარიღით IB და IE ყოფილიყო ტრიფაინას გამოსახულება. იმპოფ-ბლიუმერის საწინააღმდეგოდ, იგი აქ აგრიპინას ხედავდა. ვნახოთ რა ვითარებაა WBR-ში. ჩუენტვის საინტერესო ადგილს საფუძვლად უდევს L'histoire par les monnaies-ში შემუშავებული მოსაზრებანი. პითოლორისის სიკვდილი 22/23 წწ. არის დასმული, თუმცა შესაბამისი მსჯელობა თან არ ახლავს. მეორე მხრივ კი ავ-

ტორები აღნიშნავენ, რომ მონეტებზე (იხ.ჩვენთან III ჯგ.რევერსის ტიპი გ) თარიღით IB /12=49/50 წწ./ /ზაზი ჩვენია - თ.დ./, II /13=50/51 წწ./, IA /14=51/52 წწ./, IE /15=52/53 წწ./ /ზაზი ჩვენია - თ.დ./ ტრიფაინა გამოსახული. ეს სწორია. იგივე პიროვნებაა, ჩვენი აზრით, მონეტებზე თარიღით BI /იხ. WBR, ტაბ.III, ფიგ. 17/. ამგვარად, სამონეტო ტიპი - Av. პოლემონის თავის გამოსახულება, შესაბამისი ლეგენდა. Rv. ტრაიფაინას ბიუსტი. პოლემონის ზეობის წლები - იჭრება 49/50, 50/51, 51/52, 52/53 წწ. „საიმპერატორო“ რევერსის პარალელურად. განა სახეზე არ არის ტიპოლოგიის დარღვევა და ამას WBR-ის ავტორებიც არ აღიარებენ, თუმცა მიყვებიან ძველ კონცეფციას, რის გამოც დიდ წინააღმდეგობაში ვარდებიან?! განა არ შეიძლება I ჯგუფის მონეტები, თარიღით IZ და IH მოჭრილიყო 54/55 და 55/56 წწ.?! ნერონის პიროვნულ თვისებებს სრულებითაც არ შეეძლო ამისათვის ხელის შეშლა. როგორ შევუთავსოთ თ.რეინაკის მსჯელობა და ფაქტობრივი მასალა ერთმანეთს?! საკვირველია, რომ WBR-ის შემდგენელნი, რომლებიც თვლიან, რომ 52/53 წწ.მოჭრილ დრაქმებზეც კი გამოსახულია ტრიფაინა, მისი სიკვდილის თარიღად, მართალია, კითხვის ნიშნის ქვეშ, მაგრამ მაინც 49 წ. თვლიან /191,9/. ისინი ამით კვლავ თავის თავს ეწინააღმდეგებიან.

ამრიგად, თ.რეინაკის კონცეფციის მთავარი ხარვეზი შესაძლებელია ასეთი სახით ჩამოყალიბდეს: იგი ყოველთვის, მათ შორის 1902 წ. კი, უპირისპირდებოდა ფაქტობრივ მასალას. გავიხსენოთ, რომ იმპოფ-ბლიუმერთან საკამათო IB და IE თარიღიანი მონეტები WBR-ში უკვე ტრიფაინას-გამოსახულებიან ნუმისმატიკურ ძეგლებად არის მიჩნეული. ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რეინაკის ეს მოსაზრება უიშვიათესი მაგალითია არასწორი მსჯელობისა ზუსტი დასკვნით.

შევეცდებით საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პოლემონ II დროს პონტოს სამეფოში განხორციელებული ემისიები სამ ჯგუფად იყოფა. კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ მასალას; ყურადღება გავამახვილოთ არა ტიპოლოგიაზე, არამედ იმ ფაქტზე, ვისი სახელით იჭრება ეს ნუმისმატიკური ძეგლები. I ჯგუფის მონეტებზე მხოლოდ ტრიფაინას სახელია. II ჯგუფი დედისა და შვილის სახელით იჭრება, ამასთან, მეფის გამოსახულება ყოველთვისაა, დედოფლის - ზოგჯერ. III ჯგუფის ემისიები ხორციელდებოდა მხოლოდ და მხოლოდ პოლემონ II

სახელით 49/50-62/63 წწ. რეინაკის ასეთი კლასიფიკაცია ჩვენთვის მისაღებია: როგორც ვხედავთ, 49/50 წლებიდან სამონეტო რეგალია მთლიანად პოლემონ II ხელშია. განა შეძლებდა ტრიფაინა 54/55 და 55/56 წწ. მხოლოდ საკუთარი სახელით მოეჭრა მონეტები?! ეს დაშვება მართებული არაა. მონეტები ტრიფაინას სახელით და მეფობით წლებით IZ და IH ყველაზე ადრეულ ჯგუფს ქმნის, შეუძლებელია მათი ემისიები განხორციელებულიყო 54/55 და 55/56 წწ., მათზე ტრიფაინას ზეობის წლებია მოცემული, რომლებიც არ აითვლება 38/39 წწ., არამედ უფრო ადრეული ხანიდან. როგორც ვხედავთ, სულ სხვა გზით ჩვენც იგივე დასკვნამდე მივედით.

ნუმიზმატიკური მასალის ფონზე ძალიან კარგად იკითხება პოლემონური პონტოს პოლიტიკური ისტორია: 38/39 წწ. პოლემონი ტახტზე აღის; იგი ახალგაზრდაა, ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი დედამისია, რომელიც საკუთარი სახელით ახორციელებს სამონეტო ემისიებს. II ჯგუფის მონეტებში „თანამოსაყდრეობის“ ხანაა დაფიქსირებული, სამონეტო რეგალიის (და შესაბამისად სახელმწიფოში როლის) თვალსაზრისით ოდნავი უპირატესობა პოლემონ II მხარეზეა; ყველა მონეტაზე მეფის პორტრეტია მოცემული. 49/50 წლებიდან პოლემონ II ერთპიროვნული მმართველია, ტრიფაინა ჩამოცილდა სახელმწიფო საქმეებს, მაგრამ ცოცხალია 52/53 წწ., ახლა თუკი დავუშვებთ, რომ ტრიფაინა საკუთარი სახელით ჭრის მონეტებს 38/39 წწ., მაშინ მისი მმართველობის (რა თქმა უნდა, ფორმალური) პირველი წელი მოდის X.22-X.23 წწ. ეს ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია. ზედას დადგენა კი შეუძლებლად მიგვაჩნია. ამას ხელს უშლის მეორე უთარილო ჯგუფი მონეტებისა.

პითოდორისს სამი შეილი ჰყავდა. შუათანა - ზენონი 18 წ. შემდგომ არმენიაშია. სტრაბონის მიხედვით, τῶν δὲ τῆς Πυθιδωρίδος ἑσῶν ὁ μὲν ἰδιώτης στυδιᾶχει τῆ μητρὶ τῆν ἀρχῆν, ὁ δὲ νεαστὶ καθεστᾶται τῆς μεγάλης Ἀρμενίας Βασιλεύς. ეს ადგილი სხვადასხვანაირად არის ნათარგმნი (Strabo, XII, 3,29; 187,146; 10,214; შეად. 22,427). ჩვენი აზრით, სწორია თ.რეინაკის და თ.ყაუხჩიშვილის ვარიანტები. სტრაბონი პითოდორისს უფროს შვილზე წარსულში ლაპარაკობს /δυσδιᾶκει - imperfectum). ამრიგად, იმ დროისათვის, როდესაც „გეოგრაფია“ გამოვიდა, იგი გარდაცვლილია, პითოდორისს ერთადერთი მემკვიდ-

რე ანტონია ტრიფაინა და მისი მცირეწლოვანი შვილებია. ანტონიას ზეობის ქვედა ზღვარი კი პონტოური წელიწადი X.22 წ. - X.23 წ. ეს არის სავარაუდო თარიღი პითოლორიისის გარდაცვალებისა და ტრიფაინას მიერ „დედოფლის“ ტიტულის მიღების (კვლავ ხაზს ვუსვამთ - ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 19 წელს მოკლეს ოდრისთა მეფე კოტისი. ტრიფაინამ სენატის წინაშე ბრალი დასდო მეუღლის მკვლელს, შემდგომ კი კიზიკში დაიდო ბინა, სადაც ლივიას ქურუმი გახდა. მან ბევრი რამ გააკეთა ქალაქის აყვავებისათვის. მისი შვილები კი რომში დარჩნენ (შეად. WBR, ტრიფაინა მხოლოდ 22/23 წწ. ამბების შემდგომ გაიგზავნა კიზიკში). იგი პონტოში დაბრუნებული ჩანს 38/39 წწ. /191,9/ თავის შვილთან ერთად. ამრიგად, ანტონია ტრიფაინა პითოლორიისის ერთადერთი მემკვიდრეა, იგი თავის „დედოფლობას“ აითვლის 22/23 წწ. /?/, 19 წლიდან კიზიკშია ლივიას ქურუმად, მხოლოდ 38/39 წწ. ბრუნდება სამშობლოში. ამკარაა, რომ 22/23/?-38 წწ. ქვეყანა სამეურვეო ტერიტორიაა, ალბათ, სრულწლოვანი მამაკაცი მემკვიდრეების არარსებობის გამო /171,751/, და არა პროვინცია. ასეთ შემთხვევაში ანტონია ტრიფაინა თავის დედოფლობას 38/39 წლებიდან აითვლიდა. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ზემოთ აღწერილი მედალიონი ტრიფაინას სახელით და A (I= მეფობის პირველი წელი) (სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის რომაელთა სამეურვეო ტერიტორიად გამოცხადებისათვის იხ. მაგალითად 185, ტ. I, 513; 171, 645. მეურვე ენიშნება ოდრისთა სამეფოს, კაპადოკიისათვის - 171, 744).

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება ასე შეჯამდეს: 1. ტრიფაინას სახელიანი მონეტები, თარიღით IZ და IH არ შეიძლება ყოფილიყო მოჭრილი, შესაბამისად, 54/55 და 55/56 წწ. როგორც ამას ფაქტობრივი მასალა გვიჩვენებს, 49/50 წწ. მოყოლებული სამონეტო რეგალია პოლემონ II კომპეტენციამი შედის: 62/63 წწ. ჩათვლით ყოველწლიურად იჭრება მონეტები მხოლოდ და მხოლოდ მისი სახელით. ზემოაღნიშნული მცირერიცხოვანი ნუმისმატიკური ძეგლები არაფრით არ თავსდება 50-იანი წლების ემისიეში. ისინი ხომ ტრიფაინას სახელითაა მოჭრილი, მასზე მოთავსებული თარიღები მისი ზეობის წლებია. მამასადამე, ანტონია ტრიფაინა თავის დედოფლობას აითვლის არა 38/39 წლებიდან, როცა რეალურად ეუფლება ხელისუფლებას, არამედ უფრო ადრეული დროიდან. თუკი IZ თარიღიანი მონეტების

ემისია განხორციელდა 38/39 წწ., ეს წელი უნდა იყოს პონტოური წელიწადი 22 წ.ოქტომბერი - 23 წ. ოქტომბერი (ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი, ზედა არ დგინდება).

2. 19/20 წწ. პონტოს პითოლორისი განაგებს. მას სხვა მემკვიდრე არ ჰყავს, გარდა ტრიფაინასი და მისი მცირეწლოვანი შვილებისა.

3. 19 წ. (შესაძლებელია 22/23 წწ.) შემდგომ ტრიფაინა კიზიკშია. იგი პონტოში დაბრუნებული ჩანს მხოლოდ 38 წ. შვილთან ერთად.

4. ყოველივე ზემოაღნიშნული მიგვანიშნებს, რომ ქვეყანა 22/23/??-38 წწ. რომაელთა მიერ სამეურვეო ტერიტორიად არის გამოცხადებული მამაკაცი მემკვიდრეების არასრულწლოვანების გამო.

5. შესაძლებელია ტიბერიუსი ქვეყნის ანექსიასაც კი ამზადებდა. ეს მისი „სტილი“ იყო. ამ მხრივ, თითქოსდა, მეტად სიმპტომატურია დიონის სიტყვები - კალიგულამ ქვეყანა უბოძა (აჩუქა) (ἔχαρισατο) პოლემონს.

გავიხსენოთ ჩვენი ამოსავალი დებულება: 19/20 წწ. - 38 წ. კოლხეთი პოლემონური პონტოს განუყოფელი ნაწილია. მაშასადამე, 22/23/?? წწ. - დან დასავლეთ საქართველო მცირეაზიურ ტერიტორიებთან ერთად რომაელთა მეურვეობის ქვეშ არის მოთავსებული. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გადაისინჯოს ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრება კოლხეთზე რომაელთა უშუალო პროტექტორატის მხოლოდ და მხოლოდ ნერონის დროს დამყარების შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სპეციალისტი, მაგალითად, პროფ. ნ.ლომოური, ვარაუდობს დასავლეთ საქართველოში რომაული გამაგრებული პუნქტების არსებობას ჯერ კიდევ ავგუსტეს ხანაში. ამ განცხადების საფუძველია პლინიუსთან მოხსენიებული castellum Sebastopolis /Plin., NH., VI, 12,13/ (დიოსკურია, თანამედროვე სოხუმი). სახელი ამკარად ავგუსტეს პიროვნებასთან არის დაკავშირებული. ნ.ლომოური პირდაპირ წერს: „Севастополис как римская крепость был несомненно основан еще при Августе, на что указывает само его название“ /137, 211/. ფაქტობრივად, ამასვე გულისხმობს მ.ინაძეც /123,241/, ყოველ შემთხვევაში, ამკარად ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება. დიოსკურიისათვის სებასტოპოლისის წოდებას ავგუსტეს დროს უნდა ჰქონოდა ადგილი. ამაზე ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს. მაგრამ განა გულისხმობს ეს ფაქტი აქ რომაული სიმაგრის დაარსებას და გარნიზონის

ჩაყენებას ავგუსტეს დროს; განა არ შეიძლება ყოველივე მიჩნეულ იქნას პოლემონ I ან პითოდორისის /რადგან კოლხეთი ამ დროს მათ ხელშია) „თავაზიანობის“ და „ერთგულების“ გამოვლინებად იმპერატორის მიმართ; განა პითოდორისმა „საკუთარი ინიციატივით“ არ უწოდა კაბერიას სებასტა და დედაქალაქად გაიხადა იგი?! /Strabo, XII, 3,31; 19,522/. ყოველივე ამის გამო, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას. სამაგიეროდ, სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება სულ ცოტა ხნის შემდგომ, ტიბერიუსის პრინციპატის დროს, დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში რომაული გარნიზონების გაჩენა, 22/23/?! წწ. შემდგომ კოლხეთი ხომ რომის პირდაპირ კონტროლს ემორჩილება. სხვა საკითხია, დატოვეს მათ ქვეყანა 38 წ., როცა პოლემონ II ავიდა ტახტზე, თუ არა. ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არსებობს სულ სხვა მოსაზრებაც პითოდორისის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ის დ.მაჯის ეკუთვნის. პონტოს კომანას ერა, მოთავსებული ეპიგრაფიკულ და ნუმიზმატიკურ ძეგლებზე, აითვლებოდა 33/34 ან 34/35 წწ. /WBR-ში, გვ. 107 კომანას ერის ათვლის საწყის წერტილად X.34 წ. არის მიჩნეული/. ეს არის თარიღი ქალაქის მიერთებისა პროვინციული ტერიტორიებისათვის. დ.მაჯის აზრით, ეს უნდა იყოს აგრეთვე თარიღი პითოდორისის გარდაცვალებისა. ტიბერიუსი სარგებლობს დედოფლის სიკვდილით და ამცირებს პოლემონური პონტოს სამეფოს ტერიტორიას კომანას ანექსიით.

რა შეიძლება ითქვას ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ასეთი მსჯელობა. რა კავშირში იმყოფება კომანას ანექსია და პითოდორისის გარდაცვალება ერთმანეთთან? განა ძვ.წ. 63 წლიდან მოყოლებული პონტოს კომანა დამოუკიდებელ „სამთავროს“ არ წარმოადგენს?! /Strabo, XII, 3,32,34-37; 19,523-524; 191,2-3, 106-107/. 19/20 წწ. ის გარშემორტყმულია პითოდორისის სამფლობელოებით /Strabo, XII, 3,37/. რომს კომანას ანექსიისათვის დასჭირდებოდა „დერეფნის გაჭრა“? პროვინცია გალატიიდან ქალაქისაკენ და ეს ყველაფერი პითოდორისის ტერიტორიების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. მაგრამ განა შეიძლება ამ ფაქტში დედოფლის გარდაცვალების დანახვა?! განა ცოტა რამ წაართვა რომმა პონტოს პოლემონ I და პითოდორისის სიცოცხლეში?! /პოლემონური პონტოს სამეფოს ტერიტორიის შემცირებასთან დაკავში-

რებით იხ. 185, ტ. I, 444, ტ. II, 1329, შენ. 49, 1346, შენ. 52; 191, 3/.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი „პოლემონური“ კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საინტერესო მომენტის შესახებ.

ნაშრომის ამავე სექციაში კიდევ ერთი მეტად საინტერესო ფენომენი უნდა იქნას განხილული. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ავტონომიური ჭანური მოსახლეობა, ჩართული პონტოს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში და სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის კვალდაკვალ დაქვემდებარებული აუცილებელი ელინიზაციის პროცესისადმი, ელინისტური კონცეფციების გარკვეულ თავისებურ ინტერპრეტაციას ზღვებს. მისი ნუმისმატიკური ფიქსაცია კონკრეტული სოციალური კონტრაქტის მკვეთრ გააქტიურებასთან არის დაკავშირებული. თემატური სინთეზის (კაპადოკიური მენი, მხედარი, და მითრა, ჭაბუკი სხივებიან ფრიგიულ ქუდში) ბაზაზე ორიგინალური კომპოზიციის და კონფესიონალური ელემენტის გენეზისი, კონკრეტული ტიპოლოგიის ლოკალიზაცია ტრაპეზუნტიით (აგრეთვე, ეგრისით და ქართლით) ავტონომიური ენის ეკონომიკური ფუნქციების ჯერჯერობით შენარჩუნებაზე მეტყველებს. ქართული დიალექტიკური კულტურული ტიპისადმი განსახილველი ნუმისმატიკური ძეგლების კუთვნილება ამკარაა.

15. ტრაპეზუნტის საქალაქო სპილენძი (ნომინალური სისტემა სპეციალურ კვლევას მოითხოვს) (ტაბ. VI, N 14).

შუბლი: იმპერატორის (ტრაიანე-ფილიპე უფროსი) ბიუსტის გამოსახულება შესატყვისი ბერძნული ლეგენდით.

ზურგი: ყველაზე გავრცელებული ტიპის საბოლოო ევოლუციური ვარიანტი: ძირითადი ტიპი - ამხედრებული მითრა (სინკრეტული ასტრალური ღვთაება). დამატებითი ელემენტები - ბომონი, რომლის წინამეც ცხენს მარჯვენა ტორი აწეული აქვს; სიცოცხლის ხე; თანამგზავრები; ბომონის გვერდით კოლონა ამურით, ან კი, უმეტეს შემთხვევაში, ყვავით; ზემოთ ვარსკვლავი; ხაზს ქვემოთ (მიწის ზედაპირის სტილიზაცია) გართხმული გველი. ლეგენდა - ΤΡΑΠΕΖΟΥΝΤΙΩΝ და თარიღი.

განხილული ნუმისმატიკური იდეა თავისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით პროტოკაპიტალისტური ფენომენია. აღნიშნული მომენტი

ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეს არის ანტიკურობის სინქრონული ქართული კულტურული ელემენტის მაინცდამაინც პროტოფეოდალიზმით ლიმიტირების თეზის კონტრარგუმენტი. ამგვარად, ქართული ნუმისმატიკის სოციალურ-ეკონომიკური ატრიბუტი მისი განაწილების გამო სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში სხვადასხვაა.

აქვე ზოგიერთი კონფესიონალური მონაზავიც:

კოლხური თეთრის ტიპოლოგიური სტრუქტურის სემანტიკური მიმართება ასეთია: I ტიპი - აპოლონი (პელიოსი) Rv. ჰეკატა; II ტიპი - აპოლონი (პელიოსი) Rv. ჰეკატა; III ტიპი - ტრიომორფული ჰეკატა; IV ტიპი - ტრიომორფული და ზომომორფული ჰეკატა; V ტიპი - აპოლონი (პელიოსი) Rv. ჰეკატა; VI ტიპი - პელიოსი /Rv. პელიოსი /ლომი/ Rv. ძუ ლომის პროტომა - ორი მზე?! არა. მამ, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე?! ჰერმაფროდიტ მზეს: II ტიპის Av. ჰერმაფროდიტი ლომია;/ VII - ჰეკატა / Rv. ატრიბუტი - ხარი; VIII ტიპი - ჰეკატა /ატრიბუტი /?/. ავტოხტონური, ეკონომიკური ასპექტით ბილინგვიზირებული ნუმისმატიკის ასტრალური ტიპი ამკარაა, ხოლო მოსული და დამხვდური კულტურების პროვიდენციული ფსევდო სემანტიკების სქესობრივი პრობლემური დივერგენცია ჰერმაფროდიტიზაციით (პელიოსი/აპოლონიზმზექალა, არის კი ეს უკანასკნელი ზანური ცნობიერების კომპლექსის კომპონენტი?) და სემანტიკას და ადეკვატურ ატრიბუტს შორის სქესობრივი ასიმეტრიულობის პერცეფციით წყდება (ჩ *Ἐχάρη* სანაპიროზე და *ἡ Μείς* ჰინტერლანდში, ვთქვათ, სურიონში; VII ტიპი - ქალღმერთი /Rv. ხარი; საინტერესოა, რომ *Ἐχάρη* აპოლონის ატრიბუტია, თუმცა ასევე ჰერმაფროდიტია II ტიპის Rv. აქ იგივე მოხდა, მაგრამ სუბიექტები კოლხა და ასურეთია). ჰერმაფროდიტიზაცია სიმპტომატური ატიკური (?) სტილიზაციაა. ნიკე კლავს ვერძს (ლამფსაკის ნუმისმატიკა) (189, 181). ნიკეს და ვერძის არაკონფორმტაციული ჰერმაფროდიტული სინთეზი ალექსანდრეს ტიპის სტატერების იმიტაციების ზურგის მხარის ტიპოლოგიაა. ლისიმაქეს ტიპის სტატერების მინაბაძების Rv. ნიკეს ფრთების სემანტიკა სრულად არის დევალივირებული (117, ტაბულები).

პელიოსის და ჰეკატას დიალექტიკური აპლიკაცია კოლხური ნუმისმატიკის თემაა. მისი სემანტიკური პარალელია, ვთქვათ, ხარის და სვასტიკის თანაარსებობა ძვ.წ. VIII ს. კვიპროსულ ოინოხოიაზე (155, ტაბ. 20).

პელიოსის ავტოხტონური მასკულინიზაცია (სურიონის დედიკაცია)

გრეციაშია, ან ალოგლოტოგრაფია. აეტი მზექალას ჩამომავალია (?), ავტონტონური მთვარე კი ინარჩუნებს ლოკალურ სქესობრივ პერცეფციას, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. III ს. მაინც. არისტარქეს დრაქმის პომპეუსი პელიოსია ადეკვატური სქესობრივი დეტერმინიზმით. ეს კიდევ ერთი არგუმენტია კონკრეტული ასპექტით ფაზისის ზარაფხანის სასარგებლოდ, კიდევ ერთი ინდიკატორია ფაქტისა, რომ განსახილველ პერიოდში ბილინგვიზაცია ჯერ სახეზეა, და რომ ის მეტად საინტერესო და რთული პროცესია. ინანას (!) ბერძნული ნომინალია ἡ Γῆ.

ჰეკატას ავტონტონური ფერტილიზაცია, აპოლონ/პელიოსის თემატიკის ეგზისტენცია არტემიდა-არეტუსას ტრადიციული ელინური ექსპრესიული შტრიხების (178, ტაბ. 43, N 579) ლოკალური აპრობაციის და ექსპლოატაციის სუბსტრატია. ათენური ვერცხლის Av. სპეციფიკური არქაისტული ანთროპოტიპი (189, ტაბ. LXIV, N 1) ზოგადი კორექტორის ფუნქციას ასრულებს. ხოლო თუ ამ უკანასკნელ ზეგავლენაში რაღაც თეოსემანტიკაც დევს, მაშინ აშკარაა მცირე აზიიდან არიული ათენა-ანაპიტას ნიშნების ექსპანსია (167, 201). კონკრეტული დუალისტური იპოსტასის დიალექტიკური შტრიხებია ჰეკატა და არტემიდა. წყლის ატრიბუტიც მეტად სიმპტომატური არიული კონფესიონალური სუპლემენტია. არქაისტული სტილის პრეზერვაცია, ალბათ, გარკვეული პოლიტიკური მანიფესტია, ათენისათვის ეს იქნება ტრადიციული ერთგულება დემოკრატიისა და თავისუფლებისადმი, ხოლო კოლხეთში (სიმპტომატურია არქაისტული ღიმილის კონდიციის (189, ტაბ. IV, NN 1-7; ტაბ. V, NN 10-16; ტაბ. XII, NN 15-18; ტაბ. XIII, NN 1-2; ტაბ. XVI, NN 1-6, 9-10; ტაბ. XXXII, NN 2-3; ტაბ. LXII, N 13; ტაბ. LXIII, N 1) დაფიქსირების ფაქტი VII ტიპის ნაწილზე) - კომუნალური ღირსების სიმბოლო პროტოფეოდალურ პინტერლანდთან მიმართებაში. ყოველივე ამის სუბსტრატია ევოლუციური ემპირიზმი - შემდეგი დიალექტიკური შტრიხები: არქაისტული ტენდენციები და სტაბილური დემოკრატია; ნატურალიზმი და ელინური ელევთერიის კრიზისი, და კონკრეტული კაპიტალისტური მოდელის პერცეფციული ტრანსპლანტაცია დასავლეთ საქართველოში.

ათენური არქაისტული კლასიციზმი, ჩვენი აზრით, პოლიტიკური სიმპათიების უიშვიათესი ინტერპრეტაციაა. ის სრულდება ძვ.წ. 229 წ. ამის იქით არც კოლხური ჰემიდრაქმების ემისია უნდა იყოს სავარაუდო, სწორედ

ეს არის ფაზისის ელექტორის დენონსაციის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი.

რამდენიმე სიტყვა ჰიპოთეტური ტიპოლოგიური პარალელების შესახებ - ა) პეგასი კორინთოს გერბია, ბ) ასევე ლამფსაკისაც, გ) ის აჯანყებული იონელების ჰერალდიკური სისტემის შტრიხია (ყოველივე ამასთან დაკავშირებით იხ. 189 შესაბამისი თავები). თემატური იდენტურობის ასპექტით საინტერესოა მონეტა მზის, მთვარისა და დედამიწის ტიპოლოგიური შტრიხებით (შეად. სურიონის წარწერა) (178, ტაბ. 159, N 3442). მილეტურ მასალაზე რამდენიმე საინტერესო ატრიბუტი გვხვდება, მაგალითად, ვარდული. ის ტიპოლოგიურ და სემანტიკურ კონტაქტშია მეტად სიმპტომატურ ლომთან (189, ტაბ. II, N 1). ორი ლომის ტიპი ლიდიური ფენომენია (შეად. VI ტიპს) (189, 25, ტაბ. I, N 13, 60), რაც მილეტელთათვის საკმაოდ კარგად იქნებოდა ცნობილი, ისევე როგორც ლომის და ხარის ტიპოლოგიური თეოფორული (?) დუეტი (189, 60). პეგასი არის ლამფსაკის (!) *παράσημον* (189, 157, ტაბ. XXXII, N 12, 181). სემანტიკური დიალექტიკური აპლიკაციური ანალოგიებისათვის გასათვალისწინებელია, მაგალითად, ძვ.წ. V ს. კნიდოსის დრაქმაზე ლომი /Rv. აფროდიტა (178, ტაბ. 60, N 1045); არქაისტული თავი (შეად. VII ტიპს) - აპოლონი /Rv. ხარის თავი *an face* კერამოსის ნუმისმატიკურ ძეგლებზე (178, ტაბ. 60, N 1044); პეგასი /Rv. სვასტიკა ადრეულ კორინთულ ფულზე (189, ტაბ. II, NN 16-20). ძროხა და ხბო /Rv. ვარდული მაკედონიიდან კონკრეტული კუთხით ასევე საინტერესო მომენტია (189, 69, ტაბ. VIII, N 2). ლამფსაკის მონეტებზე პეგასია, ის კონტაქტშია ჰელიოსთან /აპოლონთან (189, 181). პეგასის და ათენას კორინთული ნუმისმატიკური თანაარსებობაც საინტერესო ფაქტია. იგივე სინთეზია ლეონტინის, რეგიუმის და ახალი სირაკუზის ვერცხლის სტატერებზე (189, ტაბ. XVIII, NN 12-16; ტაბ. XLV, NN 1-3). I ტიპის Rv. ცხენს რელიგიური სემანტიკის გარდა აქვს სხვა ჰიპოთეტური დატვირთვაც - ის არის ფაზისის ოლიგარქიული რესპუბლიკის ეგზისტენციის ინდიკატორი (?) (189, 73). მაგრამ არა! ფაზისის სავაჭრო ოლიგარქიაა - სწორედ ის იღებს გამორების სიმბოლოს?!

კოლხურ-ეგეოსურ მიმართებათა ასპექტით საინტერესოა შემდეგი - ჰეკატა თესალიურ მონეტებზე, ჯერ ერთი, და მეორე, ამავე კატეგორიის ძეგლებზე ორმაგი ცულის ტიპოლოგია, თესალიელი *tagos* რეგალიური ატრიბუტი (189, 89, 161). ჰეკატა ელინურ-კოლხურ ფულზე მითის მილე-

ტურ-ფასიანური გადახარშვა ხომ არ არის?! ლომის და ჰეკატას ნუმინმატიკური დიალექტიკური აპლიკაცია მეტად სიმპტომატური ფაქტია (189, ტაბ. XXXIV, N 14).

ნაწილობრივი ტიპოლოგიურ-სტილისტური სინქრონიზმია ფოკეას ტრიობოლი ხარის და არქაისტული ქალღმერთის დიალექტიკური ტიპოლოგიით (189, 159, ტაბ. XXXIV, №№ 1-3. შეად. 178, 158, ტაბ. 50, N 788. აპოლონი, ალბათ, უკვე Rv. ტიპოლოგიური ევოლუციის შემდეგი საფეხურია. იხ. 189, ტაბ. XXXIV, N 4).

ასტრალური კომპლექსის ტიპოლოგიური სისრულე ლოგიკური კომპონიციური რეალიზაციაა (იხ. ნანახ სრული ასტრალური ატრიბუტიკით 190, ტაბ. VII). ვარდული სულის უკვდავების ირანული სიმბოლოა (167, 57). კონკრეტული შტრიხი და *Amēša Spenta Ameretāt* დიალექტიკური დუქტია. სურიონის რეაქიმიანი ვარსკვლავი უდრის: ა) ნაყოფიერების გნოსეოლოგიური კატეგორიის ლოკალურ სემანტიკურ ეგზისტენციას; ბ) პონტოურ უცილობელ იმპერიულ სუბორდინაციას; გ) ფილადელფოსის დუალისტურ ეგზისტენციას - I. სეკულარისი*, II. სპირიტუალური ეტერნიტასი - სუბსტანციური პრიმიტიული აბსტრაქცირება. ტოპონიმი სურიონი და ჰიდრონიმი სულორი სიმპტომატურია დერივაციული სუბსტრატის თვალსაზრისით: *Surya-s* (166, 14). ჰელიოსი თუ *Aradvī Sūrā Anāhita* ინდოარიული სოციალური სუპერსტრატები?! ყოველივე ძალზე ფრთხილი ჰიპოთეზაა. აბსტრაქცირებული ლოტოსის ტიპოლოგია ეგვიპტიდან გაჟონილია მხოლოდ კვიპროსზე, ეგვიპტეში, აქადში (თუმცა ის და ეგვიპტე ერთი სექტორია, აქ უფრო ავტონომურ დეცენტრალიზებულ სიმბოლიკურ გენეზისზე უნდა გვეხილავს საუბარი), ამასთან, პირველი სამი კომპლექსისთვის მახასიათებელია ვარდულის (ვარსკვლავის), ხშირად რვაფურცლიანის, და ლოტოსის ტიპოლოგიის დიალექტიკური აპლიკაცია, რაც ფერტილიტას ასტრალური და გეოპოსესური ატრიბუტიკის კონფესიონალური დუალისტური მიმართებაა (182. ტაბულები: 33. მიმდებარე ტაბულაზე ლოტოსის და ვარდულის ტიპოლოგია კონკრეტული ფრესკის დიალექტიკური შტრიხია; ვარდული - ლოტოსი - ორმაგი ცული ასევე საინტერესო ტიპოლოგიური სინთეზია; 177, ტაბ. 61. საპირფარეშო ყუთის სახურავზე ლოტოსი და ვარდული კვლავ ერთად არის. გოგონების და ლოტოსის დაკავშირებისთვის

* საერო (მიწიერი) ყოფა

იხ. სეტაუს სტელა, ტაბ. 49, 50. იქვე მრავალფურცლიანი ვარდული სოხ-
 მეტ-მუტის ატრიბუტია. ტაბ. 36, 37. იქვე. 155. ძვ.წ. VII ს. დათარიღებული
 კვიპროსული წარმოების ოინოხოიას ცენტრში რვაქიმიანი ვარდულია, გარ-
 შემო - ორი ლოტოსი. იხ. ტაბ. 23. ორი კონკრეტული დიალექტიკური
 შტრიხის ინდივიდუალური ეგზისტენციის ნიმუშებია მაგალითად ვაზა ლო-
 ტოსით. ტაბ. 25, იქვე; ძვ.წ. VII ს. კვიპროსული თიხის თევში, მონატული
 რვა და შვიდფურცლიანი ვარდულებით. ტაბ. 22, იქვე. კოლხური თეთრის
 VIII ტიპთან მიმართებაში მეტად სიმპტომატურია მაღალფეხებიანი ფრინ-
 ველის და ლოტოსის კვიპროსული სინთეზი. იხ. იქვე. ტაბ. 26. წეროს ტი-
 პოლოგია ასტრაპირებული სახითაც გვევლინება, იქვე, ტაბ. 24. ე.ი. ლო-
 ტოსი = ვარდული = წერო, ეს უკანასკნელი ნაყოფიერების ღვთაების
 ატრიბუტია, რომელიც VIII ტიპის შემთხვევაში ერთდროულად ჰეკატაც
 არის. ე.ი. აქ ჰეკატა-ინანას კონფესიონალურ შერწყმასთან უნდა გვეკონდეს
 საქმე, რაც ბილინგვიზირებული მიგრაციული სოციალური კონტრაქტის
 კონფესიონალური ქმედებაა. ვარდისთვის და ლოტოსისთვის ბაბილონში
 იხ. Herod., I, 195. ინანას სიმბოლო ვარდულია, რაც უდრის ვარსკვლავს.
 ვარდულს სოლარული დატვირთვაც აქვს. თრაკიულ სინამდვილეში სვას-
 ტიკა და ვარდული ერთმანეთს ცვლის. 189, 20, ტაბ. I, NN 6-7. გვეჩვენება,
 თითქოს ვარდულს ლოტოსის ტიპიც ერწყმის). კოლხური ტრანსპლანტა-
 ციის ბაზისია ან ასურეთი, ან - კრეტა-მიკენური სამყარო, ხოლო ქრონო-
 ლოგია - გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანა. სურიონში განხორციელებული
 ემისიის ლოტოსი ინანას სიმბოლოა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა ათურა-
 არიულ სინონიმურ ატრიბუტს, ვარდულს /ვარსკვლავს უკავშირდება; ქიმათა
 რაოდენობა შეესაბამება რვა Amēshā Spēnta. რვა ქიმიანი ვარსკვლავის სიმ-
 ბოლიკა ხეთურ სამყაროშიც გვხვდება. იხ. 39, ტაბ. XV, 2. ყოველივე ამის
 ანალოგია კვიპროსული სემიტური ძირების ირანიზაცია, აქაური სამონეტო
 საქმე ერთ კონკრეტულ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე იტევს ლოტოსს და,
 აგრეთვე, ფრთოსან წრეს სტასანდროსის ფულზე, ამკარად ირანულ ელე-
 მენტს, თუმცა დასაშვებია, ყოველივე ნაწილობრივ ასურული რემინისცენ-
 ციაც კი იყოს. 189, 153. აქ ეგვიპტური ტრანსპლანტაციური სუბიექტური
 სუბსტრატია წინ წამოწეული. სწორია, მაგრამ ყოველივეს პრეზერვაცია
 მოითხოვდა, ალბათ, პერმანენტულ დივერგენციულ გავლენებს, ეს კი სწო-
 რედ არიო-ასურული ზემოქმედებაა. ხანდახან მითრას გამოსახვენ ლოტო-

სის ყვავილზე მდგომარეს (იხ. სტატია „Mumpa, 143).

დიოსკურების ტიპოლოგია სპარტანული ან რომაული რესპუბლიკური ნუმისმატიკის ატრიბუტია (189, 256; 183, ტაბ. 8, NN 17-19, 21, ტაბ. 9, NN 24-28). ყოველივე აღმასრულებელი ხელისუფლების დუალნიაციის თეოქსპრესიონიზმია. პონტოურ სისტემაში დიოსკურები სამეფო რეგალიის და ელინური ელევთერიის თანაარსებობის ინდიკატორია. დიოსკურიული სპილენძის ტიპოლოგიის პოლიტიკური სუბსტრატიც ანალოგიურად გაი-აზრება (?). მონარქიული აპოთეოზისა და გასხვივონებული გვირგვინის ტი-პისათვის იხ. 189, ტაბ. LVIII, N 10 (პტოლემეაიოს III Av.).

§ 3. ტრანსკავკასიური ტრანზიტის პირსპექტივები და ქართლი (ძვ.წ. III - ახ. წ. III სს).

ტრანსკავკასიური გზის ფუნქციონირების რეკონსტრუქცია, მისი ეკო-ნომიკური დატვირთვის ხარისხის ცვალებადობის დადგენა, მაგისტრალთან დაკავშირებული პოლიტიკური პერიპეტიების ანალოზი რთული პრობლემაა წერილობითი წყაროების მწირი და, ერთი შეხედვით, ორაზროვანი ჩვენე-ბების გამო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ორი, რადიკა-ლურად საპირისპირო პოზიცია ამის პირდაპირი შედეგია. სპეციალისტთა ნაწილი საერთოდ უარყოფდა ასეთი მარშრუტის არსებობის შესაძლებლო-ბას; მათი მტკიცების მცდარი სუბსტრატი კარგად არის ილუსტრირებული რიგ გამოკვლევებში (ყველაფერ ამასთან დაკავშირებით იხ. 100; 165; 59). ტრანზიტის არსებობის დამადასტურებელი არგუმენტაცია კი ასეთი სახით გვესახება:

1. სტრაბონი შესაბამის ადგილს (Strabo, XI, 7,3; 19, 482) Praes.-ში გადმოგვცემს, რაც საკუთრივ აღნიშნული კუთხით დასახელებული ავტო-რის წყაროს - პატროკლეს (via არისტობულე და ერატოსთენე) საინტერესო ნაწილების იმავე დროში ყოფნის ვარაუდის საფუძველს ქმნის. თუმცა სა-ჭიროდ ვთლით ამ მომენტის განმარტებას. უკანასკნელად მოხსენიებული მწერლის Praes. გაგებულია როგორც ინდიკატორი შესაბამისი ექსპედიციის დასაწყისისათვის გზის უკვე ფუნქციონირებისა, ე.ი. აღნიშნული ღონისძიე-ბის მიზნად უკვე აპრობირებული და ექსპლოატაციაში მყოფი მარშრუტის

შესწავლა ისახება?! დავუშვათ აღნიშნულ რეგიონში თავდაპირველად არასელექციური პრიმატის შესაძლებლობა, ჩვენ ზემოთ ყოველივეს ასეც ვვარაუდობთ - ჰირკანიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მხარეები სირიის იმპერიის ნაწილია, რომლის მეტროპოლისიც, პირობითად, აქტიურად არის ჩაბმული ვაჭრობაში: თუკი მარშრუტის კავკასიური მონაკვეთი და ჰირკანიის ზღვაც ლისიმაქეს მიერ იყო უკვე ათვისებული, მისი ჰეგემონიის აქ დამხობას სრულებითაც არ უნდა მოჰყოლოდა სხვა შემეცნებითი ექსპედიცია კასპიის მიდამოებში, ბერძნული წარმოების კაპიტალისტური წესი მსგავსი ცნობიერების სხვადასხვა, ჯერ კიდევ სრული ჩამოყალიბების სტადიიდან დაშორებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატის ერთმანეთთან ინტენსიურ მიმართებებს გულისხმობდა; სახმარი ღირებულების კონკრეტულ დასავლურ ბაზარზე გარკვეულწილად წინასწარგანსაზღვრულობის, და აგრეთვე საქონლის წყაროსკენ სოციალურ სწრაფვაზე ვეტოს პირობებში, კავკასიურ რეგიონალურ მაგისტრალზე ლისიმაქეს მიერ ორგანიზებული ვაჭრობის ვარაუდი არ უნდა იყოს გამართლებული. ე.ი. სელექციის სრულ უპირატესობამდე ამიერკავკასიაში ან ტრანსკავკასიური კომერცია საერთოდ არ იყო ორგანიზებული, ან კი მთლიანად პონტომდე სირიელი ბერძნების ხელში იყო მოქცეული, ამის დაშვებაც ძნელია. პატროკლეს შესწავლის ობიექტი - ჰირკანია - და დაშვება, რომ მან აქ მიიღო სრული ინფორმაცია მთელ შესაძლებელ გზაზე, ზოგიერთი სპეციალისტის მიერ გაიზარება როგორც კიდევ ერთი არგუმენტი სელექციის სტრატეგოსის მიერ დავალების მიღების მომენტისათვის მაგისტრალის მოქმედების სასარგებლოდ. ჯერ ერთი, თუკი გზა ფუნქციონირებდა, პატროკლეს, ისევე როგორც მთელ ბერძნულ ეკონომიკურ სამყაროს, სრული ინფორმაცია უნდა ჰქონოდა მის შესახებ, არავითარი მოგზაურობა საჭირო არ გახდებოდა; მეორეც, მეტად სიმპტომატურია, რომ სწორედ ჰირკანიის ზღვა გახდა მისი დაზვერვის ობიექტი. მთელი საინტერესო მარშრუტის ეტაპებიდან ის ერთადერთი იყო, რომელიც ბერძნულ უმუშალო ემპირიზმს არ ექვემდებარებოდა; აქ კი არ მიიღო ინფორმაცია გზის დანარჩენ მონაკვეთებზე, არამედ ისინი უკვე ცნობილი იყო, ისევე როგორც კარგად იყო გაცნობიერებული კასპიის ზღვის დამაკავშირებელი ეკონომიკური ფუნქციები. სტრაბონთან პატროკლეს ინფორმაციის Praes.-ში მოტანა, ჩვენი აზრით, ნიშნავს შემდეგს: 1. პატროკლეს თხზულების „პუბლიკაციის“ დროისათვის გზა მოქმედებს, ავტორიც

შესაბამის დროს იცავს; 2. ან კი ის ზოგადად შესაძლებლობაზე საუბრობს. იგივე მოდელი არისტოტელე-ერატოსტენესაც ესადაგება, ხოლო სტრაბონის პოზიცია განპირობებული უნდა იყოს ერთადერთი მიზეზით - მის დროს მაგისტრალი ტრანსკავკასიურ ფუნქციას ასრულებს, საკითხი აქტუალურია 19/20 წწ. მაინც. რეალურია კი პრობლემის ასეთი გადაწყვეტა?! თუნდ სტრაბონისეული კოლხეთის აღწერილობა არ არის თანადროული, სხვა ქრონოლოგიური ეტაპის ასახვა - ის თეოფანედან მომდინარეობს ძირითადად. რა გარანტია არსებობს, რომ გზა „გეოგრაფიის“ გასრულების მომენტისათვის მოქმედებს?! დასავლურ-რომაული და აღმოსავლურ-ბერძნული სამყარო ერთ ეკონომიკურ კომპლექსად არასოდეს არ ქცეულა, ხოლო იტალიის ეკონომიკური კავშირები ამიერკავკასიასთან უფრო რეექსპორტის შთაბეჭდილებას ტოვებს. სტრაბონმა „გეოგრაფია“, ალბათ, რომში გაასრულა /10,3/ - იტალიკთა დაინტერესება ტრანზიტული ვაჭრობით და არა კოლხური ნედლეულით განაპირობებდა მეტად მწირ ინფორმაციას ქვეყნის ეკონომიკაზე ზოგადად, რომლის შევსებაც ადრეულ ავტორთა დიამეტრულად არასაწინააღმდეგო სურათით ხდებოდა. სხვა სიტყვებით, 19/20 წწ. ტრანსკავკასიური მოქმედებს; კოლხური ქალაქების ფიასკოს ჯერ არ ჰქონია ადგილი და არც პლინიუსის კონიუნქტურა ჩანს ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება პლინიუსის (Plin., Nat.Hist. VI, 52; 17,875) ინტერპრეტაციას - 1. პომპეუსს ტრანზიტის მოქმედების შემთხვევაშიც მაინც უნდა შეესწავლა მარშრუტი და რომაული ემპირიზმისათვის დაექვემდებარებინა იგი. გზის მოქმედების შესაძლებლობას ვერ დავუშვებთ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით, რაც კარგად არის კომენტირებული სპეციალურ ლიტერატურაში. 2. თუ რა გრამატიკული კონიუნქტურა, შესაბამისი ობიექტური რეალობისადმი, იყო დაცული ვარონის თხზულებაში, აქედან მეტად ძნელია ვივარაუდოთ. 3. ერთი ფაქტია - ფლავიუსების ხანაში ტრანსკავკასიური ტრანზიტი მოშლილია.

II. მეტად საინტერესო ინფორმაცია ბაქტრიელი ვაჭრების ფაზისში ყოფნის შესახებ ამ ტიპის არგუმენტთაგანია. ტრანსკავკასიური კომერციის არსებობის გარეშე მათი კოლხეთში მოხვედრა შეუძლებელი იქნებოდა (ამასთან დაკავშირებით იხ. 123, 70-76; 79, 103-105).

III. ბაქტრიული მონეტები (148, N 319; 120, 64, N 79) და ევტიდემეს სოგდური მინაბადი (125, 120) აღმოსავლეთ საქართველოდან განსახილ-

კულტურით მეტად საინტერესო მომენტია, თუმცა შესაძლოა ეს ჯგუფი პართია-ალბანეთის გზით შემოდის; სომხეთის სამონეტო ბაზრისათვის აღნიშნული კატეგორია უცხოა, მაშინ როცა თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბაქტრიული ნუმისმატიკის ნიმუში მიკვლეულია (95,8). ლოგიკურია როგორც იბერიული, ასევე ალბანური აღმოჩენა ევტიდემეს ემიშიად მივიჩნიოთ (140, 39; 126, 95). ასევე საჭიროა აღინიშნოს, რომ დაბალი სინჯის სოკლური მინაბაძების (125, 120-127. ფასანაურის ეგზემპლარი (N 26) II ჯგუფის ბოლო ქვეჯგუფში შედის. მისი შეფარდებითი თარიღი ძვ.წ. II ს. მიწურულზე მოდის. ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს მაინცდამაინც ასე არ უნდა იყოს; 126, 95) მონაწილეობა პართულ-იბერიულ ვაჭრობაში პართული დრაქმების პარალელურად, ალბათ, გამორიცხულია.

IV. ძვ.წ. V-III სს. კოლხური თეთრის ხვედრითი წონა უცხოურ ბაზრებზე და თვით ბაზრების რაოდენობაც შეზღუდულია. ასეთ პირობებში მისი აღმოჩენის ფაქტი ფერგანის ველზე (117, 167, შენ. 9) მეტად სიმპტომატურია. ამავე დროს კოლხური ფულის ლოკალიზაცია უნიკალური განძის სახით თითქოსდა გამორიცხავს ამ კატეგორიის ნუმისმატიკური ძეგლების მეტად თუ ნაკლებად ინტენსიურ მიმოქცევას შესაბამის რეგიონში. ე.ი. ტრანსკავკასიური სატრანზიტო გზის მოქმედების ზოგადი ქრონოლოგიური შტრიხები ასეთი სახით გვესახება: I ეტაპი - ძვ.წ. III-II ს. I ნახ. (?) - ერთი ცხადია, ძვ.წ. 65 წ. ის არ ფუნქციონირებს. II ეტაპი - რეანიმაცია - ტიბერიუსის პრინციპატის დასაწყისი. ამის იქით ნებისმიერი მოსაზრება ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით აპრიორულია. რამ განაპირობა ასეთი განრიგი?

ვიდრე ამ კითხვას გავცემდით პასუხს, აღვნიშნავთ, რომ გზის გამოყენების სიხშირის (სატრანზიტო ტრანსპორტის ინტენსივობის) დადგენის ლოგიკური მეთოდი კოლხეთის და იბერიის სამონეტო ბაზრების ერთმანეთთან შედარების სახით წარმოგვიდგება - დასავლეთის ბაზრის არავტონომური ტიპოლოგიური დიფერენტის ხვედრითი წონის ზრდა საპირისპირო რეგიონი, რაც არ არის ადეკვატური და უსწრებს მატერიალური კულტურის სფეროში მომხდარ შესაბამის ცვლილებებს, ერთი და იმავე ჯგუფის ნუმისმატიკური ძეგლების დალექვის წმინდა „სატრანზიტო“ გზებზე მიუთითებს, ამ კუთხით კვლევას თვით გზის მოქმედების გრაფიკის დახუსტებაც შეუძლია ერთი პირობით: ეს კატეგორია ინტერლოკალური არ

უნდა იყოს. მაგრამ ტრანზიტის მომწყობი სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობა თავისთავად გულისხმობს მისი ვალუტის მაღალ სახმარებლობას, ფულის საქონლად ქცევას, ფართო მიმოქცევას სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში. ფაქტობრივად, ამ ნიუანსს აღნიშნული მეთოდი არარაობამდე დაჰყავს, პრაქტიკული რეალიზაცია ქვემოთ იქნება ილუსტრირებული, თუმცა გარკვეული ხელსაყრელი წყაროთმცოდნეობითი კონუნქტურის - შედარებით შეზღუდული არეალის შესაბამისი ვალუტის პირობებში, ვთქვათ, ლისიმაქეს სტატერები - კიდევ დასაშვებია მისი გამოყენება.

დასავლური სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმების სწრაფი ეკონომიკური ევოლუცია, რომლის დაჩინების საფრთხეც ალექსანდრეს კამპანიამ და ფართო ბერძნულმა კოლონიზაციამ მოსპო, აღნიშნული ბაზრების მსყიდველობითუნარიანობის ზრდა ქმნიდა საფუძველს ინდოეთთან პასიური ბალანსის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სწრაფი განვითარებისა; ტრანსკაკასიური ტრანზიტის გენეზისი, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ძვ.წ. III საუკუნეზე მოდის; ამ გზის განსაკუთრებული თვისება მის სიიფში მდგომარეობდა, ხოლო აღნიშნულ მაგისტრალზე განსაკუთრებული უფლებების მქონე სოციალური ორგანიზმი 1. ინდოეთთან დასავლეთის ვაჭრობაზე თითქმის მონოპოლიური რეგალიის ფლობის; 2. საკუთრივ ინდოეთის სახელმწიფოების სპეციფიური სოციალურ-ეკონომიკური ტიპის გამო მათ მიერ ფასების განსაზღვრაში არადომინირებული პოზიციის პირობებში - მეტად რენტაბელური კომერციის წინაშე იდგა. იდეალური პირობები ასეთი ტრანზიტის ფუნქციონირებისათვის არის მთელი აღნიშნული მარშრუტის გაყოლებაზე მონოკონტროლის არსებობა. „სასანური“ ტიპის კლასიკური დაბრკოლების არსი კი სამდინარო მაგისტრალის ექსპლოატაციის რეგალიის დეცენტრალიზაციაში, ირანელთა კასპიის ზღვაზე პეგემონიასა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ინდოეთთან დამაკავშირებელი საქარავნო გზების ირანის ტერიტორიაზე ლოკალიზაციაში მდგომარეობს (საკითხთან დაკავშირებით იხ. 151). ე.ი. სხვა სიტყვებით, ტრანზიტი ხორციელდება მარშრუტის ა) ერთი კონკრეტული სახელმწიფოს; ბ) ორი სახელმწიფოს მიერ ფლობის პირობებში (ამაზე ქვემოთ დეტალურად). ის წყდება, როცა მესამე ძალას აქვს გზა ინდოეთისკენ და ამავე დროს სტრატეგიული სამუალება არ დაუშვას I მარშრუტის მოქმედება.

რა მიმართებაში იყო ტრანსკავკასიური მაგისტრალი ტიპოლოგიურად იდენტურ სხვა გზებთან? იაფი და სწრაფი სამდინარო მაგისტრალის მოშლა ტრანსირანული საქარაენო გზების (Strabo, XV, 2,8; ამასთან დაკავშირებით იხ. 172, 122-123; აგრეთვე, მაგალითად, 151) და ირანული სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელობას წამოწვევდა წინ. ამგვარად, სამდინარო მაგისტრალი და სახმელეთო ტრანზიტი გამორიცხავდა ერთმანეთს. ეს უკანასკნელი დაფუძნდა მხოლოდ პირველის მოშლის შედეგად, თუმცა ამ განცხადების აბსოლუტინაცია არ შეიძლება. ამაზე ქვემოთ. რაც შეეხება საზღვაო გზებს ეგვიპტიდან და სპარსეთის ყურიდან (168, 402; 169, 134; 170, 385, 599; 171, 252-253, 307, 313, 416-417; 172, 121, 236; 174, 280, 288-289, 306; 188, 301-302; 175 - ყველა კატეგორიის გზებზე იხ. 129-130), მათი ექსპლოატაცია ექსტენსიურ ხასიათს ატარებდა რიგი მიზეზების გამო. ნავიგაციის ევოლუცია და ტრანსკავკასიური გზის არასტაბილური რეჟიმი შეძლევი სტიმული იყო ეგვიპტე-ინდოეთს შორის პირდაპირი კონტაქტების განვითარებისათვის.

განვიხილოთ უფრო კონკრეტულად.

გზა სელევკიდური ფენომენი და სირიელ ელინთა ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი წყარო იყო. მისი გენეზისის თარიღად ზოგადად ძვ.წ. III ს. უნდა იქნას ჩათვლილი. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ინდური საქონლის ტრანსკავკასიურ-ტრანზიტული კონდიციის უკანასკნელი პუნქტი იყო. აქედან ის სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონზე ნაწილდებოდა. ამგვარად, აღნიშნულ პერიოდში კოლხეთის ფულადი ბაზრის უცხოური მონეტით მომარაგების წმინდა სავაჭრო-ეკონომიკურ არხებს სატრანზიტოც ემატებოდა. კოლხეთის და იბერიის სამონეტო ბაზრებს შორის მსგავსება, ერთი მხრივ, მეტად სიმპტომატურია, მაგრამ მაინცდამაინც გზის ინტენსივობის ხარისხის განსაზღვრის ასპექტით უკანასკნელის სპეციფიური შემადგენლობის და, საერთოდ, ქართლში სინქრონულ აღმოჩენათა სიმცირის პირობებში არაფრის მთქმელია (ამასთან დაკავშირებით იხ. 52, 153, შენ. 12). ასეთი ვაჭრობისათვის ხელისშემშლელი პირობების არარსებობა a priori მის ინტენსიურ ხასიათს გვაკარაულებინებს, თუკი ამასთან ერთად გავითვალისწინებთ პტოლემეაიოსების გამოკვეთილ თალასოკრატიას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონებში (169, 175).

ბაქტრიულმა სეპარატიზმმა გზის აღმოსავლეთი მონაკვეთი აქაური

ბერძნებს ხელში მოაქცია და სელევკიდებიც, ელობებოდნენ რა იბერიაში და, ალბათ, ალბანეთშიც ბაქტრიელების სწრაფვას ბაზრებისკენ, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, კარგავენ რა ტრანსირანული ტრანზიტის პერსპექტივას პართელების გამო, მონოპოლისტური რეგალიის თანაბარი პროცენტით კმაყოფილდებიან. კონკრეტულ შემთხვევაში სირიის პოლიტიკური და ეკონომიკური პრიმატის „სავაჭრო“ რეალიზაციის ფორმა ასეთი სახით გვესახება: ვზის ხარჯები და ტრანზიტული ვაჭრობის ორგანიზაცია მთლიანად აღმოსავლელების კომპეტენციაში დატოვა, რითაც „პარაზიტული“ კომერციის რენტაბელობას ზრდიდა; ამით აიხსნება ბაქტრიული სოციალური ელემენტის აქტიურობა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე. ბაქტრო-სირიულ კოლექტიურ მონოპოლისტურ რეგალიას მათი სახელმწიფოების გარკვეულწილად პოლიტიკური აღიანსი და სოციალურ-ეკონომიკური ტიპი განაპირობებდა. პართიის გაძლიერებამ, კერძოდ, მითრიდატე I კამპანიამ, რომელსაც შედეგად მოჰყვა კასპიის ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნული ავტორიტეტის გაქრობა, და აგრეთვე ზემო ჰიის პროვინციების დაქვემდებარება არშაკიდებისადმი (170, 579. ტარნის ნაწილი), მოსპო ბაქტრო-სელევკიდური მონოპოლია. ცოტა უფრო ადრე ბოლო მოეღო სელევკიდთა კონტროლს ამიერკავკასიაზე, თუმცა ძნელია იმის განცხადება, რომ ის აქსავსებით აღმოიფხვრა. რაც შეეხება ტრანსპორტის სიზშირის დადგენას, აქ ნუმინმატიკური „გაუგებრობა“ - ძვ.წ. II ს. I ნახ. არაავტოხტონური სამონეტო აღმოჩენები კოლხეთიდან მხერულია. იბერია იწყებს პართული დრაქმებით საკუთარი ბაზრის დაკომპლექტებას - ბაქტრიული მონეტები კი ჯერჯერობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არის მიკვლეული.

ზემოაღნიშნული პოლიტიკური მოვლენები ხელს უწყობდა ინდური საქონლის ტრანსირანული ტრანზიტის ორგანიზაციას არახოზია-დრანგიანა-არიანა-ჰეკატომფილი-რაგა-ეკატანა-მესოპოტამია-სირიის გზით, რომლის ინიციატორადაც მთლიანად ირანული სავაჭრო კაპიტალი გამოდიოდა. ბაქტრო-პართული „ტრანსკავკასიური“ მონოპოლიის გენეზისს შლიდა ამიერკავკასიის უკონტროლოდ დარჩენილი სახელმწიფოები, ერთი მხრივ, და აგრეთვე დიდი წინააღმდეგობა თვით აღნიშნულ ორ ერთეულს შორის. რაც შეეხება პართიის უშუალო კონტაქტებს, პირდაპირ კავშირს დასავლურ სამყაროსთან, მისი რეალიზაციისთვის ორი გზა არსებობდა: I. Via ამიერ-

კავკასია, ე.ი. სახმელეთო გზას მარჯიანა-პირკანიის მიმართულებით ოქსის-კენ უნდა გადაეხვია და შემდგომ ჩვეული მარშრუტით წასულიყო. ამ შემთხვევაში ირანს ამიერკავკასიაზე კონტროლის დაწესება მოუხდებოდა, მისი პოლიტიკური რუკა კი ზედმეტად იყო დანაწევრებული. 2. უფრო რენტაბელურ პერსპექტივებს სირია-პართიის თანასწორუფლებიანი „სახმელეთო“ მონოპოლიის შესაძლებლობა სახავდა, რაც, ალბათ, ხორციელდებოდა კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში.

ძვ.წ. 65 წ. რომაული ექსპედიციის მიზანი ამიერკავკასიაში ამ რეგიონის სატრანზიტო შესაძლებლობების შესახებ არსებული ბერძნული ინფორმაციის რევიზია იყო. ყოველივე ეს მიუთითებს: 1. რომაელთა დაინტერესებაზე ტრანსკავკასიურის ექსპლოატაციით; 2. „ტრანსკავკასიური“ მონოპოლიის რესტავრაციის მეტად თუ ნაკლებად რეალური შანსების არსებობაზე. ქვემოთ ვნახავთ, რომ იგივეს ცდილობდა ევპატორიც, ხოლო ტიგრანეს ტიპოლოგიურად მსგავსი მისწრაფების ტაქტიკური რეალიზაცია სირიის ოკუპაციაში გამოიხატა.

რამ განაპირობა ასეთი ცხოველი ინტერესი რთულ პირობებში (ამაში ჩვენ პართიის სახელმწიფოს ფუნდამენტურ ტიპს ვგულისხმობთ), რა გარანტიები იყო მისი რეალიზაციისათვის?! ტრანსკავკასიური ტრანზიტის პერსპექტივები ძლიერდება ჩინეთის თურქესტანის გავლით აბრეშუმის იმპორტის პირობებში (ჩინეთთან კონტაქტებისათვის იხ. 174, 73-74; 170, 584-586, 598-599; 172, 121-122; 173, 97-98, 104); ქუშანის სახელმწიფოს გენეზისით და მასთან ანტიპართული ბლოკის შექმნის შესაძლებლობით. აქედან მოყოლებული ტრანსკავკასიური კომერციის რეანიმაცია პართიის პოლიტიკური დესტაბილიზაციით და მის მიერ რომის ავტორიტეტის გარკვეული ცნობით იქნებოდა განაპირობებული. ყოველივე ეს გულისხმობდა ქვეყნისათვის კაპიტულაციების მაგვარი რეჟიმის თავს მოხვევა. ტიბერიუსის პრინციპატის დასაწყისი ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია. სიმპტომატურია, რომ ინდოეთში რომაულებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი, ხოლო ჩინეთში ადრეული, სწორედ ტიბერიუსის მონეტებია მიკვლეული (171, 417; 173, 271, შენ. 5). მეორე ტრადიციული საკითხის გადაჭრას კვლავ და კვლავ ავგუსტეს დენარების მიმოქცევის ფართო დიაპაზონი უშლის ხელს.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, შეგვიძლია მხოლოდ a priori პოლი-

ტიკური სიტუაციის გათვალისწინების საფუძველზე ვივარაუდოთ ტრანს-კავკასიური ტრანზიტის პერიოდული ფუნქციონირება, ვთქვათ, ტრაიანუს, აკრელიუსის ან სევერუსის დროს. გასაგები მიზეზების გამო ამ საკითხზე აღარ შეგჩერდებით. მონოპოლიური რეგალიის დისტრიბუციის კუთხით, ალბათ, იტალიკები თავიანთ აღმოსავლელ პარტნიორებთან მიმართებაში თანაბარ უფლებებს ჯერდებოდნენ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მაინც პართული კონტროლის ქვეშ მოქცეული რომი-ქუშანის ეკონომიკური აღიანისი არ გამოირიცხავდა ტრანსირან-ული კომერციის მოქმედებას.

საერთო ჯამში, I-III სს. ძირითადი ტრანსირან-ული ტრანზიტი იყო. სასანურმა „რევოლუციამ“ კი საერთოდ მოშალა ტრანსკავკასიური ვაჭრობის პერსპექტივები. წითელი ზღვის სანაოსნო ტრასამ ვერ მოიპოვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ბაზების უქონლობის გამო, ამიტომ V-VI საუკუნეებში ბიზანტიური დიპლომატია სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს. რაც შეეხება რომაელთა პეგემონიის დაფუძნებას პალმირასა და პეტრაზე (170, 382; 172, 859-860; 141, 419), მისი მიზანი არაბული საშუამავლო ვაჭრობის მოგების წილის შემცირება იყო.

კონკრეტული კუთხით საინტერესოა პონტოს მიმართება იბერიასთან ევპატორის დროს.

იბერია-პონტოს ურთიერთობის შესახებ ანტიკურ წყაროებში რამდენიმე ცნობაა დაცული, რომლებიც იმთავითვე მოექცა მკვლევართა ყურადღების არეალში. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის არის მემნონის ცნობა, რომლის თანახმადაც ჯერ კიდევ რომაელებთან პირველი ომის წინ მითრიდატე VI ევპატორმა მოკავშირეებად გაიხადა „...პართელები, მიდიელები, სომხეთის მეფე ტიგრანე, ფრიგიის მეფეები და ი ბ ე რ ი ს მ ე ფ ე“ (Memn. XV, 30,4).

მემნონის ამ ჩვენებაზე დაყრდნობით, უკვე გასული საუკუნის მიწურულს თ.რეინაკმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „მითრიდატემ ტახტზე ასვლისთანავე იბერებთან დადო მეგობრობისა და ვაჭრობის ხელშეკრულება“ (186, 221). ამასთანავე, რეინაკის მიხედვით, ამ ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო მითრიდატეს ინტერესით მოეპოვებინა იმსავაჭრო-სატრანზიტო გზის ექსპლოატაციის უფლება (186, 224), რომელიც მიემართებოდა შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან, კოლხეთსა და იბერიაზე გავლით, შუა აზიასა და ინდოეთისაკენ.

რეინაკის პირველ ვარაუდს პონტოსა და იბერთა მეფეს შორის კავშირ-ურთიერთობის შესახებ უყოყმანოდ იზიარებს მეცნიერთა უმრავლესობა. ამასთანავე, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო ხანამდე არ ყოფილა ცდა რაიმე კომენტარით აღეჭურვათ მემნონის ცნობა და დამატებითი მასალებით შეემაგრებიათ თ.რეინაკის მოსაზრება. ამის მიზეზი იყო ის, რომ სპეციალურად ამ საკითხს არავინ იკვლევდა. ასეა გაზიარებული ეს ვარაუდი, მაგალითად, ლ.სანიკიძის (19, 28). გ.გოზალმ-ვილისა (40, 300) და სხვათა მიერ. გ.ლორთქიფანიძეს მიაჩნია, რომ ამ კავ-შირის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო კოლხეთის გაყოფის ფაქტი იბერიისა და პონტოს შორის (138, 21-22), რასაც, სხვათა შორის, არ იზიარებს ნ.ლომოური (136, 182). დ.შელოვი პირდაპირ წერს: „... союзни-ками Понтийского царя уже к началу первой Митридатовой войны выступают и Великая Армения и Иберия“ (163, 31).

უნდა აღინიშნოს, რომ დ.შელოვი ეყრდნობა არა მარტო მემნონის, არა-მედ აპიანესა და იუსტინის ჩვენებებს (App. Mithr. 15; Just., XXXVIII, 3,5). იგი არ ეთანხმება თ.რეინაკს მხოლოდ იმ საკითხში, თითქოს იბერია-მით-რიდატეს ხელშეკრულების საფუძველს მაინცდამაინც ამ უკანასკნელის სურვილი განაპირობებდა, რომ ხელში ჩაეგდო იბერიაზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალი. დ.შელოვი შენიშნავს: „у Митридата были достаточно и других причин искать союз с Иберией“ (163, 35. სქ). ვინაიდან ეს პრობლემა არ შედიოდა დ.შელოვის კვლევის სფეროში, მას, სამწუხაროდ, საკითხი არ გაულრმავებია.

უკანასკნელ ხანებში სათანადო კომენტარით მემნონის ცნობასა და თ.რე-ინაკის მოსაზრებას შეეხო ნ.ლომოური. მოგვყავს მისი სიტყვები მთლიანად: „к сожалению, мы не располагаем никакими сведениями о торговом союзе между Понтом и Иберией, потому это утверждение Т.Рейнака остается вполне возможным, но ничем не подтвержденным заявлением. Правда, на территории Иберии было найдено 4 (? - თ.დ.) медных монет амисского чекана (? - თ.დ.) (3 - в Мцхета и 1 - в районе г. Ахалцихе, в юго-западной Грузии), а недавно один статер (₰ - თ.დ.) Митридата VI был обнаружен во время раскопок недалеко от Мцхета, в сел. Дзалиса (₰ - თ.დ.), но эти единичные

находки, конечно же, не могут указывать на торговые связи непосредственно между Понтом и Иберией: не исключено, что эти монеты проникали в Восточную Грузию и из Армении" (136, 181).

უპირველეს ყოვლისა, უნდა მივუთითოთ რამდენიმე ფაქტობრივ უზუსტობაზე, რომელიც გვხვდება ზემოთ მოტანილ ციტატაში:

1. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილია მითრიდატეს ეპოქის სპილენძის არა 4 მონეტა, არამედ 8;

2. მათგან მხოლოდ ზოგიერთია მოჭრილი ამისოში, ზოგიც - სინოპეში და ამასტრიაში (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ);

3. ძალისაში არასოდეს არ აღმოჩენილა მითრიდატე ევპატორის სტატერი;

4. მითრიდატე VI ტეტრადრაქმა აღმოჩნდა ალაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს 1977 წ. მე-7 სამარხში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მითრიდატე ევპატორის ეპოქის სპილენძის მონეტების შემოსვლა სომხეთის ტერიტორიიდან, როგორც ამას ვარაუდობს პროფ. ნ. ლომოური, დღესდღეობით სრულიად გამორიცხულია, ვინაიდან ეს ნუმიზმატიკური ძეგლები სომხეთის ფარგლებში საერთოდ არაა მიკვლეული³.

შემდეგი ცნობები იბერია-პონტოს ურთიერთობის შესახებ ეკუთვნის პლუტარქეს (Plut., Lucull., 26, 31) და განეკუთვნება ძვ. წ. 69-68 წწ. ვინაიდან პლუტარქეს ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ასე თუ ისე ინტერპრეტირებულია და, რაც მთავარია, იბერიაში აღმოჩენილი პონტოს ნუმიზმატიკური მასალა წინ უსწრებს პლუტარქეს მიერ გადმოცემულ ფაქტებს, ჩვენი კვლევის ფოკუსი მიმართულია მაინცდამაინც იქითკენ, რომ შემონის ჩვენებისა და ნუმიზმატიკური ძეგლების ურთიერთშეჯერების გზით დასაბუთდეს თ. რენინაკის ვარაუდის საფუძვლიანობა.

წარმოვადგენთ სიას პონტოს მონეტებისა, რომლებიც მიკვლეულია აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში.

1. 1938 წ. სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ. წ. 111-105 ან 105-90 წწ. დათარიღებული სინოპეში მოჭრილი (42, 147, N 7; 117, 145, N 15) ტეტრახალკი (ტიპი: არესი - ქარქაში ჩაგებული მახვილი). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფონდი (გ. ფ.

N 9959).

2. იმავე ხანების და იგივე ტიპის მონეტა ნაპოვნია 1968 წ. მცხეთაში კარიბჭის უბანზე (დაცულია მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) (117, 146, N 15a). ქალაქის სახელი არ იკითხება.

3. იმავე ხანებისა და იგივე ტიპის ხალკი აღმოჩნდა 1939 წ. მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს. ქალაქის სახელი არ იკითხება (117, 145, N 14) (გ.ფ. N 10020).

4. იმავე ხანების ამისოში მოჭრილი სპილენძის მონეტა ირმის გამოსახულებით აღმოჩენილია არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს 1945 წ. (128, 165; 117, 146, N 16).

5. 1961 წ. თბილისში მტკვრის კალაპოტში შემთხვევით იპოვეს ამასტრიის ტეტრახალკი, მოჭრილი ძვ.წ. 105-90 წწ. (ტიპი: ეგიდა - ნიკე) (117, 146, N 17) (გ.ფ. N 10556).


6. იმავე ხანების ამისოში მოჭრილი ობოლი პერსეოსისა და ფრთოსანი პეგასის გამოსახულებით ნაპოვნია ახალციხის მიდამოებში 1951 წელს (გ.ფ. N 7483) (150, 11, N 1908; 117, 145, N 13).

7. ძვ.წ. 80-70 წწ. მოჭრილი დიხალკი აღმოჩნდა 1958 წ. მცხეთის გათხრების დროს. მოჭრის ადგილი არ იკითხება (ტიპი: ზევსის თავი - ელვაზე მჯდომარე არწივი) (117, 146, N 19) (გ.ფ. N 11004).

8. იგივე ტიპისა და იმავე წლებით დათარიღებული ამისოში მოჭრილი სპილენძის მონეტა აღმოჩნდა 1945 წ. ბაგინეთის გათხრების დროს (128, 165; 117, 146, N 18).

9. მითრიდატე VI პონტოელის ტეტრადრაქმა, მოჭრილი ძვ.წ. 72-71 წწ. აღმოჩნდა მცხეთის რაიონის ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრების დროს ალაიანში 1977 წ. მე-7 სამარხში (გ.ფ. N 16916).

შუბლი: მითრიდატე VI ევპატორის პროფილი მარჯვნივ (მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვეთი აქვს).

ზურგი: მარცხნივ მიმართული ბალახის მძოვი ირმის გამოსახულება, მის წინ - ნახევარმთვარე და ვარსკვლავი. ლეგენდა: ზემოთ ΒΑΣΙΛΕΩΣ, ქვემოთ - ΜΙΘΡΑΔΑΤΟΥ ΕΥΠΑΤΟΡΟΣ, ირმის უკან თარიღი - [ΚΣ (226), ძვ.წ. 72-71 წწ. თარიღის ზემოთ მონოგრამა -  გარშემო სუროს ფოთლების გვირგვინი (191, 20).

ამრიგად, იბერიის ტერიტორიაზე დღესდღეობით აღმოჩენილია პონტოს სამეფოს 9 მონეტა - 8 სპილენძისა და 1 ვერცხლის. სპილენძის 8 მონეტებიდან 6 მოჭრილია ძვ.წ. II ს. დასასრულსა და I საუკუნის დასაწყისში, ორი - ძვ.წ. 80-70 წწ. მათი ემისიის ცენტრებია, სადაც კი მოხერხდა ქალაქის სახელის წაკითხვა, ამისო, სინოპე, ამასტრია.

9 მონეტებიდან მხოლოდ მითრიდატეს ტეტრადრაქმა უნდა იყოს შემოსული იბერიის ფარგლებში სომხეთიდან. ამას ადასტურებს ორი ფაქტი:

1. ალაიანის სამაროვანზე იმავე 1977 წელს აღმოჩნდა ტიგრანე II (ძვ.წ. 95-55 წწ.) სამი ტეტრადრაქმა, მოჭრილი ძვ.წ. 83-69 წწ. ორონთის ანტიოქიაში.

2. იმავე ძვ.წ. 72-71 წწ. დათარიღებული მითრიდატეს ტეტრადრაქმა შედიოდა 1949 წ. სოფ.სარნაკუნკში (სისიანის რაიონი, სომხეთი) აღმოჩენილი უზარმაზარი განძის შემადგენლობაში (144, 155, N 131).

რაც შეეხება მითრიდატეს ეპოქის სპილენძის მონეტების შემოსვლის შესაძლებლობას სომხეთის ფარგლებიდან, ჩვენ მას გამოვრიცხავთ, ვინაიდან ისინი სომხეთის ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ გვხვდებიან.

იბერია-პონტოს ურთიერთობის ადრეული ეტაპის გარკვევის თვალსაზრისით აუცილებელია, პირველ რიგში, დადგინდეს რა გზით შემოვიდა ეს მონეტები აღმოსავლეთ საქართველოში და რას წარმოადგენდა ისინი ფუნქციური თვალსაზრისით.

ერთადერთი შესაძლებელი რეგიონი, საიდანაც აღნიშნული მონეტები იბერიის ფარგლებში უნდა მოხვედრილიყო, არის კოლხეთი, თანაც არა მისი სანაპირო ზოლი, არამედ სწორედ ცენტრალური ნაწილი.

კოლხეთის ანექსიას მითრიდატე VI ევპატორის მხრივ ადგილი ჰქონდა ძვ.წ. 105-90 წწ. (116, 21). ამასთანავე, მითრიდატე VI პონტოელის ნუმისმატიკური ძეგლების აღმოჩენათა სიმრავლე მაინცდამაინც ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე საფუძველს აძლევდა გ.ლორთქიფანიძეს (138, 20), კ. გოლენკოს (107, 136) და გ.დუნდუას (43, 157, სქ. 58) ევარაუდით ამ პუნქტში მითრიდატეს გარნიზონის დგომა. ამ მოსაზრების წინააღმდეგ გაილაშქრა ნ.ლომოურმა (136, 178), ძირითადად იმ მოტივით, რომ ვანი, ოთ.ლორთქიფანიძის ჰიპოთეზის თანახმად, იყო სატაძრო ქალაქი (60, 28-29). რომ ამ საბუთით არ შეიძლება გამოირიცხოს ვანში მითრიდატეს მხედრიონის ყოფნა, ჯერ კიდევ 1974 წ. სათანადოდ დაასაბუთა გ.დუნდუამ (43,

157, სქ. 58), ხოლო შემდგომ ხაზგასმით აღნიშნა დ. შელოვმაც: „ДОВОДЫ О.Д.Лордкипанидзе, - წერს იგი, относительно культового характера поселения в Вани представляются весьма убедительными, **но это вряд ли могло служить препятствием для размещения в нем отряда понтийцев.** Расположенный в стратегически очень важном месте, прекрасно укрепленный, этот центр не мог остаться вне внимания Митридата или его наместников, и превращение города в одну из понтийских крепости, **независимо от его первоначальных функций,** кажется весьма вероятным” (ზაზი ჩვენია - თ.დ.) (163,36).

მაგრამ, რა თქმა უნდა, უძლიერესი არგუმენტი ვანში მითრიდატეს გარნიზონის დგომისა არის არა ამა თუ იმ მეცნიერის ავტორიტეტი, არამედ ფ ა ქ ე ბ ი.

აქ სპილენძის მონეტების კონცენტრაციასთან დაკავშირებით უკვე გვქონდა თავის ადგილზე მოტანილი სპეციალისტების დაკვირვება, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე (სანაპირო ზოლის გამოკლებით) არ აღმოჩენილა ძვ.წ. VI - ახ. წ. IV სს. სპილენძის მონეტების არც ერთი განძი. უფრო მეტიც, არ აღმოჩენილა სპილენძის არც ერთი მონეტა, მოჭრილი მითრიდატე ევპატორის ეპოქის წინა-რეხანებში (48, 123). აქედან დასკვნა: კოლხეთის მოსახლეობა არ ღებულობს სპილენძის საფასეს, შესაბამისად, ფულადი მეურნეობა აქ სუსტადაა განვითარებული. ასეთ ვითარებაში, სრულიად მოულოდნელად, ცენტრალური კოლხეთის მართო ერთი პუნქტი იძლევა 200-მდე სპილენძის მონეტას, დათარიღებულს მითრიდატე VI ეპოქით. თუ არა პონტოს გარნიზონის დგომით ვანში, ამ ფაქტს სხვანაირად ვერ ავხსნით (116, 28).

კიდევ ერთხელ უნდა გაეკვას ზაზი იმ გარემოებას, რომ ყველგან, მაგალითად, ბოსფორის ტერიტორიაზე, ამ მონეტების ცირკულაციის დასაწყისს უკავშირებენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის შესვლას მითრიდატე ევპატორის სამეფოს შემადგენლობაში (105,307).

ამრიგად, ვანში მითრიდატე VI მხედრიონის ყოფნა ნუმონმატიკური მასალების მიხედვით თითქოს აღარ უნდა იყოს საეჭვო.

რაც შეეხება მითრიდატეს ეპოქის სპილენძის საქალაქო მონეტების ფუნქციას, ეს საკითხი სადისკუსიოა. მაგალითად, ა. ზოგრაფი თვლიდა, რომ

სტატერებისა და ტეტრადრაქმების გვერდით, ამ მონეტების საშუალებით ხდებოდა მითრიდატეს საომარი ხარჯების დაფარვა (121, 185-186). მ.მაქსიმოვასა და ნ.ლომოურის აზრით კი, ამ მონეტებს, „მილიტარისტული“ ფუნქციის გარდა, რა თქმა უნდა, ჰქონდა სავაჭრო ფუნქციაც (139, 227; 136, 172-173). ჩვენთვის როგორც პირველი, ასევე მეორე ვარაუდიც მისაღებია და მათ შორის დიდი პრინციპული სხვაობა არ უნდა იყოს. მთავარი აქ ის არის, რომ ხსენებული სპილენძის მონეტები ჩნდება მხოლოდ იმ რეგიონში, რომელიც პოლიტიკურად მითრიდატეს სამეფოს არეალშია მოქცეული, სადაც პონტოს ჯარისკაცებია შესული.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ იბერიაში აღმოჩენილი მითრიდატეს ეპოქის სპილენძის მონეტები.

და მართლაც, განა შეეძლო მითრიდატე ევპატორს, რომელიც ემზადებოდა რომთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომისათვის, რომელმაც მოკავშირედ გაიხადა დიდი სომხეთი და დაიპყრო კოლხეთი, განზე დაეტოვებინა იბერია, მასთან ნაწილობრივ დაკავშირებული ტრანსკავკასიური ტრანზიტის პერსპექტივებით? ეს აპრიორულადაც სრულიად გამორიცხებულია, ხოლო დოკუმენტურად დადასტურებულია მემნონის ცნობით და იბერიაში აღმოჩენილი მითრიდატეს ეპოქის ნუმისმატიკური ძეგლებით. ამრიგად, თ.რეინაკის ვარაუდი ამ ორი რეგიონის კავშირურთიერთობის შესახებ არა მართო შესაძლებელი მოსაზრებაა, არამედ, ჩვენი აზრით, რეალური ფაქტიც.

სხვა საკითხია, რა კონკრეტულ ფორმებში განხორციელდა პონტოს და იბერიის ურთიერთობა.

ვინაიდან იბერიის მოსახლეობა, ისევე როგორც კოლხეთისა, უგულებელყოფდა სპილენძის მონეტებს, რასაც ადასტურებს აღმოჩენათა რიცხვი და ტოპოგრაფია, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ პონტოს სამეფოს ვანში მდგარი ჯარისკაცების რაღაც ნაწილი იბერიის მეფის ნებართვით შემოვიდა აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში. ჩვენი აზრით, ამ მონეტების დალექვა იბერიის საზღვრებში კოლხეთისა (resp. მითრიდატე პონტოელის) და იბერიის პოლიტიკური ურთიერთობის მაჩვენებელია, ორი ცენტრის - ვანისა და მცხეთის (სწორედ აქაა მიკვლეული სპილენძის 6 მონეტა) პირდაპირი კავშირების მანიშნებელია.

ვფიქრობთ, თ.რეინაკის მოსაზრება პონტოსა და იბერიას შორის კავშირისა (ამასთანავე ეკონომიკური კავშირისაც) და მითრიდატეს დაინტერესების შესახებ ტრანსკავკასიური სავაჭრო გზით, მემნონის ცნობისა და ნუმიზმატიკური მასალების ერთობლივი გამოყენების შემდეგ საკმაოდ მყარ ნიადაგზე დგას.

შემდეგი ცნობა იბერია-პონტოს ურთიერთობის შესახებ, როგორც უკვე გვკონდა აღნიშნული, ეკუთვნის პლუტარქეს. იგი გვაუწყებს, რომ ძვ.წ. 69 წელს, როდესაც მითრიდატე პონტოელის მოკავშირე ტიგრანე II ქ.ტიგრანაკერტთან ლუკულუსის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, მასთან ჯარით მივიდნენ „...სომხები და გორდიენელები... უკლებლივ გამოცხადდა მიდიელთა და ადიაბენელთა ლაშქარი თავთავიანთი მეფეების წინამძღოლობით... მასთან მოხლავდნენ ბაბილონის ზღვის სანაპიროდან წამოსული არაბთა უთვალავი ურდოები, კასპიის ზღვის მხრიდან დაძრული მრავალრიცხოვანი ალბანები და ალბანების მეზობლად მცხოვრები იბერები და არაქსის სანაპიროებზე მოსახლე თავისუფალ ტომთა საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯარები - ტიგრანეს მიმართ კეთილგანწყობილებით თუ საჩუქართა მიღების სურვილით ამოძრავებულნი...“ (Plut., Lucull., 26). გ.მელიქიშვილის ვარაუდის თანახმად, ტიგრანაკერტთან ბრძოლაში მონაწილე იბერიელები დასახელებული არიან იმათ შორის, ვინც ტიგრანესთან გამოცხადდა ბრძოლის ველზე „ტიგრანეს მიმართ კეთილგანწყობილებით თუ საჩუქართა მიღების სურვილით ამოძრავებულნი“. მკვლევარის აზრით, ერთგვარი პოლიტიკური დამოკიდებულება იბერიისა და ალბანეთისა სომხეთზე არ უნდა იყოს ამორიცხული (74, 501).

ასევე ესმის ეს ადგილი ნ.ლომოურს, თუმცა გამოაქვს განსხვავებული დასკვნა: „ведь Плутарх - წერს იგი, - прямо говорит, что иберы и другие народы пришли к Тиграну на помощь „из расположения к нему или из-за даров“. Здесь ясно подчеркивается собственное желание, пришедших на помощь, а не обязанность, подразумеваемая политической зависимостью“ /136, 183/.

სავსებით მართებულია ნ.ლომოურის შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მემნონის ცნობის თანახმადაც საუბარია არა პოლიტიკურ დამოკიდე-

ბულებზე იბერიის მეფისა პონტოსადმი, არამედ სამოკავშირეო ურთიერთობაზე (136, 183). სიმპტომატური ფაქტია, რომ იბერიის მეფე, მემნონის მიერ, სომხეთის მეფესთან ერთად ერთ სიბრტყეზეა დასახელებული. ჩვენი აზრით, არ არსებობს არავითარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მემნონის ცნობის შექმნევე ისე მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია, რომ იბერია სომხეთის პოლიტიკურ დამოკიდებულებაში მოექცა. ამდენად, სწორი უნდა იყოს ნ. ლომოურის მოსაზრება: „...иберы являлись именно союзниками Армении, хотя это отнюдь не исключает ведущую роль Понта и Армении в этом союзе“ (136, 189).

იბერები მონაწილეობდნენ ლუკულუსის წინააღმდეგ ბრძოლაში აგრეთვე ძვ.წ. 68 წ., როდესაც რომაელთა მხედრობას გეზი აღებული ჰქონდა სომხეთის დედაქალაქ არტაშატისაკენ (Plut., Lucull., 31). გ.მელიქიშვილი თვლის, რომ ამჯერად საქმე მოქირავნეებთან გვაქვს (74, 501). მაგრამ, ალბათ, ამ შემთხვევაშიც საფიქრებელია, რომ იბერები მითრიდატე პონტოელისა და ტიგრანეს მოკავშირეებად გამოდიან.

სომხეთის ტერიტორიაზე იბერი მოლაშქრეების ყოფნა მატერიალურად თითქოს დასტურდება ალაიანში აღმოჩენილი ტიგრანე II-ის სამი ტეტრადრაქმით, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. გარდა ამისა, იმასაც უნდა გაგვას ხაზი, რომ ალაიანში ზუსტად ისეთივე მონეტებია (იგულისხმება მათი ტიპოლოგია, ქრონოლოგია, ემისიის ცენტრები) კიდევ ნაპოვნი (პართული დრაქმები, რესპუბლიკური ხანის რომაული დენარები), რომელთა ცირკულაცია სწორედ სომხეთის ტერიტორიისთვისაა დამახასიათებელი (52, 88-101). ასე რომ, წერილობითი წყაროების ცნობებისა და ნუმისმატიკური მასალების საფუძველზე იბერია-სომხეთ-პონტოს მჭიდრო ურთიერთობა დროის ამ მონაკვეთში სრულიად უდავო ფაქტია.

მაინც რომელი გზით უნდა მომხდარიყო იბერიაში ამ მონეტების შემოსვლა?

ძველი შსოფლიოს სავაჭრო გზების შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ ახ.წ. IV ს. შედგენილ საგზაო რუკას, ე.წ. „პევეტინგერის ტაბულას“, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, უფრო ადრეულ ვითარებასაც ასახავს (57, 101). ამ დოკუმენტის მიხედვით, სომხეთის დედაქალაქი არტაშატი მჭიდროდ იყო

დაკავშირებული სავაჭრო გზებით იბერიასთან (57, 118). ვთვლით, რომ ჩვენთვის საინტერესო მონეტები იბერიაში შემოვიდა გზის იმ მონაკვეთით, რომელიც იწყებოდა არტამატთან და გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: დილი-ჯანი-ალსტაფა-ყაზახი-რუსთავი-თბილისი-მცხეთა. სხვათა შორის, სტრაბონის მოწმობით, სწორედ ამ გზით შემოიჭრა ძვ.წ. 65 წელს სომხეთიდან იბერიაში რომაელთა სარდალი გნეუს პომპეუსი (57, 118).

მაგრამ თუ მემნონისა და პლუტარქეს გადმოცემების თანახმად იბერია პონტოს მოკავშირეა, აპიანეს მიხედვით იბერები თავს ესხმიან პომპეუსისაგან დამარცხებულ მითრიდატეს. აპიანე გვაუწყებს, რომ დამარცხებული მითრიდატე მეოთხე დღეს გადავიდა ევფრატზე და შეიჭრა სომხეთში. აქ მან უკუაგდო ხოტენები და იბერები, რომლებიც მის შეჩერებას ცდილობდნენ, გადალახა მდ.აფსაროსი და ზამთარი გაატარა დიოსკურიში (App., Mithr. 101).

ამ ადგილის ინტერპრეტაციაში, როგორც ჩანს, მართალი უნდა იყოს ნ.ლომოური. საქმე ისაა, რომ როდესაც, აპიანეს თანახმად, დამარცხებულმა მითრიდატემ გადალახა ევფრატის სათავეები, იგი შეიჭრა ხოტენეში, ხოლო ამის შემდეგ გადალახა მდ.აფსაროსი (დღევანდელი ჭოროხი). ე.ი., ასკენის ნ. ლომოური, ხოტენეს ლოკალიზაცია უნდა მოხდეს სადღაც ევფრატის სათავესა და ჭოროხს შორის (136, 184).

სამეცნიერო ლიტერატურაში ხოტენე გაიდენტურებულია სტრაბონის მიერ მოხსენიებულ ხორძენესთან, რომელიც შეესატყვისება ძველ ქართულ პროვინციებს ტაოსა და კოლას (ამ დებულების არგუმენტაცია და სათანადო ლიტერატურაზე მითითება იხ. 136, 184). ხორძენე და მასთან ერთად სხვა ოლქები კი, იმავე სტრაბონის ცნობით, ძვ.წ. II ს. 90-იან წლებში სომხეთმა ჩამოართვა იბერიას (Strabo, XI, 14,5). ამის შემდეგ ნ.ლომოური სრულიად მართებულად ასკენის: „надо полагать, что нападающими в данном случае были местные жители, которых можно считать в это время иберами лишь в этническом смысле, но отнюдь не по их принадлежности к иберийскому царству“ (136, 185; შდრ. 142, 327. ავტორს მიაჩნია, რომ ეს არის პირველი მოწმობა იბერების გააქტიურებისა ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთში).

უფრო ადრე იგივე აზრი აქვს გამოთქმული გ.ლორთქიფანიძესაც. იგი თვლის, რომ ხორძენეში მცხოვრები იბერების თავდასხმა მითრიდატემ

განხორციელდა ტიგრანე II ბრძანებით, ვინაიდან ეს რაიონი უშუალოდ ემორჩილებოდა მის ხელისუფლებას (138, 26).

რომ ეს სწორედ ასეა და არა სხვანაირად, ამას მოწმობს ძვ.წ. 65 წ. იბერიაზე პომპეუსის თავდასხმის ფაქტი. ძნელი წარმოსადგენია რომაელთა სარდალს ეს აქცია განეხორციელებინა იმ შემთხვევაში, თუკი ცოტა ხნით ადრე იბერიის ცენტრალური ხელისუფლება გამოდიოდა მითრიდატე ევპატორის წინააღმდეგ. ამასვე მოწმობს პლუტარქეს სიტყვები: იბერები „იწვოდნენ სურვილით დაემტკიცებინათ თავიანთი ერთგულება მითრიდატესათვის და განედევნათ პომპეუსი“ (Plut., Pomp. 24). მაგრამ იბერიის მეფე არტაგმა ეს ვერ შეძლო და თავი „რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ“ გამოაცხადა მას შემდეგ, რაც დამარცხდა პომპეუსთან ბრძოლაში (136, 185; 74, 504).

უაღრესად საინტერესო ფაქტია ისიც, რომ რომში პომპეუსის პატივსაცემად გამართულ ტრიუმფზე, აპიანეს ცნობის თანახმად, კოლხთა სკეპტუხ ოლთაკესთან ერთად, ყველაზე უფრო წარჩინებულ ტყვეთა და მძევალთა შორის დასახელებულია „იბერთა სამი და ალბანელების ორი მთავარი“ (App.Mithr, 117). ეს იყო ეპილოგი იბერთა ერთგულებისა მითრიდატე პონტოელისადმი მთელი ურთიერთობის მანძილზე.

ახლა იბერიის სამონეტო საქმეს მივუბრუნდეთ. I ს.შუა ხანები ალექსანდრესა და ლისიმაქეს იმიტაციების ემისიის უკანასკნელი ეტაპია. ორსაუკუნოვანი შესვენების შემდგომ კი იბერიაში კვლავ განაახლა ქმედება ამ თვალსაზრისით, გარკვეულმა ეკონომიკურმა კონიუნქტურამ ხელი შეუწყო ქართლის სამონეტო ბაზრის დიფერენტების რემინისცენციური ფინომენის გენეზისს. ამ მოვლენის ეგზისტენციის ქრონოლოგია სამარხეული კომპლექსების, კონკრეტული პროტოტიპების და სხვა უფრო ზოგადი მომენტების გათვალისწინების საფუძველზე, ძირითადად, III ს. II ნახ. იფარგლება.

16. ავგუსტეს დენარის ქართული მინაბადი. Ar. (ტაბ. VI, N 15).

შუბლი: ოქტავიანეს პროფილი მარჯვნივ, გარშემო დამახინჯებული ლათინური ლეგენდა.

ზურგი: გაიუს და ლუციუს კეისრების გამოსახულება, ევრანდობიან ფარებს, მათ უკან შუბებია. ირგვლივ დამახინჯებული ლათინური წარწერა.

რომაული იმიტაციების ჯგუფის სხვა კომპონენტია აურეუსების მინაბა-

ძები (დროით ასპექტში პროტოტიპების ექსპლოატაცია განსაკუთრებით ინტენსიურია III ს. 40-80-იან წლებში).

17. II ს. აურეუსის (მარკუს ავრელიუსი ან ლუციუს ვერუსი) მინაბადი Av. (ტაბ. VI, N 15°).

შუბლი: წვეროსანი იმპერატორის თავის გამოსახულება მარჯვნივ. გარშემო თითქოს იკითხება: M ANTONINVS AVG ARM PARTH MAX (შუბლის ასეთი წარწერა აქვს ავრელიუსის და მეტადრე ლუციუს ვერუსის აურეუსებს).

ზურგი: მარცხნივ მიმართული ფორტუნას გამოსახულება მთელი ტანით, მარჯვენა ხელში საჭე (?) უჭირავს, მარცხენაში - ყანწი. გარშემო: TR PXX? IMP III? COS (მონეტის დეფექტის გამო წარწერა ცუდად იკითხება).

სამონეტო ტიპოლოგიის ევოლუცია თითქმის ნატურალისტური კონცეფციების სქემით შეცვლის ჩვეულებრივი პროცესია.

კონკრეტული პერიოდის იბერიის სამონეტო მიმოქცევასთან დაკავშირებით შესაძლებელია რამდენიმე დებულების კონსტრუქცია: 1. იმპერიის მძაფრი ეკონომიკური კრიზისი და ირანის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია აკუმულაციური დეფიციტის საფუძველი შეიქმნა. ავტონომური ემისიის საკითხი აქტუალური უნდა გამხდარიყო. 2. ეს და თვით იმიტაციების სპეციფიური ჰაბიტუსი გამორიცხავს მათ იატაკქვეშა წარმოებას. 3. მაგრამ რეგალიის დაუფიქსირებლობა წყაროთმცოდნეობითი ბაზისის არსებულ დონეზე გაუგებარია. 4. იმიტაციების მცირე რაოდენობა, სამარხეულ კომპლექსებში მათი არადომინირებული კონდიცია, წონის და, აუცილებლად, სინჯადობის თანდათანობითი დაცემა, თითქმის ბიმეტალიზმი და ნომინალური გაწვრილება; დამატებით IV ს. დაცემული სამონეტო ბაზრის პერცეფცია წინა პერიოდის დერივატად - ყოველივე საკმარის მძაფრი და ხანგრძლივი კრიზისული პროცესის დანახვის საფუძველს გვაძლევს. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით, მაინცდამაინც მეტად ფრთხილი სამუშაო ჰიპოთეზის სახით უნდა იქნეს ჩამოყალიბებული - ფეოდალური ურთიერთობების პრიმატისთვის აუცილებელი სოციალური სტრუქტურის შექმნის პროცესის მიმდინარეობის შედარებით ნელი ტემპები კონკრეტული კუთხით დას.შვები მიზვნთაგანია.

მინაბაძეების ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს მაღალ რაიონებშია დაფიქსირებული. ქართული ეთნოკულტურის ჩარჩოებში მთის და ბარის მიმართების საკითხი საოცრად აქტუალურია; წმინდა ნუმინმატიკური კუთხით კი ის საერთოდ არ განხილულა. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჟინვალის და ერწოს არქეოლოგიური ექსპედიციების (ხელმძღვ. - ისტ. მეცნ. დოქტ. რ. რამიშვილი) მიერ მოძიებული ანტიკური ნუმინმატიკური მასალის სპეციალურ პერსპექტიულ შესწავლას. წარმოდგენილი ნაკვეთის მიზანია აღნიშნული ძეგლების წინასწარი ატრიბუცია და ზოგიერთი კონკრეტული დასკვნის გაკეთება.

ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სხვადასხვა დროს არაგვის ხეობაში „ანტიკური ხანის“ 127 მონეტას მიაკვლია. გამოიყოფა ძირითადად ორი ჯგუფი: პართული და რომაული. I ჯგ. (71 ც. ატრიბუცია რეალიზებულია ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგის მიხედვით) ასეა წარმოდგენილი: მითრიდატე II (ძვ.წ. 123-88 წწ.) - 1; არტაბან II (ძვ.წ. 88-77 წწ.) - 1; სინანთრუქი (ძვ.წ. 77-70 წწ.) - 1; მითრიდატე III ?/ (ძვ.წ. 57-54 წწ.) - 1; ოროდ II (ძვ.წ. 57-37 წწ.) - 19; ფრაატ IV (ძვ.წ. 38/37-3/2 წწ.) - 3; ვარდან I (40/41-45 წწ.) - 1; ე.წ. გოტარზე (40/41-51 წწ.) - 41; ვოლოგეზ I (51-77/78 წწ.) - 2; ვოლოგეზ II (77/78-146/147 წწ.) - 1.

II ჯგ. (52 ც.) წარმოდგენილია შემდეგი ემისიებით: ავგუსტეს დენარები, მოჭრილი ძვ.წ. 2 - ახ.წ. 4 წწ. გალიის ერთ-ერთ ზარაფხანაში - 46; ტრაიანეს (?) დენარი - 1; ადრიანეს კესარიული ღიდრაქმა - 1; იულია ღომნას სახელით 198-209 წწ. რომში გამოშვებული აურეუსი - 1; ვალერიანეს აურეუსი - 1; II-III სს. ცუდად შემონახული დენარები - 2.

III ჯგ. - ადგილობრივი მინაბაძეები: ავგუსტეს დენარის იმიტაცია - 1; ავგუსტეს აურეუსის იმიტაცია - 1; ვალერიანეს აურეუსის იმიტაცია - 1.

IV ჯგ. სასანური: შაბურ II Ar. - 1⁴.

წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, რომ ჟინვალის და მისი „ქვეყნის“ საქონელბრუნვას აწესრიგებს, ძირითადად, ძვ.წ. I ს. შუა ხანებით და I ს. I ნახ. დათარიღებული პართული დრაქმები, I ს. რომაული დენარები. ისიც აშკარაა, რომ ბარის და მთის ხერთვისში დაფუძნებული ჟინვალი (152, 29), ალბათ, უკვე ძვ.წ. I ს. შუა ხანებიდან მოკიდებული, მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ერთეულია. საქალაქო ცხოვრების განსაკუთრებულ დაწინაურებას აქ, როგორც ჩანს, I ს. დასაწყისიდან ჰქონია ადგილი. მეტად

სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ ჟინვალის ურბანისტული პროგრესი მცხეთის გაფერქვნის სინქრონულია. დიდი მცხეთის ნუმინმატიკა გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ ასეთი დასკვნა. აღნიშნული სინქრონული შტრიხების ინდუქციური პერცეფცია უდრის თეზას იბერიის ეკონომიკის მძაფრი პროგრესის შესახებ. ჟინვალი ბრწყინვალე კომერციული პლაცდარმია. აქ გრძედებოდა (?) საბითუმო საქონელი მცხეთიდან, ის სახმარი ღირებულებანი, არაგვის ორივე განშტოების გზით რომ ჩამოჰქონდათ (152, 29). ამით მცხეთის საბითუმო ბაზარი გარკვეულწილად განიტვირთებოდა ხოლმე (?).

მცხეთის და ჟინვალის სამონეტო ბაზრები საოცრად ჰგავს ერთმანეთს. ფულის აკუმულაციური საბითუმო რეცეპცია სწორედ დედაქალაქში ხორციელდებოდა - აქედან ის იწყებდა ბრუნვას მთელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით. რომაული ოქროს ხშირი აღმოჩენები კი არაგვის ხეობის არქეოლოგიური პერსპექტივაა. მცხეთის მხარეში ხომ მისი ხვედრითი წილი მნიშვნელოვანია (128; 129; 131).

თავის მხრივ, ჟინვალი ფულის მთაში გატყორცნის ბაზაა. მთის და ბარის ურთიერთობის მიმოხილვა ცალკე მონოგრაფიის თემაა, ყოველივე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ და მხოლოდ მას შემდგომ, რაც შედგება მთის ზოლის აბსტრაქტირებული სრული ნუმინმატიკური კარტოთეკა.

კომენტარები:

1. აღსანიშნავია ჟინვალში კესარიული დიდრაქმის პოვნის ფაქტი. ეს კატეგორია ხომ აღმოსავლეთ საქართველოში პრაქტიკულად არ ტრიალებდა?!

2. ბაღი-ჭალას მე-17 სამარხში ავგუსტეს დენარის მინაბადი იყო; 1974 წ. ჟინვალში ავგუსტეს „აურეუსის“ იმიტაციას წააწყდნენ, Rv. ტიპი გაიუს და ლუციუს კეისრები (საქსახ. მუზეუმის ნუმინმატიკის განყოფილების განძების ფონდი (გ.ფ.) N 14536). კონკრეტული ნუმინმატიკური ფაქტები უაღრესად საინტერესოა. ქართლში ავგუსტეს ორიგინალური აურეუსები ძალზედ იშვიათად ფიქსირდება; და როგორც ვხედავთ, ჟინვალის ცალის პროტოტიპია არა Av., არამედ ოქტავიანუს დენარი, ასე ინტენსიურად რომ მიმოიქცეოდა იბერიაში. „აურეუსის“ მინაბადი, ზუსტად ასეთივე, აღმოჩნდა ერწოს ველზე, სიმონიანთხევეში 1967 წ. (გ.ფ. N 12215). ერწოს ველზევე იქნა მოძიებული ერთი ჰიბრიდული იმიტაცია (Av). ავგუსტეს და კომოდის

პროფილებით (131).

3. ჟინვალის არქეოლოგიურმა გათხრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ავგუსტეს დენარების და ე.წ. გოტარზეს დრაქმების კონტაქტის რეალობა გვიანდელ მასალასთან. შემდგომი კვლევა დააზუსტებს მათი ცირკულაციის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს.

4. დიდი მნიშვნელობა აქვს არაგვისპირის სამაროვნის მე-13 სამარხიდან მომდინარე ნუმიზმატიკურ მასალას. აქ იყო ვალერიანეს აურეუსი - Av. იმპერატორი. Rv. ვიქტორია ეტლზე, და მისი ადგილობრივი მინაბაძი.

ასეთია ჟინვალის ნუმიზმატიკური ძეგლების ზოგადი დახასიათება.

უფრო მცირერიცხოვანი, მაგრამ ასევე ძალზედ საინტერესო მასალაა მიკვლეული არქეოლოგიური გათხრების დროს ერწოს ველზე, თიანეთის რაიონში, ზღვის დონიდან 1000-1100 მ (72, 6). აქ დადასტურებული არქეოლოგიური ძეგლები მონოგრაფიულადაა შესწავლილი (72; 153; 37). რაც შეეხება ნუმიზმატიკურ მასალას, ის შემდეგნაირად ჯგუფდება:

I ჯგ. რომაული ფული: ავგუსტეს დენარები, მოჭრილი ძვ.წ. 2 - ახ.წ. 4 წწ. გალიის ერთ-ერთ ზარაფხანაში - 12; ალექსანდრე სევერუსის აურეუსი - 1; გორდიანე III აურეუსი - 1; კარუსის აურეუსი - 1; დიოკლეტიანეს აურეუსი.

II ჯგ. პართული მონეტები: ე.წ. გოტარზეს დრაქმები - 16.

III ჯგ. ლოკალური იმიტაციები: ავგუსტეს აურეუსის მინაბაძი - 1; ალექსანდრეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძი - 1; ავგუსტესა და კომოდის ჰიბრიდი (Av.) - 1; ფილიპეს აურეუსის იმიტაცია - 1. ალექსანდრეს იმიტაცია ერწოს ველიდან ზუსტად ისეთივეა, როგორც 1951 წ. მცხეთის მავზოლეუმში დაფიქსირებული ცალი (მავზოლეუმის სამონეტო კომპლექსთან დაკავშირებით იხ. 128, 172). ასეთივე მიმართებაა ფილიპე არაბის აურეუსის ორ მინაბაძს შორის, ერწოდან და არმაზის N 3 სამარხიდან (129, 165-166). კონკრეტული შემთხვევა ერთი და იგივე სიქის გამოყენებასაც კი გვაპარაუდებინებს. მცხეთის „ქვეყანა“ და ერწოს ველი დიალექტიკური ეკონომიკური სისტემებია. თვლიან, რომ უკანასკნელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეული საერთაშორისო საბითუმო ტრანზიტსაც (მცხეთისკენ) ემსახურებოდა (71, 54; 66, 210-211). დავუბრუნდეთ კვლავ მინაბაძების საკითხს. საინტერესოა, რომ იბერიაში მოძიებული II რომაული იმიტაციიდან 7 ერთი სიქითაა მოჭრილი - ეს ემპირიული შტრიხი კ.გოლენკოს შე-

ნიშნულია, მასზე დაყრდნობით ხსენებული მკვლევარი თვლის, რომ ყოველივე ლოკალური გენეზისის არგუმენტია (108, 50). და ეს სწორია.

აქვე დამატების სახით შესაძლებლად მივიჩნიეთ დიდი პრობლემის ადეკვატური ემპირიული მასალის ნაწილობრივი ფიქსაცია. სუპლემენტს შემდეგი სათაური აქვს: ანტიკური სამყარო, ბიზანტია და ქართული ეთნოკულტურა ნუმისმატიკური მასალების მიხედვით.

შესაბამისი ნუმისმატიკური კატეგორიები დიდი რაოდენობითაა მიკვლეული საქართველოს ტერიტორიაზე. კონკრეტული კვლევა უდრის სამონეტო განძებით დედუქციურ მანიპულაციას. უფრო ვრცელი ემპირიზმი ძალზედ შორს წაგვიყვანდა.

კონკრეტული კუთხით მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზისი ოცზე მეტ განძს აკომპლექტებს.

განძების სია:

პროტოფეოდალიზმი

ა) კოლხეთი⁵

1. 1948 წ. ფიჭვნარი. შემთხვევითი მონაპოვარი. განძი რამდენიმე კილოგრამს იწონიდა. აქედან მხოლოდ ნაწილი გახდა სამუზეუმო ფონდების საკუთრება. დაკომპლექტებული იყო სინოპური დრაქმებით და კოლხური ჰემიდრაქმებით. სინოპური მონეტების ემისიის ხანაა ძვ.წ. 360/350-345 წწ. (101; 102; 117,35, N 11).

2. 1908 წ. ზემო სვანეთი. ალექსანდრეს სტატერების განძი (100 ც.) (?) (117,45, N 11).

3. 1912 წ. თავისუფალი სვანეთი. 200Av. წარწერით - ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ 117, 45, N 16).

4. საუკუნის დასაწყისი. სადღაც სვანეთში. მულახი (?). პანტიკაპეური სტატერების განძი (30-32 ც. ტიპი: სატირი. RV. გრიფონი. ძვ.წ. IV ს.ბოლო მეოთხედი) (117,53, NN 1-2).

5. 1897 წ. საზოდელავო (სენაკის რაიონი). ვერცხლის მონეტების განძი: საკონსულო Ar. - 23, ავგუსტეს დენარი - 2, არქელაოს კაპადოკიელის დრაქმა - 1. ჩამარხული უნდა იყოს ძვ.წ. I ს. მიწურულს (117, 134, N 8).

6. 1905 წ. გალის რაიონში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი (60-70 ც.). ე.პახომოვს უნახავს აქედან მომდინარე რამდენიმე ეგზემპლარი.

მონეტები პოლემონ II ეკუთვნოდა. უფრო კონკრეტულ ინფორმაციას სხენებული მკვლევარი არ აძლევდა, რის გამოც ეს ნუმისმატიკური ძეგლები თარიღდება მხოლოდ ზოგადად, 49-63 წწ. მათი ადგილსამყოფელი უცნობია (52, 120, N 1).

7. 1930-იანი წლები. ფახელანი (წალენჯიხის რაიონი). შემთხვევითი მონაპოვარი. პოლემონ II დრაქმები (10 ც.). სპეციალურ ლიტერატურაში ისინი დათარიღებულია ასევე ზოგადად - 49-63 წლებით. ინახებოდა ზუგდიდის მუზეუმში. დღესდღეობით მის ფონდებში არ იძებნება (52, 120, N 2).

8. 1958 წ. ბიჭვინტაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა 149 მონეტისგან შემდგარი განძი. 10 მონეტა ვერცხლისაა და მოჭრილია II-III სს. კაპადოკიის კესარიაში, დანარჩენი ნუმისმატიკური მასალის ემისიის ადგილია ტრაპეზუნტი. განძის ადრეული მონეტა ადრიანეს დიდრაქმაა, გვიანდელი კი 244/5 წწ. ფილიპეს სახელით გამოშვებული ტრაპეზუნტული სპილენძი (44).

9. 1962 წ. ბიჭვინტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია პროვინციული სპილენძის მონეტების განძს, რომელიც 310 ერთეულისგან შედგებოდა. მონეტები მოჭრილია კონსტანტინესა და მისი მემკვიდრეების სახელით. გვიანდელი ცალი კონსტანციუსის ემისიაა (44; 82). კონკრეტული ნუმისმატიკური ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი მცირეაზიური ზარაფხანების პროდუქციაა.

10. 1926 წ. სოფ.ღურზულში (გულრიფშის რ-ნი), ზღვიდან 11-12 კმ. დაცილებით აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი. მისი გადარჩენილი ნაწილი 469 ეგზემპლარს მოითვლის (122; 118). აქედან 467 ც. მოჭრილია კესარიაში I-II სს. (ნერონი-ლუციუს ვერუსი).

11. 1971 წ. ეკში (სენაკის რაიონი) ნაპოვნია 907 ვერცხლის ფულისგან შედგენილი საგანძო კომპლექსი (ადრიანე - ალექსანდრე სევერუსი; გვიანდელი ცალი 222 წ. თარიღდება) (49). აქედან 774 ც. კესარიაშია მოჭრილი (ადრიანე - 712 ც., ანტონინე პიუსი - 55 ც.). დენარების საერთო რიცხვი 131 ეგზემპლარია. მათი უმრავლესობა აღმოსავლეთის ზარაფხანების პროდუქციაა.

12. 1931 წ. აბაშის რაიონის სოფ.სეფიეთში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი 377 ც.რაოდენობით (ტრაიანე - სევერუსი; ზედა ქრონოლო-

გიური ზღვარი - 222 წ.). აქედან დენარი - 365 ც. (რომი - 118 ც., ემესა - 158 ც. კიდევ 62 ც. ასევე აღმოსავლური პროდუქციაა). კესარიის ემისიები - 11 (61; 49).

ბ) იბერია⁶.

ფეოდალიზმი⁷

ა) ლაზიკა

13. 1961 წ. ბიჭვინტა. იუსტინე I ხუთნუმიანი მონეტების განძი (55 ც. კონსტანტინოპოლის ზარაფხანა) (159, 12).

14. 1930 წ. ნოქალაქევი. კეისარ მავრიკეს Av. (კონსტანტინოპოლი, 23 ც.) (93).

15. 1966 წ. ოდიში (ზუგდიდის რაიონი). სულ - 26 Ar. გადარჩა მხოლოდ 13 (მავრიკე - 2 მილიარისი; ჰერაკლე და ჰერაკლე-კონსტანტინე - 11 ჰექსაგრამა) (32).

16. 1958 წ. ჩიბათი (ლანჩხუთის რაიონი). ოქროს მონეტების განძი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 122 ც. (სოლიდი: ტიბერიოსი - 1 ც., მავრიკე - 1 ც. ფოკა - 106 ც., ჰერაკლე - 14, კონსტანტინოპოლი) (30).

ბ) ქართლი⁸

17. 1968 წ. მალრანეთი (თიანეთის რაიონი). შერეული განძი - 16 Ar. (ზოსრო I - 2 ც., ჰორმიზდ IV - 7 ც., ზოსრო II - 3 ც., ჰერაკლე და ჰერაკლე-კონსტანტინე - 4 ჰექსაგრამა) (112, 20; 87).

18. 1904 წ. თბილისში „მიდანზე“ შემთხვევით იპოვნეს ასევე შერეული განძი სასანური და ბიზანტიური მონეტებისა. ის 700-800 ცალისგან შედგებოდა. სასანური ფული უმთავრესად ზოსრო II დრაქმებს წარმოადგენდა, ბიზანტიური - კვლავ ჰერაკლეს და ჰერაკლე-კონსტანტინეს ჰექსაგრამებს. მათ შორის შეფარდება, სამწუხაროდ, არ დაფიქსირებულა (147, N 59).

გ) საქართველო

19. 1968 წ. აბანოეთი (ამბროლაურის რაიონი). განძი 10 AE. შემადგენლობით: ბასილ II და კონსტანტინე VIII - 2 ც., მიხაელ IV - 1 ც., თეოდორა - 2 ც., კონსტანტინე X დუკა - 2 ც., ლათინთა პერიოდი - 2 ც., გაურკვეველი - 1 ც. (159, 20).

20. 1955 წ. სოხუმი. სპილენძის მონეტების განძი: მიხაელ IV - 2 ც., კონსტანტინე IX - 5 ც., კონსტანტინე X დუკა - 3 ც., ანონიმური ფოლისები - 10 ც. სულ 20 ც. (159, 20).

21. 1983 წ. ლიხნში (გუდაუთის რაიონი) შუა საუკუნეების სასახლის სისტემის გათხრის დროს აღმოჩნდა განძი - 27 Av. და 44 Ar. ეს არის ქართული და ბიზანტიური მონეტების შერეული კომპლექსი (კონსტანტინე IX - 1 ც., კონსტანტინე X - 9 ც., ევლოკია - 1 ც., რომან IV დიოგენი - 17 ც., ბაგრატ IV - 31 ც., გიორგი II - 12 ც.). (162, 104-114).

22. 1930 წ. დვირი (ბორჯომის რაიონი). ბიზანტიური მონეტების განძი (45 Av., 4 AE., 1 Ar. კონსტანტინე VIII, კონსტანტინე X დუკა, რომან IV დიოგენი) (27).

23. 1962 წ. იდუმალა (ასპინძის რაიონი). განძის გადარჩენილი ნაწილი - 1 Av., 12 El. (კონსტანტინე X, ნიკიფორე III) (31).

24. 1949 წ. საქ.სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა გურჯაანის მახლობლად აღმოჩენილი ბიზანტიური ოქროს მონეტების განძის 7 ეგზემპლარი (ალექსი I - 7 ც., იოანე II - 1 ც.) (92).

XIII ს. დასავლეთ საქართველოს ფულად მეურნეობაში ბიზანტიურ მონეტებს ცვლის ტრაპიზონული ასპრები. 1927 წ. ტობანიერში (ვანის რაიონი) დაფიქსირდა ნუმისმატიკური განძი (Ar. 215 ც.: იოანე I - 4 ც., მანუილ I - 56 ც., იოანე II - 125 ც., იოანე III და ალექსი II - 1 ც., კირმანეული (დასავლურქართული ფული (?)) - 27 ც., სელჩუკები - 1 ც., ქართულ-პულაგუიდური დირჰემი - 1 ც.), რომელიც სიმპტომატურია სწორედ ამ კუთხი (103).

კომენტარები

1. ანებისმიერი, ევოლუციის ტემპების მიხედვით არაავანგარდული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ნუმისმატიკური დიალექტიკა უდრის 1. აკუმულირებად ექსტენსიობას. 2. აკუმულირებად ინტენსიობას. 3. ავტონომური ემისიების გააქტიურებას. 4. აქტიური სამონეტო რეგალიის რეალიზაციას. ეს ლოგიკური სქემაა. შავიზღვისპირა რეგიონის დასავლური დამხრობა ემპირიული შტრიხია, თან ეს პერმანენტული ისტორიული დიალექტიკური აპლიკაციაა. ე.ი. ნუმისმატიკური მიმართებებიც უწყვეტია. ხომ არ შეიძლება ასეთი დედუქციური ემპირიზმის აპრობაცია?! ვნახთ, განძების ფაქტების სუმირებული შეფარდებითი ქრონოლოგიური დისტრიბუცია. უჭერს თუ არა ის მხარს წარმოდგენილ მეთოდს?! ძვ.წ. VI-IV სს. - 1; ძვ.წ. IV-I სს. - 4; I-III სს. - 6 /+ 1 AE. კომპლექსი, რაც პიტიუნტელი

ლეგიონერების მეურნეობა); IV-VII სს. - 3 (+ 1 AE. განძი კვლავ პიტიუნტიდან და კვლავაც წინას ანალოგიური კომენტარით); VII-X სს. - ჰიატუსი; X-XIII სს. - 2 AE. კომპლექსი (ხურდა ფული) + ლიხნის განძი. ციფრობრივი მონაცემების ქრონოლოგიური განვრცობა ძალზედ სიმპტომატურია. მაგრამ საჭიროა ზოგიერთი დაზუსტებაც. კოლხეთის ძვ.წ. VI-IV სს. ნუმისმატიკური კონიუნქტურის შედარება (1) ლოგიკურ ეტაპთან არ არის სწორი; არც ძვ.წ. IV-I სს. სიტუაცია არ არის ადეკვატური (2). მაგრამ მაინც დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის ზემოაღნიშნული ფაქტების შეფარდებითი განხილვა ნიშანდობლივი უნდა იყოს.

ბ) იბერიის აღმოსავლურ-დასავლური ნუმისმატიკური სინთეზის, ანუ შერეული განძების ფონზე, კოლხურ/ლაზური აკუმულაციური ერთფეროვნება კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების სოციალური ევოლუციების სტილისტურ კორექტორად კარდინალურად განსხვავებულ სამყაროებს სახავს.

თ ა ზ ი II
პოსტანტიკა
/IV-VII სს./

**§ 1. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია და
იმაპერიალიზმის ბიზანტიური ინერციული
ეგზისტენცია (IV-VI სს.)**

ფეოდალიზმი

ფორმაციის შინაგანი სტაბილიზაციისა და აბსოლუტიზაციის ეტაპზე განხორციელებული საგარეო „ფაქტორის“ ინტენსიური სპეციფიური ზემოქმედება და კვლავწარმოებითი პროცესების რენტაბელური ევოლუციის დეგრადაცია სტაგნაციური ტიპის კრიზისული მოვლენის ეკვივალენტურია. ფეოდალიზმის იძულებითი დროითი დიკუიზიის terminus post quem რუსუდანის მეფობის ხანაა. ვთვლით, რომ განსახილველი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ფეოდალიზაცია არ ყოფილა თანადროული პროცესი. ვეცდებით კონკრეტული მიმართებით ზოგიერთი მეტად ფრთხილი ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას.

შესასწავლი ეთნოკულტურის ფარგლებში ხაზგასმული სოციალურ-ეკონომიკური კონდიციის შესატყვისი ევოლუციური სამონეტო ბაზრის სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციას იძლევა: ეკონომიკური - ა) ფულადი მიმოქცევის შეფარდებითი ინტენსიფიკაცია ევოლუციური სქემის აღმავალ ხაზზე. ბ) პერმანენტული სწრაფვა ბიმეტალიზმისაკენ. გ) ტენდენცია აკუმულაციიდან ავტორიტონური ემისიების ხვედრითი წონის აბსოლუტიზაციისაკენ. XII ს. II ნახ. ამ მხრივ სიმპტომატურია; ასევე - სომხეთის ფულადი ბაზრის ნაწილობრივ ქართული სპილენძით დაკომპლექტების ფაქტი. დ) სპილენძის პერცეფცია შეფასებისა და საქონელგაცვლის საშუალებად. ნიშანდობლივია XI ს. მისი ჰინტერლანდური აკუმულაცია სოციალური მატარებლის ამკარად დიდი რაოდენობის პირობებში. ე) მძაფრი კონვერსიული პროცესები ორი განსახილველი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის

მასშტაბით - კონკრეტული კატეგორიის ახალი ფენომენის გენეზისი - ეს საქართველოა. ამ ასპექტით ნუმიზმატიკური ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს გარკვეულ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე - XI ს. - ქართული ეთნოკულტურული ევოლუციისათვის სამონეტო ბაზრის ტიპოლოგიის თვალსაზრისით დამახასიათებელი დივერგენციის გაქრობა. ვ) საგარეო-ეკონომიკური მიმართებების წინა პერიოდის ანალოგიური დამხრობა; სოციალური - დასავლურქართული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ეკონომიკური ჩავარდნების ნუსხას ასეთი სახე აქვს - კოლხეთი/ლაზიკა - ძვ.წ. II ს. - ახ.წ. I ს. I ნახ., III ს. II ნახ. - IV ს.; არგვეთი - IV ს. (ამის შემდგომ კონკრეტული შერეული ბაზრის თავდაპირველი პოლიტიკური სტატუსის რესტავრაცია წყვეტს კონვერსიას ამ ასპექტით); ლაზიკა/აფხაზეთი - VII-X სს; ამასთან X ს. თითქოს ოდნავი რენიმაციია. ახლა უფრო დეტალურად - პირველად მონიშნული კრიზისი საინტერესოა რიგი შტრიხის გამო: ა) დროითი განფენილობის სოლიდური ხასიათი, ეს ერთი მხრივ, სხვა მხრივ კი ინფლაციური ტრადიციული ატრიბუტის ეგზისტენცია. ასეთი სინთეზი მეტად სპეციფიურია. ბ) საგარეო ინტენსიური და თითქმის პერმანენტული კონიუნქტურის არარენტაბელური ქმედების უეჭველი არსებობა რაციონალური ევოლუციის განსახილველ ეტაპზე გნოსეოლოგიური პროცესის ნელი ტემპების გამო, მაგრამ დაქვეითების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის პრინციპული დივერგენცია პოლიტიკური პერიპეტიების ამავე ტიპის დროით ატრიბუტთან. გ) კოლხური სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის არაკაპიტალისტური ჰაბიტუსი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება იძლევა საფუძველს დეპრესიის სოციალური სუბსტრატის პერცეფციისა, და ეს ერთადერთი შესაძლებელი ახსნაა. განსახილველი ურწყავი სოფლის მეურნეობის ბაზისის მქონე ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შეფარდებითად სინოტივემ განაპირობა აქ კონკრეტული ატრიბუტიკის მატარებელი სხვა ამავე ტიპის კომპლექსების დიალექტიკის ციკლური ხასიათის შეუძლებლობა. სამაგიეროდ სოციალური კონტრაქტების სიმრავლე ამ ასპექტით მეტად სიმპტომატურია. ასევე ნიშანდობლივია ეკონომიკური აღორძინება I ს. შუა ხანებიდან, მაინცდამაინც იმ ქრონოლოგიური შტრიხიდან, რაც, ალბათ, მიგრაციული პროცესების ზედა ზღვარია. ერთი კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შესატყვისი სოციალური კონტრაქტების ინდივიდუალური ქმედება სოციალური აკუმულაციის კენ

პროტოფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური შეზღუდულობის გამო არაეფექტური უნდა ყოფილიყო. ყოველივე სოციალური კონფრონტაციის უკიდურესად გამწვავების წყარო გახდებოდა. ინტეგრაციული პროცესების რეალიზაციის აუცილებლობას კი ხელს უშლიდა ცენტრის გამოუკვეთავი ტიპი. სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ბაზაზე არსებულ სოციალურ კომპლექსთან სოციალური კონტრაქტი არ გამოდგა რენტაბელური მისი უნივერსალური ფუნქციების გამო, იგულისხმება პონტო. ჰიპოთეზა სოციალური ჩიხის ლიკვიდაციის პირდაპირი კავშირის შესახებ წელთაღრიცხვების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ცენტრალურ მიგრაციულ ფართო სოციალურ კონტრაქტთან (ლაზები), ჩვენი აზრით, რაციონალურია. ევოლუციის პირველივე ეკონომიკური წელი „რეკოლუციური“ კატეგორიისაა. I ს. II ნახ. დასავლურ-ქართული დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზრისთვის ფეოდალიზმის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია. ევოლუციური პოლიტიკური ინტეგრაცია, რომლის ეგზისტენციის ქრონოლოგიაც ლოგიკურ კორექტივს მოითხოვს, III ს. II ნახ. - IV ს. პერიფერიული სოციალური რეორგანიზაციით და დეცენტრალიზაციის სიმპტომებით იცვლება. იბერიასთან მიმართებაში კონკრეტული პროცესის შეფარდებითი სისწრაფე ნიშანდობლივია - ყოველივე არის შეფარდებითი ეკონომიკური პრიმატის ინდიკატორი. კონკრეტული პროვინციული სოციალური აკუმულაციის იდეის რეალიზაცია შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ერთადერთი რეალური კონიუნქტურის პირობებში - ეს არის მეტად თუ ნაკლებად მკაფიოდ გამოხატული ბიზანტიური გარანტია ლოკალური სოციალური პოლიტიკის გატარებისთვის. რაც შეეხება ამ უკანასკნელ მომენტს, უცხოური გარნიზონების დისლოკაციის ფაქტის ტრადიციული აპლიკაცია სპილენძის მიმოქცევასთან შემდეგი სურათის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა - აღნიშნული პოლიტიკური შტრიხი, ალბათ, სახეზეა IV, VI-VII სს. სინქრონული არგვეთის სინთეზური ბაზარი მქობელი სოციალური კონტრაქტების მიერ სოციალური რეგალიის რეალიზაციის ბაზისზე აღმოცენებული კრიზისული პროცესებით არის განმსჭვალული.

V-X სს. რეგიონალური ფეოდალიზმის ლოგიკური პოლიტიკური გამოვლინებები - დამლა, შემდგომი ინტეგრაცია, ყოველივე ამის რეალიზაცია საგარეო კონიუნქტურის რაიმე მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ხე-

მოქმედების პირობებში, გარკვეულ წინააღმდეგობაშია VII-X სს. ეკონომიკურ კრიზისთან და აფხაზთა მეფეების რეგალიის თვითმპყრობელურ ტიპთან. გამორიცხულია ნებისმიერი ახსნა, თუ არა შემდეგი - ა) კრიზისის წმინდა კონვერსიული არსი; ბ) კონვერსიის მეთოდური გადაწყვეტა სახელმწიფო სოციალიზმის ისტებლიშმენტის გზით. ფიზიკურ-გეოგრაფიული კონდიციის სპეციფიკის გათვალისწინების საფუძველზე რენტაბელური სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციისთვის განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის რეზულტატი თვისებრივად ახალი ეკონომიკურ-გეოგრაფიული კატეგორია იყო, რომელიც მისი დიალექტიკური ბაზისის ანალოგიურ სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს ატარებდა. ინტერიერული პოლიტიკური ინტეგრაცია ლოგიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა.

§ 2. ქართლი. ეკონომიკური ფუნქციონირება კატეგორიის კონტექსტი /IV-VI სს./

აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზრის დიალექტიკური სქემა შემდეგი კონკრეტული შტრიხების შემცველია - საერთო ევოლუციურ სურათში ეპიზოდური ჩავარდნები და ეკონომიკის დაღმავალი ხაზი მოდის მაინცდამაინც მეტად ნიშანდობლივ ხანაზე - ა) III ს. II ნახ. - IV ს. I ნახ; ბ) VII ს. II ნახ. - VIII ს., კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფეოდალიზაციისა და ამ მიმართებით ეტაპობრივი ევოლუციის დროზე. ამასთან, III ს. II ნახ. ნუმისმატიკური ატრიბუტია ინფლაციური ფული; IV ს. I ნახ. მიმართულს, მას არ ახასიათებს აბსოლუტიზაციისკენ სწრაფვა. რაც შეეხება სხვა ხაზგასმულ პერიოდს, აქ კრიზისი სპეციფიურია; კურსის კორექტირების საჭიროების გარეშე. გარდა ამისა, ერთი შეხედვით, ალოგიკურია VI ს. აღმავალი ხაზი, აქ გარკვეული დისონანსია პოლიტიკურ კონიუნქტურასთან შეფარდებით. ამრიგად, III ს. II ნახ. დეპრესია რაღაც ნიუნსით განსხვავდება ანალოგიური მოვლენისაგან IV ს. I ნახ. ან VII ს. II ნახ. - VIII ს. პირველი მათგანი სრული კონფუზისგან დაცულია ფულის გაფუჭებით და, ალბათ, შიდა ბაზარზე კონტროლის განხორციელების დამატებითი მექანიზმით, მაშინ როცა სხვა განსახილველი გამოვლინებები მიმდინარეობს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი პროტექტორატის გარეშე, რაც, თითქოს, გაუგებარია. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთადერთი

რაციონალური ახსნა არსებობს. ტიპოლოგიურად განსხვავებული წყაროთ-
მცოდნეობითი სუბსტრატის მონაცემების და ნუმინმატიკური აბსტრაქცი-
რების ლოგიკური რეზულტატის კომპლექსური შეჯერება შემდეგი ჰიპო-
თეზის რეკონსტრუქციის საფუძველია - IV ს. პერსეფცია ფეოდალური რე-
ვოლუციის გასრულების ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად, წარმოებაში შრო-
მის ინტენსიფიკაციის მეთოდის ეტაპობრივი დიფუზიის პირდაპირი დამო-
კიდებულება რენტაბელურ ევოლუციასთან ქმნის გარკვეულ ლოგიკურ დი-
სონანსს III ს. II ნახ. პურიტანულ და IV ს. I ნახ. არაინფლაციურ კრიზისთან
მიმართებაში. ორივე შემთხვევაში საგარეო „ფაქტორის“ ზემოქმედების,
ანუ განსხვავებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შესაბამისი სო-
ციალური კონტრაქტის ავტოხტონური რეგალიური კომპლექსის გათავი-
სებისკენ ქმედების, არარსებობის პირობებში, და თანაც საქმე გვაქვს არა-
კაპიტალისტურ სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენტთან, სადაც საბაზრო შიმ-
შილის ეკონომიკური მომენტი არ არსებობს, მიზეზის კატეგორიის სოცია-
ლურ ტიპზე უნდა შეჩერდეს ყურადღება. ე.ი. ქართლის სოციალურ-ეკო-
ნომიკური განვითარების სპეციფიკა მდგომარეობს ფორმაციული ცვლის
აუცილებლობის შემეცნებითი კონდიციის არასინქრონულობაში სოცია-
ლურად ხელსაყრელ კონიუნქტურასთან. ეს უკანასკნელი აუტსაიდერის
პოზიციასა; ჭარბი მოსახლეობის შეფარდებითი პრობლემა და შეუთავ-
სებლობა პროტოფეოდალურ სოციალურ-ეკონომიკურ შტრიხებთან კი იწ-
ყებს ზეგავლენას კვლავწარმოებაზე დეგრადაციის მიმართულებით. ე.ი. სო-
ციალური ევოლუციის ნელი ტემპები განსახილველი ფიზიკურ-გეოგრა-
ფიული გარემოს შესაბამისი სოციალური კომპლექსის ატრიბუტია.

სახელმწიფოს მხრიდან წმინდა ეკონომიკური ღონისძიებების, და არა
სოციალური კატალიზატორის ფუნქციის განხორციელება არის III ს. კრი-
ზისის სუბიექტური მიზეზთაგანი, გამომდინარე სპეციფიური კონიუნქტურ-
ის გაცნობიერების სირთულიდან. IV ს. ჰიპოთეტური სოციალური რე-
ფორმაციის არსი უნდა მდგომარეობდეს წოდებრივი პრიმატის მატარებელი
სოციალური სუბსტრატის პროცენტული მოცულობის ზრდის ტემპების
დაქარებაში „საძმოს“ სოციალური ინსტიტუტის ფარგლებში უმცირესი
სოციალური დიფერენციაციის პირობებშიც კი, რაც იწვევდა მწარმოებლის
სოციალური ფუნქციის ხელოვნურ ტრანსფორმაციას ორგანიზაციული ტი-
პის ქმედებისკენ. ეს კი უდრის უკუსვლას გარკვეულ ეტაპამდე, ვიდრე სო-

ციალური აკუმულაცია არ მიღწევს სათანადო სტადიას, როდესაც შესაძლებელია ახალი ფორმაციისთვის დამახასიათებელი წარმოების წესის აპრობაცია და ფართო ექსპლოატაცია. IV ს. II ნახ. განხორციელებული სოციალური რეორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური რეალიზაციის საწყისია. სწორედ აღნიშნული ქრონოლოგიური შტრიხი უნდა აღიქვას ჩვენთვის ამჟერად საინტერესო „ფორმაციის“ ქვედა ზღვრად კონკრეტულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში. ასეთი დასკვნა სხვა ფუნდამენტური თეზების კორექტივის სტიმულს ქმნის - მაგალითად, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების პერიპეტიები - ყოველივე ამას ამჟერად შეგნებულად გვერდს ვუვლით. ჩვენს მიერ განხილული სოციალური ტრანსფორმაციის პერიოდის არაინფლაციური ხასიათი გამოწვეულია გააზრებული კარდინალური ჩარევით სოციალურ კონიუნქტურაში, უსწრაფესი ნატურალიზაციით და ზომიერი სახელმწიფო სოციალიზმის იდეის განხორციელებით. სოციალური პოლიტიკის ძირითადი ობიექტი სამეფო დომენის უპირატესი კონცენტრაციის ადმინისტრაციული არეალი უნდა ყოფილიყო, პერიფერიებს ის, ალბათ, ნაკლებად შეეხო. ყოველივე ცენტრალიზმის ერთერთი საფუძველი გახდა. განაპირა საერისთავოების სოციალური კონტრაქტი ირანთან VI ს. აქ ნაკლებად რადიკალური ჩარევისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას გულისხმობდა, რაც, პირიქით, აღორძინების საფუძველად ჩამოყალიბდა. პროვინციულმა სტრუქტურულმა მოწესრიგებამ ირანელებთან კავშირი საჭიროდ აღარ მიიჩნია. საძირკველი ჩაეყარა გარდამავალ დეცენტრალიზებულ და ამავე დროს ოლიგარქიულ პოლიტიკურ სისტემას - ქართლის საერისთავროს. ფართო მასშტაბით რეორგანიზაციას VII ს. II ნახ. - VIII ს. ექნებოდა ადგილი. მისი შედეგი ლოკალური სოციალური კონტრაქტების გენეზისია. VIII ს. II ნახ. წარმოების საშუალებების ფეოდალური წარმოების წესისადმი დაქვემდებარების თითქმის აბსოლუტიზაციის ხანაა.

ქ ა რ თ ლ ი

მომდევნო ჯგუფი ქართული მონეტებისა არის ე.წ. ქართულ-სასანური ვერცხლი. კონკრეტულ ევოლუციურ ტიპოლოგიაში ასახულია ირანული ჰქემონის ეტაპობრივი ლიკვიდაცია განსახილველი სოციალური კონტრაქტის ფარგლებში. ამ კატეგორიის უმრავლესობის პროტოტიპი ჰორმიზდ

IV (579-590 წწ.) დრაქმები. სკრუპულოზური ტიპოლოგიური ანალიზი, სხვა ფაქტობრივი (ქრონოლოგიური) დიფერენტების ლოგიკური გააზრება, რეგალიური სიმბოლოების პერმანენტულობის აქსიომური პერცეფცია ინტერიერული ტიპოლოგიურ-ატრიბუტული ევოლუციის შემდეგი ჰიპოთეზის სუბსტრატია - ჯგუფის სავარაუდო სტრუქტურა უდრის წარმოდგენილ სქემას: 1. რეგალიის მატარებლის პერსონიფიკაცია, გვერდით ჯვრის გამოსახულება. 2. ჯვარი ორივე მხარეს. 3. ჯვარი საკურთხეველზე. 4. გურგენის სახელის ილუსტრაცია ლიგატურით - 𐌆𐌿𐌽 , 𐌸5 . იგივე, ოღონდ დაქარაგმებული - 𐌸6 . ემისია ასომთავრული ნიშნებით - $\text{XQ} / = \text{ჯუანშერი} /$. 7. ჰორმიზდ IV და ხოსრო II ადრეული ნუმიზმატიკური ძეგლების ჰიბრიდი, ჯვარი კვარცხლბეკზე; ლეგენდა - 𐌸𐌹𐌸 / = სტეფანოს / . 8. ხოსრო ფარვიზის ადრეული დრაქმების ავტოხტონური რეალიზაცია, ჯვარი კვარცხლბეკზე; ლეგენდა - $\text{𐌸𐌹𐌸} / \text{𐌸𐌹𐌸}$. ჯგუფის სავარაუდო terminus post quem 585 წ., ბევრად უფრო მყარია ზედა ქრონოლოგიური შტრიხი - 592 წ. ემისიების ეკონომიკური არსი მდგომარეობს საუკუნეების მიჯნიდან სოციალურ-ეკონომიკური კონდიციის შესაბამისი ბიშეტალისტური ტენდენციების ადეკვატური შესაძლებელი დისტრიბუციული ქაოსის ლიკვიდაციაში, ნომინალის კურსის დაცემაში, თუმცა კონკრეტული ღონისძიება სრულებითაც არ იყო აქტუალური. მომდევნო ხანგრძლივი ჰიატუსი ამ მხრივ მეტად სიმპტომატურია. ფეოდალური ბაზრების აკუმულაციური ხასიათი საკმაოდ აქტიურ პროტოფეოდალურ რეგალიასთან მიმართებაში თითქოს პარადოქსია, მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი ფენომენია ალოგიკური. ტენდენცია კაპიტალისტური საწყისი არსიდან ფეოდალიზაციისაკენ ამკარაა. განხილული ეკონომიკური სემანტიკის დიალექტიკური კომპონენტია ამკარად დაწეული წონა-რემედიუმი 2,1-3,8 გრ. აქედან დრაქმა მხოლოდ ევოლუციის I საფეხურის ნომინალური ეგზისტენციის ფორმაა, შემდგომ კონკრეტული ასპექტით საქმე გვაქვს თვისებრივ ცვლილებასთან. ჯგუფის სუმირებული სტატისტიკაა ≈ 30 ც.

18. სტეფანოს I. Ar. წ. - 2,9 გრ. d = 28 მმ.

შუბლი: ბიუსტი მარჯვნივ. ფალაური ლეგენდა - ჰორმიზდის სახელი და ეპითეტი, გარშემო - რკალი. კიდზე 4 მთავრული ნიშანი - 𐌸𐌹𐌸 (სტეფანოს), შემოსაზღვრული ოთხი ნახევართვართი.

ზურგი: საკუთხეველზე სასანური მონეტებისთვის ჩვეული
წმინდა ცეცხლის გამოსახულების მაგივრად აღმართულია
ჯვარი. გარშემო - შეიარაღებული მცველები. თარიღი და
ზარაფხანის სახელი არ იკითხება. ორმაგი რკალი.

19. სხვა ემისია. Ar. რემედიუმი: 2,2-3 გრ. (ტაბ. VII, N 16).

შუბლი: როგორც 18. ფალაური წარწერები ქრება. ცენტრალუ-
რი ფიგურის ორივე მხარეს ქართული ლეგენდაა - სქჴ/
ՇԻԸს ორმაგი რკალი.

ზურგი: როგორც 18. ფალაურის გარეშე. სამმაგი რკალი.

თ ა ზ ი III

პერმანენტული დეპენდენცია

/VII-XI სს./

§ 1. ლაზიკა. სუბტროპიკული კავშიტალიზმისა და სუბტროპიკული ფეოდალიზმის ორმხრივი პრიზისული აპლიკაცია (VII-X სს.)

ეკონომიკურ-გეოგრაფიული კატეგორიის რევოლუციისა და გლობა-
ლური სოციალური რეორგანიზაციის განსხვავებული ქრონოლოგიური
შტრიხების პრეზენტაციაა შესაძლებელი, ვთქვათ, ატენის სიონში სტეფა-
ნოზ მამფალის ფრესკული წარწერის (1) ემპირიული დამუშავების შედეგად.
კონკრეტული ასპექტით საინტერესო უფრო სკრუპულოზური ანალიზი კი
რიგი საინტერესო დებულების კონსტრუქციის საფუძველია - ქართველთა
და მეგრელთა ერისთავთა უფლობა გამორიცხავს მეფობის ინსტიტუტის
პარალელურ ვერტიკალურ ეგზისტენციას, და არც რაიმე პირობა არ არ-
სებობს მისი გენეზისისთვის. პირიქით, ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგი-
ონის ადმინისტრირების ტენდენცია მიმართულია დეცენტრალიზაციიდან
სრული დაშლისკენ, და სწორედ ამ უკანასკნელ ეტაპზე უნდა მომხდარიყო

მეფობის ნომინალური რეანიმაცია, როგორც რაღაც იურიდიული ბაზისისა ქვეცნობიერებაში აღქმული აუცილებელი პერსპექტიული პოლიტიკური ინტეგრაციისთვის. ამიტომ მეფე არჩილის *a priori* ეპიგრაფიკული რესტავრაცია ალოგიკურია. ამასთან, ყოველივე არის ინდიკატორი კონვერსიული ორგანიზმის სოციალური რეორგანიზაციის ზოგიერთი ადრეული ცდისა, რასაც არავითარი აზრი ამ სტადიაზე არ ჰქონია - კონკრეტული ობსტრუქციული კონიუნქტურაა სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი. **ქვ** პურიტანულ ნაწილში ასახული ამ ტიპის ექსპერიმენტული შტრიხების უტირება ხდება XI ს. ლეონტის მიერ დასავლეთისა და აღმოსავლეთის პერმანენტული პოლიტიკური ინტეგრაციის ფაქტის რაციონალური ხასიათის მტკიცების მიზნით. ეს პოლიტიკური დემარშია, რაც უფრო რენტაბელურია პრაქტიკული ასპექტით, ვიდრე ფს. მოვსეს ხორენაცის ეთიკური კატეგორიის ჰიპერბოლიზმი. ნომინალური ერთეულის - მეგრელთა სემანტიკა უდრის სოციალურ კონტრაქტს, რადგან პოლიტიკური ინსტიტუტის ტიპოლოგიური აპლიკაცია რეალიზდება სწორედ კონკრეტულ პოლიტიკურ კატეგორიაში. ლახური უნიფიცირებული სოციალური კონტრაქტი კი განსახილველი პერიოდისათვის ტრანსფორმირებულია რამდენიმე დერივატად. პატრიკიოსის ინსტიტუტის იურიდიული გენეზისი სხვა არაფერია, თუ არა ინტერიერული პოლიტიკური სიტუაციის ასახვა - სრული დაშლა მონარქიის *de jure* ცენტრის ფიქსაციის გარეშე. ამის მიზეზი უნდა იყოს კონვერსიული პროცესებისადმი სუბორდინირებულ ძირითად ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტად რიონის ხეობის ეკონომიკური პერცეფცია - პროცესები ადეკვატური სოციალური კონტრაქტის მინიმალიზაციის ბაზისია. ყოველივე ეს ხორციელდება ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით განსახილველი ფიზიკური სივრცის მეტროპოლისური ფუნქციების პრეზერვაციის პირობებში. პრიმატული სოციალური კონტრაქტის საკანონმდებლო ინიციატივისა და რეგალიის მატარებლის ტრანსპლანტაცია აღმოსავლეთით განხორციელდა პოლიტიკური ცენტრის არქეოპოლისიდან უფრო აღმოსავლეთით ტრანსფორმაციის პირობებში და საერთო ეკონომიკური პერცეფციის ფონზე, რომ კონვერსიული პროცესების მიზანია ეკონომიკური და სოციალური მეტროპოლისის სარწყავი მიწათმოქმედების ზონაში გადატანა. აბსოლუტური სოციალური კონტრაქტი ამ ეტაპზე გამორიცხულია - აღმოსავლეთი ჯერ კიდევ არ არის რეგიონალური

ფეოდალიზმის სტადიაში. მაშინ რის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო ასეთი ფსიქოლოგიურ-შემეცნებითი კონდიცია მიმართული?! ქალაქების, რომელთა შემდგომი სწრაფი ევოლუცია მოგვიანებით მიმდინარეობს?! არა. შიდა ქართლის მეტროპოლისური ტიპის ფუნქციური დატვირთვის რეალიზაციაც განსხვავებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სასარგებლოდ რეგალიური კომპლექსის ნაწილის დისტრიბუციის პირობებში მაინც დამაინც არ უნდა ყოფილიყო გამართლებული. ავტონტონური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რევილუცია და ახალი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფორმირება ავტონტონური სარწყავი და ურწყავი სოფლის მეურნეობის რიგი ხარვეზული ეკონომიკური იმპულსების მაქსიმალურ რედუქციას ისახავდა მიზნად; ადეკვატური არანორმალური სწრაფი ურბანისტული ევოლუციის პერსპექტივა მიწათმფლობელი არისტოკრატის მასშტაბური სოციალური რეორგანიზაციის მიზეზი იყო. ყოველივე ეს არის უნიფიკაციის სუბსტრატული დიალექტიკური აპლიკაცია, სადაც არსებითი და ბაზისურია ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის გენეზისის ფაქტი. ნუმინმატიკურ მასალებზე დაყრდნობით XI ს. ამ მხრივ ნიმნდობლივი და აქსიომურია. სხვა თეზა ამ ასპექტით კი მცდარია. ფართო სოციალური კონტრაქტი VIII ს. აბსურდია. რაც შეეხება წყაროთმცოდნეობითი ბაზის (ჟჳ) განსაკუთრებულ დაჟინებას ამ მიმართულებით, ის გვიანდელი სუბიექტური ინტერპოლაციაა, რომლის რეცეპციის რეალიზაციის აბსოლუტური ხარისხი ჟჳ საწყისი ნაწილის ინფორმაციული ნაკლებობის სინქრონულ პერცეფციას და ამის გამო ლოგიკური ვარაუდის ფენომენის ექსპლოატაციის შესაძლებლობის დაშვებას ემყარება. ნომინალური მიმართება - ეგრისი /მეგრთა/ მეგრელთა - ქართლის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალური კომპლექსის სპეციფიური ტერმინებია დასავლური კომპლექსისა თუ სოციალური კონტრაქტის აღმნიშვნელი. ავტონტონური ნომინალური სტრუქტურის - აფხაზეთი/აფხაზნი - რეცეპცია ქართული ენის მიერ ნმნავს ზანურის ეკონომიკური ფუნქციების სრულ აბსორბციას, ერთი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის გენეზისს. IX ს. მოვლენებთან დაკავშირებით უკვე აღნიშნული უკანასკნელი ტერმინების ხმარება რეტროსპექტივად მიგვაჩნია და ამის მამტიციებელი მასალაც გაგვაჩნია. ამჟერად კი საინტერესოა უფრო სხვა მომენტი - ლაზური სოციალური კონტრაქტის

რემინისცენცია ქს უცხოა, ე.ი. აქ ერთ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონთან არ გვაქვს საქმე, ე.ი. აქ სოციალური კონტრაქტი ვერ განხორციელდებოდა. ფეოდალური აქტიური სოციალური კონტრაქტი იფარგლება სწორედ რომ ერთი ეკონომიკური რეგიონით. რას ნიშნავს ყოველივე ზემოაღნიშნული? რომ განსახილველი ეპიგრაფიკული ძეგლის ტერმინი - მეგრელნი - მაინცდამაინც რემინისცენციური სოციალური კონტრაქტის ადეკვატური არ უნდა იყოს, არამედ ერთი ფაქტობრივი სოციალური კომპლექსის, ალბათ, უახლოესის. ეს კი ტოპონიმის გათვალისწინებით მხოლოდ და მხოლოდ მარგვია. იბერიის დიფუზია ამ მიმართულებით მისი საგარეო პოლიტიკის კარდინალური შტრიხია. ასეთია ჩვენი მოსაზრებანი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. უფრო სკრუპულოზური კვლევა თემატიკის ფარგლებს სცილდება.

**§ 2. სუბტროპიკული გლობალური სტაბილიზაცია და
სარწყავი ზონის უკიდურესი ნორდოკული ნაწილის
პარსპექტივების ზრდის პერსპექცია.
იმპერიული დუალიზმის ბენეფისი (VII-X სს.).**

აღნიშნული სათაურის თუ პერიოდის შემდგომი დაზუსტებაც შესაძლებელია: ქართლი - აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეკონომიკური კურატორი და კონვერსიული პროცესების მეტროპოლისური ბაზისი, ბიზანტიური ჩრდილოური კონტროლის ფორმალური რეალიზატორი (VII-X სს.).

სასოფლო-სამეურნეო ტიპის კონკრეტული აბსოლუტური ეკონომიკური ინტეგრაცია უკვე ქართლის, როგორც მარცვლეული კულტურების ბაზისის, პრიმატით განპირობებული იყო ა) საერთო შემეცნებითი ევოლუციის პარალელურად მიმდინარე სატრანსპორტო საშუალებების განვითარების გაცნობიერებით და ამ პირობებში ადრე არსებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების უნივერსალური სპეციალიზაციის კოორდინირებული დაკონკრეტების რენტაბელობით, ბ) განსახილველი დასავლური ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის ფიზიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატის მხოლოდ ცალმხრივი მსგავსებით სამხრეთ და შუა ევროპულ, სხვადასხვა შემეცნებით ეტაპზე სრულყოფილი დიალექტიკის განმაპირობებელ ბაზის-

თან; ასეთ შემთხვევაში აზიური პერიფერიის სარწყავი კომპლექსის უპირატესობა ეკონომიკური აზროვნების ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე ამკარაა.

არაბული ჰეგემონია თბილისის ზარაფხანის ადეკვატური ქმედებით აღინიშნა. აქაური პროდუქცია თავდაპირველად ანონიმური იყო, შემდგომ ღირებუებზე ჩნდება აბასიანი ხალიფების სახელი, ადგილობრივი ამირების საჯარო ქმედების ფუნქციურ მეტამორფოზს კი შედეგად მოჰყვა ამ უკანასკნელთა კონკრეტული ასპექტით საინტერესო რეგალიის ნუმისმატიკური აფიშირება. კლასიფიკაცია ჯგუფის დონეზე მასალიდან ორ კატეგორიას განასხვავებს: I. საოკუპაციო სერიები (ომიანთა და აბასიანთა ემისიები) - მეტროპოლისური სტატუსის მქონე ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შესატყვისი სოციალური კონტრაქტის სამონეტო რეგალიის ლოკალური რეალიზაცია. II. ლოკალური არაავტონომიური სოციალური კონტრაქტი არასამრეწველო ეკონომიკური პროფილით და ეკონომიკური ბილინგვიზაციით საკუთარი სავაჭრო კაპიტალისთვის სუბსტრატული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით ახორციელებს ნაწილობრივ სამონეტო რეგალიას - ჯაფარიანი ამირების ვერცხლი სოციალური კუთვნილების ტიპით წინასაგან ამკარად განსხვავდება. ტიპოლოგიური რეალიის ტრადიციული პერცეფციის აბსორბცია დროითი ასპექტით უნიფიცირებული ლეგენდური სისტემით არადეტალური ილუსტრაციის საშუალებას გვაძლევს, სუმირებული მონაცემების კომპლექსი კი ასეთია - ანონიმური ღირებუები, მოჭრილი 704/705 წწ., უნიკუმი, წ. - 2,8 გრ.; აბასიდური ემისიები, ქრონოლოგიური ჩარჩოები - 825/26-946/7 წწ., რამდენიმე ათეული ცალი, რემედიუმი - 2,7-4,4 გრ. /862/63 წწ. ემისიის წონა სპეციფიურია - 4,4 გრ. ეს ღირებუები არ არის); მანსურ ბენ ჯაფარი, 953/54-954/55 წწ., 4 ც., რემედიუმი - 2,8-3,5 გრ.; ჯაფარ ბენ მანსური, 974/75, 976/77-977/78, 980/981 წწ., 7 ც., რემედიუმი - 2,1-3,5 გრ.; ალი ბენ ჯაფარი, 996/97, 1013/14/?, 1027/28 წწ., 438 ც., რემედიუმი - 0,1-5,2 გრ., ღირებუების იდეის სრული ფაქტურული და წონითი დეგრადაცია, ფულის უწყესოდ ჭრის აპრობაცია კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფარგლებში.

20. ჯაფარ ბენ მანსური. ღირებუები.

შუბლი: არაბული ლეგენდა - „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა, არ ჰყავს მას თანაზიარი“, გარშემო - „სახელით ალაჰისა მოჭრილია ეს ღირებუები ქალაქ თბილისში, წელსა 364“ /

=974/975 წწ./ ყველაფერი ეს ჩასმულია კიდევ ერთ წრიულ ზედწერილში (ყურანი, XXX, 4-5).

ზურგი: არაბული ლეგენდა - „ალაჰს /მუჰამედ/ მოციქულია ალაჰის/. ატ-ტაი ლილაჰი. /ჯაფარ ბენ მანსური“. წრიული ლეგენდა (ყურანი, IX, 33; LXI, 9).

21. აქვე უნდა შევეხთ უაღრესად საინტერესო ნუმისმატიკურ ძეგლებს. გარეგნულად ისინი არაფრით განსხვავდება არაბული ღირებულებისგან, ოღონდ მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ არაბული ზედწერილები დამახინჯებულია და ზოგიერთი არაბული ასო ქართულითაა შეცვლილი (საკითხთან დაკავშირებით იხ. 51). არაბული ღირებულების რეგიონალური დიფუზიის ლიმიტირება ქართლის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონით, წონითი დეგრადაციის შეფარდებითი ინდიკატორის ქრონოლოგიური შემოსაზღვრულობა X ს. მიწურულით, კომპლექსის ანალიზის ქრონოლოგიური დელუქციური თეზის (VIII-X სს.) გავრცელება განსახილველ ნუმისმატიკურ კატეგორიაზე, საერთო პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინება - ყოველივე საფუძველს გვაძლევს იმიტაციების გენეზისი შიდა ქართლის ფაქტობრივი ასპექტით აქტიურ სოციალურ კონტრაქტებს დაუკავშიროთ. დროით პერსპექტივაში განფენილი სხვადასხვა კატეგორიის მინაბადის კონცენტრაცია განსახილველი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ჩარჩოში, მინაბადების კარდინალური სოციალურ-ეკონომიკური დივერგენცია ჩვეულებრივი ფალსიფიკაციისგან, ამასთან რეგალიური ატრიბუტიკის დაუფიქსირებლობა, მინაბადების ეგზისტენციის სინქრონიზაცია კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის დივერგენცირებულ კონდიციასთან სოციალური კონტრაქტების ასპექტით (ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების იმიტაციები, ღირებულების მინაბადი, კირმანეული, ნუმისმატიკური კატეგორია ე.წ. „რანკის“ გამოსახულებით, XV და XVII სს. თურქული ახჩების, თაჰმასპ I ბისტების პირდაპირი ადაპტაცია), უმაღლესი საკანონმდებლო რეგალიის სემანტიკური კატეგორიის ნომინალური ატრიბუტის არაერთგვაროვნება (სიმპტომატურია კონდიცია ერთი ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფენომენის ფარგლებში ერთ სიბრტყეზე მეფის უნიკალური სტატუსის არსებობისა სხვა რეგალიურ კომპლექსთან ერთად - ა) პროკოპისეული ინფორმაცია რეგალიურ დისტრიბუციაზე. ბ) ქართლის საერისმთავროს იურიდიული მეტამორ-

ფიზი ქართველთა სამეფოში (რანთა და კახთა მეფის ტიტულის ფორმალური სუბსტრატი მარჯვენა სანაპიროს ალბანეთია). გ) დასავლეთ საქართველო XVI-XVIII სს. დ) სამცხე XV-XVI სს. ამის მკაფიო ილუსტრაციაა. საინტერესო ნომინალის სემანტიკური დეფინიცია შემდეგ შტრიხებს შეიცავს: 1. კანონმდებელი და კანონს ზემოთ მდგომი მთელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით. ან შეზღუდული ზოგიერთი ფეოდალური კატეგორიის კონსტიტუციური ნორმით. 2. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ლოკალური სოციალური კონტრაქტის უფალი რეგალიის რეგიონალური აბსოლუტიზაციის გენეტიური ან ტერიტორიული ატრიბუტით. მეფის ტიტულის აღნიშნული სახით პრეზერვაციის მიზეზი ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის პერსპექტივაში პოლიტიკური ინტეგრაციის აუცილებლობის ქვეცნობიერი გააზრებაა. XV ს. ტრიომორფიზმი ამ ასპექტით განპირობებულია, ერთი მხრივ, დესტრუქციული ეკონომიკური პროცესებით, და მეორეც, ტერიტორიული და გენეტიური ატრიბუტების ერთმანეთისგან დაშორებით) - ყოველივე ზემოაღნიშნული მინაბაძების ფენომენს ფაქტობრივ სოციალურ კონტრაქტებს მიაწერს. მათგან საემისიო რეგალიის იურიდიული აბსტრაქირება სწორედ იმიტაციების კატეგორიის გენეზისის სუბსტრატია. გამონაკლისი ამ კუთხით დავით კურაპალატი, ვამეყი და ყვარყვარეა, ნომინალი თავსდება ნუმინმატიკურ ძეგლებზე; კონკრეტული იურიდიული იგნორირება მათი განსაკუთრებული პოლიტიკური პოტენციის ილუსტრაციაა. სიმპტომატურია აღმოჩენათა ტოპოგრაფია - თურქული ვერცხლის იმიტაციები ლიხაურიდან, თაჰმასპის მინაბაძები ამბროლაურიდან. ეკონომიკური სემანტიკა, როგორც მინიმუმი, დაკავშირებულია სინთეზური სამონეტო ბაზრის არსთან. ყოველივე ამასთან მიმართებაში აუცილებლად საჭიროა განმარტებები: 1. სკეპტუხთა ინსტიტუტის აბსოლუტიზაცია ძვ.წ. II ს. შუა ხანებიდან სოციალური ჩიხის ინდიკატორი და სპეციფიური კონიუნქტურაა. მითრიდატე უმცროსის რესტავრაცია უფრო მილიტარისტული ალიანსია, ვიდრე სოციალური კონტრაქტი. არისტარქეს შემთხვევა ფორმალური და რეალური პერიპეტიების, გარეშე პოლიტიკური შტრიხების გათვალისწინების რთული რეალიზაციაა. არიანეს პოლიტიკური კონიუნქტურა რომაელთა სუბიექტური დეტერმინიზმია. 2. III ს. II ნახ. იბერული კონიუნქტურა უცხოეთიდან სტიმულირებული ეპიზოდური ჰიპოთეტური გაორებაა სოციალური

კონტრაქტის. ამზასპი და ფლავიოს დადე ამ ასპექტით დიალექტიკური ელემენტებია¹⁰. 3. საქართველოს მასშტაბით წარმართული სოციალური კონტრაქტის იურიდიული მეტროპოლისი შიდა ქართლია, რეალური - აფხაზთა სამეფო, 4. ნარინის იურიდიული პოლიტიკური რეგალიის პერცეფცია ხორციელდება მხოლოდ ორმეფობის ასპექტით. ლოკალური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის და სოციალური კონტრაქტის იდეა ამ ეტაპზე ხელოვნურია. სტრუქტურული დეფიციტის შევსების ორი გზის არსებობის პრეზუმფციას შესაძლებელი - ა) სოციალური პრეროგატივის დიფუზია უკვე მსახურეული ფენის ნაწილზე სოციალური ტიპის კონსტიტუციური ნორმის შენარჩუნებით, ამ უკანასკნელის პროცენტული რეგულირება საწარმოო კომპლექსის ხარჯზე - ყოველივე უდრის არარენტაბელურ სოციალურ სტრუქტურას. ბ) სოციალური ფსიქოლოგიის დიფუზია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სოციალური კომპლექსის მიმართ. საკმაოდ ინტენსიურ ემპირიზმს ამ ასპექტით შედეგი არ მოჰყოლია: I. აღნიშნული ფიზიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატის უკვე პროტოკაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის პრიმატი ვერ განაპირობებდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური სისტემის სინთეზს ბალკანურ-მცირეაზიულ მეტროპოლისთან. II. ასევე არც ტრაპეზუნტის სოციალური ექსპანსია იყო დასაშვები. III. ზემოაღნიშნული ვერტიკალური კონფორტაცია აგრეთვე წინააღმდეგობაა ამ ასპექტით. სიმპტომატურია ერთი საინტერესო შტრიხი - ქართული ნუმისმატიკის ბიზანტიური ხანის რესტავრაცია ეთნოკულტურული არეალის დასავლურ კომპლექსში; ულუს და ნარინის ვერცხლი, კირმანეულები ამის ნათელი ილუსტრაციაა. პოლიტიკური კონიუნქტურის იდენტურობა, ქრონოლოგიური მომენტი რუსუდანის დრამის ემისიის ლოკალიზაციასაც ხაზგასმულ რეგიონში ახდენს. ქართლის სასურსათო ბაზის სტატუსი დეგრადირდება აქაური სოციალური სტრუქტურის რეგალიური განტვირთვის პირობებში სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის სასარგებლოდ. ეს კი დასავლეთ საქართველოსათვის უდრის ან რთულ კონვერსიას და ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტატუსის რეანიმაციას, ან უკვე შემუშავებული პროფილისთვის სხვა ბაზრის ძიებას. ეკონომიკური სუბორდინაციის ობიექტი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის თვით ხდება აქტიური პირველის მიმართ. მაგრამ, ერთი მხრივ, რეალური კაპიტალისტური ჰაბიტუსის აბსორბცია, ხოლო მეორე მხრივ,

სასოფლო-სამეურნეო კატეგორიის ვიწრო პროფილი, ხელს უშლის კონსტრუქციულ ქმედებას აღნიშნული ასპექტით. აგრარული ტიპის ეკონომიკური ინტეგრაცია კი ვერ შედგა უცხო ბაზრის რენტაბელური გაჯერების გამო. ამგვარად, ინტერიერული სოციალურ-ეკონომიკური რეორგანიზაცია საგარეო კონიუნქტურის დესტრუქციული მოქმედების შედეგად აუცილებელი ხდებოდა და, ალბათ, სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავი იყო. ფეოდალური ტიპის სოციალური კონტრაქტი, ისიც ადეკვატური შუა ეტაპისა, ძირითადად საგარეო ეკონომიკურ-გეოგრაფიული დიფუზიით არ გამოირჩევა. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი სოციალური კონტრაქტის ტრადიციული საზღვარია პროტოფეოდალურ და ფეოდალურ სტადიაზე. აღნიშნული პირველი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის სინქრონული სოციალური კონტრაქტის სტრატეგიული მონახაზია წვრილი კოლექტიური საკუთრების ნაწილობრივი ექსპროპრიაცია პერსპექტივაში.

რეგიონალური ფეოდალიზმის პერიოდის ფართო სოციალური კონტრაქტი ქალაქების მომავალი ფრონდისტული განწყობილების წინააღმდეგ არის მიმართული, რაც ქვეცნობიერად ფიქსირდებოდა კიდევ. სწორედ ფეოდალიზმის III ეტაპის, გვიანი ფეოდალიზმის ან პროტოკაპიტალიზმის ურბანისტული ევოლუციის კონტრარგუმენტია უმტკიცესი ცენტრალიზაცია აბსოლუტიზმის სახით. კორპორაციული სოციალური ფსიქოლოგიის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონით ლიმიტირება სოციალური ასპექტით რენტაბელურია, ეკონომიკური მართვის თვალსაზრისითაც ყოველივე მიზანშეწონილია, თუმცა სოციალური კონტრაქტის ლიმიტირებაში უკანასკნელ საკითხს მაინც არაპრიმატული პოზიცია უჭირავს. ფეოდალური პლურალიზმი სოციალური კონტრაქტებისა ყოველივე ამის ილუსტრაციაა. კაპიტალისტური სოციალური კონტრაქტი ექსპანსიონისტურია გარკვეული ეტაპიდან კაპიტალიზმის სივრცობრივი განვითარების აუცილებელი პირობის გამო. კონკრეტული ტიპის კონტრაქტის ეკონომიკურ-გეოგრაფიული დეტერმინიზმის სწორედ სოციალური ან სტრუქტურული გარეშე დიფუზიის განხორციელების აუცილებლობისათვის საჭირო ინტერიერული გადანაწილებითაა განპირობებული. სოციალური კონტრაქტის და ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფენომენების ზემოთ წარმოდგენილი დიალექტიკური აპლიკაცია არ არის აბსოლუტური. გარკვეული გადახრა ამ ასპექტით, მაგალითად, ბალკანურ-ბერძნული, იტალიკური, კოლხური

ინტერიერული ლოკალური სოციალური კონტრაქტები, არიული დეცენტრალიზაცია. ბერძნული ვიწრო სოციალური კონტრაქტები უდრის განვითარების მაღალ დონეს, ლუმპერიზაციას, სამრეწველო ტიპის სემანტიკური ევოლუციის ლიმიტირებას, სოციალური დოტაციის ზომიერ პერსპექტივებს, მეტროპოლისური ექსპანსიის განხორციელების არასაჭიროებას - ე.ი. საჭიროა ჭარბი სოციალური ელემენტის თავიდან მოცილება. იტალიური სოციალური შეუსაბამობა განპირობებულია სიღრმისეული ევოლუციის ეტაპით, ხოლო ინტეგრაცია დასავლური ბაზრის და ნედლეულის წყაროს (ესპანეთი, გალია) სრული ექსპლოატაციის გარანტია იყო.

იმპერიული ექსპერიმენტის არსი შემდგომში მდგომარეობს: 1. დასავლური ბაზრის გათავისება. 2. შესაბამისად, ბალკანურ-იონური ეკონომიკური ექსპანსიის მცირე აზიის პინტერლანდისკენ წარმართვა. შედეგი - რენტაბელური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის გენეზისი, კაპიტალიზაცია და ელინიზაციაა. 3. ელინური სოციალისტური რევოლუციების შესაძლებლობის ნეიტრალიზაცია. აღნიშნული ასპექტით პონტოური პროტოკაპიტალისტური მეტროპოლისის გარეშე * ფუნქციური დატვირთვის რეალიზაცია ლოკალური სოციალურ-ეკონომიკური ტიპის შეზღუდულობის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა. ელინური სოციალური ოლიგარქიის სოციალური კონტრაქტი ნობილიტეტთან ხყო სასურველი და, ამავე დროს, პასიური - არასრული ადმინისტრაციული რეგალიით. რატომ იყო მოსალოდნელი მძაფრი სოციალისტური კატაკლიზმები, რატომ ვერ მოხერხდა ყოველივე ამის ელინური გადაწყვეტა, რა კონცეფციები გააჩნდა ახალ მეტროპოლისის სოციალური კონტრაქტის ქმედითი ტიპის რეანიმაციის შემდგომ? ა) რადიკალური სოციალისტური ტრანსფორმაცია, პრინციპული ანტონიმი სახელმწიფო სოციალიზმისა, ამ ეტაპზე არარეალური კონცეფციაა. სოციალ-დემოკრატიული ტიპის ხანგრძლივი აკუმულაცია** კაპიტალიზმის ევოლუციის უკანასკნელი ნომინალია ამოუწურავი პერსპექტივებით. კაპიტალიზმის არაპერმანენტული სოციალური ქაოსი ქმნის სოციალისტური ტიპის რეფორმაციის არათანმიმდევრული და არაპერმანენტული გატარების შესაძლებლობას. შიშველი კაპიტალიზმის ტირანული ეტაპისთვის (ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ციკლური დია-

* ე.ი. იმპერიული.

** აქ იგულისხმება ეკონომიკური კატეგორიის შემენებითი პროცესი.

ლექტიკის პირველი ეტაპის კაპიტალიზმის ტირანული პოლიტიკური ზედ-
 ნაშენის ასევე ციკლური ხასიათი. თანამედროვე სქემა ასეთია: შიშველი
 კაპიტალიზმი = ტირანია → დემოკრატია; სოციალ-დემოკრატია; დასაშ-
 ვებია დემოკრატიული საფეხურის იგნორირება. გარკვეული დივერგენციაა
 ძველი კანონზომიერება: შიშველი კაპიტალიზმი = ტირანია → დემოკრა-
 ტია → ტირანია. ორგანიზაციული და მწარმოებლური ფუნქციების სინთე-
 ზი არ გამოდგა რენტაბელური. აგრარული ტიპის წვრილ მესაკუთრეთა
 ფენა, დემოკრატიის ბერკეტი, არ არის პერმანენტული კატეგორია) და-
 მახასიათებელი ორგანიზაციული ფუნქციების მატარებელთა ვიწრო კორ-
 პორაციის პროცენტული წილის მაქსიმალური დავიწროება მაქსიმალური
 წმინდა მოგებისთვის გამორიცხავდა ლოკალური სოციალური ბაზისის გა-
 ფართოების შესაძლებლობას და უპირატესობას აძლევდა სოციალური
 კონტრაქტის მიერ პოლიტიკური რეგალიის დათმობას. ბ) საკითხის ელი-
 ნური რეალიზაცია ვერ მოხერხდა; მას ხელს უშლიდა, მაგალითად, პონტოს
 კომპლექსის პროტოკაპიტალისტური სახე. გ) აღნიშნული პროცესების შე-
 დევად წარმოქმნილი მეტროპოლისის სიღრმისეული ევოლუციის კონცეფ-
 ციებით ახალი სოციალური კონტრაქტის ბაზად იქცა. ციკლური დიალექ-
 ტიკის I ეტაპის სტაგნაცია დასავლეთში, ლათინური ცივილიზაციის ეკო-
 ნომიკური ბაზის დეზინტეგრაცია, მეტროპოლისის დეგრადაცია კაპიტა-
 ლისტური იდეის დუალისტურ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გამოვლენას ბო-
 ლოს უღებს. თუბა ცხელი სარწყავი მიწათმოქმედების სარტყლიდან ზომიერ
 განედებზე ევოლუციის ტემპების ასპექტით პრიმატის გადანაცვლების შე-
 სახებე აქსიომურია. თბილი ძირითადად ურწყავი პერსპექტივების კლიმა-
 ტურ-სამეურნეო კატეგორია კი ევოლუციური მაქსიმალიზაციის სუბსტრა-
 ტია - კაპიტალიზაცია ყოველივეს ლოგიკური რეზულტატია, მისი მიღწე-
 ვაც გულისხმობს კონკრეტულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფარგლებში წინა-
 მორბედი ფორმაციების სწრაფ ცვლას და მათ დაუხვეწავ ჰაბიტუსს. კონკ-
 რეტული სოციალურ-ეკონომიკური უპირატესობა საფუძველია აგრარული
 ფუნქციების უმეტესი ნაწილის ტრანსფორმაციისა სხვა მიმართულებით,
 რასაც ხელსაყრელი კონიუნქტურის პირობებში შედეგად მოსდევს სამრეწ-
 ველო მეტროპოლისის მიერ სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის
 აბსორბცია-სინთეზი. იტალიამ სიღრმისეული ევოლუციის შემდგომ გაღია-
 ესპანეთ-ლიბიაზე მოახდინა აქცენტირება, რიგ შემთხვევაში სრული რო-

მანზაცის რეზულტატით. ზომიერი სარტყლის შორეული პერსპექტივების ლოგიკა სამრეწველო დეცენტრალიზაციის საფუძველია. იტალიის სასოფლო-სამეურნეო დეგენერაცია უკვე პროტოკაპიტალისტური ყაიდის იყო. ელიზნაციის ყველაზე რენტაბელური ობიექტი გარკვეული ეტაპიდან მცირე აზიაა. ჩამოყალიბებული მეტროპოლისის უპირატესად სამრეწველო ტიპი და ეკონომიკური კატეგორიის ექსპანსიონისტური ტენდენციები აძლიერებს კონფესიონალურ სეპარატიზმს სირიასა და ეგვიპტეში. იუსტინიანეს მედიტერანული დიფუზიის მცდელობაც წმინდა კაპიტალისტური მოვლენაა. მარცხი ამ ასპექტით კვლავ და კვლავ ზომიერი სარტყლის მომავალი პრიმატის ლოგიკითაა განპირობებული, ეკონომიკური პერსპექტივების შეფარდებითი ქვეცნობიერი დაფიქსირებაა. რეალურად კი უფრო კონკრეტული გაცნობიერებული შტრიხების გამო აგრარული ბაზის და ნედლეულის წყაროს კონვერსია, თვით მეტროპოლისის ინტელექტუალური დაკნინება ხორციელდება გერმანელების, არაბების, თურქებისა და სხვათა მიერ. ჰერაკლეს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა - სოციალური კატეგორიის დუალიზაცია სამხედრო და ეკონომიკური ფუნქციების ასპექტით, ბასილის მიერ საიმპერატორო დომენის აბსოლუტიზაცია - გარკვეულწილად, სახელმწიფო სოციალიზმი, მანუილის აქტიური დასავლური პოლიტიკა, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შენარჩუნების ცდებია. იტალიის ციკლური დიალექტიკის მეორე კაპიტალიზმის ქრონოლოგიურ-პერსპექტიული სიახლოვის ინდიკატორია აქაური სავაჭრო კაპიტალის განსაკუთრებული პრეტენზიების გენეზისი ბიზანტიურ ბაზარზე. იმპერიის თურქული რესტავრაცია ამ პროცესების წინააღმდეგ მიმართული რეაქცია იყო. ზომიერი სარტყლის კაპიტალისტური მეტროპოლისების სამხრეთული ეკონომიკური ექსპანსია საერთო პროგრესის საფუძველია, ის გამართლებულია ნებისმიერი ეკონომიკური წლის ფარგლებში. სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული კონდიციის შესატყვისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ლოკალური მსხვილი სამრეწველო კომპლექსის მიმართ გამოკვეთილი პროტექციონიზმის განხორციელება არ უნდა იყოს რენტაბელური. საერთო ჯამში, ყოველივეს აუცილებელი უნივერსალური სტაგნაცია მოსდევს შედეგად. რაც შეეხება კოლხურ სოციალურ კონტრაქტებს, მათზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ხოლო პროტოფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ეტაპისთვის განსაკუთრებით მაღალი საწარმოო კონდიცია არის პართული

დეცენტრალიზაციის საფუძველი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო ზრდის ტემპების პრიმატის ჩრდილოეთისკენ გადანაცვლების რენტაბელური კავკასიური რეალიზაცია ოსმალურმა და ირანულმა საგარეო კონიუნქტურამ ჩამალა. ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია რამდენიმე თეზის დამატება - 1. იტალიური პროტოკაპიტალიზმი გულისხმობდა აგრეთვე ცენტრების ჩრდილოეთისკენ გადანაცვლებას. კაპიტალიზმის ციკლური რესტავრაციის შიდა რეგიონალური მეტროპოლისი უკვე ჩრდილოეთია. ამასთან დაკავშირებით სიმპტომატურია თუნდაც პოლიტიკური ცენტრის რავენში ტრანსფორმაცია იმპერიის ეგზისტენციის ბოლო ეტაპზე, ბიზანტიური კაპიტალისტური მეტროპოლისის განსაკუთრებით აგრესიული დამოკიდებულება კონკრეტული მხარისადმი. განსაკუთრებით პერსპექტიული ზომიერი გეოგრაფიული კატეგორიის სოციალურ-ეკონომიკური სახე ძირითადად უფრო სრულყოფილი და აბსოლუტურია, სწორედ ამიტომ იტალიური პროტოკაპიტალისტური შემეცნებითი კონდიციის უპირატესობის ემპირიული მომენტი რომაულ-იტალიკურ კაპიტალიზმზე ლოგიკურია. აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი აქსიომის ფიქსაცია - ჩრდილოური პროტოკაპიტალიზმი (გვიანი ფეოდალიზმი) და კაპიტალიზმი შემეცნებითი კატეგორიების სიღრმით და სემანტიკური მრავალფეროვნებით უპირატესია სამხრეთულ პირველ ციკლზე. შემდგომი განსხვავება, სხვადასხვა ტიპის „ენერჯის“ აპრობაცია და ექსპლოატაცია ჩვეულებრივი ევოლუციის შედეგია. სამხრეთული აგრო-სამრეწველო კომპლექსების გვიანი ფეოდალიზმის შეფარდებითი გვიანი ლიკვიდაცია განვითარებული სამრეწველო ერთეულების კონტროლის პირობებში ამ კატეგორიის კაპიტალიზმის ასევე უპირატესობის საფუძველია. 2. ოსმალური ექსპერიმენტი იმპერიის რესტავრაციისა სწორედ დასავლური წარმოების წესის რეანიმაციის ცდაა, რაც ევროპული ეკონომიკური სტრუქტურების ევოლუციის ტემპების გათვალისწინების საფუძველზე არარაობად იქცა. 3. დიალექტიკის ტემპების პრიმატის ჩრდილოეთისკენ გადანაცვლების ტენდენციის გაცნობიერების გარკვეული ასახვაა იმპერიული მეტროპოლისის იდეის ფიზიკურ-გეოგრაფიული ტრანსფორმაციის შესაძლებლობის ის ილუზია, რაც მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი სახით ქართულ ეთნოკულტურაში არსებობდა XIII-XV სს. (ზოგიერთ პირდაპირ მამტკიცებელ საბუთთან ერთად მეტად სიმპტომატურია ონომასტიკონში დაფიქსირებული სიახლენი - კონსტან-

ტინე, ალექსანდრე - ნუთუ ყოველივე ამას არ ჰქონდა რაღაც პოლიტიკური სემანტიკა?!).

ციკლური დიალექტიკის, ერთი შეხედვით, შემოსაზღვრულობა და სპეციფიური ფიზიკურ-გეოგრაფიული განსაზღვრულობა ბათილდება ევოლუციის იდეის ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიების იდენტურობით განსხვავებულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებში. და არც ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების თვალსაზრისით დიფერენციაცია არის პრინციპული. რეალურად ყოველივე წარმოადგენს ევოლუციის იდეის დიალექტიკურ აპლიკაციას ეკონომიკურ-გეოგრაფიულ აბსტრაქტულ კატეგორიასთან. ევოლუციური იდეის უნიკალური ეგზისტენცია, სინონიმური მიმართება შემეცნებით თვისებრივ აკუმულაციასთან გვაძლევს საფუძველს წმინდა სახის გონებასთან ერთად ყოველივეს სუბსტანციად პერცეფციისა. საკუთრივ ნებისმიერი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი დუალისტური სინთეზია ეკონომიკური იდეის და კონკრეტული ფიზიკურ-გეოგრაფიული კონდიციისა, რაც მატერიის კატეგორიის ერთ-ერთი პირობითი კომპონენტია. სემანტიკები, ანუ კატეგორიები (ნომინალები) ოთხ განსხვავებულ ტიპს განეკუთვნება - I. წმინდა ფიზიკური (ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, ელექტრომაგნიტური ველები, კონკრეტულ გარემოში მოქმედების აღმნიშვნელი ნომინალები); II. პასიური სოციალური (სოციალური ელემენტის მიერ შექმნილი სახმარი ღირებულებები); III. აქტიური სოციალური (ანიმაციური ელემენტი ემპირიული აპარატის მეტ-ნაკლები სისრულით: სოციალური კომპლექსი, ფაუნა; სოციალურ-ეკონომიკური ერთეულები (პუნქტები), გაცნობიერებული ან ქვეცნობიერი ქმედების, ფსიქოლოგიური კონდიციის აღმნიშვნელი ნომინალები). II და III დუალისტური ტიპების ეგზისტენცია პურიტანულ მატერიალურ სამყაროში პერმანენტული დუალიზმის არგუმენტია თითქოსდა. მაგრამ ობიექტური შტრიხების დიალექტიკა ხორციელდება დროში. რიგი მსგავსების მიუხედავად, პერმანენტულად არაევოლუციური კონდიციის გამო ის იდეური კატეგორიის ანტონიმია. დროის მიმართ ინდიფერენტულია მატერია - ისიც ინერტულია. ცვლილებები პურიტანულ მატერიალურ სამყაროში მეტაფიზიკური ტიპის მოძრაობის კატეგორიისაა. მოძრაობა - მატერიის თვისებაა, შემეცნებითი ინიციატივა - იდეის ატრიბუტია, ის აქტიურია, ამავე დროს, ნებისმიერი შემეცნებითი კონდიციის კონკრეტული დიფერენცია დროის კატეგორია. ევო-

ლუკაური დუალისტური სინთეზის რომელიღაც ეტაპის მკაცრი დეტერ-
მინიზმი ამ უკანასკნელის მხრიდან, დროის ფაქტორის ეგზისტენციის იდე-
ური ფორმა დუალისტური სემანტიკების სუბსტრატულ კომპლექსში ამ
კომპონენტსაც გამოყოფს. მისი დიალექტიკური მიმართება აქტიურ ნაწილ-
თან ამკარაა. IV. სწორედ ამიტომ დროითი კატეგორიის არსებითი სახე-
ლები და ზმნიხელები ცალკე სემანტიკურ ტიპს განეკუთვნება. გარდა ამი-
სა, არის სემანტიკები, რომელთა დამოუკიდებლად აღქმა გაძნელებდა (მა-
გალითად, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები).
ახლა თუკი დავუბრუნდებით ციკლური დიალექტიკის უნივერსალური ტი-
პის შესახებ ზემოთ დაწყებულ მსჯელობას, სხვა დამატებითი თქნის კონსტ-
რუქციაც არის შესაძლებელი ამ ასპექტით: ნებისმიერი ეკონომიკურ-გეოგ-
რაფიული რეგიონის კაპიტალისტური სტადიის უმაღლესი, სოციალ-დე-
მოკრატიული ფორმის დეცენტრალიზებულ ოსოციალური ბაზისის კოლექ-
ტიური ტიპი მწარმოებლური მეურნეობის ევოლუციის ადრეული ეტაპების
საკუთრების იურიდიული ფორმის გამეორებაა. რეალური დისტრიბუციის
წესის ასპექტით დივერგენცია ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება.

განვავროთ საკუთრივ სამონეტო მიმოქცევის პერიპეტიები.

22. ბაგრატ III. ნახევარი ღირჰემი. წ. - 1,8 გრ. (ტაბ. VIII, N
17).

შუბლი: ცენტრში დამახინჯებული არაბული ზედწერილი - „არ
არს ღმერთი გარდა ალაჰისა, არ ჰყავს მას თანაზიარი“. ირგ-
ვლივ ასევე დამახინჯებული არაბული წარწერა, რომლის
გაშიფვრა ვერ ხერხდება.

ზურგი: ცენტრში არაბული ლეგენდა - „მუჰამედი მოციქულია
ალაჰისა“, რომელსაც გარს ქართული დაქარაგმებული ასო-
მთავრული ზედწერილი შემოუყვება: $\text{ქ I C 8 0 1 2 1 2 1 C 4 1 5 -}$
 6 C 7 1 4 1 - „ქრისტე, აღიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“.

ეს უნიკალური მონეტა რივ მნშვნელოვან საკითხს აყენებს მეცნიერების
წინაშე, რომელთა შორის ამჯერად წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ ერთი:
სად და როდის განხორციელდა მისი ემისია?

უნდა აღინიშნოს, რომ ნუმისმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმული
აზრი, თითქოს ბაგრატ III მონეტების მოჭრა მისი მეფობის უკანასკნელ
ხანაში განხორციელდა (127,55), მართებული არ უნდა იყოს (ამაზე ქვემოთ),

ხოლო მოჭრის ცენტრის სავარაუდო ლოკალიზაცია (უფლისციხე) ეკუთვნის დ.კაპანაძეს. ჩვენ ვიზიარებთ მის მოსაზრებას. ბაგრატიის მონეტა არაბული დირჰემის (რომელიც განსაკუთრებული ინტენსიურობით აღმოსავლეთ საქართველოში მიმოიქცეოდა) სრული იმიტაციაა და თბილისშია აღმოჩენილი 1863 წელს. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ იგი აღმოსავლეთ საქართველოში მოიჭრა.

როგორც ცნობილია, ბაგრატი ქართლში 975 წელს, ხოლო აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) 978 წელს გამეფდა. ქართლში მან თავისი დედა გურანდუხტი დატოვა და თავად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მაგრამ, როდესაც საქმეების მოსაგვარებლად აფხაზეთიდან კვლავ აღმოსავლეთ საქართველოში მონინდომებს გადმოსვლას, ქართლის საზღვარზე მას დიდგვაროვნები ხვდებიან და წინააღმდეგობას უწევენ. ბაგრატმა იარაღის ძალით აღიდგინა ქართლში თავისი უფლებები, დედა თან წაიყვანა აფხაზეთში, და ქართლში უშუალოდ აფხაზეთის სამეფო ადმინისტრაცია მყარდება (36, 162-163; 62, 19). სწორედ ამ დროს უნდა მოეჭრა მას თავისი მონეტა ქართლის რეზიდენციაში - უფლისციხეში (54, 170). სხვა შესაძლებელი პუნქტი თითქოს არ ჩანს, რადგან თბილისი არაბთა ხელშია და ზარაფხანის მოწყობა სამეფო რეზიდენციის გარდა სხვაგან, ჩვენი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა. რა თქმა უნდა, შეიძლება a priori ვივარაუდოთ, რომ რაღაც შეთანხმების საფუძველზე ბაგრატმა თბილისის ზარაფხანა გამოიჭენა ან ძალიან მოკლე დროით აიღო კიდევ იგი, მაგრამ ეს არ დასტურდება. თუ მოსაზრება უფლისციხეში ზარაფხანის არსებობის შესახებ რამდენადმე მისაღებია, მაშინ უნდა გადაისინჯოს ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმული თვალსაზრისი, რომ „საქართველოს გაერთიანების შემდეგ ზარაფხანის არსებობა, გარდა თბილისისა (და აგრეთვე, უეჭველია, ქუთაისისა), სხვაგან დადასტურებული არ არის (64, 76).

მონეტის ტიპის (არაბული დირჰემის მიბაძვა) შერჩევითა და მასზე „აფხაზთა მეფის“ ტიტულის მოთავსებით, ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთი პოლიტიკური რეგიონია, რომ სამონეტო ემისიის რეგალია ქართლში ბაგრატის კომპეტენციაა. საფიქრებელია, ბაგრატს სწორედ ამის თქმა უნდოდა ხაზგასმით ქართლის მოსახლეობისათვის და, პირველ რიგში, ოპოზიციისათვის.

ამავე დროს, ვინაიდან ბაგრატი მონეტებზე მხოლოდ „აფხაზთა მეფის“

ტიტულითაა მოხსენიებული, მისი დათარიღება XI საუკუნით შეუძლებელია, რადგან ამ ხანებში იგი უკვე „აფხაზთა“, „ქართველთა“, „რანთა და კახთა“ მეფეცაა (77, 156-157).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ლეგენდის ფორმაც. თუ დავით კურაპალატი მონეტაზე (იხ. ქვემოთ) წერს: „ქრისტე, შეიწყალე...“, ბაგრატი, პირიქით, ღმერთისგან განდიდებას ითხოვს: „ქრისტე, აღიდე...“ ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

23. დავით III კურაპალატი. მილიარისი. რემედიუმი - 3.1-3,5 გრ. (ტაბ. VIII, N 18).

შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი: $\text{ქ}\text{რ}\text{ისტ}\text{ე}\text{,}\text{შ}\text{ე}\text{ი}\text{წყ}\text{ალ}\text{ე}$
„ქრისტე, შეიწყალე დავით“.

ზურგი: ოთხსაფეხურიან კვერცხლებზე აღმართული ჯვარი, რომლის ტოტებს შუა მოთავსებულია ოთხი ასომთავრული ნიშანი: $\text{ქ}\text{რ}\text{ისტ}\text{ე}\text{,}\text{ქ}\text{ურ}\text{ა}\text{პ}\text{ალ}\text{ა}\text{ტი}$.

ჯერჯერობით ემისია სულ 4 ეგზემპლარით არის წარმოდგენილი.

დავით კურაპალატის მონეტის ემისიის დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რომელ წელს ებოძა მას ბიზანტიის საპატიო ტიტული - კურაპალატი. ამასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავითს ეს ტიტული, სავარაუდოა, მიენიჭა იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც მან აღმოუჩინა ბიზანტიის იმპერატორს ბასილ II ბარდა სკლიაროსის აჯანყების ლიკვიდაციაში (86, 169-170; 75, 476-477; 56; 135). ამას ადგილი ჰქონდა 979 წ. (36, 157; 124, 218). ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული მონეტების ემისიაც ზუსტად ამ წელს უნდა განხორციელებულიყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს იყო ამ ღირშესანიშნავი ისტორიული მომენტის საუკეთესო მემორიალი, ხოლო მეორეც, ამის შემდეგ სულ მალე დავითი იმპერატორის მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა და „ღალატისათვის“ დიდი კომპენსაციის გადაებაც მოუხდა (75, 480-481).

მაგრამ ასეთი დათარიღების საწინააღმდეგოდ თითქოს უნდა მიუთითებდეს XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის ერთი ცნობა: „... в начале царствования от Василия отложился Вард по прозвищу Сикларос и всю ромейскую державу чуть ли не каждого - увлек за собой, так что император

ВЫНУЖДЕН БЫЛ ПРОСИТЬ ПОМОЩИ У ГРУЗИНСКОГО КУРОПАЛАТА" (18, 64) (ხაზი ჩვენია - თ.დ.). თუ ამ ფრაგმენტს ისე გავიგებთ, რომ დავითი და ხმარების თხოვნის მომენტში, ე.ი. ჰალისის ბრძოლამდე, უკვე ფლობდა კურაპალატის ტიტულს, მაშინ, ცხადია, ჩვენს მიერ შემოთავაზებული თარიღი დავითის მონეტების ემისიისა, ზუსტი არ არის. მეორე მხრივ, ისტორიკოსის სიტყვების მაინცდამაინც ასე გაგება სრულებით არაა სავალდებულო. საქმე ისაა, რომ არისტაქესი თავის თხზულებას 1072-1087 წწ. ე.ი. post factum წერდა და მისთვის დავითი ქართველთა კურაპალატია დამოუკიდებლად იმისა, როდის მიიღო მან ეს ტიტული. ამის დადგენა არ შეადგენს მისი კვლევის საგანს.

როგორც უკვე აღინიშნა, დავითის მონეტებმა ჩვენამდე ოთხ ცალად მოაღწია. ოთხივე მათგანი აღმოჩენილია საქართველოს საზღვრებს გარეთ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპის ტერიტორიაზე, კერძოდ: ერთ-ერთი მათგანი ნაპოვნია 1859 წელს ქ. შვაანის მახლობლად (ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მეორე 1878 წელს ოლონეცკის გუბერნიაში - ლოდინოეპოლში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგის ოლქი), მესამე - 1900-იან წლებში ვილაში, თანამედროვე ესტონეთის ფარგლებში, მეოთხე კი - შვეციაში (133, 215; 176, 5, ტაბ. I, 2: 12).

რა გზით უნდა მოხვედრილიყო დავით კურაპალატის მონეტები ასე შორს საქართველოდან? ამასთან დაკავშირებით შეიძლება ორი მოსაზრების გამოთქმა:

I. დავითის მონეტები ტიპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას ბიზანტიურ სინქრონულ ნუმისმატიკურ ძეგლებთან (კერძოდ, ემსგავსება ბასილ II და კონსტანტინე VIII მონეტას. შესადარებლად იხ. 180, ტაბ. XLVI, N 16) და მათივე ეკვივალენტურია წონითა და სინჯითაც. ასე რომ, ქართულ მონეტებს თამამად შეეძლო ბრუნვა ნებისმიერ რეგიონში ბიზანტიური მონეტების პარალელურად. საქართველოს ამ დროს ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის გარდა, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობაც აკავშირებდა. სხვა ქვეყნის ვაჭრებთან ერთად კონსტანტინოპოლის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართველი ვაჭრებიც, რომლებმაც იქ, ცხადია, თან ჩაჰქონდათ ქართული ფული. ასევე ხშირი სტუმრები იყვნენ ბიზანტიის იმპერიისა რუსი ვაჭრებიც, რომლებიც აქ დნებრისა და შავი ზღვის სამუალებით ჩამოდიოდნენ და ჩამოჰქონდათ ბეწვეული, ცვილი და სხვა, და ჩამოჰყავდათ მო-

ნეტი (133).

შესაძლებელია, სავაჭრო ოპერაციები აქვე ახვედრებდა რუს და ქართველ ვაჭრებს ან ამ ოპერაციების დროს ბიზანტიურ მონეტებთან ერთად გამოიყენებოდა ქართული ფულიც, როგორც ტოლფასოვანი ერთეული, და შემდეგ რუსმა ვაჭრებმა გამოიტანეს ის რუსეთისა და ევროპის ტერიტორიაზე.

უფრო რეალური უნდა იყოს მეორე ჰიპოთეზა: როგორც ცნობილია, კიევის მთავრის სვიატოსლავის დროს კიევის რუსეთის ფარგლებში მოექცა დღევანდელი ტამანის ნახევარკუნძულის ტერიტორია - ტმუტარაკანი. სწორედ ტმუტარაკანის სამშალეობით ხორციელდებოდა ძველი რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი ამიერკავკასიასთან. აქედან უნდა შესულიყო რუსეთში ზხა და სხვა საქონელი, რომელთა ნაშთები მიკვლეულია ძველი რუსეთის ქალაქების (მაგალითად, ნოვგოროდის) არქეოლოგიური გათხრების დროს (დაწვრილებით ლიტერატურა იხ. 133). ამავე გზით, ჩანს, დასავლეთ საქართველოდან უნდა შესულიყო ტმუტარაკანში იქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების გარკვეული ნაწილი, რომელიც შემდეგ დნებრისა და, ზოგჯერ, ვოლგის არტერიებით მიემართებოდა ჩრდილოეთით და ბალტიის ზღვის სანაპიროებს აღწევდა (133, 218). აქედანვე მოხვდა, ალბათ, დავით კურაპალატის მონეტებიც ჯერ რუსეთში, ხოლო შემდეგ ევროპაში, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული X-XI სს. ტმუტარაკანის მონეტა (104), რომელიც ბიზანტიური მილიარისების სრული მიბაძვითაა მოჭრილი. მართალია, ეს მონეტა უპასპორტოა, მაგრამ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ იგი სადმე ახლომახლო მიდამოებში უნდა იყოს ნაპოვნი, რადგან მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, როგორც ამას სპეციალისტების ხანგრძლივი დაკვირვება მოწმობს (147, 4), ძირითადად თავს იყრის ლოკალური აღმოჩენები. სხვა არხებით ბორჯომში ტმუტარაკანის იშვიათი მონეტის მოხვედრა ძნელი წარმოსადგენია.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი ნუმისმატიკური მასალების შუქზე ვივარაუდოთ საქართველოსა და რუსეთის კონტაქტები ტმუტარაკანის მეშვეობით X-XI სს. დავით კურაპალატის მონეტების ექსპორტი კი ევროპაში აშკარად რუსი ვაჭრების დამსახურებაა.

X ს. ლოკალურ ემისიებთან დაკავშირებით შესაძლებელია რამდენიმე

დაკვირვების შემოთავაზება: 1. 80-იან წლებამდე ღირჰემის სტანდარტი შენარჩუნებულია. 2. მინაბაძეების რემედიუმის ქვედა წონითი შტრიხი უკვე აღარ არის ღირჰემი. აღნიშნული ქრონოლოგიური მომენტიდან მოყოლებული ვიდრე საუკუნის ბოლოსი, ხორციელდება ნომინალის დეგრადაცია, იჭრება დაბალი წონითი კატეგორია მინაბაძეებისა და მასთან მიმართებაში თითქოსდა გაუგებრობაა ალი ბენ ჯაფარის მონეტის მაღალი წონა (3,9 გრ.) დაბალ სინჯადობასთან ერთად. რას უნდა ნიშნავდეს ლიგატურის და წონის სინქრონული ზრდა?! ყოველივე ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის პირველი რეაქცია იყო გლობალურ მოვლენებზე, აქ ეკონომიკური კრიზისი არაფერ შუაშია. ე.ი. ემისიები არის არა ინფლაციური კატეგორიის, არამედ სპეციფიკური დაკომპლექტება საკუთარი სამონეტო ბაზრის, თუმცა საკრედიტო ფულზე გადასვლა ნაადრევი იყო. 3. ქართლის ეკონომიკური კომპლექსის პირდაპირი კონტაქტი დასავლეთთან არ დასტურდება, ე.ი. დავით III მონეტის ბიზანტიურ ყაიდაზე მოჭრის ფაქტი წმინდა პოლიტიკური ომაჟია; ამავე დროს, ის რეფორმაციულია - წინასწარ იქნა გააზრებული ა) ახალი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის პერსპექტიული გენეზისი უახლოეს მომავალში. ბ) ბიზანტიის ფინანსური დომინანტის აკუმულაციური დიფუზია აღმოსავლეთისკენ.

თ ა ვ ი I V

სახელმწიფო სოციალიზმი /XI-XII სს./

§ 1. საქართველო – ეკონომიკური სუპლემენტი, სამონეტო ექსპანსიის ობიექტი. ტენდენცია DE JURE იმპერიის DE JURE უნივერსალიზაციისაკენ – ბიორბი II კმაროსი (XI ს.).

აქვე ზოგი დამატებითი დამახასიათებელი შტრიხიც მოგვყავს: სახელმწიფო სოციალიზმი – ავტორიტეტორატი; იმპერიალიზმის ზომიერ სარტყელზე კონცენტრაცია – იტალიის საკატეპანო, ბულგარული tabula rasa; კოლხური პრიმატის პრევენცია.

24. ბაგრატ IV. Ar. I ემისია. რეპედიუმი - 1,6-2,2 გრ. (ტაბ. VIII, N 19).

შუბლი: ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაცქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია - Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ - წმინდა ღვთისმშობელი.

ზურგი: მონეტის კიდეებზე წერტილოვანი რკალის შიგნით მოთავსებულია ქართული ლეგენდა - ԻՄԾԾԴԼԸԸԲԵՆԳԵԾԻԲԻ - „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“. ცენტრში ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული სამსტრიქონიანი წარწერაა - ԾՇԻԳ/ԻՄԽ Ն Մ Ի Օ Ն 1 „და ნოველისიმოსი“.

კონკრეტული ემისიის პრეზერვაციის ხარისხი 12 ცალით განისაზღვრება.

25. ბაგრატ IV. Ar. II ემისია (28 ც.). რეპედიუმი - 1,2-2,2 გრ. ზემოთ აღწერილისაგან იმით განსხვავდება, რომ სათანადო ადგილას „ნოველისიმოსის“ ტიტული შეცვლილია „სევასტოსით“ (ტაბ. VIII, N 20).

I ემისიის დათარიღება ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით დ.ლანგს ეკუთვნის. მისი ვარაუდის თანახმად, ბაგრატმა ნოველისიმოსობა მიიღო მას შემდეგ, რაც ლიპარიტისაგან გამწარებულმა სამველად ბიზანტიის იმპერატორს მიმართა და კონსტანტინოპოლში ჩავიდა (184, 141). ეს მოხდა 1054 წ. (36, 169). 1057 წლამდე ბაგრატ IV, ივ.ჯავახიშვილის მიხედვით, კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა (85, 146-147). მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და ყოფნის სხვა თარიღიც. მ.ბერძენიშვილი, დაეყრდნო რა ერთ-ერთ ბერძნულ წყაროს (ე.წ. ტურინოს კომპილაციას), თვლის, რომ ბაგრატი კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა არა 1054-1057 წწ., არამედ 1052-1055 წწ. (37, 164). ეს თარიღი უთუოდ ანგარიშგასაწევია. ხოლო 1060 წელს ბაგრატს თურქ-სელჩუკების თავდასხმის სამშროუბასთან დაკავშირებით, ახალი ტიტული - სევასტოსობა უბოძეს (134, 104-105; 77, 159). ამრიგად, დ.ლანგის მიხედვით, ბაგრატ IV I ემისია უნდა დათარიღდეს 1054 წლით, უფრო ზუსტად კი - 1057-1060 წწ. (184, 141). მაგრამ, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატი კონსტანტინოპოლში, სავარაუდოა, 1055 წლამდე

დარჩა (37, 164), უფრო მართებულად გვეჩვენება მონეტების დათარიღება 1055/6-1060 წლებით.

რითაა საინტერესო ბაგრატ IV მონეტები? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ლეგენდში იგი თავის თავს მხოლოდ „აფხაზთა მეფისა“ (ანუ დასავლეთ საქართველოს მეფის) და ბიზანტიური ტიტულით მოიხსენიებს და არა „აფხაზთა და ქართველთა“ მეფის სახელით. ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს, ვინაიდან ამ პერიოდის ქართულ მონეტებზე ყოველთვის რეალურად ისახება პოლიტიკური სიტუაცია. ამავე დროს, ჩვენ ისიც ვიცით, რომ ბაგრატ IV ფლობდა ხსენებულ ტიტულსაც. მართალია, ამჟამად კაცხის წარწერა, რომელშიც თითქოს ბაგრატ IV მოიხსენიებოდა როგორც „ქართველთა მეფე“ (იხ. მაგალითად 17, 152), გადათარიღებულია და მიკუთვნებულია ბაგრატ III ხანისადმი (7, 56)¹¹, მაგრამ არსებობს სხვა საბუთებიც, რომლებიც ეჭვმიუტანლად ადასტურებს ბაგრატ IV მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის ფლობის ფაქტს. კერძოდ, ასეთი ტიტულით მოიხსენიება იგი 1052-1054 წწ. სახარების მინაწერში (15, 50; 77, 159). ასეთი შეუთანხმებლობის ახსნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. რა თქმა უნდა, შეიძლება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა ამასთან დაკავშირებით, მაგრამ არც ერთი მათგანი ბოლომდე დამაჯერებელი შეიძლება არც კი იყოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ბაგრატ IV სპილენძის მონეტაც მოჭრა (იხ. 54, 62-63, N 50, ტაბ. IV, NN 50, 50*). ჩვენთვის ამჯერად ძნელია ამ უაღრესად საინტერესო მონეტის ატრიბუცია გავიზიაროთ ან არ გავიზიაროთ. საკითხი სადისკუსიოა და შემდგომ ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

ყოველივეს მაინც თან ვურთავთ მცირე კომენტარს.

ისლამის რეცეპცია საკანონმდებლო რეგალიისგან აბსტრაჰირებული განსხვავებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალური კონტრაქტის მიერ აუცილებელია, ღონისძიება სიუზერენის მხრიდან გარკვეული და ეფექტური პრევენციაა ფსევდოქრისტიანული, რეალურად კი პურიტანული ლოკალური სტრუქტურული სისტემის შენარჩუნებისა. ქრისტიანული კონფესიის არაკონსტიტუციური ეგზისტენცია უდრის საკმაოდ შორსწასულ გაუცხოებას უფლებრივი კომპლექსისგან. „ხოლო აღსართან მიერთო სულტანსა. მიუძღუნა ძღუენი დიდი. დაუტევა სჯული, დაიცვა წინა, აღუთქუა ხარაჯა“ (ქს, II გვ. 309) – კონკრეტული არაპერმანენტუ-

ლი და, ამავე დროს, ალოგიკური კონდიცია და ქმედება მაინც მოითხოვდა სწრაფ ჟონტრლონისძიებას. რანთა და კახთა მეფის კონფესიონალური მეტამორფოზი მეტად თუ ნაკლებად სერიოზული დაწოლის არარსებობის პირობებში განხორციელდა. რა არის ეს, არაპერსპექტიული მანიპულაცია რეგალიის ნაწილობრივი ტრანსფორმაციით, რა სფეროს შეეხო ის?! ინტერიერული საგარეო პოლიტიკა აბსურდია, მაშინ ჰიპოთეზის სახით შესაძლოა ავტოსტონური საბაჟო რეგალიისადმი პოსესიური მიმართების პრეროგატივის სელჩუკთა სოციალური კონტრაქტის კომპეტენციად პერცეფცია. ხოლო მისი ბაზისური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონები ვერცხლის დეფიციტს განიცდის - ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, სპილენძის უწესოდ ჭრის წესის აპრობაცია განსახილველი ნუმიზმატიკური ძეგლების იურიდიულ ატრიბუციას სწორედ ამ ბაგრატს უკავშირებს - ალი ბენ ჯაფარის ექსპერიმენტი უკვე მომხდარი ფაქტია. I და II ჰიპოთეზების ლიგატურაა პირობითად სინთეზური დებულება ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფის მიერ განხორციელებული ექსტრემალური ღონისძიების შესახებ - მისი ეკონომიკური სემანტიკა უდრის ლოკალური ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ადეკვატური სავალუტო ფონდის დაცვის პოლიტიკას. აქსწორედ უწესოდ ნაჭედი საკრედიტო ფული იგულისხმება. სტანდარტული მოდელი სპილენძის სასაქონლო ღირებულებით მიმოიქცევა. ასეთ შემთხვევაში ბაზისური (საკრედიტო) ნომინალის და მისი ფრაქციის ემისიას ადგილი ექნებოდა სადღაც 1069-1072 წწ. კიდევ ერთხელ ზაზს ვუსვამთ ყოველივე ზემოაღნიშნულის ზედაპირულ და უმეტესწილად ლოგიკურ ტიპს.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონისა და ეთნიკური კომპლექსის პირობითი სტრუქტურული დანაწევრების XI-XII სს. პერცეფცია (იხ. მაგალითად, მატინანე ქართლისაჲ-ში და დავითის ისტორიკოსთან) de facto და de jure სოციალური კონტრაქტების და ეკონომიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატების რემინისცენციაა. ამ ასპექტით საინტერესო ფსევდოსემანტიკური დიალექტიკური სისტემა გარკვეულწილად ასეთი სახით წარმოგვიდგება - აფხაზეთი და აფხაზნი, ქართლი - ქართველნი და მესხნი (!), კახეთი და კახნი. ა) კახეთის, ქართლისა და აფხაზეთის წმინდა ადმინისტრაციული კატეგორიების ნომინალური აბსტრაქტირება ქართლის (საქართველოს) ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსიდან. ბ) ეთნიკური ერთეუ-

ლის და ფაქტობრივად უნიკალური სოციალური კონტრაქტის ჰორიზონტალური დიფერენციაცია. გ) ქართველთა და მესხთა მეტად სიმპტომატური დიფერენციული ფიქსაცია ერთ სიბრტყეზე. დ) ტრადიციული ტიტულატურის - მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა - სტრუქტურულ-ნომინალური ასპექტი და შემდგომი ტიპოლოგიური აბსოლუტური ტრანსფორმაცია - ყოველივე ინდიკატორია სოციალური კონტრაქტის იდეალური ფუნქციონირების ორგანიზების პროცესის განსაზღვრული ხანგრძლივობისა (ბაგრატ III - დავით IV). ხოლო დიალექტიკური მიმართება - ქართველნი და მესხნი (იხ. მაგალითად, ქ III , I, გვ. 289, 333) - უკვე ქართველთა მეფობის ფაქტობრივი რეგალიური რეალიზაციის დაპირისპირებაა სტატუსის წმინდა იდეურ ასპექტთან. ნომინალური რეცეპციის პირობად კონკრეტული ფონეტიკურ-სტრუქტურული ერთეულის - ქართლის - კონკრეტული სოციალური სემანტიკა და ადეკვატური რეგალიური კონიუნქტურა აღნიშნული ფიზიკურ-გეოგრაფიული ბაზისის პერიფერიისადმი აქტიურ რეალურ რეგალიურ ქმედებას გულისხმობს. ბაგრატ IV უფლებათა სრული კომპლექსის კონსტიტუციური გაუცხოება მესხეთის პირობითად დამკვიდრებული სოციალური კომპლექსის ეკონომიკური ბაზისიდან ფაქტია და ლოგიკურად მოითხოვს I ემისიის ქრონოლოგიური შტრიხების კორექტირებას - 1055 წ. უმჯობესი ვარიანტია.

დაბოლოს, დუალიზაციის დიალექტიკის ზოგიერთი ქრონოლოგიური შტრიხის შესახებ - ბაგრატ IV ბიზანტიური დიპლომატიური ვლიაჟის სემანტიკა ასე თუ ისე უკვე გასაგები უნდა იყოს, აქ ლიპარიტის საკითხი მეორეხარისხოვანია. ბიზანტია ზონალური პერსპექტიული კონფორმაციის მიჯნაზეა, სადაც საქართველოს შეეძლო მეტად სიმპტომატური როლის თამაში. ეს ჰიპოთეტური კონსტრუქცია უფრო რეალურ ქრონოლოგიურ დეტერმინიზმს შეესაბამება. მიღებული რეკონსტრუქცია [შემდგომად] (ქ III , I, გვ. 303) - კარდინალურად ეწინააღმდეგება საერთო კონტექსტს - აქსაუბარია ერთ კონკრეტულ წელზე და არა რაღაც მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივ დროის მონაკვეთზე. თუ ინფორმაციის პერსპექცია ამ უკანასკნელი კომენტარის ანალოგიურია, მაშინ ტექსტში თეოდორასაც (კონკრეტული პერიოდისათვის იხ. მაგალითად 124, 262-278) უნდა მოეძებნოს ადგილი, რაც რესტავრაციას ხელოვნურ და ალოგიკურ ქმედებად აქცევს;

ე. ყოველივე მცდარია. ვინმე მიხაელის დაღეკვა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში (ჟ, I, გვ. 303) სიმპტომატურია: ის ან კეისარია, რაც გამო-
რიცხულია, ან კი, ფრთხილი ჰიპოთეზის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი
– ქართული თეოლოგიისთვის კარგად ცნობილი ფილოსოფოსი და სახელმ-
წიფო ფუნქციონერი მიქელ ფსელოსი (მასზე იხ. 20, წინასიტყვაობა; მეტად
ნიმანდობლივია ის ფაქტი, რომ იმპერატორთან კონფლიქტს ადგილი ჰქო-
ნია მონომახის ზეობის სადღაც ბოლოსკენ - 3, აგრეთვე Psellos, VI, 191-
203; 20, 191-198; 3, 1-8). გარდა ამისა, ფრაზა - „... მოითხოვა გუარანდუხტ
ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან, და გამოგზავნა ბერძენთა
მეფე მან (ხაზი ჩვენია - თ.დ.) დიდითა დიდებითა...“ (ჟ, I, გვ. 304) -
ბაგრატის ემიგრაციის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1054 წ. აჩენს. თუ
ყოველივე ამას დავურთავთ ინდუქციურ შტრიხებს - ა) ლიპარიტის დაბ-
რუნებას ბაგრატის მომენტალური რეაქცია მოჰყვა, მოვლენები სწრაფად
განვითარდა (ჟ, I, გვ. 303). ბ) მეფემ ბიზანტიაში სამი წელი დაყო (ჟ, I,
გვ. 303) – შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი დებულებების კონსტატაცია
– 1. ბაგრატ IV კონსტანტინოპოლშია 1051-1054 წწ. 2. I სამონეტო ემისია
თარიღდება ზუსტად 1055 წ. 3. ლიპარიტიც ამავე წელს შეიპყრეს მესხმა
აზნაურებმა.

II ემისიის ამავე კუთხით განხილვის დროს სიმპტომატურია ალფ-არს-
ლანის მიერ ქართლის (ტერმინი ქართლი უდრის - ა) ეკონომიკურ-გეოგ-
რაფიულ რეგიონს (იბერია). ბ) de jure სოციალური კონტრაქტის პირობით
შენარჩუნებას და მის ადეკვატურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ სუბსტრატს (მი-
ნუს კახეთი). გ) შიდა ქართლს - ერთი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგი-
ონის მასშტაბით უნიკალური სოციალური კონტრაქტის სტრუქტურული
რესტავრაციის იურიდიულ პლაცდარმს და ეკონომიკური სპეციალიზაციის
ასპექტით განსაკუთრებული მნიშვნელობის ბაზისს. კონკრეტულ შემთხ-
ვევაში საჭირო ვარიანტია ბ) - „...სამწუხაროდ აღივსო ყოველი (ხაზი
ჩვენია - თ.დ.) ქართლი...“ (ჟ, I, გვ. 309); ხოლო ყოველსა (ხაზი
ჩვენია - თ.დ.) ქართლსა შინა დადგა ლაშქარი...“ (იქვე) 1068 წ. ხანმოკლე
ოკუპაცია; პოლიტიკური დოტაციის სოციალური სუპერსტრატის პრო-
ცენტული ზრდა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ნორმალური საქო-
ნულბრუნვის შემცირების ხარჯზე ხდებოდა, დისტრიბუციული გაუგებრობა

კი ახალ ემისიას საჭიროებდა - ვთვლით, რომ 1068 (უფრო სწორად, 1068/69 წწ. (ქს, I, გვ. 309) - ამასთან აქ დაცული დეტალური თარიღი ქრონოლოგიურ მომენტებთან დაკავშირებული გარკვეული სუბიექტური დებულების პრეზენტაციის საბაზად აღვიქვით, კერძოდ, მართებული არ უნდა იყოს ქართული ისტორიოგრაფიისთვის აქსიომური წყაროთმცოდნეობით ბაზისში დაცული დროითი ატრიბუტიკის მექანიკური ადაპტაციის ტენდენცია. რაციონალურად მივიჩნიეთ კონკრეტული პრეტენზიის ილუსტრაცია მეტად თუ ნაკლებად პოპულარულ ქრონოლოგიურ შტრიხებზე - მაგალითად, რა შეიძლება ითქვას დიდგორის ბრძოლის ან კი დავით IV გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით - 1121 წ. 12.VIII და 1125 წ. 24.I? ! ის, რომ იულიუსის კალენდრის ექსპლოატაციის შემთხვევაში ოთხ-საუკუნოვანი ციკლი იძლევა 3 დღე-ღამის ჩამორჩენას, XII ს. კი ცდომილება უდრის ექვს ერთეულს, ე.ი. $12/VIII = 18/VIII$; რაც შეეხება II განსახილველ თარიღს, აქ სწორია 30.I. წარმოდგენილი წესი, ჩვენი აზრით, უნივერსალური უნდა გახდეს) მაინცდამაინც წმინდა ჰიპოთეტური მომენტი არ უნდა იყოს. დავითის ნუმისმატიკური აბრევიატურაც შემთხვევითი არ არის. ქართლის ადეკვატური იდეაში მეტროპოლისური სოციალური ჯგუფი არასტაბილური სოციალური კონტრაქტის სტადიაშია დასავლელ სოციალურ პარტნიორთან და ასეთი სიტუაცია გრძელდება ვიდრე 1099 წ. (აქ ქართლის წინას ანალოგიურ სემანტიკასთან გვაქვს საქმე - ყოველივე ამის ინდიკატორია: რეგალიის ღიფუზიის ეტაპობრივი ტიპი - „და იყო მამინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა...“ (ქს, I, გვ. 324); თრიალეთის სტრატეგიული პოზიციის პრაქტიკული რეალიზაცია (ქს, I, გვ. 325); „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღილეს იერუსალემი და ანტიოქია... და არდარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“ (ქს, I, გვ. 325-326); და აგრეთვე ინფორმაცია ტაოს მხარეში ნომადური ტიპის მეურნეობის ეგზისტენციისათვის შესაბამისი პირობების არსებობის შესახებ (ქს, I, გვ. 333)). ვლადიმერის ტიპის შესატყვისი სერიის საინტერესო ნაწილიც უფრო თამამი მიდგომის შემთხვევაში სწორედ 1089-1099 წლებით უნდა დათარიღდეს.

გიორგი II სამონეტო პნოდუქცია შეფარდებითი რაოდენობრივი

მონაცემების (100 ცალზე მეტი) და, აგრეთვე, მეფის საიმპერიო ტიტულების ცვალებადობის გათვალისწინების საფუძველზე შესაძლოა დაიყოს სამ ემისიად.

26. გიორგი II. Ar. (დაბალი სინჯადობა)¹². I ემისია. რემედიუმი - 1, 1-2, 1 გრ.¹³.

შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელხევიით გამოსახულება, თავზე შარავანდით. შარავანდის შიგნით ოთხი წერტილისაგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი O/A/Π - A/Θ/KO = ἡ ἀρχὴ θεοτόκου „წმინდა ღვთისმშობელი“.

ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებული ზედწერილი: ἸΩΑΝΝΗΝΑ ΦΕΒΡΟΥΑΡΙΑ - ἸΑΝΟΥΑΡΙΟΥ - „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე“. ცენტრში სამ სტრიქონად: ὉΣ/ΑΝΣ/ΑΝΣ „და ნოველისიმოსი“.

27-28. II და III ემისიები ზემოთ აღნიშნულისგან განსხვავდება იმით, რომ „ნოველისიმოსი“ შეცვლილია „სევასტოსით“ და „კესაროსით“. იცვლება აგრეთვე ავერსის ბერძნული წარწერაც. ზემოთ მოხსენიებულ ლეგენდასთან ერთად მონეტებზე გვხვდება სხვა ზედწერილი: ΜΡ-ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡ-ΝΙΤΙΚΑ / „დედა ღვთისა ვლაქერნის“, რომელიც ზოგჯერ დამახინჯებულია შემდეგი სახით - ΜΑΛΑΧΕΙ...ΓΙΚΑ (ტაბ. IX, NN 21-22).

პირველი ორი სამონეტო ემისია 1072-1081, ხოლო მესამე - 1081-1089 წლებით უნდა დათარიღდეს (საკითხთან დაკავშირებით იხ. 51, 24-25). მაგრამ ამ კუთხით კიდევ შეიძლება მსჯელობა. გიორგის და გრიგოლ ბაკურიანის ძის rendez-vous საიმპერატორო იურისდიქციის მხარეებზე საქართველოს მეფის კონტროლს აწესებს (ჟ, I, გვ. 318). ხომ არ არის ასეთი პოლიტიკური კონიუნქტურა ხელსაყრელი ბაზისი კესაროსის ტიტულის რეცეპციისათვის?! შემდგომ კი „...განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს“ (ჟ, I, გვ. 318). ე.ი. გიორგი კესაროსია უკვე 1074 წელს (?) (საკითხთან დაკავშირებით იხ. 157, 97-98;

110, 23, 76). 1072 წლის მიწურულს გარდაიცვალა ბაგრატ IV, გიორგი ამ დროს კურაპალატია (ჰვ, I, გვ. 314). I ემისია უკანასკნელს უფრო 1073 წელს უნდა განეხორციელებინა, II - 1074 წელს. ამავე წელს ის ზღება კესაროსი. III ემისიის ქრონოლოგიური ჩარჩოები ზოგადია - 1075-1089 წწ. II ემისიის ფარგლებში წონითი რემედიუმი ასეთია: 1,2-2 გრ. აქ თეთრთან გვაქვს საქმე. III ემისია - 1(?) - 1,9 გრ.; 0,5-0,9 გრ. - თეთრი და ნახევარი თეთრი?!

§ 2. ღუალოსტური იმპერიის ბენეფისი DE JURE .

- ღიარხია DE JURE

დავით IV/

დამატება სათაურისათვის: იმპერიული ჰერალდიკის იბერული ტრანსპლანტაცია. დემეტრე I პორფიროსტროტოსი (XII ს).

ჩვენამდე მოღწეული დავით აღმაშენებლის მცირერიცხოვანი მონეტები (7 თუ 8 ცალი) სამ ტიპად იყოფა. პირველი ტიპის მონეტა თავიდან ბოლომდე იმეორებს ბაგრატ IV და გიორგი II ნუმისმატიკურ ძეგლებს, შეცვლილია მხოლოდ რევერსის ქართული ზედწერილი. ნუმისმატიკურ ლიტერატურაში მოცემული დავით აღმაშენებლის მონეტების ტიპოლოგიური დიფერენციაციის თანამიმდევრობა ჩვენთან დარღვეულია. დავითის მონეტების პირველ ტიპად და, შესაბამისად, ადრეულად, ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს ის, რომელიც ზუსტად იმეორებს (ცხადია, ქართული ლეგენდის გარდა) ბაგრატ IV და გიორგი II მონეტებს (შდრ.: 54, 65-66, NN 52-53).

29. დავით IV. ნახევარი თეთრი. I ემისია. ერთ-ერთი ეგზემპლარის წ. - 0,5 გრ. (ტაბ. X, N 23).

შუბლი: როგორც ბაგრატისა და გიორგი II მონეტების შუბლი. ბერძნული ლეგენდა ასე გამოიყურება: MP-ΘY („დედა ღვთისა“).

ზურგი: წრიული ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც აღდგენის შემდეგ შემდგენაირად იკითხება: ქႠႡႢႣႤႥ-ႦႧႨႩႰ- „ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე“.

ცენტრში - ႧႨႩႰႱႲႳ „და სევასტოსი“.

დ. ლანგის ვარაუდით, მონეტაზე მოთავსებული ტიტული - „სევასტოსი“ - შემოკლებული ფორმა უნდა იყოს პანიპერსევასტოსისა, რომელიც ალექსი I კომნენოსმა დავით IV უბოძა (184, 144), რაც, ალბათ, ძნელი გასაზიარებელია.

30. დავით აღმაშენებლის მეორე ტიპის მონეტა პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ მის ზურგზე მოთავსებულია ახალი დეტალი ჯვარი და ქართულ ფრაგმენტულ ზედწერილს ასეთი სახე აქვს: 𐌕𐌆𐌔𐌆𐌖𐌆𐌕𐌆𐌔𐌆... „ქრისტე, აღიდე დავით მეფე და...“ სევასტოსი (?). II ემისია. ნახევარი თეთრი. რემედიუმი - 0,5-0,9 (ტაბ. X-XI, NN 24-25).

სევასტოსის ტიტულით დავითი უკვე 1085 წელს იხსენიება („მეფე და სევასტოსი“), ასევე იგი წოდებული 1089-1091 წწ. ხოლო იმავე ხანებში მისთვის ახალი პატივი - პანიპერსევასტოსობაც უბოძებიათ, მაგრამ რუსურბნისის კრების დროს ბიზანტიურ ტიტულს იგი უკვე აღარ ატარებს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, დავით IV პირველი და მეორე ტიპის მონეტების ემისიის ხანად შეიძლება მივიჩნიოთ 1085-1103 წწ., ანუ, უფრო ზუსტად, 1089-1103 წწ. (მაინც არ უნდა იყოს სავარაუდო, რომ დავითს გიორგის ტახტიდან ოფიციალურ გადადგომაძღვე მოეჭრას მონეტა). ამავე დროს ისიცაა საგულისხმო, რომ პირველ ხანებში დავითი თავის თავს არ მოიხსენიებს „ქართველთა მეფის“ ტიტულით. მომავალი კვლევა-ძიება კიდევ უფრო დავიწროებს ამ მონეტის ემისიის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

საკითხთან დაკავშირებით იხ. 51. ზოგიერთი რამის დამატება, ალბათ, შესაძლებელია. თავდაპირველად დავითი აკონტროლებს მხოლოდ დასავლეთ საქართველოს - „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა“ (ქვ, I, გვ. 324). ასეთი მდგომარეობა გრძელდება იქამდე, ვიდრე თრიალეთი მის ხელში არ გადადის. ეს კი შესანიშნავი პლაცდარში იყო რეკონკისტისტისთვის. „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემ და ანტიოქია... მოეშენა ქუეყანა ქართლისა... თურქნი ვერღარა დაიზამთრებდის ქართლს...“ (ქვ, I, გვ. 325-326). თურქი ნომადები, საერთოდ, ტაოს მიმართაც არ იყვნენ ინდიფერენტულნი (ქვ, I, გვ. 333). ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის de facto ფლობა კი უდრის სწორედ „ქართველთა მეფობას“. ე.ი: 1099 წლამდე დავითი „აფხაზთა მეფეა“. ადრეული ემისიები სწორედ 1089-1099 წლებით უნდა დათარიღდეს. აქედან, I ემისია, ალბათ, 1089-1091 წლებში გან-

ხორციელდა. თუ II ემისიაზე „პანიპერსევასტოსია“ დაფიქსირებული, ზემოაღნიშნული ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოები კონკრეტულ შემთხვევაში დასატოვებელია.

31. დავით IV. III ემისია. AE. №. - 10,7 გრ.¹⁴ (ტაბ. XI, N 26).

შუბლი: სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი დავით აღმაშენებლის წელზევითი გამოსახულება პირდაპირ. მარჯვენა ხელში მას ჯვარი უჭირავს, მარცხენაში - სფერო. თავსამკაულის ზემო ნაწილი ჯვრითაა დამშვენებული.¹⁵ მეფეს ყელზე მძივები უკეთია¹⁶, გამოსახულების მარცხნივ - ԾԳ - დავით, მარჯვნივ - ԶԲ - მეფე.

ზურგი: მონეტის ცენტრში თანაბართოტებიანი ჯვრის გამოსახულება. გარშემო: ԺԾԳԶԳԴԿ ԳԶԻ ԺԿԻԿԵԸԸԸԸ - „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“. გარშემო ხაზოვანი რკალია.

ამ მონეტის მოჭრა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავითმა 1118 წელს ლორე აიღო და გააუქმა ტაშირის სამეფო, და არა ანისის ალების შემდეგ, როგორც ამას ვარაუდობენ ნუმისმატიკურ ლიტერატურაში. დავით აღმაშენებლის ტიტულში არსებული „სომეხთა მეფე“ ნიშნავს ტაშირ-ზორაკერტის მეფობას (უფრო დაწვრილებით საკითხთან დაკავშირებით იხ. 51, 26).

და კიდევ ერთი – რა ნომინალთან გვაქვს საქმე? ფოლისი?! მასზე იხ. 181, 13-14. მაგრამ ალექსი და იოანე კომნენოსების დროს წონა დაბალია. იხ. 29, 110-115. კონკრეტულ შემთხვევაში ფოლისის შედარებით ძველი სტანდარტებია რეალიზებული.

ამის შემდგომ, კარგა ხნის მანძილზე საქართველოში სამონეტო მეტალის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ სპილენძი. ამაზე, და საერთოდ, ვერცხლის კრიზისზე ბევრი რამ დაიწერა. ვერცხლის დროებითი მატერიალური დეფიციტის ჰიპოთეტური ეგზისტენცია ალოგიკურად მიგვაჩნია. საქმე ეხება ფეოდალურ სამყაროს, სადაც სანედლეულო შიმშილის შესაძლებლობის დაშვება კონკრეტულ ეტაპზე უბრალოდ აბსურდია. ხომ არ ზდება ასეთი რამ: ევოლუციის რაღაც ეტაპზე აღმოსავლეთში ვერცხლის სასაქონლო აკუმულაცია საერთო სასაქონლო მასასთან მიმართებაში შეფარდებითად მცირეა, რაც ვალუტის შეფარდებითად და არარენტაბელუ-

რად მაღალი კურსის საფუძველია. სოციალური დისტრიბუციული წესრიგი ორგანიზაციასა და წარმოებას შორის მოითხოვს ნომინალის გაწვრილებას იმ დონემდე, რასაც ცირკულაციის ასპექტით უამრავი სირთულე მოჰყვებოდა. ვერცხლის უკინესი ერთეული უდრის რაციონზე გადაყვანილ სპილენძს. საფუძველი ეყრება საკრედიტო ფულს. მაინც, რას უნდა გამოეწვია ასეთი სპეციფიური სავალუტო კონიუნქტურა?! საწარმოო ძალების განსაკუთრებული კონცენტრაცია შავი მეტალურგიის და აგრარულ სექტორებზე მოითხოვდა გარკვეულ შეზღუდვებს ფერადი მეტალურგიის სფეროში. ვერცხლის რეცეპციის ტექნოლოგიური სირთულე (Ag₂S და უფრო ხშირად, პლუს სხვა სულფიდებიც, ერთმანეთისაგან განცალკევებას ახორციელებს Pb. და Zn.) კი შრომითი კადრების ნაწილს სპილენძის წარმოებაზე გადართავდა, რაც ფერადი მეტალურგიის პროდუქციის საერთო მოცულობის შეფარდებით სტაბილიზაციას ემსახურებოდა. სარწყავი ზონა ძაბავს საკუთარ ძალებს. დუალისტური საქართველო კი ყოველივეს საკრედიტო ავტორიტეტორატით პასუხობს. აღმოსავლური ლეგენდები სწორედ აზიურ საკრედიტო სისტემაში ჩართვის ინდიკატორია.

დემეტრეს დროიდან მოკიდებული რუსუდანის მეფობაში გატარებულ ფულის რეფორმამდე საქართველოში მუდმივად ხორციელდება ე.წ. „უწესოდ მოჭრილი“ სპილენძის ნუმისმატიკური ძეგლების ემისია. უკანასკნელი ტექნიკური სიახლე I. ზოგავს ხარჯებს და მუშახელს. II. ნიშანია საკრედიტო კატეგორიისა. III. ჩვეული ფორმის ფული, ალბათ, უკვე ხურდაა. IV. საკრედიტოს მიმართება ვალუტასთან სასაქონლოა. V. სავალუტო მარაგი არის ოქრო პლუს ვერცხლი გადათვლილ ვერცხლზე. VI. ხურდა ფულის მიმართება საკრედიტოსთან პირობითია.

ნაწილი III

ზომიერი კაპიტალისტური რევოლუცია და მისი სემანტიკა - ქართული პერსპექტივაში.

ჰერალდიკური სტრუქტურალიზმი - საქართველო და ტრაპიზონი

დამატებითი დასკვნები: ჯვაროსნები და საქართველო; მილიტარისტული ალიანსი de facto, ანტირომეული კოორდინაცია. ქართული ეთნოკულტურის ადეკვატური სუბტროპიკული ზოლის პრიმატის ტენდენციები - ქართული ავტოპროტექტორატი (XIII ს.).

დემეტრემ რამდენიმე სამონეტო ვარიანტი მოჭრა. ერთ-ერთი ასეთია (ტაბ. XII, N 27):

32. „უწესოდ მოჭრილი“ სპილენძი. სხვადასხვა ზომისა და წონის.

შუბლი: რვაკუთხედ ფიგურიან ჩარჩოს ცენტრში - ო. ჩარჩოს გარეთ განლაგებული არაბული წარწერა - „მეფეთა მეფე, მესიის მახვილი“ - სტილიზებულია და ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს.

ზურგი: ხუთღერძიანი ვარდულის შინაგან და გარეგან ბუდეებში მოთავსებული არაბული ლეგენდები შეიცავს ხალიფას და სელჩუკთა სულთნის სახელებს.

გიორგი III ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი მონეტები ტიპად და ვარიანტებად დიფერენცირდება. ვიძლევიტ ზოგიერთი მათგანის აღწერილობას.

33. სხვადასხვა ზომისა და წონის „უწესოდ მოჭრილი“ სპილენძის ფული (ტაბ. XII, N 28).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში -
L. ვარდულის ბუდეებში არაბული ლეგენდა - „მეფეთა მეფე გიორგი, /მესიის მახვილი“.

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ლეგენდა - ხალიფას სახელი.

34. ნორმალური AE., ფოლისი. d ≈ 25 მმ, წ. ≈ 5 გრ. (ტაბ. XII, N 29).

შუბლი: მეფე მარცხენა (ზოგჯერ მარჯვენა) ხელით დონიჯშემოყრილი ფეხმორთხმით ზის პირდაპირ, მეორე გაწვდილ ხელზე შეეარდენი ჰყავს დასმული. ჩაცმულობა შედგება ხიფთანის, ფართო შარვლისა და ვიწროცხვირიანი წადებისგან. თავზე ადგია ჯვრით დასაკიდრებით დამშვენებული საიმპერატორო (!) გვირგვინი. მონეტის არეზე გაფანტულია წარწერა, რომელიც იუწყება მეფის სახელს (გი, ზოგან ამას ემატება L1 -ს მონოგრამა) და 394 ქორონიკონს († 494 - 1174 წ.).

ზურგი: არაბული ლეგენდა: „მეფე მეფეთა / გიორგი ძე დემეტრესი, / მესიის მახვილი“.

35. გიორგი და თამარი. „უწესოდ მოჭრილი“ სპილენძი (ტაბ. XII, N 30).

შუბლი: გრეხილორნამენტოვანი ნასკვებით გამოყვანილი ექვსბუდიანი ვარდულის ცენტრში - L1. ვარდულის გარეგან ბუდეებში ზედწერილია: C B / B H / H K / K P / P Q - „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე“.

ზურგი: გრეხილორნამენტოვანი ნასკვებით გამოყვანილი რვაბუდიანი ვარდულის ცენტრში - G ან G K, G P K, G Q. ვარდულის გარეგან რვა ბუდეში C ორ / H H H / K P / B C / B H / B Q / P C / B H „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“.

ემისიის (?) რეალიზაციის ქრონოლოგიური შტრიხებია - 1178-1184

წწ.

36. თამარი. I ვარიანტი. სხვადასხვა წონის და ზომის „უწესოდ მოჭრილი“ სპილენძი (ტაბ. XIII, N 31).

შუბლი: ორნამენტოვანი ჩარჩოს ცენტრში თამარის ხელრთვაა

40. გიორგი ლაშა. AE. II ვარიანტი. ფოლისი. d 23-26 მმ., წ. 4,5-6,5 გრ. (ტაბ. XIV, N 34).

შუბლი: $\dagger \text{L} \text{X} \text{V} / \text{P} \text{L} \text{C} \text{D} \text{C} \text{X} \text{L} \text{C} / \text{S} \text{C} \text{L} \text{C} \text{X} \text{C} \text{V} / \text{E} \text{D} \text{Q} \text{I} \text{C}$ - „გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთუფლისა”.

ზურგი: არაბულად - მეფე უმაღლესი, /მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, /გიორგი ძე თამარისა, /მახვილი მესიის.

41. გიორგი ლაშა. ფოლისი. d - 23-24 მმ. წ. - 5,6 გრ. (ტაბ. XIV, N 35).

შუბლი: მეფის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. თავზე ადგა გვირგვინი გრძელი საკიდრებით (!). მარჯვენა ხელით ლაბარუმის ტარს ეყრდნობა, მარცხენაში გაურკვეველი საგანი (გრაგინილი?) უჭირავს. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ შემორჩენილია ლეგენდის ფრაგმენტები:

$\text{L} \text{X} \text{V} / \text{D} \text{C} \dots / \dots \text{V} \dots / \dots / \text{N} / ? / \dots$ „გიორგი ძე თამარისა... ოცდაათს” /ქორონიკონსა 430=1210 წ./.

ზურგი: ვარდულის ოთხ ფურცელში მოთავსებულია არაბული ლეგენდა: წელსა 606/=1209/1210 წწ.) ფურცლებს შორის სეგმენტებში სხვა არაბული წარწერაა 4 სტრიქონად: „მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მახვილი მესიის”.

თამარისა და ლაშას სამონეტო საქმე კომენტარს საჭიროებს: 1. საქართველო კარგავს აკუმულაციური ფულადი ბაზრის ჰაბიტუსს. მაშინ სახეზე უნდა იყოს ყოველწლიური ემისიები?! 1187 და 1210 წწ. ამ ასპექტით უპირისპირდება ლოგიკურ ეკონომიკურ კონიუნქტურას. როგორ უნდა აიხსნას კონკრეტული დივერგენცია?! სსრკ 1961 წ. დენომინაცია კონკრეტული ასპექტით სიმპტომატური პარალელია. 1187 წ. რეფორმაციულია, საკრედიტო სპილენძი საბოლოო სასაქონლო რატიფიკაციას, ალბათ, სწორედ ამ დროს იღებს. მაგრამ, არა. რა ვუყოთ მაშინ 1210 წ. ორ ემისიას?! პროდუქცია იზრდება. რას ნიშნავს?! ა) AR. და AE. სასაქონლო შეფარდების რეალიზაციას?! ალბათ, ეს ასეა. ბ) თამარის გარდაცვალებას 1210 წ. (შეად. 69; 70). 2. ლაშა ჯავახთუფალი თამარის თანამოსაყდრეა და მის სიცოცხლეშივე ახორციელებს ზურდა ფულის ემისიას. ე.ი. 1207-1209 წწ. სპეციფიური საუფლისწულო ატრიბუტი დიარხიის მასშტაბით თამარის ძის სუბორდინირებულ პოზიციაზე მიგვანიშნებს. სხვა დიარხიის დროსაც, მაგალითად, ულუსა და ნარინის, ემისიაზე ერთ-ერთის სახელი თავსდება მხო-

ლოდ და მხოლოდ (54,88 N 91, 89, NN 93-94). 3. თამარის ფოლისის რემედიუმი სიმპტომატურია. ეს აშკარად არ არის ერთი ემისია. 4. N 38 ასე გავიაზრეთ: ფული 1187 წ. ჰიპოთეტური რეფორმის შემდგომ ვერ მოიჭრებოდა. სოსლანი კი თამარს შერთეს 1188 წ. ე.ი. III ვარიანტი სინამდვილეში პირველია, ის კონკრეტული მონარქის სამონეტო რეგალიის რეალიზაციის ადრეული ნიმუშია. ლეგენდა ასე უნდა იქნას წაკითხული - „თამარ დედოფალი“. ემისია განხორციელდა 1184-1186 წწ. 5. N 40 არ არის ერთი ემისია, გამომდინარე რემედიუმიდან. 6. გვირგვინის მიხედვით, ლაშა აგუსტა. იხ. N 41.

ნ ა წ ი ლ ი IV

მონეოლოგი ირანში - სარწმანო მუხრანობის წოდის ნორდოკული ნაწილის სტაბნაცია, არიული და თურანული რეაქცია - კოლექტიური სოციალურ-ეკონომიკური კონტროლი

თავი I

ქართული ეკონომიკური რეკონსტრუქცია.

ტრაპიზონი

დამატებითი თეზები: „ბერძენთა მეფობა“ - ქართული რეცეპცია. იმპერირის მეტროპოლისის ნორდოკული ტრანსფორმაციის წარუმატებელი ცდა. თურანული რეაქცია - კაპიტალიზმის I ციკლთან ურთიერთობის ეპილოგი (XIII-XV სს.).

არიულ-თურანული რეაქცია ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის მხვრევას და დაქვეითებას იწვევს. ლოკალური ცნობიერი სისტემის დასავლურ-აღმოსავლური სინთეზური პერმანენტული ცნობიერი სუპლემენტი დიფერენცირდება: ამიერიდან იმერეთი უფრო დასავლურ-ბიზანტიური მოდელების, აღმოსავლეთ საქართველო კი ირანული სტილის რეცეპტორია. ყოველ შემთხვევაში, ნუმინმატიკური კატეგორიების შუქზე ეს ასე ჩანს. ქართლის საოკუპაციო სერიები თუ ლოკალური სოციალური კონტრაქ-

ტი — ექსქიმიანი ვარსკვლავი.

ზურგი: წმ. ევგენი. შესაბამისი ბერძნული დამახინჯებული ზედწერილი.

1453 და 1461 წწ. მოვლენებს შედეგად მოჰყვა ზოგიერთი უნივერსალური იდეოლოგიური შტრიხის დენონსაცია. მართლმადიდებლური სუბტროპიკული ინტეგრაციის გეგმა ცენტრის სინქრონული ნორდიკული ტრანსფორმაციით ჩაიფუშა, თურანული სოციალური სუპერსტრატის პარადოქსული გამარჯვება ეკონომიკური ენის ასპექტით კი არიულ /თურქმანულ-თურქული ქვეცნობიერი ალიანსის ასახვაა. გაუცნობიერებელი სიმმახია სპობს სუბტროპიკული პროტოკაპიტალიზმის ნორდიკული გენეზისის შესაძლებლობას.

თავი II

ქართული იმპერიული ავბიციების მსხური რეპინოსცენცია

კლარჯეთი, ურწყავი პროვინცია — დეკლარაციის შესაძლებელი ეკონომიკური საფუძველი.

კონკრეტული თავის აბსტრაქტირება პირობითია. აქ კვლავ კრინისული მოვლენებია მიმოხილული. მაგრამ ზემოაღნიშნული დეკლარაცია (14) ისტორიის ერთი საინტერესო შტრიხია. ამიტომ მისი ცალკე გამოყოფა მართებულად მიგვაჩნია.

1. სასისხლო სიგელების სპეციფიური ნომინალური კონიუნქტურა — ცხუმური თეთრი, ძველი თეთრი კირმანეული, კირმანეული თეთრი — ვერცხლის სინჯადობის დაცემის მაჩვენებელია. ანალოგიური ტიპის დამოკიდებულებაა ყაზანაურსა და გიორგის ჟამის თეთრს (41,29-50) შორის; ყაზან მაჰმუდ ხანის დანგდაკლებული ნომინალის და ორიანის საანგარიშო ერთეული კვლავ თეთრია. 2. სასისხლო სიგელების გამოკვეთილად პლურალური ეგზისტენცია და დროის თვალსაზრისით თითქოს დედუქციური

ისტორიული ეტაპით ლიმიტირება აქ მოტანილი თანხების ძირითადად სისწორეზე მეტყველებს. მაგრამ აუცილებელია კომენტარიც - გარკვეული პალეოეკონომიკური კონტროლერსა ახსნას საჭიროებს. მაგალითად, თანხა უდრის ან აღემატება კიდევ კაპიტალისტური იტალიის უმაღლეს სენატორთა ქონებრივ ცენზს (ცენზი 800 000 - 1 000 000 სესტერციუსია. ორი სესტერციუსი ერთი თეთრია. ე.ი. აქსაქმე გვაქვს 400 000 - 500 000 თეთრთან), ატიკის წლიური საარსებო მინიმუმი კი ≈ 120 დრაქმით განისაზღვრებოდა; ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის ჰიპერინფლაცია გამორიცხულია, პირიქით, ამკარაა ტენდენცია სრული ნატურალიზაციისკენ, კონკრეტული პროცესი სხვაგან უკვე დეტალურად განვიხილეთ. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?! მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ დანაშაულის საკომპენსაციო ობიექტად უძრავი ქონება აღიქმება შეფარდებითი კალკულაციის პირობებში. სწორედ ასეთი პერცეფციაა აბსოლუტური გარანტი სოციალური კონტრაქტის კონსტიტუციური სოციალური რეგალიის აბსოლუტური შენარჩუნებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტურ იტალიაში ფასი მიწაზე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის ჩარჩოებში. თეზა სისხლის ღირებულების ეტაპობრივი ზრდის შესახებ ინფლაციური პროცესების სინქრონულად არ არის სწორი, პირიქით, ასეთ დროს მიწაზე ფასი საგრძნობლად ეცემა. ყოველივე ამის ნათელი ილუსტრაციაა ურტალთა სოციალური ქმედების ფაქტი XIII ს. აღმოსავლეთ საქართველოში. სასისხლო სიგელების შემთხვევაში მიწა საქონლად არ არის ქცეული. ის პირობითადაა შეფასებული, ადეკვატური თანხაც ძირითადად სტაბილურია, სწრაფი ეკონომიკური დეგრადაცია კი არ შეიძინევა. მეორე მხრივ, ამკარაა უძრავი სახმარი ღირებულების ადეკვატური ციფრობრივი მონაცემების კუთხით დასავლეთის ამკარა უპირატესობა, ყოველივე შემდეგი ეკონომიკური შტრიხების ინდიკატორია - ა) დივერგენციული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონალური მიმართების რესტავრაცია. ბ) ლიხთიმერეთის ამკარა სოციალურ-ეკონომიკური სინქრონული პრიმატი. მაგრამ დასავლეთი განიცდის კონვერსიას?! კიდევ ერთი მაგრამ: კონვერსია ხორციელდება სუბტროპიკული ნოტიო ზოლის პრიმატის მიღწევის პირობებში, ალბათ, სამელიორაციო ცნობიერების თვისებრივი პროგრესის გამო. ე.ი. დასავლეთი იწყებს ასეთ დროს ხორბლის წარმოებას, აქ საოცარი რენტა-

ბელობაა, რაც გარკვეულწილად ავსებს კონვერსიით გამოწვეულ ზარალს. აქვე შემდეგი ჰიპოთეტური სქემის შემოთავაზება მიგვაჩნია მიზანშეწონილად: დედუქციური მეთოდური თეზაა – შიდაწოდებრივი კატეგორიის სტრატეგიკაცია – დიდებული, ციხოსან-მონასტროსანი აზნაური, უციხო და უმონასტრო აზნაური; ჯერადი დამოკიდებულება ადეკვატურ სასისხლო თანხებს შორის (XIV ს.) – ქვემოდან ზემოთ – 1,7; 2 (12, 406).

ემპირიული მასალა – სასისხლო სიგელების მონაცემები – 80 000, 100 000, 120 000, 170 000, 200 000, 210 000, 220 000, 260 000, 350 000, 360 000, 400 000, 420 000, 500 000, 600 000, 800 000, 900 000.

ზოგადი მეთოდი - ევოლუციურობა (?)

პოლიტეკონომიური აქსიომა – თანხის ზრდა უდრის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდას; რეგიონალური სტაგნაციური ფეოდალიზმი უდრის ჯერადი დამოკიდებულების ტიპის პრეზერვაციას.

პირობითი სქემა სასისხლო ტარიფებისა ასეთია:

1. 80 000 - 136 000 - 272 000
2. 100 000 - 170 000 - 340 000
3. 120 000 - 204 000 - 408 000
4. 170 000 - 289 000 - 578 000
5. 200 000 - 340 000 - 680 000
6. 210 000 - 357 000 - 714 000
7. 220 000 - 374 000 - 748 000
8. 260 000 - 442 000 - 884 000

უციხო ციხოსანი დიდებული

თეორიული შესაძლებლობის ემპირიული მასალით კორექტირების ცდა

ასეთია:

	ჯერადი დამოკიდებულება	
1. 80 000 - 120 000 - 260 000	1,5;	2,2
2. 100 000 - 170 000 - 350 000	1,7;	2,1
3. 120 000 - 220 000 - 420 000	1,8;	1,9
4. 170 000 - 260 000 - 600 000	1,5;	2,3
5. 200 000 - 350 000 - 600 000	1,8;	1,7
6. 210 000 - 360 000 - 800 000	1,7;	2,2

7. 220 000 - 400 000 - 800 000	1,8;	2,0
8. 260 000 - 420 000 - 900 000	1,6;	2,1
(ან 500 000)		სტაბილურია

უციხო ციხოსანი დიდებული.

ციფრი 80 000 XIII-XVI სს. შეესაბამება ე.ი. ფასების მეტნაკლები სტაბილურობის პერცენტუა რაციონალურია. სვეტებში კი პერმანენტული მერყეობა საერთოდ არასტაბილურობის ინდიკატორია.

აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის ტემპებისა და ეკონომიკის განვითარების ზოგადი სქემის შესანინავი ილუსტრაციაა შემდეგი ისტორიული შტრიხების შეფარდებითი ანალიზი - ბეკა-ალბულასა და ვახტანგ VI იურიდიული აქტებით გათვალისწინებული სისხლის ფასის ზრდის გრაფიკის გაცნობიერება; კონკრეტული კუთხით საინტერესო მონაცემების რაოდენობრივი მატების ნელი ტემპები უდრის შემეცნებითი დიალექტიკის ერთ თვისებრივ საფეხურზე ყოფნას. მასალა ევოლუციურია მხოლოდ ლიმიტირებული ფიზიკურ-გეოგრაფიული სივრცის მიმართ.

შეფარდებითი კონიუნქტურა:

- 15 360 მინალთუნი	4-ჯერ
- 3 840 მინალთუნი	2-ჯერ
- 1 920 მინალთუნი	2-ჯერ
- 960 მინალთუნი	2-ჯერ
- 480 მინალთუნი	2-ჯერ

მინალთუნი = 20 შაური შაური = 1,8 გრ. - თეთრი.

ამის გათვალისწინებით ზემოთ მოტანილი სქემა მიიღებს ასეთ სახეს: ანგარიში წარმოებს თეთრით - 9 600 - 19 200 - 38 400 - 76 800 - 307 200.

XIV-XVIII სს. დიალექტიკური შეფარდებითი აპლიკაცია აღმოსავლეთისათვის უდრის ეკონომიკის ხუთჯერად ზრდას (I რანგის ქრონოლოგიური დიფერენტების მიხედვით - 7,8-ჯერ; II რანგის - 3,8-ჯერ; III რანგის - 3,2-ჯერ. აქედან საშუალო არითმეტიკული უდრის ≈ 5). 3. სრულიად გაუგებარია ნიკორწმინდის სიგელში განსახილველი კუთხით საინტერესო მონაცემები, თვალშისაცემია საწარმოო საშუალებების გაუმართლებლად დაბალი ფასი (დაწერილი ნიკოლას წმინდის წინამძღვრისა. 6,39-44). XIII ს. გაუფასურების შედეგი კი რკონის სიგელის კონიუნქტურაა?! (დაწერილი

კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი. 6, 147). ხოლო დასავლეთში უძრავის გათვალისწინებით დადებული სასისხლო გამოსაღები რამდენიმე ასეული ათასია?! სრული აბსურდია ე.ი. პირველი ემპირიული მასალა ნატყურია (?). 4. ვაჩნაძიანთა სიგელში თეთრის საანგარიშო ფუნქციის დენონსაცია უკვე საეჭვო კონიუნქტურაა. ბაგრატ VI, რომლის მეტროპოლისიც იმერეთია, უერულიმვილთა სისხლს საკუთარ სისტემას უქვემდებარებს. 5. ორშაურიანი მონეტა თითქოსდა დრამის ნომინალური რესტაურაციის საფუძველი უნდა გამხდარიყო, მაგრამ კონკრეტულ სისტემაში მთავარი აბაზია, ჯერ ერთი, და მეორეც, ტერმინის – დრამა – სემანტიკური დიფუზიის ობიექტი XVII ს. უკვე ნატურალური გამოსაღებია. სოფ. წილკანი ფიგურირებს „წილკნის ღმრთის მშობლის სამწყსოს სიგელში (1669 წ. - ასახავს უფრო ძველ ვითარებასაც). მისი მდგომარეობა სპეციფიურია. სოფელი ძირითადი საეკლესიო გადასახადისაგან (სახუცო და დრამა; ეს უკანასკნელი ტერმინი მეტად საინტერესოა. დრამა XVII ს. ნატურალურ გამოსაღებად ქცეულა; ფულადი ნომინალებიდან სიგელში მარჩილი (3 აბაზი) იხსენიება მხოლოდ) თავისუფალია. 6. ტიტულატურაშიც ბერძენთა მეფობა სიმპტომატურია. ეს ფაქტი სხვა ინდიკატორებთან ერთად, კერძოდ, სპეციფიური ონომასტიკონი - კონსტანტინე, ალექსანდრე, ზოგიერთი პირდაპირი მინიშნებაც ამ ასპექტით – ქართული ეთნოკულტურული სამყაროს *de jure* იმპერიულ ამბიციებზე მიგვანიშნებს. აქვე ფულადი მიმოქცევის რიგ ზოგად საკითხებსაც უნდა შევეხოთ.

ნებისმიერი ემისიის ქვეცნობიერი თუ უკვე გაცნობიერებული დეტერმინიზმი უდრის შემდეგ კომპლექსს - ა) საქონელი (სემანტიკური სუმირებული ტონაჟი + შეფარდებითი სახმარი ღირებულება) = ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით არსებულ სავალუტო მარაგს (მონომეტალიზმი ან ბიმეტალიზმი შემდეგი ცვლით Ar. → Ar., Av. → Av.). აქ კალკულაცია შესაძლებელია სოციალური სტრატეგიკაციის მეტად თუ ნაკლებად ზუსტი პერცეფციის და საერთო სოციალური აღრიცხვის პირობებში - დგინდება კურსი. ბ) მაგრამ ვალუტის ნაწილი ასევე საქონელია. როგორ განვსაზღვროთ ემისიის მასშტაბი?! *Terminus post quem*, ალბათ 1%, და ამ ასპექტით პროცენტული აკუმულაცია დამოკიდებულია წარმოების ზრდის ტემპებზე და მის გაცნობიერებაზე; ემისიის აბსტრაპირება პირობითია, ის არ ცვლის კურსს. გ) მეტი ლიმიტირება უაზრობაა. ამიტომ აქვე შედის სივრცობრივი ბრუნვის სისწრაფის ნიუანსებიც. თითქოსდა, რაც უფრო იზრ-

დება ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, მით უფრო ნაკლები ფულია საჭირო საქონელბრუნვისათვის, ტრანსპორტირების ტემპებიც ხომ რევოლუციურად მატულობს. მაგრამ არა. ეკონომიკის ზრდა სუბსტრატული და განსაკუთრებულია. დ) ემისიის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ დიფუზიაში პოლიცენტრიზმია. პლაცდარმი ადეკვატურია ერთი კონკრეტული სპეციალიზაციის ფიზიკურ-გეოგრაფიული შესაბამისობისა. ვალუტის ფაქტურის ასეთი ტრანსფორმაციის ტრადიციული ახსნის კონტროლერსაა წარმოდგენილი კომენტარი - ვტოვებთ რა ატრიბუციის გარეშე რიგ აქსიომურ მომენტებს, დავამატებთ, რომ ვერცხლის გარკვეული აპრობაციული დროითი უპირატესობა ოქროსთან მიმართებაში გამოწვეულია იმით, რომ ვალუტის და სახმარი ღირებულებების თუნდაც ტონაჟური ჯამის მცირე დივერგენციის და ერთ სულ მოსახლეზე არსებული ოქროს სინქრონული დაბალი ხარისხის აკუმულაციის პირობებში მოხდებოდა სრული დისტრიბუციული გაუგებრობა და ვალუტის სუბსტრატული კორექტორის დატვირთვის არარენტაბელური ფენომენის არაპერმანენტული ეგზისტენცია, ოქროს მაქსიმალური დამატება ცირკულაციისთვის კი მოსპობდა მის სასაქონლო ფუნქციას. ვალუტის თანამედროვე ტიპის უპირატესობა საწყის ფორმასთან მდგომარეობს მიმოქცევის გადატვირთვის პრევენციაში - სოციალურ-ეკონომიკური რენტაბელური ტიპის დარღვევის საშინროება აღარ არსებობს ერთ სულ მოსახლეზე მოსული ოქროს მოცულობის ზრდის გამო, ვალუტის კურსის ჩვეულებრივი დიალექტიკური მატება კი ნომინალის გაწვრილებით რეგულირდება. ბიმეტალიზმი ორ აბსოლუტურ საფეხურს შორის არსებული გარდამავალი ევოლუციური ეტაპია. ის თავისი ეკონომიკური სემანტიკით Ar. სავალუტო ფონდში საემისიო ნაწილის პროცენტული რაოდენობის ზრდის ობსტრუქციული კონიუნქტურაა.

კოლხური „ელინისტური“ ბიმეტალიზმი მაინცდამაინც სკრუპულოზური უზოგადესი დიალექტიკური პერცეფციის პირობებში ილუზიაა და მეტი არაფერი, გარკვეული ეკონომიკური ომაჟია აკუმულაციური ავტოხტონური ბაზრის მიმართ, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის სუპერსტრატულ სავალუტო ფუნქციებს, განსაკუთრებულ წილს საექსპორტო სახმარი ღირებულებებისა, რაც რეალურად ხმარდება არა ტიპურ ბარტერს, არამედ სამონეტო გაცვლას - შედეგი აკუმულაციური ფულადი ბაზარია, უფრო

არსებითი რეზულტატი კი - სოციალური პოლიტიკის მკაფიოდ გამოკვეთილი აგრარული დამხრობა, რაც რენტაბელობის გარანტიაა. რეალური ბიმეტალიზმი წმინდა კაპიტალისტური ან პროტოკაპიტალისტური ფენომენია. საინტერესო უნდა იყოს შემდეგი სქემა - I. ელინური ადრეანტიკური მონომეტალიზმი ≠ მცირეაზიური ბიმეტალიზმი, რაც ემსახურება პოლისური სამრეწველო პოტენციალის ფუნქციურ შეხამებას ჰინტერლანდის პროფილთან. II. კაპიტალიზირებული ზონის საყოველთაო „ადრეელინისტური“ ბიმეტალიზმი ≠ სირიული პროტოკაპიტალიზმი და ვერცხლის ემისიები. III. „ელინისტური“ სოციალისტური სტაგნაცია, ვერცხლის მონომეტალიზმის რეანიმაცია, იტალიური „აგრარული“ კაპიტალიზმის შვავსი ეკონომიკური კონდიცია და ადეკვატური მეტალის ექსპლოატაცია. IV. იტალია-დასავლეთის მეტროპოლისი, რომანიზაცია და ბიმეტალიზმი ≠ ელინური კაპიტალისტური ეკუმენის სოციალურ-ეკონომიკური რესტავრაცია და მძაფრი ინტეგრაციული პროცესები. V. იტალიური სტაგნაცია ≠ ბიზანტიური თვისებრივი დერევაცია და ბიმეტალიზმი. VI. სწრაფვა მონომეტალიზმისაკენ, ევოლუციის აბსოლუტური სასიათი და შემდგომი სტაგნაცია. VII. ბიმეტალიზმის პრეზერვაცია. VIII. ფეოდალიზაცია და ვერცხლის პრიმატი.

რაც შეეხება კოლხეთს, ლაზიკას, იბერიას - ამ კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსების მიმართ ბიმეტალიზმის აპრობაცია მაინც ევოლუციის ინდიკატორია. ინფლაციური პროტოფეოდალური ბიმეტალიზმი კი სპილენძის ფრაქციული სახმარი ღირებულების პერცეფციის არარსებობის შედეგია. ვერცხლის ეტაპობრივი დეგრადაცია სპილენძის ლიგატურის სასარგებლოდ აბსურდია განვითარების კონკრეტულ ეტაპზე.

ინფლაციური დეტერმინიზმის დროს გაიაზრება უკუსვლის ტემპები, რაც შეფარდებითად სწრაფია - მისი ადეკვატურია ლიგატურის მატების ხარისხი და საერთო საემისიო მოცულობის კორექტირება, ფაქტურული პერსპექტივების მოხაზვა: ა) კაპიტალისტური ინფლაცია ფულადი ბაზრის სამონეტო სტადიაზე უდრის სახელმწიფო კონტროლს ვალუტაზე, აქცენტს სპილენძის სასაქონლო ღირებულების რაციონზე აუცილებელ სემანტიკებთან, სამონეტო რეგალიის არანორმალურად ინტენსიურ რეალიზაციას, ბოლო სტადიაზე ნაწილობრივ ნატურალიზაციას, დოტაციურ სისტემასა და სახელმწიფო სოციალიზმს. ბ) ფეოდალური სოციალური სტაგნაცია ან სა-

ქონლის არარენტაბელური გაზიდვა საბაჟო რეგალიისგან ლოკალური სოციალური კონტრაქტის უფლებრივი კომპლექსის აბსტრაქტიზების გამო შესაბამება სახელმწიფო კონტროლს ვალუტაზე, ფულის გაფუჭებას ბიშტალისტური სავალუტო პერცეფციის ნიშნით, ემისიის მოცულობის ნომინალურ და ფაქტობრივ მინიმალიზაციას. დემონეტარიზაცია და ინფლაცია შეფარდებითი ნომინალური მატებაა საკრედიტო ურთიერთობების აბსოლუტური დეგენერაციისკენ სწრაფი ტენდენციით. აქვე დავძენთ, რომ საკრედიტო ფულის გენეზისი წმინდა კაპიტალისტური ფენომენია, განსაკუთრებული სიმბოლიკით მანიპულაცია საამორტიზაციო ფონდის ლიკვიდაციის და სავალუტო აკუმულაციის განსაკუთრებული პრეზერვაციის მიზნით შესაბამება კაპიტალიზმის II ციკლს. ფეოდალური საკრედიტო ფული, დეტალურად ზემოთ შევეხეთ აღნიშნულ საკითხს, უფრო საგარეო-ეკონომიკური აუცილებლობის სუპერსტრატია. და კიდევ - საკრედიტო ინფლაციური კურსი ემყარება აბსტრაქტულ 1, რაც პითაგორაიზმის რეალიზაციის ფაქტობრივად უნიკალური შემთხვევაა.

დასკვნა

ნორდისკული პერმანენტული რეპოლუსცია.

ნორდლოეთი დასაქმრეთი – პერსპექტიული

დიალექტიკური ანტაგონისტური კონფლიქტურა.

სააქციონეროსაზოგადოება – მარკის

თვისებრივი ციკლური რეანიმაცია

ეს კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივებია. უფრო კონკრეტული შეჯამება კი ასეთია:

ბიზანტიის იმპერია და მართლმადიდებლური აღმოსავლეთი (კავკასია) – დიალექტიკური შტრიხებია. ამ ორი კატეგორიის ერთ სიბრტყეზე განხილვა თავისთავად სიახლეა. კავკასიის მაკრორეგიონალური იმპერიული აღქმა ფაქტია და ის სკრუპულოზურ შესწავლას საჭიროებს.

კავკასია უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო ხიდია აღმოსავლური ვაჭრობის მონოპოლიზაციისაკენ. ტრანსკავკასიური, ინდოეთისკენ მიმავალი ანტიკური გზის რეანიმაციის ბიზანტიური ცდის შესწავლა მეტად საინტერესო პრობლემაა. რომეულ-კავკასიურ-თურანულ ანტიირანულ ალიანსებს სწორედ სანელებლებზე დასავლური ბაზრის დიდი მოთხოვნილება განაპირობებდა. გარდა ერთიანი ეკონომიკური ფუნქციის არსებობისა, განსახილველი კუთხით კავკასია დიფერენცირდება ცალკეულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებად. დასავლურქართული (ლაზიკა) ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის ფიზიკურ-გეოგრაფიული საფუძვლის გარკვეულწილად იდენტურობა იმპერიის მეტროპოლისის ბუნებრივ გარემოსთან, ანუ

ისეთი კონდიცია, რაც ურწყავი სოფლის მეურნეობის საფუძველია, განაპირობებდა მათ სპეციფიურ ეკონომიკურ მიმართებას და ბიზანტიის პოსტანტიკურ ინერციას, გადაეცა სახელგანთქმული კოლხეთის მემკვიდრისათვის საკუთარი აგრარული და მომპოვებლური ფუნქციების ნაწილი. XI ს. საიმპერატორო ოქრო ავსებს საქართველოს ბაზარს; ფული საქონლად არის ქცეული, და ასეთი კატეგორიის სამრეწველო ექსპორტით ცდილობს ბიზანტია სოციალურ-ეკონომიკური ტიპის მძაფრი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას. იმპერიის ეკონომიკური ინტერესები წყალგამყოფი ქედის გადაღმაც განიცდის დიფუზიას. ტრანსკავკასიური ჰიდრომაგისტრალის რესტავრაციის კუთხით განცდილი კრახი თურქესტან-ჩრდილო კავკასია-პონტოს მარშრუტის აპრობაციის სტიმულს ქმნის. სიმმახია, ოკუპაცია და ანექსია ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციის მეთოდებია. ამ ასპექტით ზუსტი ტიპოლოგიური დეტერმინიზმი საოცრად აქტუალურია. ის შეიძლება იქცეს დედუქციურ თეზადაც ზოგადად, იმპერიის და მისი რადიაციის არეალის მიმართებათა ასპექტით. სპეციფიური სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის მქონე განვითარებული მეტროპოლისის მიმართება ფეოდალურ სამყაროსთან ლოკალური კომპლექსების მიერ უამრავი ცნობიერი კატეგორიის რეცეპციის საფუძველია - გრეცინგები კონკრეტული პროცესის რეალური ასახვაა. ეკონომიკური პოლიცენტრული სტრუქტურა - ბიზანტია და კავკასია - ფუნქციური თვალსაზრისით მკაფიოდ განსაზღვრული დიფერენცირებული სისტემაა; ბიზანტია ნოვატორია, კავკასია - დამხმარე და რეცეპტორი. ადეკვატური ყველა კატეგორიის მასალის კონკრეტული კუთხით განხილვა მონოგრაფიული სიახლეა. უკვე ემპირიულ დონეზევე იოლად ფიქსირდება გარკვეული ეკონომიკური მემკვიდრეობითი შტრიხები: სინოპე, ამისო და კოლხეთი, პონტო და კოლხეთი, ბიზანტია (ბალკანეთი და მცირე აზია) და ლაზიკა, ბიზანტია და საქართველო, ტრაპეზუნტი და საქართველო.

სტრატეგიული დისპოზიციის ასპექტით ბიზანტია რომაული პოლიტიკის ტიპური მემკვიდრეა. მაგალითად, არმენიის მიმართ კონსტანტინოპოლის დამოკიდებულება რომის აღმოსავლური პოლიტიკის რემინისცენციაა - სომხეთი სარწყავი აღმოსავლეთის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული პლაცდარმია. აქ ბერძნებმა კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს. კავკასიური გადასასვლელები და ნომადების პრობლემა რომაულ-ბიზან-

ტიური პოლიტიკური აქტუალური შტრიხია. პონტოს საკუთარ ზღვად პერცეფციის იდეაც ელინისტურ-რომაულია. აღნიშნული მომენტების მთელი ქრონოლოგიური სისრულით შესწავლა ახლებური სინთეზია. კავკასია ბიზანტიური სტრატეგიული საზღვარია.

ქართული ქრისტიანობა ანტიმითრასტული პოლიტიკური სემანტიკის მატარებელი იდეაა, დიოფიზიტობის პერმანენტული ქართული რეალიზაცია კონკრეტული კომპლექსის იმპერიასთან სპეციფიური მიმართების საფუძველია. ხოლო 1. საქართველოს მეფეების ბიზანტიური ტიტულატურის ევოლუცია კესაროსის რანგამდე, 2. დავით IV წმინდა საიმპერატორო ატრიბუტიკის რეალობა, 3. ქართველთა პროტექტორატი მეტროპოლისის ნაწილზე (ტრაპეზუნტი), 4. „ბერმენთა მეფობის“ ლოკალური de jure რეცეპცია, 5. სამონეტო უნიფიკაციის ცდა (?) (ტრაპეზუნტული ასპრების ლოკალური იმიტაციების გენეზისის ფაქტი) და სხვ. იმპერიის de jure დუალიზაციაზე მეტყველებს.

ხაზი უნდა გაესვას რა ბიზანტიური პოლიტიკური ქმედების ლათინურ საფუძველზე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას იგნორირებული არც ოტომანური რემინისცენცია – თურქთა ბალკანურ-მცირეაზიური სახელმწიფო რომეების სამეფოს პირდაპირი მემკვიდრეა, და არც მართლმადიდებლური de jure იმპერიის ცენტრის მოსკოვში ტრანსფორმაციის ფაქტი. ესეც, გარკვეულწილად, სიახლეა.

დაბოლოს, მეთოდის არსი საკითხის კომპლექსურ კვლევაში მდგომარეობს ყველა წყაროთმცოდნეობითი კატეგორიის გამოყენებით.

ბიზანტიის ისტორიის კარდინალური საკითხების კვლევა გლობალური პრობლემაა. ამასთან ფაქტია, რომ მეტი ყურადღება ეთმობა საკუთრივ მეტროპოლისს, ვიდრე სპეციფიურ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ გარემოცვას – ბიზანტიურ სამყაროს. ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის იდეის რეალიზაციაა რომის საღვთო იმპერიის ანსებობის ფაქტი. შეფარდებითად აღმოსავლური სამყაროს უნიფიკაციის ტენდენციები ბევრად უფრო სუსტი იყო, მაგრამ მაინც საოცრად ნიშანდობლივი. მართლმადიდებლური იმპერიის თეზის სუსტი არსის ფიქსაცია და დეტალური ანალიზი აქტუალური თემაა.

კავკასია იმპერიული დიფუზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტთაგანია. საქართველო კი სირიულ-სომხური პროზიური კონფესიონალური

კონდიციის გარკვეული ბარიერია, და ამასთან, დიოფიზიტური მრწამსის პროზელიტური პლაცდარმი – სომხეთის, ალბანეთისა და ჩრდ. კავკასიის მიმართ. ალბანეთის ისლამიზაცია, თურქულ-ისლამური გაერთიანებების გენეზისის ფაქტი არმენიის ტერიტორიაზე კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის მართლმადიდებლურ დატვირთვას – კონკრეტულ მაკრორეგიონში მას გარკვეული თვალსაზრისით პროტექტორის ფუნქცია ეკისრება. იმპერიული დუალიზმის იდეით განმსჭვალული საქართველო XII-XIII სს. პოლიტიკური ასპექტით აკონტროლებს კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს - ეს უდრის მართლმადიდებლური იმპერიული ექსპერიმენტისადმი მთელი ამ მხარის დაქვემდებარებას. შემდგომ ქართული იმპერია იმლება და მართლმადიდებლური აქტიური ქმედების ეპიცენტრიც ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლებს. საკითხის ასეთი ფორმულირება სიახლეა და ის ინტეგრაციის საშუალო ზონას გამოყოფს: 1. დასავლეთ და სამხრეთ ევროპა - რომის იმპერია. 2. „საბერძნეთი“. 3. ისლამური კონფედერაცია.

უზოგადეს შტრიხებში შესაძლოა აღინიშნოს, რომ:

1. კავკასიის შემადგენელი ცალკეული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონები უნივერსალური ფუნქციური განაწილების ასპექტით განსხვავებულ გარკვეულ როლს თამაშობს ბიზანტიურ ეკონომიკურ სისტემაში, ე.ი. ლოკალური ნედლეულისა და სურსათის ექსპორტი იმპერიის ცენტრის სამრეწველო პროფილის პრეზერვაციის ბაზისია. კავკასია ერთ სამეურნეო ტიპს – აგრარული დამხმარე კომპლექსის კატეგორიას განეკუთვნება.

2. ტრანსკავკასიური ტრანზიტის პერსპექტივები კავკასიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობის პერცეფციის ბაზისია. ყოველივე ელინისტურ-რომაული საგარეო-პოლიტიკური ხედვისა და ეკონომიკური აუცილებლობის რემინისცენციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

3. კავკასია ბიზანტიური საზღვარია, ბარიერი აზიური სარწყავი ზონის პერიოდული აგრესიის ან ჩრდილო კავკასიელი ნომადების წინააღმდეგ.

4. კავკასია ბიზანტიური სემანტიკური სიახლეების რეცეპტორია. ბერძნულ-ბიზანტიური იდეების ლოკალური ადაპტაცია „ელინისტური“ კოსმოპოლიტიზმის გარკვეული გაგრძელებაა. ეს ერთი პროცესია.

5. რომეების იმპერიის სტაგნაცია და აგრარიაზაცია ასუსტებს მის კომერციულ ინიციატივას. ბერძნული ფინანსური აქტიურობა პონტო-ბოსფორ-კავკასიაში იტალიური სავაჭრო ელემენტის ფართომასშტაბიანი შეღ-

წევით იცვლება. ქრისტიანულ-უნიატური კონტროლი, კაპიტულაციების რეჟიმის რუტების ინტენსიური ფუნქციონირების საფუძველი იყო. შედეგი კი – ევროპული ახლადფეხადგმული კაპიტალიზმის კავკასიური რეალიზაცია, ახალი იდეები. ოსმალური პროტექტორატი და შავი ზღვის გათავისება ზღუდავს ვენეციისა და გენუის პონტოურ პერსპექტივებს. საშუალო ბლოკი თურანულ-ისლამურ სტილს ექვემდებარება. ქართული ეთნოკულტურის უმეტესი ნაწილი მის გარეთ რჩება. მართლმადიდებლური მეტროპოლისის სტატუსი კი ადეკვატური ეკონომიკურ-გეოგრაფიული კომპლექსის ძიებას იწყებს. ბოლოს ის მოსკოვზე შეჩერდება.

6. კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური ევოლუცია, რა თქმა უნდა, ლოკალური მომენტია, მაგრამ დასავლეთთან (ანტიკური სამყარო, ბიზანტია) ეკონომიკური კონტაქტები დამატებითი სტიმული იყო, მზა მოდელების შემომთავაზებელი. განსახილველი მაკრორეგიონალური სისტემისათვის კი შესასწავლი ხანა მეტად მნიშვნელოვანია ფეოდალიზაციის, დამწერლობათა ფორმირების, ქრისტიანული თემატიკის ლოკალური რეცეპციისა და სხვა თვალსაზრისით.

შენიშვნები

1. აქ არ შევიტანეთ ე.წ. სავლაკის მონეტა; მხარს ვუჭერთ თეზას მისი ბოსფორული წარმომავლობის შესახებ და სწორედ ამიტომ კონკრეტული პრეზენტაცია არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად (117, 102; 105).

2. თრინაკის ეს მსჯელობა არ არის სწორი. „საიმპერატორო“ ტიპოლოგიის დარღვევას ხშირად ჰქონდა ადგილი. მხედველობაში მაქვს III ჯგუფის მონეტები - ტიპი: პოლემონი/ტრიფაინა. ეს მომენტი WBR-ში აღნიშნულია, თუმცა შესაბამისი დასკვნები გამოტანილი არ არის. ამაზე ქვემოთ. 1902 წელს კი რეინაკი ეკამათება ამავე არგუმენტით იმპოფ-ბლიუმერს, რომელიც ხსენებული ტიპის ძეგლებზე, თარიღით IB /12/ და IE /15/, ხედავდა არა აგრიპინას, როგორც ამას რეინაკი აკეთებდა, არამედ ტრიფაინას.

3. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია ბ. არაქელიანის სქემატური ცნობა არტაშატში პონტოური მონეტების აღმოჩენის შესახებ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის მითითებული აკადემიური ატრიბუციისათვის აუცილებელ არც ერთ ელემენტზე (94, 52).

4. მონეტა განსაზღვრა ისტ. მეცნ. დოქტ. ი.ჯალალანიაშ.

5. სულ 12 განძი. ეს მონაცემები ქრონოლოგიურად შემდეგნაირად დიფერენცირდება: ძვ. წ. VI-IV სს. - 1, ძვ.წ. IV-I სს. - 4 და I-III სს. - 7. არის კიდევ ერთი საინტერესო კომპლექსი, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, საერთო სიაში ვერ მოხვდა - 1990 წ. სულორი. კოლხური ჰემიდრაქმების განძი. აქვე იყო სამი უცხოური მონეტაც - ორი ლიდური Ar. და აქემენური სიკლი. ამასთან დაკავშირებით იხ. კოლხეთის ეკონომიკური მიმართებაანი ალექსანდრემდე ნუმისმატიკური მასალების მიხედვით, NN 7, 20,

6. არის ცნობა იმის შესახებ, რომ გორის მიდამოებში დაფიქსირებულია ძვ.წ. III-II სს. პართული დრაქმების განძი (117, 136, N 6).

7. ქვემოთ ვნახავთ, რომ გვაქვს საფუძველი კონკრეტული სოციალურ-ეკო-

ნომიკური წესის რეალობის პრეზუმფციისა ლაზიკაში უკვე I ს. II ნახ.

8. 1977 წ. წითელწყაროს მიდამოებში აღმოჩნდა სასანური მონეტების (არ.). დიდი განძი (1278 ც. – ხოსრო I, პორმიზდ IV, ხოსრო II) უმნიშვნელო ბიზანტიური მინარევით (არ. 10 ც. პერაკლუს ჰანა) (იხ. 113; 114). ეს ფაქტი სიაში, რა თქმა უნდა, არ არის გათვალისწინებული.

9. ფეოდალური ხანის ლოკალური სამონეტო საქმისა და სამონეტო მიმოქცევის ემპირიული შტრიხები წარმოდგენილია რიგ შესანიშნავ პუბლიკაციაში, რასაც ჩვენ ვეყრდნობით:

ა) ლაზიკა, იბერია და ბიზანტია IV-VII სს. – 112; 115; 159; 54; 45; 46.

ბ) ქართული ეთნოკულტურა VIII-X სს. (სამონეტო საქმე და ფულადი ბაზარი) – 54; 133.

გ) ქართულ-ბიზანტიური მონეტები – 54; 112; 29.

დ) ქართული ნუმისმატიკის „სპილენძის“ ხანა – 54; 115.

ე) XIII-XV სს. დასავლურქართული მონეტები – 28; 33; 41.

10. ქართლის სამეფოს მეფეთა რიგის დადგენის პრობლემა სპეციფიური და აქტუალურია, მიუხედავად ქართული ისტორიოგრაფიის პერმანენტული ინტერესისა ამ ასპექტით. კონკრეტული საკითხის პურიტანული ეგზისტენცია გამოირიცხულია, პოლემიკის დიალექტიკური თემატიკა – ა) ქართლის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ბ) აღნიშნული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პაბიტუსი. გ) მქ ქრონოლოგიური შტრიხების კრიტიკული ანალიზი, და აქედან გამომდინარე, ძალაუბრებურად, სუბიექტური სინთეზის აუცილებლობის რეალიზაცია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღთან მიმართებაში. დ) თვით მქ ისტორიული ქრონიკის დათარიღება, მისი მიმართების ლოგიკური გაზარება ქც. ე) პროტოფეოდალური აბსოლუტიზმის შეზღუდული ტიპის ფიქსაცია და ანალიზი, აბსოლუტური გენეტიური ასპექტით სტაბილური ტირანიის დეტერმინიზმი, ტირანიის არსის გაზარება, ფეოდალური და კაპიტალისტური ტირანიები, პოლიტიკური მმართველობის ტიპის ზედნაშენური დიალექტიკური აპლიკაცია სოციალურ-ეკონომიკურ ბაზისთან – პირველი რგოლის მიმართ ემპირიზმი, როგორც საფუძველი არსებითი კატეგორიის თეზისათვის. ძირითადი პრინციპების (63; 25; 26) ჭეშმარიტებად პერცეფცია ვეაძლევეს საფუძველს რიგი შტრიხის დაკონკრეტებისა და განვითარების, აგრეთვე სინთეზური კატეგორიის ოპერაციისათვის. შესაძლებლად მივიჩნიეთ სუბიექტური თეზების სტრუქტურული კომპლექსის სქემატური ილუსტრაცია. პრიმიტიული ფორ-

მალური პრეზენტაცია უკეთესი პერცეფციის ბაზისია.

1. პოლიტიკური ტიპის ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგიური კომპლექსი – ამიერ და იმიერ – ერთი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ფარგლებში ორი აქტიური სოციალური კონტრაქტის ქმედების მადასტურებელია. ამავე დროს, დიდი მცხეთის ფუნქციური დეცენტრალიზაციის ცდა ორ ეკონომიკურ ერთეულად არის ობიექტური რეალების არასწორი ასახვა, ხოლო აკროპოლისისადმი სწრაფვა კი სიმპტომატურია (შეად. Xenoph. Anab. V, 4,15/. მტკვრის სამხრეთით მდებარე სოციალური კონტრაქტი ზოგიერთი რეგალიური გარანტიებით გუგარქის საპიტიანხშოა. სრული რეგალიური კომპლექსის მატარებელი სამხრეთული სოციალური კონტრაქტის ფუნქციონირება კი IV ს. II ნახ. ეპიზოდური კონიუნქტურაა. ამაზასპის ობსტრუქციული სოციალური ელემენტის ეგზისტენციის ფაქტი და არა ტერიტორიული დიფუზიის ტიპი (ქც, I გვ. 57) გასათვალისწინებელია პოლიტიკური პროტოტიპის ასპექტით. ყოველივე ზემოაღნიშნული ბაზისური შტრიხის სინთეზური ვარიანტი გახდა საფუძველი ქც დუალისტური პოლიტიკური კონიუნქტურისა. კაჭირი – ამიერ და იმიერ – ალბათ, კარგავს პრაქტიკულ დეტერმინისტულ სემანტიკას IV ს. შემდგომ. აქვე ყურადღებას გავამახვილებთ რიგ სიმპტომატურ მომენტებზე: როკმა „მცხეთა გაიმორა“ (მქ, გვ. 321), ის აკროპოლისისაკენ მიისწრაფის, სიაში კი არმაზელი მეფენი პირველ რიგში იხსენიებიან (მქ, გვ. 321), ყოველივე მათი რეგალიური პრიმატის რემინისცენციაა. რეგალიური პრეროგატივის არაოლიგარქიული დისტრიბუცია (მაგალითად, ორმეფობა, ტეტრარქია) არის პოლიტიკური მეთოდი ა) სოციალური კონტრაქტის გენეზისისათვის (მაგალითად, ფერდინანდის და იზაბელას ინდივიდუალური სოციალური ალიანსი). ბ) გარდამავალი საფეხური იმპერიის პირობებში ცენტრიდანული ლოკალური სოციალური კონტრაქტების ფორმირებისკენ (ტეტრარქია). იგივე უნდა განხორციელდეს ანალოგიური პროცესებით განმსჭვალულ კონკრეტულ ფეოდალურ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში (ქართლის საერისმთავროს ფსევდოოლიგარქიული დეცენტრალიზმი), რაც კაპიტალისტური კონკრეტული მეტროპოლისის დიქტატორული საკანონმდებლო ინიციატივისათვის მიუღებელია. გ) წმინდა გენეტიური და კონსტიტუციური პერსპექტივების რეალიზაციისათვის (თამარი და დავითი, მონეტა ასომთავრული დაქარავმებული ლეგენდით - ԳԽ/ՇԳ ამ უკანასკნელის შეზღუდული საკანონმდებლო რეგალიის ინდიკატორია. 54, N 69). ე.ი. ფეოდალური ცნობიერების სტადიაზე ორმეფობა ადეკვატურია ან ცენტრისკენული, ან კი ცენტრიდანული ქმედების. პროტოფეოდალიზმი კი

თავისი უვიწროესი ინტეგრაციული სოციალური კონტრაქტით ძირითადად გამოირჩევა დეცენტრალიზაციისაკენ ტენდენციას, ყოველივე შეიძლება გარედან იყოს მხოლოდ და მხოლოდ ინსპირირებული. მაშასადამე, განსახილველი შემეცნებითი კონდიციის ეტაპზე ორმეფობა შესაძლებელია განიმარტოს როგორც კორპორაციული ზავი: კონფონტაციული ორმეფობა ფეოდალურ სტადიაზე ეს არის ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. შიდაპოლიტიკური კონფლიქტის თეზა ფეოდალიზმის დროს ქიქერაა, ყოველივე კაპიტალიზმის ფენომენია, რენტაბელური სოციალური კონტრაქტისათვის გარანტირებული სოციალური ფაქტორის პირობებში. კონკრეტულ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს შიდაკორპორაციულ ქიშთან – სასახლის გადატრიალებებთან სეფეწულების მონაწილეობით, რაც გამოწვეული იყო სამეფო დომენის ფლობის კონსტიტუციურად დაუხვეწავი კოლექტიური წესით.

2. უფრო კონკრეტული მიდგომა დასახელებული თემის ქრონოლოგიურ ნიუანსებთან უნდა დავიწყოთ ემპირიული შენიშვნით - მქ თარიღების აპოკრიფული ხასიათის მტკიცების აბსოლუტიზაცია მაინცდამაინც არ უნდა იყოს მართებული, მით უმეტეს, რომ კონკრეტული კუთხით საინტერესო ქართული და ბერძნული ინფორმაციების ინტერიერული რადიკალური კონფონტაცია ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების თარიღის დადგენასთან დაკავშირებული სინთეზური ოპერაციის განხორციელების საშუალებას არ გვაძლევს. კონსტანტინეს თემა და „ჰინდოთა“ ქრონოლოგიური დიფერენტი შეუთავსებელია. და თუ საკუთრივ მქ ქრონოლოგიურ შტრიხებს ჭავჭავაძისწინებთ დამატებით მასალად, მაშინ კონსტანტინე-კონსტანციუსის ონომასტიკური პრობლემიდან მეორე მათგანის ავთენტიკური პერცეფცია უფრო რაციონალურია. თუმცა ყოველივე დამატებით ლოგიკურ მსჯელობას საჭიროებს. ხაზგასმული ქრონოლოგიური გაუგებრობა პარადოქსულია, და ამავე დროს მეტად სიმპტომატური თანადროული ბიზანტიური მწერლობისათვის. ყველაფერი ეს იდეოლოგიური ფალსიფიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. არიანელი კონსტანციუსის პროზელიტური ინიციატივის დამცრობა, და ამავე დროს ზოგადი ქრონოლოგიური პერსპექტივის თითქოსდა შენარჩუნება – ეს არის ბიზანტიური ინფორმაციის ატრიბუტი. ქართლის ისტორიული და კონფესიონალური აზროვნება აღნიშნული თეზის რეკვაპტორია, ხოლო იდეის არაორიგინალური ტიპის გამოვლინებაა მისი მექანიკური ლიგატურა, ალბათ, ძირითადად რეალურ ქრონოლოგიასთან (საკითხის გარშემო პოლემიკისათვის იხ. მაგალითად 58, 45-82). ნინოს ჰაბიტუსის შექმნაში რიფსიმიანელთა თემატიკის მო-

ნაწილობა უკვე სხვა კატეგორიის გავლენაა. კონკრეტული მექანიზმი ასეთი სახით გვესახება – აგათანგელოსის რეცენზიები → ფს. მოვსეს ხორენაცი → ქართული მონოფიზიტური კონფესიონალური სოციალური ელემენტის ცნობიერება (VII ს.ათიანი წლები!). ამ შტრიხის შემდგომი კონსერვაცია განპირობებული იყო ავტოხტონური ისტორიული აზროვნების სპეციფიური ტიპის გამო ინფორმაციული დეფიციტით და კონკრეტული ინფორმაციის არაკონფორმტაციული ხასიათით.

3. და თუ ყველაფერი ასეა, მაშინ არავითარი საფუძველი არ არსებობს მქ კონკრეტული ქრონოლოგიური სისტემის იგნორირებისათვის (შეად.: 63, 55-56). ე.ი. ძვ.წ. 136 წ. მეტად თუ ნაკლებად რეალური ქრონოლოგიური შტრიხია. თუკი ჩვენ შევძლებთ ცვლილების რაციონალურობის მტკიცებას, მაშინ რაციონალურია თვით მისი ბაზისი და ბევრი სხვა მონაცემიც იმავე ასპექტით. საუკუნე პირდაპირი გენეტიური ხაზის შემთხვევაში იძლევა მაქსიმუმ ექვსი ბასილევსის წმინდა თეორიულ შესაძლებლობას, მინიმუმ კი – ორის. რეალობა სადღაც შუაშია. ფაქტობრივი მასალა გვაძლევს შემდეგი სქემის კონსტრუქციის შესაძლებლობას:

	II ფარნავაზული დინასტია (არშაკიდული თუ მიპრანიდული?)	III ფარნავაზული დინასტია (არტაშესიდური?)	IV ფარნავაზული დინასტია (კოლხური)
ძვ.წ. II ს.	1. მირვან		ქართამ*
	2. ფარნავაზ	არსოკ	
	3. მირეან	არიკ	
	4. არსუკ	ბრატმან	
	5.		
	6.		როკ
	7.		ქარძამ და ბრატმან

იქნებ ასეთი სიმპტიკროვის პირობებში 30-იან წლებზე ყურადღების შეჩერება უფრო რაციონალურია?! და კიდევ ერთი - Memn., XV, 30,4. მიხედვით ორმეფობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ჩვენსკენ მაქსიმალური გადმოწევით ძვ.წ. 89 წ. რალაც ნახევარსაუკუნოვანმა პერიოდმა უნდა დაიტიოს 5 თუ 6 წყვილი მეფე უწ-

* ქართამის და ბრატმანის ასაკობრივ შეუსატყვისობას კოროპორაციაში შესვლისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.


ყვეტი გენეტიური ბაზისით! აბსურდია. ისღა დაგვრჩენია, გამოვრიცხოთ პოლიტიკური მაიორატი და სამეფო ოჯახის პრიმატის კონსტიტუციური ნორმა; საკანონმდებლო რეგალია მოძრაობს არა თაობიდან თაობაზე, არამედ ერთი თაობის ფარგლებში. ყოველივე გარკვეულწილად სტრაბონისეული პოლიტიკური მეთოდის რეანიმაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. კონკრეტული პოლიტიკური კონიუნქტურის კარდინალური მიზეზი ზემოთ უკვე აღინიშნა. მაგრამ კონსტიტუციური ცირკულაციის არსი ცალკე მსჯელობის საგანია. ნიშანდობლივია რეგალიის ინტერიერული კლანური დიფუზიის დუალისტური ხასიათი. ყოველივე ეს შიდაკორპორაციული ზავის გარანტიაა. დაბოლოს, ერთი ემპირიული ნიუანსი ამ ასპექტით. მქ სია მირიანამდე 26 მეფეს ასახელებს. სხვა პასაჟი კი მის რიგით ნომრად 36 სვამს (მქ, გვ., 353). ცხრა უეჭველი ბასილეუსი – არტოკე, ფარნავაზი, მითრიდატე, ფარსმანე, მითრიდატე, ხარვეზი (ფარსმანე?), მითრიდატე, ფარსმანე, ხსეფარნუგი - საკითხის სრული რეალიზაციის შთაბეჭდილებას გვიქმნის.

საკითხის დიალექტიკური დერივატებია: ა) ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების თარიღი. ბ) ბაზილიკური ტიპის გენეზისის საკითხი. გ) მქ და ქც რიგი პრობლემები. დ) ქართლის პოლიტიკური ისტორიის შტრიხების დაზუსტება. ე) სოციალური კონტრაქტის ტიპი – სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის დიფერენტი.

ვიდრე შევეხებოდეთ აღნიშნულ საკითხებს, კიდევ ერთი ჰიპოთეზის კონსტრუქციის შესამდებლობა არსებობს. თაობათა ცვლის კანონზომიერების პერცეფცია რეგალიური კომპეტენციის დროში მოძრაობის ბაზისად ჩვენ უარვყავით. ქც გენეტიური პოლიტიკური კონიუნქტურა ფალსიფიკაციაა და მისი სუბსტრატია პერმანენტული ორმეფობის შესახებ ინფორმაციის არსებითი საფუძვლის გაცნობიერების შეუძლებლობა. ერთი კონკრეტული თაობისადმი რაციონალური ინტერესის კონტროლერსა წყვილების რაოდენობასთან და რომელიმე ტანდემის ფუნქციონირების ერთბაშად გაწყვეტის ფაქტთან უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებით – კონსტიტუციური რეგალიური დიფუზიის პრინციპი დროითი ასპექტით ლიმიტირებულა. სოციალური კონტრაქტის ინტერიერული სტრუქტურული ერთეულის – სეფეწულთა კორპორაციის – სოციალური დისტრიბუციის პრინციპის კოლექტიურობა დიოკლეტთანეს გლობალური სახელმწიფო სოციალიზმის მსგავსი პოლიტიკური გამოვლინებებით ხასიათდება (ე.ი. ძალაუფლების იურიდიული არა-გენეტიური ტრანსფორმაცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდგომ უკიდურესი ნიჰილიზმი მქ ქრონოლოგიური ტიპის ინფორმაციის მიმართ არ მიგვაჩნია მზანაშეწონილად და, ალბათ,

რევოზიას საჭიროებს იბერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების მიღებული თარიღიც. ქრისტიანობა რთული წმინდა შემეცნებითი და პასიური სოციალისტური კონცეფციების სინთეზია. იმპერიული სოციალური კონტრაქტის მიერ მისი გათავისება, ნაწილობრივ, ქვეცნობიერი აქტია. ყოველივე ამის შინაგანი სოციალური კონფორტაციის შესაძლებელი იდეოლოგიის ალოგიკური დიფუზია ანტაგონისტურ დიალექტიკურ სოციალურ სტრუქტურაზე და თეორიის კლასობრივი შინაარსის ფაქტობრივი დენონსაცია. რელიგიური პარტიული სოციალური კონტრაქტი მოიშალა სტრუქტურული ფუნქციის სოციალური სუბსტრატის მკაცრი არაკონსტიტუციური სოციალური დეტერმინიზმის გაქრობასთან ერთად. პარალელურად მიმდინარეობს სოციალური კონტრაქტის სტრუქტურული მოწესრიგება. კომპლექსური მიდგომა აქტუალური პრობლემისადმი სპობს სოციალისტური გადატრიალების პერსპექტივას, ხოლო აღნშნული მოსალოდნელი პროცესის წარმართველი ძალის ფუნქციის შესაძლებელი რეალიზაცია ჯარის მიერ არ იყო ფიქცია. ე.ი. ქრისტიანობის პირველადი პოლიტიკურ-კონფესიონალური სოციალური პლაცდარში უდრის კაპიტალისტური შემეცნებითი კომპლექსის სოციალური ბაზისის ნაწილს. დიფუზია შიდაკლასობრივი ასპექტით ჰორიზონტალურია, შემდეგი საფეხური უკვე საწარმოო კომპლექსის მწარმოებლური სფეროდან ორგანიზაციულსკენ მიმართული ვერტიკალური მოძრაობაა. იუდეური სოციალიზმი, განპირობებული აქაური პროტოკაპიტალისტური საზოგადოების კრიზისით, მარცხდება ანტირომაულ ნაციონალ-სოციალიზმთან ბრძოლაში, სამაგიეროდ, იდეებმა ფეხი მოიკიდა წმინდა კაპიტალისტური მეტროპოლისების ნაყოფიერ სოციალურ ნიადაგზე. სუბსტანციური კატეგორიისა და პროვიდენციული კატეგორიის ტიპის მიხედვით, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით დეტერმინირებული თეზების – იდეალიზმი, მატერიალიზმი, რელიგიური ასპექტით მკაცრი პურიტანული იდეალიზმი ან სინთეზური ვარიანტი მატერიალიზაციის ელემენტებით – შეფარდებითი დროითი დისტრიბუცია ასეთნაირად გვესახება:



ერთი მხრივ, ელინობის ტრანსფორმაცია ქრისტიანობაში თვისებრივი პროგრესია, მეორე მხრივ კი, პლატონიზმის დეგრადაცია კაპიტალიზმის I ციკლის სოციალურ-ეკონომიკური არასრულყოფილების გარკვეული ინდიკატორია. არაციკლური იმპულსების მატარებელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ბაზისის შემცველი კონკრეტული კვლევის ობიექტის მიერ მონოთეიზმის რეცეპცია უკვე სპეციფიურია, ფეოდალურია (ფორმაციული ქრონოლოგიური შტრიხების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). და ყოველივე არის სოციალური კონტრაქტის პრევენცია თვისებრივად ახალი წარმოების წესის ექსპლოატაციის პირობებში წარმოების იერარქიის ქვედა სფეროში პროვიდენციულ-სოციალისტური ტიპის სოციალური კონტრაქტის გენეზისის წინააღმდეგ. წმინდა სოციალური რეორგანიზაცია (იხ. შემდეგ) სინქრონული და ძირითადი ღონისძიებაა. ქრისტიანობისა და ფეოდალიზმის ილუსტრირებული დიალექტიკური აპლიკაცია არ არის აბსოლუტური სივრცობრივი დიფუზიის ასპექტით. არსობრივი ან ეთიკური ტიპოლოგიური ანალოგიების ეგზისტენცია კონკრეტული პროზელიტიზმის იგნორირების საფუძველია. ფეოდალიზაცია უნდა ერწყმოდეს ეთიკის კუთხით გაუმართავ, პრიმიტიულ პანთეონს. აღნიშნული კაჟშირი ამ შემთხვევაში შესაძლებელია. კოსმოგონიური ტიპის კონკრეტული სემანტიკური სიახლის რეცეპცია ქართლის IV ს. II ნახ. ცნობიერების კონდიციის დედუქციური პერცეფციის შედეგად სწორედ ამ სიბრტყეზეა სავარაუდო. ამრიგად, ქრისტიანობის ადაპტაცია კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ან ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ადეკვატური უნიკალური სოციალური კონტრაქტის გნოსეოლოგიურ-სოციალური ქმედების შესაბამისია. საგარეო-პოლიტიკური კონიუნქტურა, ანუ ექსტერიერული პროზელიტიზმში უდრის ურთიერთობას ეკონომიკურ მეტროპოლისსა და დომინიონს შორის. ამ ასპექტით იბერიის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიცია დივერგენციულია. მითრამიზმისა და ქრისტიანობის კონფორტაციული სოციალური მიმართება ეთიკური ტიპოლოგიური მსგავსების საფუძველზე ერთი რომელიმე (ვთქვათ, იმპერიული) სოციალური კონტრაქტის ქმედების არეალში ამკარაა. ასევე სახეზეა ირანული მეტროპოლისის სოციალური დიფუზიის უნარის რეანიმაცია. ქრისტიანობა ლოკალური სოციალური კონტრაქტისათვის შესაძლებელი მითრამისტულ-სოციალური დემაგოგიის წინააღმდეგ მიმართული მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული აქტია (V ს. I ნახ. სიტუაცია ამ კუთხით სიმპტომატურია). ეს კი სწორედ IV ს. II ნახ. კონიუნქტურაა.

ტრადიციულ დროს ტრაპეზუნტში მითრას კულტის გამოჩენა ნიშნავს, რომ კონკ-

რეტული ᄁაჲა ახორციელებს მწარმოებლური ფუნქციების შემეცნებითი ბაზისის სინთეზს ქრისტიანობის გნოსეოლოგიურ-ეთიკურ კონცეფციასთან. მითრანზმის იდეოლოგიური არსი მდგომარეობს ყოველივე აღნიშნულისაღმე კონფრონტაციულ მიმართებაში. ემპერიამი მითრანზმში უნივერსალური ხდება მხოლოდ III ს. ეს არის ხანა სოციალისტური ტენდენციების ფსიქოლოგიური დიფუზიისა. ასეთ ვითარებაში მითრანზმში ობსტრუქციული იდეოლოგიური კონიუნქტურაა, მისი მიზანია ქრისტიანობის ასპექტით მინიმალნიზმი ან აბსოლუტური პრევენცია, მეთოდის ემპირიული აპრობაციის რეზულტატია მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანნიაციის ტემპების შეფარდებითი მოდერაცია. I. ციკლის ლიმიტირებული გნოსეოლოგიური პოტენციალის გაცნობიერება, ეფექტური იდეური სისტემის შემუშავების აუცილებლობა მზარდი სოციალისტური ტენდენციების საპირისპიროდ ყოველივე არის ის კომპლექსური ბაზისური სისტემა, რასაც შედეგად მოყვა ქრისტიანობის აბსოლუტიზაცია მთელი სოციალური კონტრაქტის მასშტაბით. თვით იმპერიული მითრანზმში მაინცდამაინც პერმანენტული ფენომენი არ ყოფილა. უფრო ადრეული და სტაბილურია პონტოური ლოკალური მითრანზმი (44; 47). ლოკალურ სოციალურ კონტრაქტში ავტოზტონური ელემენტების მასობრივი შეღწევა გარკვეული არასტაბილურობის ილუზიას ქმნის. ზედა ფენების მოჩვენებითი კრიზისი ქვედა ფენების ქრისტიანულ-სტრუქტურული აკუმულაციის საფუძველია. ზემოთ წარმოდგენილი ინდუქციური ტიპის მსჯელობის შემდგომ მითრანზმში კონკრეტულ შემთხვევაში ტრადიციული ანტონიმი. მაგრამ აქ სპეციფიურ მომენტთან გვაქვს საქმე. დასავლური კომპლექსის კონკრეტული პერიფერია ერთ-ერთი ბიონერთაგანია ამ კულტის ანტიქრისტიანული ექსპლოატაციის კუთხით. ქართული ეთნოკულტურის შესწავლის ასპექტით მაინცდამაინც სიმპტომატურია კონკრეტული იდეოლოგიური შტრიხის აფიშირება კვაზიავტონომიურ ფულზე. მითრას სინკრეტიზაცია სევერუსის ხანაში მისი ტრადიციული ფუნქციის დენონსაციაა. აქედან მოყოლებული ლოკალური სოციალური კონტრაქტი ფსიქოლოგიურად მზად არის ქრისტიანობისათვის. მაგრამ ის ფაქტი, რომ ლოკალური სოციალური კონტრაქტი ლოკალურია მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციული გაგებით და რეალურად, ალბათ, უკვე ნაწილია ბალკანურ-მცირეაზიური ეკონომიკურ-გეოგრაფიული კატეგორიის თვისებრივად ახალი ფენომენის ადეკვატური სოციალური კომპლექსისა, აჩერებს შემდგომ სწრაფ გნოსეოლოგიურ-სოციალურ წინსვლას. იუდეისა და პონტოს მაგალითი კიდევ ერთი არგუმენტია იმ უკვე დელუქციური თეზისათვის, რომ სოციალიზმი კაპიტალისტური ეკუმენის არცთუ ისე დაწინაუ-

რეზულ რეგიონში განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს პოულობს. სოციალურ-ეკონომიკური და კონფესიონალური მიმართება – ფეოდალიზმი და ქრისტიანობა – შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს. ქართლის შემეცნებითი კომპლექსის მიერ ქრისტიანობის სოციალური თუ გნოსეოლოგიური ეფექტის აპრობაცია თვით ქრისტიანობის შიდაკლასობრივი თუ ვერტიკალური დიფუზიის ასპექტით (და არა წმინდა გნოსეოლოგიური) არ არის ევოლუციური. ახსნის ჰიპოთეტური ვარიანტია სოციალური კონტრაქტის განსაკუთრებით ვიწრო ხასიათი. საჭირო იყო ქრისტიანობის სოციალისტური არსის აბსოლუტური პრევენცია. დივერგენციული ევოლუციური ვარიანტია ლაზიკის კონფესიონალური მეტამორფოზი. ჩვენ შევეცდებით ვამტკიცოთ ფეოდალური რევოლუციის რაღაც კონკრეტული ეკონომიკური წლის კუთვნილება I ს. II ნახ. ხოლო მითრაიზმის სიმპტომატური ტრანსპლანტაციის ფაქტი ტრაპეზუნტიდან სწორედ რომ ინდიკატორია ქრისტიანობის სოციალური სუბსტრატის პროცენტული მოცულობის ეტაპობრივი აკუმულაციის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსახილველ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ჩარჩოებში სოციალური კონტრაქტის მეტ-ნაკლებად განსხვავებული პროცენტული მდგომარეობა, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში შეფარდებითი უპირატესობა, რაც, საერთო ჯამში, განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის რეალნიაციის ასპექტით არსებული ხარისხობრივი არაერთგვაროვნებით, იყო საფუძველი ქრისტიანობის ან ადაპტაციის, ან ტრანსფორმაციის ზემოაღწერილი ევოლუციური სქემისა.

ქართლისათვის სწორედ რომ სიმპტომატურია ნინოს მისია მაინცდამაინც IV ს. II ნახ. ანდრიას და ნინოს კონტროვერსა (111) კი შემდეგ ლოგიკურ ახსნას ექვემდებარება. ბერძნული და ქართული წყაროთმცოდნეობითი ბაზისის სტრუქტურული ელემენტების შეჯერება და გააზრება ანდრიას ანაბაზისს როგორც ლაზიკაში, ასევე ქართლში სავსებით რეალურ შტრიხად წარმოაჩენს. მაგრამ უფრო სკრუპულოზური ანალიზის პირობებში გარკვეული სკეპსისი აშკარად საფუძვლიანია. ქართლი ანდრიას მიმართ ინდიფერენტულია, საქართველო კი - აქტიური. ამავე დროს, პრინციპში, ეს პრობლემა ეგრისს არ ეხება. იბერიის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში მიმოსვლის არამეტროპოლისური, პროვინციული ხასიათი დამაფიქრებელია - ეს არის ფრთხილი დაკავშირების ცდა კონკრეტული მოციქულის და კონკრეტული ქვეყნის (კლარჯეთის იგნორირების ფაქტი შემდგომ იქნება ახსნილი). ამავე დროს, ავტოხტონური პროტოფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსისათვის აუცილებელი ვეტო რეცეპციასზე (და ამის მიზეზია სტრა-

ბონისეული III გენოსის გარდამავალი ტიპი) გამორიცხავს თუნდაც ასეთი მისიის რეალობის შემთხვევაშიც კი კონკრეტული ინფორმაციის შეღწევას ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ცნობიერების სტრუქტურაში. ე. ი. ანდრიას და ქართლის მიმართების წარმოდგენილი ვარიანტი აპოკრიფული ინფორმაციული კავშირია. ზანური ცნობიერების სემანტიკური კატეგორიების ტიპოლოგიურ-სტილისტური და ფონეტიკურ-სტრუქტურული ქართიზაცია (XI ს. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ) დასაკლური სოციალური კომპლექსის ლოკალური მატერიალური სუბსტრატის შესაბამისი პირველადი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ადეკვატური ისტორიული მეხსიერების ქვეცნობიერ მოსპობას იწვევს, რაც, რა თქმა უნდა, აბსოლუტური არ არის. კონკრეტული ასპექტით შესაძლებელია შემდეგი დებულებების კონსტრუქცია:

1. ანდრიას ლაზური ვოიაჟი რეალურია (111; 2, 57-59; 55, 448).

2. ნიკიტა პაფლაგონიელთან პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროს იგნორირება სიმპტომატურია. მისი იბერები განსაზღვრული უნდა იქნას სწორედ იმ კუთხით, რაც ფიქსირებულია შემდეგ ფრაზაში: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ (4, 290). ამავე კრილიში განიხილება ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ნომინალური შტრიხებიც. ლაზური ეკლესიის გადახრის აღმოსავლური ალტერნატივის აქცენტირება, რაც ეკონომიკური კატეგორიის კონვერსიული პროცესების პარალელურად ხდებოდა, და, საერთო ჯამში, ზედნაშენური ხასიათის იყო, საეკლესიო ცნობიერების სინთეზს იწვევდა, რის შედეგადაც ფიზიკურ-გეოგრაფიული ასპექტით თვისებრივად სახეცვლილი იბერული ეკლესიის კუთვნილებაში გადადიოდა ანდრიას ლაზიკაში ყოფნასთან დაკავშირებული პერსპექტიული ავტოკეფალური რეგალია. ამ რეგალიის მატარებელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის საეკლესიო თავისუფლება ბიზანტიური დიფუზიური პოტენციალით ბათილდებოდა. ამასთან დაკავშირებით, სიმპტომატურია მხოლოდ და მხოლოდ იმ ვითაი არაავტონომიური მინიშნებანი. VII ს. მოყოლებული ციკლური დიალექტიკის კაპიტალიზმის I ეტაპის გაცნობიერებული კრიზისული კონდიცია და სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის აგრარიზაცია იგივეა, რაც დივერგენციული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების სოციალური სტრუქტურის პოლიტიკური რეგალიის დაუფლებისკენ მისწრაფების მკაცრი ლიმიტირება. მილიტარისტული აღიანისს აუცილებლობის რეალიზაციის კონფესიონალური მეთოდის (ქრისტიანობის ამ ასპექტით პოლიტიკური პროზელიტიზმი) ეგზისტენციის დაშვება

ალოგიკურია. ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში მეტროპოლისისადმი დამკვეთდებარებული საეკლესიო სტრუქტურის ნაწილის არსებობა უდრის სოციალური ფუნქციების არარენტაბელურ დისტრიბუციას სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალურ კომპლექსზე, რაც იწვევს საქონელბრუნვის მოცულობის არახელსაყრელ შემცირებას. ქართლის პოლიტიკური ლოგიკური ინდიფერენტულობა დოგმატური კატაკლიზმებისადმი აქსიომურ დებულებად მიგვაჩნია. ირანის პერსპექტიული მონოფიზიტიური რევოლუცია კი მას არ აწყობს. ქალკედონიტური რეაქცია კონკრეტული პროცესის სიმპტომებზე ლოგიკურია. სოციალური დემაგოგია საეკლესიო პრიმატის ქვეშ ავტოხტონური სოციალური კონტრაქტის წინააღმდეგ მიმართულ მძლავრ იარაღად იქცეოდა. ქართლის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ადეკვატური საეკლესიო სტრუქტურის პოლიტიკური ასპექტით წყვეტილი ტიპი, რეალურად ავტონომიური პერსპექტივები არის სწორედ პირველი *de facto* ავტოკეფალია. ბიზანტიის კავკასიური პოლიტიკის მოდერაციისა და დუალიზაციის რეზულტატია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის *de jure* ფიქსაცია; ამავე ასპექტით ხორციელდება ანდრიას ლაზური მიმსვლის ქართული ადაპტაცია.

3. დასავლეთ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის რევოლუციური ცვლილების ფაქტის (I ს. II ნახ. – დეტალური არგუმენტაცია იხ. ზემოთ) დედუქციურ თვზად ქვევა და ანდრიას ლაზური ანაბაზისის შესახებ ჰიპოთეზის მისით განმსჭვალვა საფუძველს გვაძლევს პირველი ქრისტიანული თემების გაჩენა ძირითადად იძულების გარეეკონომიკური ფორმის დიფუზიისადმი სუბორდინირებული სოციალური ბაზისის ფარგლებში აქვივარაუდოთ I ს. 50-იანი წლებიდან. შემდეგი დიალექტიკური სემანტიკების კონსტატაცია მიგვაჩნია შესაძლებლად: I. კაპიტალიზმი და ქრისტიანიზაცია. II. ფეოდალიზმი და ქრისტიანობა. ა) ფეოდალური „რევოლუცია“ და ქრისტიანიზაცია. ბ) ფეოდალური „რევოლუცია“ და ქრისტიანული „რევოლუცია“. აგრეთვე უნდა დაფიქსირდეს შემდეგი კავშირი – ქრისტიანიზაცია და მითრაიზმის ინტენსიური ექსპლოატაცია. აქვე უნდა დაეძინოთ, რომ იბერული მითრაიზმის ფუნქციური დატვირთვა კარდინალურად განსხვავებულია. ავტოხტონური პანთეონის ამ ასპექტით ირანიზაცია იცვლება ზანური სინკრეტიზმის რეცეპციით.

4. ანდრიას სამცხეში ქმედების მაქსიმალურად აპოკრიფული პასაჟიდან რაციონალური მარცვლის აბსტრაჰირების საშუალებაც არსებობს – მაგალითად, ინფორმაცია წარმართულ სატაძრო მეურნეობაზე; ამასთან, ა) სამცხის მთავართა

კატეგორიის ალოგიკური რიცხობრივი გაფართოება, ამ ფუნქციის მატარებლის სპეციფიური მიმართება აწყურთან და მისი მდებრობითი სქესი (ქც, I, გვ. 39-40), ტერმინის სემანტიკური აპლიკაცია წარმართულ იერარქთან, ბ) აწყურის ჰიპოთეტური იდენტიფიკაცია ლეკვოთეასთან (83), თვით ღვთაების და რიტუალური სტრუქტურის ადეკვატური ტიპი (Plut. Camil. 5) – როგორც უკვე წარმოდგენილი თეზის არგუმენტებია, ასევე მათ კომპეტენციამა „ანტიკური“ ისტორიის რიგი კარდინალური საკითხის დაზუსტება.

დაეუბრუნდეთ კვლავ ლაზიკის კონფესიონალური ევოლუციის საკითხს. თვით რეგიონალური ფეოდალიზმის ეტაპზეც კი ავტოხტონური სოციალური კონტრაქტის მანიპულაცია ქრისტიანობის სოციალ-გნოსეოლოგიური ფაქტით არასტაბილურია. ე.ი. მაშინაც, როცა ქვედა ფენების ექსპლოატაციის ძირითადი ტიპოლოგიური ერთეულის თითქმის აბსოლუტინაცია საკმაოდ სახიფათო სტიმულს ქმნის სოციალისტური იდეების სუბსტრატის მოცულობის ზრდისათვის. კონფესიონალური ინდეტერმინიზმი კარდინალური ობსტრუქციული კონდიციაა, მიმართული შიდა ავტოხტონურ ბაზარზე საეკლესიო-მეტროპოლისური ჩარევის საწინააღმდეგოდ.

არიული მითრაიზმის შენარჩუნებაც სოციალურ სტრუქტურაში სოციალური კონტრაქტის განსაკუთრებული ხვედრითი წილის ინდიკატორია. ფეოდალიზმის აბსოლუტინაციის სოციალური პერცეფცია სოციალური კომპლექსის ანტაგონისტური დიალექტიკური მხარეების ქრისტიანულ ტენდენციებს საოცრად აძლიერებდა. ისლამური კონვერსია მახლობელი აღმოსავლეთის სარწყავი მიწათმოქმედების ზონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონებისათვის სუბტროპიკული ფიზიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატის კაპიტალისტური მეტროპოლისური ტენდენციების წინააღმდეგ მიმართული ფსევდო ნაციონალ-სოციალისტურ იდეათა კომპლექსის რეცეპციის ფაქტია. შემდგომ კი I ციკლის კრიზისი, კონფლიქტი იტალიურ და მცირეაზიურ მეტროპოლისებს შორის ამ უკანასკნელის კონფესიონალური ტრანსფორმაციით დასრულდა. ისლამი პოტენციური სასურსათო ბაზისა და ნედლეულის წყაროს შტრიხების შემცველი ეკონომიკური კომპლექსის აქტიური თავდაცვის იდეის სოციალური და გნოსეოლოგიური მისტიფიკაციაა. წმინდა გნოსეოლოგიური გააზრებაც მას პრიმიტიულ პროვიდენციულ იდეალიზმად წარმოადგენს. ქრისტიანობის კონფესიონალურ-ფილოსოფიური შეფარდებითი დახვეწილობის რეალური არსი მდგომარეობს კონკრეტული სემანტიკის სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში სამყაროს სუბსტანციური პერცეფციის არასრულ-

ყოფილი დუალისტური პრინციპის დაშვებაში.

სხვა დიალექტიკურ ლოგიკურ ჰიპოთეზად არის მიჩნეული ქრისტიანობის ადაპტაციისა და ავტოხტონური დამწერლობის გენეზისის სინქრონულობა, მიზეზ-შედეგობრივი აპლიკაცია (38, 181-187). ანბანის ფენომენი წმინდა ეკონომიკური კატეგორიაა. წილკნის აკლდამის წარწერის (67, 199-202; 11) ეთნოკულტურული გამოხატულებაც კონკრეტული ასპექტით საინტერესო ანტითეზის კონსტრუქციის ბაზისია. ეკონომიკური ტიპის ინფორმაციის დაფიქსირების თვისებრივად ახალი მეთოდის აპრობაციისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური დიაგრამა სწორედ V ს. I ნახ. მოდის. დებულების ინდუქციური მიმართება ფაქტობრივ მასალასთან სიმპტომატურია.

IV ს. II ნახ. რეანიმაციის აუცილებელი ევოლუციური ტიპი და ეკონომიკური დიაგრამის რენტაბელური კურსი საწარმოო წესის თვისებრივი ცვლილების სრული სწრაფი შეფარდებითი რეალიზაციის საშუალებას არ იძლევა. აღნიშნული ქრონოლოგიური შტრიხის პერცეფცია, როგორც *terminus post quem* ავტოხტონური საეკლესიო არქიტექტურის დიალექტიკისათვის, სწორედ მის შესატყვისად ხდის პრიმიტიულ დარბაზს (იხ. 67, 199-202). V ს. II ნახ. უკვე გამოკვეთილი ფეოდალური პრიმატი კი მეტად ნმანდობლივია ბაზილიკის რეანიმაციის ასპექტით (საკითხთან დაკავშირებით იხ. 160, 70; 81; 34; 68).

ლ. 10.35 ... <i>ἰονόρεια</i> ...	და თქუა იესუ: ორნი თანანა-მღებნი იყვნეს მაგასხეხე ბუელისაჲ ვისიმე: ერთსა ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაპკანი, ხოლო ერთსა მას-ერგასისი.	და ჰქუა: ორნი თანანა-მღებნი იყვნეს მაგასხეხე ბუელისაჲ ვისიმე: ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაპკანი, ხოლო ერთსა მას-ერგასისი.	და ჰქუა: ორნი თანანა-მღებნი იყვნეს მაგასხეხე ბუელისაჲ ვისიმე: ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაპკანი, ხოლო ერთსა მას-ერგასისი.	და თქუა: ორნი თანანა-მღებნი იყვნეს მაგასხეხე ბუელისაჲ ვისიმე: ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაპკანი, ხოლო ერთსა მას-ერგასისი.	და თქუა: ორნი თანანა-მღებნი იყვნეს მაგასხეხე ბუელისაჲ ვისიმე: ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაპკანი, ხოლო ერთსა მას-ერგასისი.
ლ. 12.6. ... <i>ἀσσοφίται</i> ...	ანუ არა ხუთი სირი განისყიდებოს ორის დანგის? და ერთიცა მათგან-...	ანუ არა ხუთი სირი განისყიდებოს ორის დანგის? და ერთიცა მათგან-...	ანუ არა ხუთი სირი განისყიდებოს ორის დანგის? და ერთიცა მათგან-...	ანუ არა ხუთი სირი განისყიდებოს ორის დანგის? და ერთიცა მათგან-...	ანუ არა ხუთი სირი განისყიდებოს ორის დანგის? და ერთიცა მათგან-...

	DE	C	FG	HIK
ლ. 12.59. ...λεπτόν...	ნი არა არს დაფარულ წინაშე ღმერთისა.	ნი არა არს დაფარულ წინაშე ღმერთისა.	ნი არა არს დაფარულ წინაშე ღმერთისა.	ნი არა არს დაფარულ წინაშე ღმერთისა.
ლ. 15.8. Ἡ τίς ῥυτίθ ῥραγμαῖς ἔχουσα ἄκα, ἔάν ἀπολέσθῃ ῥραγμαῖν μίαν...	ნი არა არს დაფარულ წინაშე ღმერთისა. გეტყვ შენ: არა გა- მოხვდე მიერ, კიდრემ- დე უკუანადაცნელიცა იგი მი-ვე-სცე შენ მწუ- ლილი. გინა დელაკაცი, რო- მელსა აქუნდეს ათი ღრაქმშ, რომელ არს სატირი, და წარწემი- დოს ერთისატირი, არა- მედ აღანთოსა სანთელი და მოჰმართოს სახლი თუსი და ემიებდეს ბულს-მოდგინედ, კიდ- რემდე პოვოს იგი?	ნი არა არს დაფარულ წინაშე ღმერთისა. გეტყვ შენ, ვითარმედ: არა გამოხვდე შენ მი- ერ, კიდრემდის უკუა- ნადაცნელიცა იგი მი- ვე-სცე შენ მწულილი. გინა დელაკაცსა, რო- მელსა აქუნდეს ღრაქმშ ათი, რომელ არს სატი- რი, რომელმან წარწე- მდოს ღრაქმშ ერთი, არა-მე აღანთოსა სან- თელი და მოაგოს სახ- ლი და ემიებდეს ბულს- მოდგინედ, კიდრემდე პოვოს იგი?	ნი არა არს დაფარულ წინაშე ღმერთისა. გეტყვ შენ: არა გა- მოხვდე მიერ, კიდრემ- დე უკუანადაცნელიცა იგი მივესცე შენ მწუ- ლილი. გინა დელაკაცსა, რო- მელსა აქუნდა ღრაქმშ ათი, რომელ არს სატი- რი, და წარწემიდოს ერ- თი სატირი, არა-მე აღანთოსა სანთელი და მონახოს სახლი და ემი- ებდეს ბულს-მოდგინედ, კიდრემდე პოვოს იგი?	ნი არა არს დაფარულ წინაშე ღმერთისა. გეტყვ შენ: კერ გა- მოხვდე მიერ, კიდრემ- დე უკუანადაცნელიცა იგი მივესცე მწული- ლი. გინა დელაკაცსა რო- მელსა აქუნდა ღრაქმშ ათი და წარწემიდოს ერ- თი, არა-მე აღანთოსა სანთელი და მოჰმარ- თოს სახლი და ემიებნ ბულს-მოდგინედ, კიდ- რემდე პოვოს იგი?
ლ. 15.9. ..ῥραγμαῖν...	და პოვოს რაგ. მოუწო-	და პოვოს რაგ, მოუწო-	და პოვოს რაგ, მოუწო-	და პოვოს რაგ, მოუწო-

DE

C

FG

HIK

ლ. 19.13.	...mṽs...	<p>დღს მეკობართა და მოძმეთა და პრქუას მათ: ჩემთანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე სხე ტირი იგი, რომელი წარმიწმდა.</p>	<p>დღს მეკობართა და მოძმეთა და პრქუას მათ: ჩემთანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე სხე ტირი იგი, რომელი წარმიწმდა.</p>	<p>დღს მეკობართა და მოძმეთა და პრქუას მათ: ჩემთანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე სხე ტირი იგი, რომელი წარმიწმდა.</p>
ლ. 19.16.	...mṽ...mṽs...	<p>და მოუწოდა ათთა მონათა თჳსთა და მიჰცა მათ ათი მნაგ და პრქუა მათ: ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე.</p>	<p>და მოუწოდა ათთა მონათა თჳსთა და მიჰცა მათ ათი მნაგ და პრქუა მათ: ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე.</p>	<p>და მოუწოდა ათთა მონათა თჳსთა და მიჰცა მათ ათი მნაგ და პრქუა მათ: ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე.</p>
ლ. 19.18.	...mṽ...mṽs...	<p>და მოვიდა მეორე იგი და თქუა: უფალო, და მოვიდა მეორე იგი და თქუა: უფალო, შენმან მან ვეცხლმან ათი სხუაგ შესძინა სასწორი.</p>	<p>და მოვიდა პირველი იგი და თქუა: უფალო, შენმან მან ვეცხლმან ათი სხუაგ შესძინა სასწორი.</p>	<p>და მოვიდა პირველი იგი და თქუა: უფალო, შენმან მან ვეცხლმან ათი სხუაგ შესძინა სასწორი.</p>

	DE	C	FG	HIK
ლ. 19.20.	...μνᾶ...	ვეცხლმან შენმან ხუთიდა სხუაჲ სას- წორი ყო.	ვეცხლმან მან შენმან სხუაჲდა ხუთი სას- წორი ყო.	ვეცხლმან შენმან სხუა- ჲდა ხუთი სასწორი ყო.
	და მესამე იგი მოვიდა და თქუა: უფალო, აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა.	და მოვიდა მესამე იგი და პრქუა: უფალო, აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა.	და მესამე იგი მოვიდა და თქუა: უფალო, აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა.	და მესამე იგი მოვიდა და პრქუა: უფალო, აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა.
ლ. 19.24.	...μῦα...μῦα...	და წინაჲმ მდგომელთა მათ პრქუა: მოუღეთ იგი და მიეცით, რომელსა აქუს ათი სასწორი ვეცხლი.	და პრქუა წინაჲმ მდგო- მელთა მათ: მოუღეთ ვეცხლი იგი და მიეცით, რომელსა-იგი აქუს ათი სასწორი ვეცხლი.	და პრქუა წინაჲმ მდგო- მელთა მათ: მოუღეთ ვეცხლი იგი და მიეცით, რომელსა-იგი აქუს ათი სასწორი ვეცხლი.
ლ. 20.24.	...θουάριον...	მიჩუენეთ მე დრაჰკა- ნი...	მიჩუენეთ მე დრაჰკა- ნი...	მიჩუენეთ მე დრაჰკა- ნი...
ლ. 21.2.	...λεπτά...	და იხილა კინმე ქურივი გლახაკი, რომელმან	და იხილა კინმე ქურივი გლახაკი, რომელმან	და იხილა კინმე ქურივი გლახაკი, რომელმან

DE

C

FG

HIK

ა. 2.14. ...κερματιστάς...	დადვა ორი მწუელილი. და პოუნა ტაძარსა მას შინა მოფარდულნი ზროხათანი და ცხოვართანი და ტრედთანი და მეკერმენი მსხდომარენი.	დადვა ორი მწუელილი. და პოუნა ტაძარსა მას შინა მოფარდულნი ზროხათანი და ცხოვართანი და ტრედთანი და მეკერმენი მსხდომარენი.	დადვა ორი მწუელილი. და პოუნა ტაძარსა მას შინა მოფარდულნი ზროხათანი და ცხოვართანი და ტრედთანი და მეკერმენი მსხდომარენი.	დადვა ორი მწუელილი. და პოუნა ტაძარსა მას შინა მოფარდულნი ზროხათანი და ცხოვართანი და ტრედთანი და მეკერმენი მსხდომარენი.
ა. 2.15. ...κολληστων... κέρματα...τραπέζας...	და ქნა შოლტი საბელთაგან და ყოველი გამოასხა ტაძრით: ზროხად და ცხოვარი; და კერმის მსყიდელთა მათ დაუთხია კერმად და ტაბლები იგი დაამტეუა.	და ქნა შოლტი საბელთა და გამოასხა ყოველი ტაძრისაგან: და ცხოვარი და ზროხად; და პილენი თესლის მოფარდულთა მათ განუხნია და ტაბლები იგი დაამტეუა.	და ქნა შოლტი საბელთა და გამოასხა ყოველი ტაძრისაგან: და ცხოვარი; და ზროხად და ცხოვარი; და კერმის-მსყიდელთა მათ დაუთხია კერმად და ტაბლები იგი დაამტეუა.	და ქნა შოლტი საბელთა და ყოველი იგი გამოასხა ტაძრით: ზროხად და ცხოვარი; და კერმის-მსყიდელთა მათ დაუთხია კერმად და ტაბლები დაუტეუა.
ა. 6.7. ...θηναίων...	პრქუა ფილიპე: ორასისა დრაკჩნისა პური ვერი კმა არს ამათა, რაგათა	პრქუა ფილიპე: ორასისა დრაკჩნისა პური ვერი კმა არს ამათა, რაგათა	პრქუა ფილიპე: ორასისა დრაკჩნისა პური ვერი კმა არს ამათა, რაგათა	პრქუა ფილიპე: ორასისა დრაკჩნისა პური ვერი კმა არს ამათა, რაგათა

DE	C	FG	HK
კაცად-კაცადმან მცირედ რაგმე მიიღოს.	დაღათუ თითოეულად მცირედ რაგ მიიღონ.	კაცად-კაცადმან მცირედ რაგმე მიიღოს.	კაცად-კაცადმან მცირედ რაგმე მიიღოს.
რავსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიციდა სამხის ღრაჳკნის და მიეცა გლახაკთა?	რავსა არა ნელსაცხებელი ესე განიციდა სამის ღრაჳკნის და მიეცა გლახაკთა?	რავსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიციდა სამხის ღრაჳკნის და მიეცა გლახაკთა?	რავსათჳს ნელსაცხებელი ესე არა განიციდა სამხის ღრაჳკნის და მიეცა გლახაკთა?

თ. 12.5. ...ძოვარავ...

Τὸ ἄσφαιρον ძალიან სპეციფიური ნომინალური კატეგორიაა სპილენძის ფაქტურის ჩარჩოებში, ხოლო ამ უკანასკნელის საქონელბრუნვისთვის დამხმარე ფუნქციების პერცეფცია ლოკალური ეთნოკულტურის მასშტაბით გვიანდელი მომენტია. აქ ადეკვატური ტერმინის დაძებნა პირობითია – დანგი. ეკონომიკური ასპექტით ბილინგვოზირებული ექვთიმე და გიორგი კონკრეტული კუთხით გაუცნობიერებელ ადაპტაციას მიმართავენ.

Τὸ λεπτὸν გათანასწორებულია მწულებთან, რაც ლიტერატურული იმპროვიზაციაა, და ფშიტთან. ეს უკანასკნელი კი გვიანდელ ბისტანთა ერთად ერთი დერივაციულ-ისტორიული კომპლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართლაც, ბისტი 0.7 გრ., ხოლო ფშიტი უდრის დანგს, და აქ ყველაფერი სწორია. ფშიტს ცვლის დანგი. ფშიტი და სატირი პირველი რედაქციის კომპონენტებია.

Ὁ κιθαρᾶντις/quadrans = 2 ლეპტას. ასეთი კონიუნქტურა თუნდაც ოთხთავიდან არის ცნობილი. თუ C-ში κιθαρᾶντις დანგია, ხოლო ერთი κιθαρᾶντις 2 ლეპტაა, ანუ 2 ფშიტი, ე.ი. ფშიტი=დანგს – ასეთი კონიუნქტურა არ არის სწორი. ამავე დროს რაოდენ მაცდურია შემდეგი მიმართება – ბისტი/ფშიტი/დანგი?! მაინც ვთვლით, რომ უკანასკნელი თეზა ძალაშია დასატოვებელი – რეცეპტორი ენის სემანტიკური შეფარდებითი სიმჭირე სინონიმური თეზების ბუნდოვანი სემანტიკური დუალიზაციის საფუძველია.

Ὁ χαλκός - თუ საუბარია სპილენძის ნომინალზე, ის ადრეულ რედაქციებში აუცილებლად ვერცხლად აღიქმება სპილენძის სპეციფიური პერცეფციის არარსებობის გამო, ხოლო რვალი=სპილენძი AE. ფულის ზოგადი ეკვივალენტია.

დრაქმე ათი, რომელ არს სატირი – პირველი რედაქციის კვალია, როცა დრამა, ალბათ, მხოლოდ წონითი კატეგორიაა და არა ფულის სემანტიკის მატარებელი - IV ს. ქართლის სამონეტო ცირკულაციაში ვერცხლის დეფიციტია. კონკრეტული კუთხით ტრანსლიტერაციას და არა ადაპტაციას შეცდომაში შეყავს სხვ. დროის მთარგმნელები.

შანთი და ქანქარი სინონიმური საანგარიშო ნომინალებია. ამასთან, „შანთი“ მითრას კულტის და ორდალიების ანარეკლია, და აგრეთვე კონკრეტული ფაქტურის საქონელ-ფულის ეგზისტენციისა სადღაც ადრეკინის ხანის ფარგლებში. ებრაული Kikkar რამდენიმე ათეული კგ. ქანქარი ადაპტირებული ნომინალია. შანთი კი ამხელა არც კი შეიძლება იყო. რა ექნათ? ებრაული ტალანტი ადაპტირებული იქნა ძვ.წ. I ათასწლ. დასაწყისში (?). ის რკინას შეეფარდა. ვალუტის პერცეფცია ≈ 44 კგ. Fc. გადაიყვანს ვერცხლის რაციოზე სადღაც ძვ.წ. VII ს. და Ag. ქანქარი

გახდა ერთი რკინის შანთის ტოლი. უფრო ზუსტი განმარტება გამორიცხულია. მაგრამ ის მნაზე მეტი უნდა ყოფილიყო.

მნა და ვერცხლი სინონიმური ნომინალებია. ერთ კონკრეტულ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე კი შემდეგი ნომინალური კონიუნქტურა არსებობს: ქანქარი/შანთი-მნა/ვერცხლი-სატირი/დრაპკანი-დრამა-ფშიტი/ დანგი.

ვამთავრებთ რა ნარკვევს დრაპკანზე, აქვე უნდა განიმარტოს კიდევ მეტად სიმპტომატური მომენტი – დრაპკანის სპეციფიური დეტერმინიზმი ასეთ სტილში, „დრაპკანი კონსტანტინატი“, „დრაპკანი-ვოტანიატი“, ოქროს დივერგენციული სინჯადობის ინდიკატორია. ამ კუთხით საინტერესოა შემდეგი სქემა:

მონომახის დროს სინჯადობა 19-22 კარატია. ე.ი.

$$\frac{24}{22} \quad \frac{1000}{x} \quad x = \frac{22 \cdot 1000}{24} = 916,6$$

$$\frac{24}{19} \quad \frac{1000}{x} \quad x = \frac{19 \cdot 1000}{24} = 791,7$$

თეოდორას დროს კი ის უკვე 16/17 კარატია. ე.ი.

$$\frac{24}{17} \quad \frac{1000}{x} \quad x = \frac{17 \cdot 1000}{24} = 708,3$$

$$\frac{24}{16} \quad \frac{1000}{x} \quad x = \frac{16 \cdot 1000}{24} = 666,7$$

ნიკიფორე III დროს მხოლოდ 9 კარატია.

$$\frac{24}{9} \quad \frac{1000}{x} \quad x = \frac{9 \cdot 1000}{24} = 375 \text{ ეს უკვე ელექტრუ-}$$

შია (179, 732, 738-745, 750-753, 821; 88, 89-92).

$$916,6 = 91,7\%$$

$$791,7 = 79,2\%$$

$$708,3 = 70,8\%$$

$$666,7 = 66,7\%$$

$$375 = 37,5\%$$

კიდევ ერთი – ფულის ადეკვატური ნომინალი – თესლი – კარგად განმარტავს წმინდა მოგების პრინციპს.

13. აქ, ალბათ, უფრო ერთი ნომინალია – თეთრი.

14. აქ ჩვენ შეგნებულად ვუკვლით გვერდს სპილენძის მონეტებს, რომელთა მიკუთვნებაც დაეთ აღმაშენებლისადმი მწვავე დისკუსიის საგანია (54, 69-70, 90; 89, 89-94).

15. გვირგვინის სპეციფიური დეტალი – საკიდრები – უკვე საიმპერატორო ატრიბუტიკაა (ამასთან დაკავშირებით იხ. 156, 35-37; 90, 32-33). ყოველივე მეტად სიმბტომათური პოლიტიკური პერცეფციის მაჩვენებელია.

16. დ. ლანგის აზრით, ამ მონეტაში შერწყმულია ბიზანტიური და ჯვაროსნული იკონოგრაფიის ელემენტები (184, 144), ხოლო რ.მეტრეველის ვარაუდით, ბიზანტიური და ქართული (65, 189).

ქირითადი ღასკვნები

ნებისმიერი ეთნოკულტურული ევოლუცია შემეცნებითი წინსვლაა. კონკრეტული ტექნიკური იდეა უდრის გარკვეულ მატერიალურ ტიპს. ვთქვათ, მონეტა კონკრეტული ეკონომიკური იდეაა (სემანტიკა), მისი მრგვალი ფორმა კი თითქმის უნივერსალური წესია. მაშ, ამ ასპექტით როგორ განვასხვავთ ერთმანეთისგან ეთნოკულტურები, ფულს ხომ ყველგან ერთი და იგივე სახე აქვს? რა, თვით ეთნოკულტურის ცნება აბსურდი ხომ არ არის? არა, არსებობს ტიპოლოგიურად განსხვავებული ენები, საკუთრივ მოჭრილი ფულიც სხვადასხვა ნომინალით (სახელით ამ შემთხვევაში) ისაზღვრება. ეთნოკულტურა რეალობაა, ისევე როგორც მისი სუბსტრატი — ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი. რა არის ეთნოკულტურული ტიპის დიფერენტი? კონკრეტული სემანტიკის ფარგლებში არსებული მეორეხარისხოვანი ეკონომიკური დატვირთვის მქონე სემანტიკური სტრუქტურული ერთეული ეთნოტიპის დიფერენცია (სუბსემანტიკა). ვთქვათ, მონეტა სემანტიკაა; მისი ტიპოლოგიური კონკრეტული სინთეზი (შუბლის და ზურგის მხარის გამოსახულებანი) ან ტიპის ფარგლებში არსებული დიფერენტი, ან სტილისტურ-კონცეპტუალური მოდელი უკვე სუბსემანტიკაა. ეთნოკულტურული ევოლუცია უდრის სემანტიკურ და სუბსემანტიკურ ევოლუციას კონკრეტული შეფარდებითად უცვლელი ფიზიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატის მასშტაბით. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონული პრინციპით დიფერენცირებული ნებისმიერი სემანტიკა კონკრეტულ სუბსემანტიკასთან კომპლექსში შეესაბამება ტიპოლოგიურ ერთეულს — ფონეტიკურ-სტრუქტურულ სისტემას. ჩვენი მიზანი სწორედ ქართველური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის უზოგადესი საკითხების შესწავლაა; დედუქციური წყაროთმცოდნეობითი ბაზისი ნუმინმატიკური მასალაა. სოციალურ-ეკონომიკური კონკრეტული ევოლუცია ფიზიკურ-გეოგ-

რაფიული კონკრეტული ბაზისის სუბიექტია. ჩვენს შემთხვევაში მატერიალური ბაზისი დუალისტურია, ქართული ეთნოკულტურული დიფუზიის დასავლური სექტორი სარწყავ ფუნდამენტურ მიწათმოქმედებას არ საჭიროებს. საქართველო, როგორც ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი, სარწყავი მემარცვლეობის ქართლის ბაზისს ემყარება. რატომ? განა ურწყავი დასავლეთი უფრო რენტაბელური მეტროპოლისი არ უნდა ყოფილიყო?

დასავლეთი და აღმოსავლეთი, ევროპა და აზია, ურწყავი და სარწყავი მეურნეობები – ყოველივე დიალექტიკური მიმართებაა. მსოფლიოს მასშტაბით ეკონომიკური პრიმატის ზონალური მონაცვლეობის (სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ) ზუსტი სქემის დადგენას კი მოჰყვა გარკვეულწილად ციკლური განვითარების თეორიის რეანიმაცია და ახალი მეთოდის – ციკლური დიალექტიკის ჩამოყალიბება. კოლხეთი და იბერია, ლაზიკა და ქართლი, დაბოლოს, საქართველო მუდმივ კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება. უკვე a priori ასეთი სივრცობრივი პოზიცია სემანტიკური მზა მოდელების ინტენსიური სესხების ფაქტს გვაპარაუდებინებს. კონკრეტული მიმართებანი საოცრად რენტაბელურია. მაგრამ რატომ არ მოხერხდა კოლხეთის შერწყმა ბალკანურ-მცირეაზიურ რომეულ (ბიზანტიურ) კაპიტალისტურ (!) ეკონომიკურ-გეოგრაფიულ კომპლექსში?!

ნებისმიერი სემანტიკური რეცეპცია (მიღება, შეთვისება) სუბსემანტიკური ტიპოლოგიური ადაპტაციაა. პროცესის ნუმიზმატიკური კონკრეტული გამოვლინებანი სპეციალური კვლევის საგანია.

წარმოდგენილია ქართული ნუმიზმატიკური მასალის თავისებური სამეცნიერო კომენტარი ყველა არსებული ჯგუფის მასშტაბით. აბსტრაქცირება, დედუქცია და 50-წლიანი შეფარდებითი ციკლებით მანიპულაცია კონკრეტული მეთოდოლოგიური ბაზისია.

რიგი დებულებები კაპიტალიზმის II ციკლთან დამოკიდებულების ძირითადი პრინციპების განსაზღვრის საკითხს უკავშირდება.

ძირითადი დასკვნები

შესავალი. აქ ა) განსაზღვრულია კვლევის საგანი; ბ) წარმოდგენილია მეთოდური არსენალი; გ) განმარტებულია წყაროთმცოდნეობითი სუბსტრაქტი და სხვ.

დასავლეთის ცნების დეფინიცია.

ციკლური დიალექტიკა

მიზანი კაპიტალიზმის ადგილობრივი ევოლუციის პერსპექტივებისა და ტიპის გააზრება, რისთვისაც აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის უნივერსალური წესის დადგენა. წარმოდგენილი თემა ერთი საფეხურია. „დასავლეთი“ გვიანდელი ნომინალია და ის იხმარება ტიპური სამრეწველო მეტროპოლისების სისტემის აღსანიშნავად, უპირისპირდება რა აგრეთვე სამრეწველო, მაგრამ შეფარდებითად ჩამორჩენილ სტრუქტურას (აღმოსავლეთ ევროპა) ან აგრარული ნიშნის მატარებელ ეკონომიკურ კატეგორიას. დასავლეთი სამრეწველო კაპიტალიზმია სპეციფიური გეოგრაფიული კონიუნქტურის გათვალისწინებით. ტერმინის რეტროსპექტული გამოყენება მიზანშეწონილია.

შემეცნებითი ევოლუციის ზოგადი სტრუქტურა, ჩვენი აზრით, ასეთია:

1. პრიმიტიული კომუნიზმი.
2. I გარდამავალი საფეხური (პროტოფეოდალიზმი, პროტოკაპიტალიზმი (გვიანი ფეოდალიზმის დასავლურ ევროპული მოდელი).
3. ანთროპოკაპიტალიზმი (კაპიტალიზმის I ციკლი).
4. II გარდამავალი საფეხური (ფეოდალიზმი, პროტოკაპიტალიზმი).
5. „ენერგეტიკული“ კაპიტალიზმი (კაპიტალიზმის II ციკლი).
6. სამრეწველო კომუნიზმი.

კაპიტალიზმის II ციკლის დანაწევრება შესაძლებელია:

– ანთროპოკაპიტალიზმის დიალექტიკური რესტავრაცია (ახალი ისტორია);

– ინდუსტრიული სტადია (უახლესი ისტორია).

ევოლუციის ციკლური პროცესის ლოგიკური მიზეზი შემდეგია – ისტორია „ენერჯის“ თვალსაზრისით, რაც წმინდა წყლის მატერიაა, იყოფა ორ ეტაპად: I ეტაპი შეესაბამება ადამიანის კუნთების ძალის სპეციფიურ როლს; II ეტაპი უდრის წმინდა მატერიალური კატეგორიების მოძრაობის კონკრეტული ასპექტით განმაპირობებელი ფუნქციის არსებობას. პირველი ციკლის კაპიტალიზმის დაჩიხვის მიზეზები კი ასეთია: 1. საერთო ეკონომი-

კური პერსპექტივა, რაც სუბტროპიკული სარტყლის სასარგებლოდ არ უნდა წარმართულიყო. 2. „ენერგეტიკული“ შიდა დაჩიხვა, რაც უდრის დისონანსს აგრარული ტიპის ცნობიერების სოციალური სუბსტრატის შეფარდებითად მცირე კაპიტალისტურ მოცულობას, კაპიტალისტურ საერთო დემოგრაფიულ სიტუაციასა და ნელ ტექნიკურ პროგრესს შორის. 3. „ენერგეტიკული“ საგარეო დაჩიხვა – ჩრდილოური განედების პროგრესის შეჩერების გარეეკონომიკური საშუალების არარსებობა. სტაგნაცია ჯერ იტალიას, შემდგომ ბალკანეთს და მცირე აზიას შეეხო. რატომ? მცირეაზიურმა სიღრმისეული განვითარების რესურსებმა იხსნა ელინური კაპიტალიზმი.

ამ პირველი ციკლის არსებობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის დიფერენტებია – ეკონომიკური: 1. ქალაქების და ინდუსტრიის აშკარა ეკონომიკური პრიმატი მეურნეობის აგრარულ სექტორთან შედარებით – პოლისის განსაკუთრებული როლი. 2. ინდუსტრიული ნაწარმის უფართოესი ექსპორტი. 3. პურის აუცილებელი იმპორტი. 4. სოფლის სპეციფიური დამხრობა – ღვინო, ზეთისხილი. 5. კომერციული მიმართებების განსაკუთრებული დიფუზია. 6. სავალუტო ექსპანსია. 7. ინდური ვაჭრობის პასიური ბალანსი. ფუფუნების საგნების სპეციფიური სახმარი ღირებულების პერცეფციის გენეზისი. 8. საბანკო საქმის განვითარება. 9. ძლიერი სავაზმო კაპიტალი. 10. ფულადი მეურნეობის სახე – ფრაქციული სისტემის ექსპლოატაცია. 11. ინფლაციების წმინდა კაპიტალისტური ტიპი – ფულის გაფუჭება არაძვირფასი მეტალის ლიგატურის საშუალებით. 12. ტრანსპორტის და კომუნიკაციების პრობლემის არსებობა. 13. ზღვის განსაკუთრებული ეკონომიკური დატვირთვა; თალასოკრატიები. 14. საბაზრო შიმშილი. 15. მანუფაქტურები.

სოციალური: 1. მონების დამხმარე არაკვალიფიციური კონტინგენტის არსებობა. 2. უმუშევართა ბირჟა – კაპიტალისტური ტიპის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი. 3. დოტაციების სისტემა. 4. სამოქალაქო თანასწორობა ან კიდევ დეველვირებული წოდებრიობა. 5. კოლონიზაცია – ჭარბი მოსახლეობისგან ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის განტვირთვა. 6. დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ფაქტები. 7. გლეზური ინდივიდუალური მეურნეობების პერიოდული ფუნქციონირება. და კიდევ ზოგადად ერთს დავამატებთ, რომ ეპოქის ექსპრესიული კონცეფცია ნატურალიზმია, რომელსაც ბიზანტიური ფსევდოიმპრე-

სიონიზმი ცვლის.

ნებისმიერი დაჩიხვა ან ტემპის თვალსაზრისით პრიმატის დაკარგვა, გარდა ძირეული მიმართებისა, დაკავშირებულია ქვეცნობიერ კოლექტიურ ქმედებასთან ან (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ) გარეეკონომიკური ბერკეტების ქვეცნობიერ ამოძრავებებსან, მსოფლიო ევოლუციის ადეკვატურ პერსპექტიულ ცოდნასთან, დეტალურ კოორდინაციასთან. უფრო ზუსტად, არიული ტემპების პრიმატის გენეზისი და სინქრონული პოლიტიკური კონტროლი სამხრეთზე; სუბტროპიკული კაპიტალიზმი და გერმანული ექსპანსია, ჰუნთა დამხმარე კონტინგენტის რეცეპცია; ბალკანურ-მცირეაზიური კაპიტალიზმი და თურქები – დიალექტიკური შტრიხებია. ე.ი. არსებობს ინტერრეგიონალური ევოლუციის ასპექტით საკანონმდებლო ქვეცნობიერი ინიციატივები და კატალიზატორული დანაშნულების სიმძახნია. პასუხი ასეთია – სამხრეთი ხელს უწყობდა ჩრდილოეთის განვითარებას; როდესაც ხელის შეშლა დაიწყო, მიიღო მძლავრი ნორდიკული დარტყმა. რეალური ფილოსოფიური ქვეცნობიერება ბევრად უსწრებს წინ გაცნობიერების სტადიას. ჩრდილოური კოლექტიური ზემოქმედება სამხრეთზე განსაკუთრებული ტიპის ქმედებაა. საქმე ის არის, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ლოკალური სოციალური კონტრაქტის რეგალიურ გაუცხოებას, არამედ კოორდინაციით საერთო ევოლუციისთვის რენტაბელური სტაგნაციისთვის გამიზნული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის დემოგრაფიული აფეთქების ორგანიზაციას, რაც კრიზისის გამძაფრებას იწვევს; მაგალითად, გერმანელები იტალიაში, თურქები მცირე აზიაში. ეს საგარეო-პოლიტიკური მომენტი უკვე აღარ არის. აქვე დავამატებთ, რომ ჯვაროსნული ლაშქრობებიც, საერთო ჯამში, გამიზნული იყო არა თურქების წინააღმდეგ, არამედ სწორედ ბალკანურ-მცირეაზიური სტაგნაციისათვის.

საქართველოს სტაგნაცია XIII ს. მოკიდებული უდრის არა საგარეო შტრიხების ქმედებას, არამედ სამხრეთული, არჩულ-თურანული ალიანსის აქტიურ ანტაგონისტურ არსებობას და განსახილველი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შუაში გახლეჩვას, რასაც მოჰყვა ურთულესი რეკონვერსიული პროცესები. ყოველივე კოლექტიური ქმედების მეტად საინტერესო სამხრეთული ვარიანტია რეალიზაციის სპეციფიური სტილით – არა დემოგრაფიული აფეთქება, არამედ ეკონომიკურ-დესტრუქციული ქმედება.

ქართული ეთნოკულტურული ევოლუციისთვის ფიზიკურ-გეოგრაფიული სუბსტრატის ასპექტით დამახასიათებელია პერმანენტული დუალიზმი და პერმანენტული კაპიტალისტური სიახლოვე, რაც უკვე a priori უდრის დიალექტიკურ მიმართებას.

ქართული ეთნოკულტურის ევოლუციის პროცესში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავზღვისპირეთის როლი სპეციფიურია – განპირობებული კონკრეტული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ნაწილობრივ დიალექტიკური ეკონომიკური სპეციალიზაციით და საქონელბრუნვის სისწრაფისთვის აუცილებელი გეოგრაფიული ატრიბუტიკის სისრულით და, რაც მთავარია, უკანასკნელად აღნიშნული მატერიალური სუბსტრატის სოციალურ-ეკონომიკური იმპულსები ხშირად ბევრად უფრო ძლიერი იყო. ყოველივე საფუძველს ქმნიდა შესაბამისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურის – თავდაპირველად ეს პონტოა, შემდგომ კი „კოლხური“ ექსპორტის ჩამომყალიბებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონი ბიზანტიური მეტროპოლისის ბაზისის ნაწილია; აქ განხორციელდა ტრაპიზონის სამეფოდ წოდებული ლოკალური სოციალური კონტრაქტი, ხოლო ლოკალური ეკონომიკური კომპლექსის გენეზისი არარენტაბელური აღმოჩნდა; სწორედ ამიტომ ზღვისპირა ზოლი კვლავ და კვლავ ეთნოკულტურული ასპექტით სახეცვლილი იმპერიის მეტროპოლისის ნაწილია – წმინდა ეკონომიკური პრიმატის არსებობისა: პონტოს აგრარულ-სამრეწველო პროტოკაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, რომეების სამეფოს ბალკანურ-მცირეზიური კაპიტალისტური მეტროპოლისის სხვადასხვა შემეცნებითი კატეგორიის განსხვავებულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებში შეღწევის ბაზისად იქცა. გარკვეული უპირატესობა ვერც იმპერიის სტაგნაციამ ვერ მოსპო. ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავზღვისპირეთის მხმართებანი კოლხეთთან და იბერიასთან, შემდგომ საქართველოსთან, დროით ასპექტში ხანგრძლივი, ხოლო თვისებრივად გარკვეული სემანტიკური თუ ტიპოლოგიურ-სტილისტური სიახლეების მომტანი იყო ავტოხტონური კულტურული კომპლექსისათვის.

XI ს. იმპერიული დუალიზმის რეალიზაციის ხანაა. ლოკალური/ქართული/სოციალური კონტრაქტის საკანონმდებლო ინიციატივის იმპერიული ატრიბუტიკა სწორედ ამ დროს იღებს სრულყოფილ სახეს. განსახილველი პერიოდის იმპერიული ანექსია და ინტერვენცია სხვა არაფერია,

თუ არა სახელმწიფო სოციალიზმის (ბიზანტიამი) რენტაბელური ექსპლოატაციისათვის განკუთვნილი დოტაციური სისტემის ნაწილი. ხოლო საიმპერიო ტიტულატურის (სევასტოსი, კესაროსი) რეკეპცია არა საგარეოპოლიტიკური რეგალიის დათმობის მაჩვენებელია ლოკალური სოციალური კონტრაქტის მხრიდან, არამედ სრული თანხმობაა იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლურ დიფუზიაზე de jure და დუალისაციაზე ასევე de jure. ქვეცნობიერი მიზანი საკუთარი სუბტროპიკული ზოლის საიმპერიო მეტროპოლი-სური სტატუსის პერსპექტიული დაფუძნებაა.

ნ ა წ ი ლ ი II.

სუბტროპიკული (სამხრეთული) კაპიტალიზმი

(კაპიტალიზმის I ციკლი)

და ქართული მინოკულტურა

თ ა შ ი I.

ანტიპა

§ 1. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია (დანამატად აღქმა) დასავლეთის მიერ და რეალიზაციის წმინდა ეკონომიკური მეთოდების ექსპლოატაცია /ძვ.წ. VI-I სს./ – ქართული ნუმისმატიკური ძეგლები (და არა საქართველოს ნუმისმატიკური ძეგლები, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება სპეციალურ ლიტერატურაში და პრინციპში, სწორია; მაგრამ ფული წმინდა ეკონომიკური ფენომენია, ამიტომ გლობალურ ისტორიულ პერსპექტივაში მისი კუთვნილების აღმნიშვნელი ზუსტი დიფერენტის განსაზღვრა ასევე წმინდა ეკონომიკური ასპექტით მეტ სიზუსტესა და სიმკაცრეს მოითხოვს. საქართველო, კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული კატეგორია, ორი სხვა ანალოგიური ფენომენის – კოლხეთ/ლაზიკის და ქართლის – კონვერსიული პროცესების შედეგია, სადაც პრიმატი ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა. შესაბამისად, აღნიშნული სამი განსხვავებული საწარმოო სტრუქტურის

ადეკვატური სოციალური კონტრაქტების ზოგადეკონომიკური ორგანიზების ევოლუციური ინიციატივა ერთ-ერთი მათგანის ნომინალს ვერ მიიღებს განმსაზღვრელ შტრიხად. ამის საპირისპიროდ, „ქართული“ ზოგადი, ეთნოკულტურული ცნებაა. ტერმინის დიფუზია თვისებრივად ახალი ეკონომიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურის გენეზისის პარალელურად მიმდინარეობდა და მან რეტროსპექტულად გადაფარა, გაითავისა დიალექტიკური, მაგრამ ტიპოლოგიურად განსხვავებული დასავლური ეთნოკულტურა. მისი ხმარება უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება) ამ კატეგორიის წყაროთმცოდნეობითი სუბსტრატისათვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იძლევა ქვეყნის (როგორც ეკონომიკურ-გეოგრაფიული ერთეულის) პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის (თუმცა მატერიალური კულტურის მთელი მოცულობის დაშვებული გაიგივება ეკონომიკური ტიპის პროდუქციასთან, ხოლო ნებისმიერი სოციალური წარმოების კავშირი კვლავწარმოებასთან, ბაზართან, და იდეის გამოხატვის მატერიალური სახე შესაძლოა გვაძლევდეს უფლებას ტერმინების – ეკონომიკის და კულტურის – სინონიმებად ხმარებისა) ისტორიის კარდინალური საკითხების გასაშუქებლად. წინამდებარე მიმოხილვაში მოცემულია მოკლე ცნობები ეთნოკულტურული თვალსაზრისით განსაზღვრული სამყაროს სახელმწიფოებრივი აზროვნებისა ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში.

აკადემიურია კატალოგი ემისიების მიხედვით, ყოველივე ილუსტრაცია ეკონომიკური წლის პერცეფციისა ევოლუციური პროცესების ძირითად ციკლად. მაგრამ ემისიების დიფერენციაცია და მათი დროითი ატრიბუცია ხშირ შემთხვევაში შეფარდებითია ან შეუძლებელი. კონკრეტული პრობლემა ქართული ნუმისმატიკისათვის აქტუალურია. სამონეტო კლასიფიკაცია შემდეგი იდეური მომენტების გათვალისწინების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს: 1. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი; 2. სოციალური კონტრაქტის ტიპი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის პოლიტიკური დეცენტრალიზაციის შემთხვევაში); 3. კონკრეტული იურიდიული სუბიექტი; 4. ემისიის წელი (დროის ფილოსოფიური კატეგორიის (ან სუბსტანციის) სპეციფიურობის გამო აქ იდეურ მხარეზე საუბარი პირობითია); 5. წმინდა ეკონომიკური იდეები – სამონეტო სისტემა და სხვ., 6. ტიპოლოგია; 7. სტილი; 8. ლეგენდათა სისტემა. ემისიას აყალიბებს პირველი ოთხი აღნიშნული პუნქტის ფარგლებში იდენტური შტრიხების შემცველი ნუ-

მიზმატიკური ძეგლები. ანალოგიური ვითარება I, II, VI და VII პუნქტებთან დაკავშირებით უკვე სერიაა, მხოლოდ I და II-სთან – ჯგუფი. ცალკეული ეგზემპლარის მიერ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ნიშნის (წმინდა ეკონომიკური მომენტი) საკმაოდ შეფარული ტარების გამო მას ამ ასპექტით წყაროდ მხოლოდ ემისიის რაოდენობრივი მონაცემების გათვალისწინება და რთული კომპლექსური კვლევა აქცევს. ამიტომ კონკრეტული ევოლუციის სქემის დედუქციური გათვალისწინება მართებულად მიგვაჩნია.

პროტოფეოდალიზმი

დასავლეთ საქარფველოს სპეციფიურმა სივრცობრივმა და სიღრმისეულმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა თვისებებმა განაპირობა აქ პროტოფეოდალურ ეტაპზევე რამდენიმე სოციალური კონტრაქტის არსებობა, ცენტრისკენული პროცესების სისუსტე და არაავტონომიური ეთნოკულტურული საჯარო ხელისუფლების აღმოცენება. ძვ.წ. VI-IV სს. კოლხთა პრიმატის ნიშნით მიმდინარე პოლიტიკური ტიპის ინტეგრაცია საბოლოოდ სრულ ფიასკოს განიცდის. ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის საერთო ეკონომიკური აღმავლობა კი ბერძნული ჰეგემონიის აგრარულ-სავაჭრო ბაზისს ჰინტერლანდს უქვემდებარებს. კოლხეთის ტერიტორიაზე განხორციელებული პოლისური ან მონარქიული ტიპის საკანონმდებლო ხელისუფლების სამონეტო რეგალიის რეალიზაციას წარმოადგენს ნომინალურ-ტიპოლოგიური კომპლექსი, ტიპური სამონეტო ჯგუფი, კოლხური თეთრი – მისი ავტონომია აღმოჩენათა ტოპოგრაფიის მეთოდის და თემატურ-ტიპოლოგიური პარალელების დაძვინის საფუძველზე დგინდება. თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ სტილისტური და ნაწილობრივ ტიპოლოგიური მონაცემები რეგალიის კუთხით უფრო ზღვისპირა ცენტრებზე მიგვანიშნებს. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია კიდევ სხვა არგუმენტების მოშველიებაც, რასაც ამჯერად შეგნებულად გვერდს ვუვლით. და თუკი ეს ასეა, მაშინ კონკრეტული ნუმისმატიკური ძეგლების ქართულად ატრიბუცია განპირობებული უნდა იყოს შესაბამისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის უპირატესი კულტურული ტიპით სოციალური მატარებლის რაოდენობისა და მის მიერ მწარმოებლური ფუნქციების განხორციელების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, თვით ბერძნული კომერციული

ელემენტის ეკონომიკური ბილინგვიზაციით.

კონკრეტული ჯგუფის დანაწევრებული ილუსტრაცია მიზანშეწონილია ცალკეული ტიპების მიხედვით, რაც შეესაბამება ან ზუსტად განუსაზღვრელ ემისიას, ან – სერიას.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი სქემა:

I ტიპი (ე.წ. ტეტრადრაქმა). სტატერი (ეგინური და სპარსული სამონეტო სისტემებით). ორი ან ცოტა უფრო მეტი ემისია. ძვ.წ. VI ს. II ნახ.

II ტიპი (ე.წ. I ტიპის დიდრაქმა). სიკლი (სპარსული სისტემით); დიდრაქმა (ატიკური სისტემით). სერია. ძვ.წ. VI ს. II ნახ. – V ს.

III ტიპი (ე.წ. II ტიპის დიდრაქმა). სიკლი; დიდრაქმა; სერია. ძვ.წ. V ს.

IV ტიპი (III ტიპის დიდრაქმა). თითქმის სრული ტიპოლოგიური შესაბამისობა ჰემიდრაქმების II ტიპთან სწორედ ატიკური დიდრაქმის ვარიანტს ხდის ჩვენთვის კონკრეტული ასპექტით საინტერესოს. ერთი ემისია. ძვ.წ. V ს.

V ტიპი (ე.წ. დრაქმა). ნახევარსტატერი/სიკლი (სპარსული სისტემით). ტიპის თემატური კავშირი (2)-სთან სიმპტომატურია სპარსული სისტემის ჩარჩოებში მათი ერთ ემისიად მიჩნევისათვის.

VI ტიპი. ატიკური სისტემის ჰემიდრაქმა (I ტიპი). ტიპის თემატური კავშირი (2)-სთან ნიშანდობლივია ატიკური სისტემის ფარგლებში მათი წინას ანალოგიური მიმართების მტკიცებისათვის ძვ.წ. V ს.

VII ტიპი. ატიკური ტრიობოლი (II ტიპი) დეგრადაციისკენ ტენდენციით. სერია. ძვ.წ. V-III სს.

VIII ტიპი. ჰემიტეტარტემორიონი (?) ძვ.წ. V ს. II ნახ.

პროტოფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსისათვის ძირითადი ნომინალის არსებობის ასეთი უჩვეულო ფორმა (ტრიობოლი) ერთადერთ ლოგიკურ ახსნას ექვემდებარება – კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ვერცხლის სასაქონლო მარაგის მოცულობა არსებული სოციალური სტრუქტურის ეკონომიკური აზროვნების კონკრეტული სტადიის შესაბამის უკიდურეს მინიმუმს შეადგენდა. ყოველივე ამის ბაზაზე აღმოცენებული ვერცხლის შეფარდებითად მაღალი კურსი გახდებოდა მიზეზი რიგი დისონანსისა სოციალური დისტრიბუციის სფეროში – ნომინალური დაწვრილება აუცილებელი მომენტი იყო. ჰიპოთეზა, რა თქმა

უნდა, შემდგომ დამუშავებას მოითხოვს.

კაპიტალისტური საწარმოო კომპლექსების ეტაპობრივი ტრანსფორმაცია ბიმეტალიზმზე, ევოლუციური პროცესის ციკლური ხასიათი საერთო დიალექტიკური შინაარსის ფონზე, დასავლური სამყაროს სამრეწველო სტაგნაციის ელინისტური გადაწყვეტა, ჩვენთვის საინტერესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მომპოვებლური სპეციალიზაციის გაზრდილი კავშირი გარეშე სამრეწველო პოტენციალთან და აქედან მოყოლებული სამონეტო აკუმულაციური ფენომენის (ე.ი. უცხოური მონეტის) ამკარა პრიმატი კოლხურ სამონეტო ბაზარზე – ყოველივე ზემოაღნიშნული დროით ასპექტში წყვეტილი ბიმეტალიზმის საფუძველი გახდა დასავლურქართულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში; მისი შინაარსი. ძვ.წ. III ს. ძირითადად ლიმიტირებულია ალექსანდრეს და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერებით და კოლხური ჰემიდრაქმებით. ამასთანავე, ტენდენცია ავტონომიური ემისიების შეწყვეტისკენ სწორედ მზარდი აკუმულაციური პროცესების შედეგია, თუმცა აქვე ფიგურირებს პოლიტიკური ტიპის მიზეზებიც.

ფაქტობრივი მასალა ძალზედ მცირე ხნით მაინც კოლხური სამონეტო ბაზრის მონომეტალიზაციას გვაპარაუდებინებს; ჰიპოთეზა ე.წ. აკის სტატერის ლოკალური ავტონომიური სოციალური კონტრაქტის პროდუქტად მიჩნევის შესახებ კარგად მიესადაგება კონკრეტულ დებულებას.

ბიზანტიონში მოჭრილი ფულის საფუძველზე კონკრეტული ემისია ძვ.წ. II ს. 90-80-იანი წლებით თარიღდება.

შემდგომი პერიოდის როგორც ბიმეტალიზმი, ასევე ლოკალური ემისიების მიერ აკუმულაციის ეტაპობრივი გამოდევნა სრულებითაც არ იყო განპირობებული ადეკვატური ეკონომიკური პროცესებით – პირიქით, საქმე გვაქვს კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ დაჩიხვასთან, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მომენტები კარგავს რეალურ სემანტიკას. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ კრიზისის ჰიპოთეტურ მიზეზთაგანია ფეოდალიზაციისათვის აუცილებელი სოციალური კონიუნქტურის არარსებობა; სხვა ამ კატეგორიის საფუძველია საგარეო-პოლიტიკური „ფაქტორი“. სტატერის იდეა, დასახული საუკუნის დასაწყისში, თანდათან ინფლაციურ დეგრადაციას განიცდის, მაშინ როცა ნატურალისტური კონცეფციების და რეგალიური მომენტების გაქრობა, ე.ი. მინაბაძად

ტრანსფორმაცია (ლისიმაქეს და ალექსანდრეს სტატერების ტიპის ქართული მინაბაძები) წმინდა პოლიტიკური მომენტებით უნდა აიხსნას.

ზემოთ მოხაზულ იქნა ძვ.წ. II-I სს. კოლხეთის სამონეტო ბაზრის ევოლუციის მხოლოდ ზოგადი სქემა; აღინიშნა ფულადი მიმოქცევის სინთეზური ხასიათი – აკუმულაციური სუბსტრატის კორექტირება ინფლაციური ნუმისმატიკური კატეგორიით. ლოკალური ემისიები ბევრად უფრო მრავალფეროვანი იყო, მაგრამ არაარსებითი სპეციფიური ფულადი სისტემის გამო (იგულისხმება Ar. და AE.), არისტარქეს ვერცხლი ეპიზოდური ეკონომიკური სტაბილიზაციის რეგულირებისათვის საჭირო მონახაზი იყო შემდეგი ძირითადი ატრიბუტიკით: მონომეტალნიზმი (Ar.) და მაღალი სინჯადობა. ობიექტური მიზეზების გამო მან რეფორმაციული სტატუსი ვერ შეიძინა. იგივე შეიძლება ითქვას მითრიდატე უმცროსის (?) ვერცხლზე (?). რაც შეეხება სპილენძს, პროტოფეოდალნიზმისათვის დამახასიათებელი დამხმარე სოციალურ ქმედებათა გარკვეული კონცენტრაცია ძირითად სოციალურ სუბიექტში ხელს უშლიდა აღნიშნული მეტალის ფრაქციულ სახმარ ღირებულებად აღქმას. სპილენძის მინიმალური დალექილი რაოდენობა ძირითადად ზღვისპირეთში კოლხეთისათვის მის არაკონვერტირებულ სტატუსზე მიუთითებს, ხოლო ფართო მიმოქცევა მითრიდატულ ხანაში წმინდა პოლიტიკური ფენომენია.

დასავლეთ საქართველო, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი, წყვეტს საკუთარ ნუმისმატიკურ აქტიურობას I ს. შუა ხანებისათვის. შემდგომ ამისა, ის აბსოლუტურად პასიურია აკუმულაციის მიმართ და აკომპლექტებს თავის სამონეტო ბაზარს უცხოური ვალუტით; ამ პროცესის მახასიათებელია საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გამოკვეთილად დასავლური დამხრობა.

აღმოსავლეთქართული ასევე აკუმულაციური სამონეტო ბაზარი სირიასომხეთ-პართიის ფულადი მიმოქცევის სუბსტრატზეა აღმოცენებული; ამ უკანასკნელთაგან ნაწილი არაავტონომიური (უცხოური) მონეტით იყო დაკომპლექტებული დროის ნებისმიერ მონაკვეთში ან გარკვეულ ეტაპზე; საოცრად მცირე მოცულობის ძვ.წ. IV-III სს., ის ძვ.წ. II ს. უკვე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფენომენია. ძვ.წ. I ს. მეტად სიმპტომატურია ლოკალური ემისიების თვალსაზრისით – იატაკქვეშა ზარაფხანები (მაგალითად ალაიანის), კოლხეთიდან შემოსული ალექსანდრესა და ლისიმაქეს სტატე-

რების ტიპის იმიტაციებს ბაძავს. I-III სს. იბერიის ნუმისმატიკის აუცილებელი ატრიბუტებია ავგუსტეს დენარები, რომაული აურეუსები და ე.წ. გოტარხეს დრაქმები. ქართიზაციის ნიშნით მიმდინარე კონვერსიული პროცესების ნუმისმატიკური გამოხატულებაა აღნიშნული ხანის არგვეთის შერეული სამონეტო ბაზარი. „ბრძოლა“ დასავლეთქართული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის უნივერსალური სპეციალიზაციის და კონკრეტებისათვის სუბიექტური თვალსაზრისით რენტაბელური კონვერსიის გზით მცირეაზიურ კაპიტალისტურ მეტროპოლისს და ქართლის სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენს შორის ხანგრძლივი გამოდგა. ამ უკანასკნელის საბოლოო გამარჯვება განაპირობა ციკლური ევოლუციის I ეტაპის კაპიტალიზმის შედარებით ნაკლებმა პოტენციალმა. განხორციელებული ეკონომიკური ინტეგრაცია ფეოდალური, სასოფლო-სამეურნეო ტიპის იყო.

წარმოდგენილი პარაგრაფი არ იქნებოდა სრული რამდენიმე საინტერესო ფაქტობრივი თუ თეორიული შტრიხის გარეშე. განაყოფი – კოლხეთის ეკონომიკური მიმართებაანი ალექსანდრემდე ნუმისმატიკური მასალების მიხედვით – კონკრეტული ძეგლების ილუსტრაციაა.

§ 2. კოლხეთის სუპლემენტური პერცეფცია დასავლეთის მიერ და რეალიზაციის სინთეზური ეკონომიკურ-პოლიტიკური გზები (ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს). დასავლეთ საქართველოს მიმართ აღნიშნული ტიპის დამოკიდებულებას საფუძველი ევპატორის დროს ეყრება. ამ თვალსაზრისით რომაელები მისი პოლიტიკური შემკვიდრენი არიან. პონტო, კოლხეთი და იბერია დიალექტიკური შტრიხებია. უმთავრესი თემები კონკრეტული კუთხით სხვაგან სრულადაა წარმოდგენილი. მათზე აღარ შევჩერდებით. საკუთრივ პონტოს ზანური მოსახლეობა კი I-II სს. საოცრად აქტიურია. ლაზური სოციალური სუპერსტრატის კოლხური ფეოდალიზმის გენეზისის საფუძველია. ამასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ავტოხტონური ჭანური მოსახლეობა, ჩართული პონტოს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში და სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის კვალდაკვალ დაქვემდებარებული აუცილებელი ელინიზაციის პროცესისადმი, ელინისტური კონცეფციების გარკვეულ თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენს. მისი ნუმისმატიკური ფიქსაცია კონკრეტული სოციალური კონტრაქტის მკვეთრ გააქტიურებასთან არის დაკავშირებული. ტიპოლოგიური სინთეზის (კაპადოკიური მენი, მხედარი და მითრა, ჭაბუკი სხივებიან ფრიგიულ ქუდში) ბაზაზე ორიგინალური

კომპოზიციის და კონფესიონალური ელემენტის გენეზისი, კონკრეტული ტიპოლოგიის ლოკალიზაცია ტრაპეზუნტით (აგრეთვე, ეგრისით და ქართლით) ავტოხტონური ენის ეკონომიკური ფუნქციების ჯერჯერობით შენარჩუნებაზე მეტყველებს. ქართული დიალექტიკური კულტურული ტიპისადმი განსახილველი ნუმინმატიკური ძეგლების კუთვნილება აშკარაა.

განხილული ნუმინმატიკური იდეა თავისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით პროტოკაპიტალისტური ფენომენია. აღნიშნული მომენტი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეს არის ანტიკურობის სინქრონული ქართული კულტურული ელემენტის მაინცდამაინც პროტოფეოდალიზმით ლიმიტირების თვის კონტრარგუმენტი. ამგვარად, ქართული ნუმინმატიკის სოციალურ-ეკონომიკური ატრიბუტი მისი განაწილების გამო სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში სხვადასხვაა.

აქვეა ზოგიერთი კონფესიონალური მონახაზიც.

§ 3. ტრანსკავკასიური ტრანზიტის პერსპექტივები და ქართლი (ძვ.წ. III - ახ.წ. III სს.) - კონკრეტული საკითხი ჩვენს მიერ უკვე წარმოდგენილია. ახლა ყურადღებას გავამახვილებთ იბერიის სამონეტო საქმეზე. I ს. შუა ხანები ალექსანდრესა და ლისიმაქეს იმიტაციების ემისიის უკანასკნელი ეტაპია. ორსაუკუნოვანი შესვენების შემდგომ კი იბერიამ კვლავ განაახლა ქმედება ამ თვალსაზრისით, გარკვეულმა ეკონომიკურმა კონიუნქტურამ ხელი შეუწყო ქართლის სამონეტო ბაზრის დიფერენტების რემინისცენციური ფენომენის გენეზისს (ავგუსტეს დენარისა და რომაული აურეუსების მინაბაძები). ამ მოვლენის არსებობის ქრონოლოგია სამარხეული კომპლექსების, კონკრეტული პროტოტიპებისა და სხვა უფრო ზოგადი მომენტების გათვალისწინების საფუძველზე ძირითადად III ს. II ნახ. იფარგლება.

სამონეტო ტიპოლოგიის ევოლუცია თითქმის ნატურალისტური კონცეფციების სქემით შეცვლის ჩვეულებრივი პროცესია.

კონკრეტული პერიოდის იბერიის სამონეტო მიმოქცევასთან დაკავშირებით შესაძლებელია რამდენიმე დებულების კონსტრუქცია: 1. იმპერიის მძაფრი ეკონომიკური კრიზისი და ირანის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია აკუმულაციური დეფიციტის საფუძველი შეიქმნა. ლოკალური ემისიის საკითხი აქტუალური უნდა გამხდარიყო. 2. ეს და თვით იმიტაციების სპეციფიური სახე გამორიცხავს მათ იატაკქვეშ წარმოებას. 3. მაგრამ რეგალიის დაუფიქსირებლობა წყაროთმცოდნეობითი

ბაზისის არსებულ დონეზე გაუგებარია. 4. იმიტაციების მცირე რაოდენობა, სამარხეულ კომპლექსებში მათი არადომინირებული კონდიცია, წონის და, აუცილებლად, სინჯადობის თანდათანობითი დაცემა, თითქმის ბიმეტალიზმი და ნომინალური გაწვრილება; დამატებით IV ს. დაცემული სამონეტო ბაზრის აღქმა წინა პერიოდის დერივატად – ყოველივე საკმაოდ მძაფრი და ხანგრძლივი კრიზისული პროცესის დანახვის საფუძველს გვაძლევს. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით, მაინცდამაინც მეტად ფრთხილი სამუშაო ჰიპოთეზის სახით უნდა იქნას ჩამოყალიბებული – ფეოდალური ურთიერთობების პრიმატისათვის აუცილებელი სოციალური სტრუქტურის შექმნის პროცესის მიმდინარეობის შედარებით ნელი ტემპები კონკრეტული კუთხით დასაშვები მიხეზთაგანია.

მინაბაძების ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს მაღალ რაიონებშია დაფიქსირებული. ქართული ეთნოკულტურის ჩარჩოებში მთის და ბარის მიმართების საკითხი საოცრად აქტუალურია; წმინდა ნუმისმატიკური კუთხით კი ის საერთოდ არ განხილულა. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჟინვალის და ერწოს არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოძიებული ანტიკური ნუმისმატიკური მასალის სპეციალურ პერსპექტიულ შესწავლას. საკვალიფიკაციო ნაშრომში წარმოდგენილი კონკრეტული ნაკვეთის მიზანია აღნიშნული ძეგლების წინასწარი ატრიბუცია და ზოგიერთი კონკრეტული დასკვნის გაკეთება.

აქვე დამატების სახით შესაძლებლად მივიჩნიეთ დიდი პრობლემის ადეკვატური ემპირიული მასალის ნაწილობრივი ფიქსაცია. დამატებას შემდეგი სათაური აქვს: ანტიკური სამყარო, ბიზანტია და ქართული ეთნოკულტურა ნუმისმატიკური მასალების მიხედვით.

შესაბამისი ნუმისმატიკური კატეგორიები დიდი რაოდენობითაა მიკვლეული საქართველოს ტერიტორიაზე. კონკრეტული კვლევა უდრის სამონეტო განმეობით დელუქციურ მანიპულაციას. უფრო ვრცელი ემპირიზმი ძალზედ შორს წაგვიყვანდა.

კონკრეტული კუთხით მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზისი ოცზე მეტ განმს აკომპლექტებს.

კომენტარები:

ა) ნებისმიერი, ევოლუციის ტემპების მიხედვით არააკანგარდული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ნუმისმატიკური დიალექტიკა უდრის

1. აკუმულირებად ექსტენსიობას. 2. აკუმულირებად ინტენსიობას. 3. ავტონტონური (ლოკალური) ემისიების გააქტიურებას. 4. აქტიური სამონეტო რეგალიის რეალიზაციას. ეს ლოგიკური სქემაა. შავიზღვისპირა რეგიონის დასავლური დამხრობა ემპირიული შტრიხია, თან ეს პერმანენტული ისტორიული დიალექტიკური მიმართებაა, ე.ი. ნუმისმატიკური მიმართებებიც უწყვეტია. ხომ არ შეიძლება ასეთი დედუქციური ემპირიზმის აპრობაცია?! ენახოთ, განძების ფაქტების სუმირებული შეფარდებითი ქრონოლოგიური განაწილება. უჭერს თუ არა ის მხარს წარმოდგენილ მეთოდს?! ძვ.წ. VI-IV სს. - 1; ძვ.წ. IV-I სს. - 4; I-III სს. - 6 (+ 1 AE. კომპლექსი, რაც პიტიუნტელი ლეგიონერების მეურნეობაა); IV-VII სს. - 3 (+ 1 AE. განძი კვლავ პიტიუნტიდან და კვლავაც წინას ანალოგიური კომენტარით); VII-X სს. - ხარკეზი; X-XIII სს. - 2 AE. კომპლექსი (ხურდა ფული) + ლიხნის განძი. ციფრობრივი მონაცემების ქრონოლოგიური განვრცობა სიმპტომატურია. მაგრამ საჭიროა ზოგიერთი დაზუსტებაც. კოლხეთის ძვ.წ. VI-IV სს. ნუმისმატიკური კონიუნქტურის შედარება (1) ლოგიკურ ეტაპთან არ არის სწორი. არც ძვ.წ. IV-I სს. სიტუაცია არ არის ადეკვატური (2). მაგრამ მაინც დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის შემოაღწეული ფაქტების შეფარდებითი განხილვა ნიშანდობლივი უნდა იყოს.

ბ) იბერიის აღმოსავლურ-დასავლური ნუმისმატიკური სინთეზის, ანუ შერეული განძების ფონზე, კოლხურ/ლაზური აკუმულაციური ერთფეროვნება კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების სოციალური ევოლუციების სტილისტურ კორექტორად კარდინალურად განსხვავებულ სამყაროებს სახავს.

თ ა ვ ი ი კოსტანტიკა (IV-VII სს).

§1. კოლხეთის სუპლემენტური პარცეფცია და იმპერიალიზმის ბიზანტიური ინერციული არსებობა (IV-VI სს).

ფორდალიზმი

ფორმაციის შინაგანი სტაბილიზაციისა და აბსოლუტიზაციის ეტაპზე განხორციელებული საგარეო „ფაქტორის“ ინტენსიური სპეციფიური ზე-

მოქმედება, კვლავწარმოებითი პროცესების რენტაბელური ევოლუციის დეგრადაცია სტაგნაციური ტიპის კრიზისული მოვლენის ეკვივალენტურია, ფეოდალიზმის იძულებითი დროითი დიფუზიის terminus post quem რუსუდანის მეფობის ხანაა. ვთვლით, რომ განსახილველი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების (ლაზიკა და ქართლი) ფეოდალიზაცია არ ყოფილა თანადროული პროცესი.

შესასწავლი ეთნოკულტურის ფარგლებში ხაზგასმული სოციალურ-ეკონომიკური კონდიციის შესატყვისი ევოლუციური სამონეტო ბაზარი სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაციას იძლევა: ეკონომიკური – ა) ფულადი მიმოქცევის შეფარდებითი ინტენსიფიკაცია ევოლუციური სქემის აღმავალ ხაზზე. ბ) პერმანენტული სწრაფვა ბიმეტალიზმისაკენ. გ) ტენდენცია აკუმულაციიდან ავტოსტონური ემისიების სვედრითი წონის აბსოლუტიზაციისკენ. XII ს. II ნახ. ამ მხრივ სიმპტომატურია; ასევე – სომხეთის ფულადი ბაზრის ნაწილობრივ ქართული სპილენძით დაკომპლექტების ფაქტი. დ) სპილენძის პერცეფცია შეფასებისა და საქონელგაცვლის საშუალებად – ნიშანდობლივია XI ს. მისი ჰინტერლანდური აკუმულაცია სოციალური მატარებლის ამკარად დიდი რაოდენობის პირობებში. ე) მძაფრი კონვერსიული პროცესები ორი განსახილველი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მასშტაბით – კონკრეტული კატეგორიის ახალი ფენომენის გენეზისის – ეს საქართველოა. ამ ასპექტით ნუმისმატიკური ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს გარკვეულ ქრონოლოგიურ სიბრტყეზე – XI ს. – ქართული ეთნოკულტურული ევოლუციისათვის სამონეტო ბაზრის ტიპოლოგიის თვალსაზრისით დამახასიათებელი განსხვავების გაქრობა. ვ) საგარეო-ეკონომიკური მიმართებების წინა პერიოდის ანალოგიური დამხრობა; სოციალური-დასავლურქართული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების ეკონომიკური ჩავარდნების ნუსხას ასეთი სახე აქვს – კოლხეთი/ლაზიკა – ძვ.წ. II – ახ.წ. I ს. I ნახ., III ს. II ნახ. – IV ს.; არგვეთი – IV ს. (ამის შემდგომ კონკრეტული შერეული ბაზრის თავდაპირველი პოლიტიკური სტატუსის რესტავრაცია წყვეტს კონვერსიას ამ ასპექტით); ლაზიკა/აფხაზეთი – VII-X სს., ამასთან, X ს. თითქოს ოდნავი რეანიმაციაა. ახლა უფრო დეტალურად – პირველად მონიშნული კრიზისი საინტერესოა რიგი შტრიხის გამო: ა) დროითი განფენილობის სოლიდური ხასიათი, ეს ერთი მხრივ, სხვა მხრივ კი ინფლაციური ტრადიციული ატრიბუტის არსებობა. ასეთი სინთეზი მე-

ტად სპეციფიურია. ბ) საგარეო ინტენსიური და თითქმის პერმანენტული კონიუნქტურის არარენტაბელური ქმედების უეჭველი არსებობა რაციონალური ევოლუციის განსახილველ ეტაპზე გნოსეოლოგიური პროცესის ნელი ტემპების გამო, მაგრამ დაქვეითების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის პრინციპული განსხვავება პოლიტიკური პერიპეტიების ამავე დროით ატრიბუტთან (ე.ი. კრიზისი უფრო ადრე იწყება, ვიდრე საგარეო-პოლიტიკურ გართულებას ექნებოდა ადგილი). გ) კოლხური სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის არაკაპიტალისტური სახე. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება იძლევა საფუძველს დებრესიის სოციალური სუბსტრატის პერცეფციისა, და ეს ერთადერთი შესაძლებელი ახსნაა. განსახილველი ურწყავი სოფლის მეურნეობის ბაზისის მქონე ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შეფარდებითად სინოტივემ განაპირობა აქ კონკრეტული ატრიბუტიკის მატარებელი სხვა ამავე ტიპის კომპლექსების დიალექტიკის ციკლური ხასიათის შეუძლებლობა. სამაგიეროდ, სოციალური კონტრაქტების სიმრავლე ამ ასპექტით მეტად სიმპტომატურია. ასევე ნიშანდობლივია ეკონომიკური აღორძინება I ს. შუა ხანებიდან, მაინცდამაინც იმ ქრონოლოგიური შტრიხიდან, რაც, ალბათ მიგრაციული პროცესების ზედა ზღვარია. ერთი კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის შესატყვისი სოციალური კონტრაქტების ინდივიდუალური ქმედება სოციალური აკუმულაციისაკენ (ე.ი. თემის დამლა და ამის საფუძველზე უფალთა კატეგორიის პროცენტული მატება) პროტოფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური შეზღუდულობის გამო არააფექტური უნდა ყოფილიყო. ყოველივე სოციალური კონფრონტაციის უკიდურესად გამწვავების წყარო გახდებოდა. ინტეგრაციული პროცესების რეალიზაციის აუცილებლობას კი ხელს უშლიდა ცენტრის გამოუკვეთავი ტიპი. სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ბაზაზე არსებულ სოციალურ კომპლექსთან სოციალური კონტრაქტი არ გამოდგა რენტაბელური მისი უნივერსალური ფუნქციების გამო, იგულისხმება პონტო. ჰიპოთეზა სოციალური ჩიხის ლიკვიდაციის პირდაპირი კავშირის შესახებ წელთაღრიცხვების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ცენტრალურ მიგრაციულ ფართო სოციალურ კონტრაქტთან (ლაზები), ჩვენი აზრით, რაციონალურია. ევოლუციის პირველივე ეკონომიკური წელი „რევოლუციური“ კატეგორისაა. I ს. II ნახ. დასავლურ-ქართული დამოუკიდებელი ეკონომიკური ბაზრისათვის ფეოდალიზმის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია. ევოლუციური პოლიტიკური

ინტეგრაცია, რომლის არსებობის ქრონოლოგიაც ლოგიკურ კორექტივს მოითხოვს, III ს. II ნახ. – IV ს. პერიფერიული სოციალური რეორგანიზაციით და დეცენტრალიზაციის სიმპტომებით იცვლება. იბერიასთან მიმართებაში კონკრეტული პროცესის შეფარდებითი სისწრაფე ნიშანდობლივია – ყოველივე არის შეფარდებითი ეკონომიკური პრიმატის მაჩვენებელი. კონკრეტული პროვინციული სოციალური აკუმულაციის იდეის განხორციელება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ერთადერთი რეალური კონიუნქტურის პირობებში – ეს არის მეტად თუ ნაკლებად მკაფიოდ გამოხატული ბიზანტიური გარანტია ლოკალური სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის. რაც შეეხება ამ უკანასკნელ მომენტს, უცხოური გარნიზონების დისლოკაციის ფაქტის ტრადიციული მიმართება სპილენძის მიმოქცევასთან შემდეგი სურათის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა – აღნიშნული პოლიტიკური შტრიხი, ალბათ, სახეზეა IV, VI-VII სს. სინქრონული არგვეთის სინთეზური ბაზარი მუშობელი სოციალური კონტრაქტების მიერ სოციალური რეგალიის რეალიზაციის ბაზისზე აღმოცენებული კრიზისული პროცესებით არის განმსჭვალული.

V-X სს. რეგიონალური (განვითარებული) ფეოდალიზმის ლოგიკური პოლიტიკური გამოვლინებები – დაშლა, შემდგომი ინტეგრაცია – ყოველივე ამის რეალიზაცია საგარეო კონიუნქტურის რაიმე მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ზემოქმედების პირობებში, გარკვეულ წინააღმდეგობაშია VII-X სს. ეკონომიკურ კრიზისთან და აფხაზთა მეფეების რეგალიის თვითმყრობელურ ტიპთან. გამორიცხულია ნებისმიერი ახსნა, თუ არა შემდეგი ა) კრიზისის წმინდა კონვერსიული არსი; ბ) კონვერსიის მეთოდური გადაწყვეტა სახელმწიფო სოციალიზმის დაფუძნების გზით. ფიზიკურ-გეოგრაფიული კონდიციის სპეციფიკის გათვალისწინების საფუძველზე რენტაბელი სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციისათვის განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის რუხულტატი თვისებრივად ახალი ეკონომიკურ-გეოგრაფიული კატეგორია იყო, რომელიც მისი დიალექტიკური ბაზისის ანალოგიურ სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს ატარებდა. შიდა პოლიტიკური ინტეგრაცია ლოგიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა.

§ 2. ქართლი. ეკონომიკური ფუნქციური კატეგორიის ჰიატუსი (IV-VI სს.) – აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზრის დიალექტიკური სქემა შემდეგი კონკრეტული შტრიხების შემცველია – საერთო

